

აღ. ბრეზაძე. თ. ბრეზაძე

ქირურგიული
სტემატოლოგიის
საფუძვლები

56.6

616. 31-089

ბ911

სახელმძღვანელო "ქირურგიული სტომატოლოგიის საფუძვლები" დაიწერა 1988-94 წწ. მაგრამ გამოცემა არ მოხერხდა საქართველოში მიმდინარე გასაგები მიზეზების გამო.

ავტორებმა გაითვალისწინეს საქართველოს რუსპულიკაში განათლების სისტემის დღევანდელი მდგომარეობა, საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების დადებითი გამოცდილება და წინამდებარე სახელმძღვანელო შეადგინეს უმაღლესი განათლების პროგრამების შესაბამისად.

სახელმძღვანელო გამიზნულია სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ის სასარგებლო დახმარებას გაუწევს აგრეთვე ამ დარგში მომუშავე ექიმებს და მომიჯნავე დარგის სპეციალისტებს.

სახელმძღვანელო მოწონებულია და რეკომენდირებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრის მიერ.

შინაარსი

წინასიტყვაობა	9
პირველი ნაწილი პირველი თავი	
ქირურგიული სტომატოლოგიის განვითარება საქართველოში	11
მეორე თავი	
საღეჭი აპარატის ანატომია და ფიზიოლოგია	15
მესამე თავი	
ქირურგიული სტომატოლოგიური სამსახურის ორგანიზაცია და საექიმო შრომითი ექსპერტიზა	35
მეოთხე თავი	
აეადმყოფების გამოკვლევა და საოპერაციოდ მოზადება	40
აეადმყოფისა და საოპერაციო ეელის მოზადება	51
ექიმის მომზადება საოპერაციოდ	53
ქირურგიული იარაღებისა და საოპერაციო მასალის მომზადება	54
ოპერაციის შემდგომ აეადმყოფის მოვლა და კვება	55
მეორე ნაწილი გაუტკივარება	
მეხუთე თავი	
ზოგადი გაუტკივარება	58
ნარკოზის სახეები	62
შესაძლო გართულებები ზოგადი გაუტკივარების დროს	62
მექვსე თავი	
ადგილობრივი გაუტკივარება	62
ადგილობრივი გაუტკივარების სახეები	62
ბაზალური გაუტკივარების სახეები	71
ლოყის წერვის გაუტკივარება	71
ენის წერვის გაუტკივარება	71
უნემსო ინექტორით გაუტკივარება	71
ადგილობრივი ანესთეზიის პოტენცირება	8
ადგილობრივი გაუტკივარების თაყისებურებანი შინაგანი ორგანოების დააკალბის უონშე	8

ალურგიული ანამნეზით ღამიძიშებულ ავადმყოფთა ქირურგიული ლახპარების ორგანიზაცია	83
გართულებანი ადგილობრივი ანესთეზირების დროს	85

მეზვილე თავი

სტომატოლოგიურ ავადმყოფთა რეანიმაცია	91
---	----

მესამე ნაწილი

მეოთხე თავი

ქირურგიული ჩარევა კბილებზე და ალვეოლურ მორჩზე	99
კბილების ამოღების ჩვენება და წინააღმდეგჩვენება	101
კბილების ამოღების ოპერაცია, იარაღები	102
კბილების ამოღების ზოგადი წესები	106
კბილების ამოღების მომენტები	107
კბილების ამოღება ზედა ყბაზე	109
კბილების ამოღება ქვედა ყბაზე	112
კბილის ფესვების ამოღება	114
კბილის ბუდის კრილობის მოვლა	115
გართულებები კბილების ამოღების დროს, ამოღების შემდეგ	116

მეხუთხე თავი

ქირურგიული ოპერაციები ალვეოლურ მორჩზე	121
კბილების ამოჭრასთან დაკავშირებული გართულებები	125

მეოთხე ნაწილი

მეათე თავი

ყბა-სახის არეს ანთებადი დაავადებები	128
პერიოდონტიტი	131
მწვავე პერიოსტიტი	132
ქრონიკული პერიოსტიტი	135
ოღონტოგენური ოსტეომიელიტი	136
მწვავე ოღონტოგენური ოსტეომიელიტის გართულება	148
ქრონიკული ოღონტოგენური ოსტეომიელიტი	150
ქრონიკული ოსტეომიელიტის გართულება	154

მეთერთმეტე თავი

სახისა და პირის დრუს რბილი ქსოვილების ჩირქოვან-ანთებითი დაავადებები	155
ყბა-სახის არეს აბსცესები	156
ყბა-სახის არეს ფლეგმონები	163

ფლეგმონების მკურნალობის ძირითადი პრინციპები	164
პირის ღრუს ფსკერის ჩირქოვან-ნეკროზული ფლეგმონა	186

მეთორმეტე თავი

სახის კანქვეშა ოღონტოგენური გრანულომა	187
---	-----

მეცამეტე თავი

ყბა-სახის არეს არაოღონტოგენური ანთებადი დაავადებები	190
ფრენკული ;	191
კარბუნკული ;	192
ციმბირის წყლული	194
წითელი ქარი ;	195
ნომა ;	196

მეთოთხმეტე თავი

ყბა-სახის არეს სპეციფიკური ანთებადი პროცესები	198
ტუბერკულოზი	199
აქტინომიკოზი	201
ათაშანგი	206
ალამიანის შეძენილი იმუნოლუფიცირებული სინდრომი (შიდსი)	208

მეთხუთმეტე თავი

ენისა და ტუჩების ანთებადი დაავადებები ;	211
---	-----

მეთექვსმეტე თავი

პაროდონტიტის ქირურგიული მკურნალობა	214
--	-----

მეჩვიდმეტე თავი

ლიმფური კვანძების ანთება (ლიმფალენიტი)	218
--	-----

მეთვრამეტე თავი

ზელა ყბის წიაღის ანთება	224
-------------------------------	-----

მეცხრამეტე თავი

სანერწყვე ჯირკვლების დაავადებანი	233
სანერწყვე ჯირკვლების დაავადებების გამოკვლევის მეთოდები	237
სანერწყვე ჯირკვლების არასპეციფიკური მწვავე ანთებადი დაავადებები	242
სანერწყვე ჯირკვლების სპეციფიკური ანთებადი დაავადებანი	254
სანერწყვე ჯირკვლების კენჭოვანი დაავადებები	256

სანერწყვე ჯირკვლების სისტემური დაავადებები	259
სანერწყვე ჯირკვლების გრავმული დაზიანებები	263
სანერწყვე ჯირკვლების სახის კანის ხერკლარსები	266
სანერწყვე ჯირკვლების კისტები	269

მეოცე თავი

ქველა ყბის სახსრის დაავადებები	272
საფეთქელ-ქველა ყბის სახსრის მტკიენული დისფუნქციის სინდრომი	276
საფეთქელ-ქველა ყბის სახსრის ართრიტები	282
სპეციფიკური ართრიტები:	285
საფეთქელ-ქველა ყბის სახსრის ართროზი	286
ქველა ყბის მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა	287
საფეთქელ-ქველა ყბის სახსრის ანკილოზი	289

ოცდამეერთე თავი

სახისა და სამწვერა ნერვის დაავადებანი	293
სახის ნერვის დაავადებანი	295
სამწვერა ნერვის ნეურიტი	299
სამწვერა ნერვის ნევრალგია	302
შაკიკი	310

მეხუთე ნაწილი

ოცდამეორე თავი

ყბა-სახის არეს რბილი და მაგარი ქსოვილების გრავმული დაზიანებანი	312
ავადმყოფის გამოკვლევა	314
სახის რბილი ქსოვილების დაეყეილობა	316
სახის რბილი ქსოვილების კრილობა	317
კბილებისა და ალვეოლური მორჩის გრავმული დაზიანება	319
ალვეოლური მორჩის მოტეხილობა	320
ქველა ყბის ამოვარდნილობა	321
ქველა ყბის მოტეხილობა	323
ქველა ყბის სასახსრე მორჩის მოტეხილობა	328
ზელა ყბის მოტეხილობა	329
ზელა ყბის მოტეხილობის მკურნალობა	332
ყვრიმალის ძელისა და რკალის მოტეხილობა	334
ცხვირის ძელების მოტეხილობა	336
ხანდაზმულთა და მოხუცებულთა ასაკში ყბა-სახის	

ლაზიანების თავისებურება	337
სამედიცინო ღაშმარების ორგანიზაცია ყბა-სახსის გრავმული ღაზიანების დროს შშივლობიან პერიოდში ;.....	338

ოცღამესამე თავი

სახის რბილი და მაგარი ქსოვილების ცეცხლნასროლი ღაზიანება ..	342
ცეცხლნასროლი ჭრილობების საერთო ღაშასიათება	347
სახის რბილი ქსოვილების საბრძოლო ღაზიანება	350
სახის ძელების საბრძოლო ღაზიანება :.....	351
სახის დამწერობა	353
კომბინირებული ღაზიანება ;.....	358
ქიმიური ღაზიანება ;.....	359
მოყინვა ;.....	360

მეექვსე ნაწილი

ოცღამეოთხე თავი

ყბა-სახის არის სიმსიენური დაავადებები	362
სიმსიენეთა კლასიფიკაცია	365
ავადმყოფის კლინიკური გამოკლევა ;.....	368
კიბოსწინარე დაავადებები ;.....	370

ოცღამეხუთე თავი

კეთილთვისებიანი სიმსიენეები	371
ოსტეოგენური სიმსიენეები ;.....	371
არაოსტეოგენური და არაოღონგოგენური სიმსიენეები	373
ოღონგოგენური სიმსიენეები ;.....	375
მუალედური სიმსიენეები ;.....	382

ოცღამექვსე თავი

ყბა-სახის არეს აეთვისებიანი სიმსიენეები	383
სახისა და პირის დრუს რბილი და მაგარი ქსოვილების აეთვისებიანი სიმსიენეები	383
აეთვისებიანი სიმსიენეების მკურნალობის ძირითადი პრინციპები .	393

ოცღამეშვიდე თავი

სანერწვე ჭირკვლების სიმსიენური დაავადებანი	396
--	-----

ოცღამერვე თავი

ყბა-სახის არეს სიმსიენისმაგვარი წარმონაქმნები	399
---	-----

მეშვიდე ნაწილი
ოცდამეცხრე თავი

ყბა-სახის არეს აღდგენითი ქირურგია 400
აღდგენითი ქირურგიის მიზანი და ამოცანები 400
აღდგენითი ოპერაციების ძირითადი მეთოდები 405
ტუნების შექნილი ღეფექტები 410
ქსოვილების თავისუფალი გადანერგვა 411
ფილატოვის ყლორგით პლასტიკა 414

ოცდამეათე თავი

ყბა-სახის არეს თანდაყოლილი სიმახინჯეები 415
ყბების განვითარების ანომალიები 420
ღერმოიდული კისტა 422
სახის და კისრის თანდაყოლილი კისტები და ხერეღარხები 423

მერვე ნაწილი
ოცდამეთერთმეტე თავი

ზოგიერთი იმეიათი დააქალებანი 425

წინასიტყვაობა

ქართველი ახალგაზრდების მისწრაფება უმაღლესი სამედიცინო სტომატოლოგიური განათლებისადმი ოდითგან იგრძნობოდა. ამაზე მიუთითებს საქართველოში სტომატოლოგიის განვითარების ისტორია.

დიდია ქართველ მეცნიერთა როლი სტომატოლოგიური განათლების სისტემის დახვეწაში, მის ორგანიზაციულ-მეთოდურ სრულყოფაში, ქართველ მეცნიერთა თაობებმა დიდი მუშაობა გასწიეს სტომატოლოგიის დარგის განვითარებისათვის. დღემდე სტომატოლოგიისა და მის მომიჯნავე საკითხებზე გამოქვეყნებულია 594-ზე მეტი საკურნალო წერილი და ნაშრომი. ეს მეტად საჭირო და ნაყოფიერი შრომა დღესაც გრძელდება.

საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა სტუდენტთა შორის პედაგოგიურ მუშაობას და მშობლიურ ენაზე საჭირო სახელმძღვანელოების გადმოქართულებას თუ ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნას. პირველი თარგმანი შესრულებული იყო ა. ელიბერიძისა და მ. დადიანის მიერ (ვილიგერის "ქირურგიული სტომატოლოგია, პ. ლეოვის და ა. ლიმბერგის და სხვა). შემდგომში ქართულ ენაზე გამოვიდა თ. ჩხაგარაშვილის, ქ. მანჯგალაძის, ლ. ჭელიძისა და სხვების სახელმძღვანელოები სტომატოლოგიის დარგში. ამ დარგში წარმატებით მოღვაწეობდნენ აგრეთვე ე. შანიძე, ე. კელაპკრიშვილი და სხვები. ორთოპედიულ სტომატოლოგიაში გამოქვეყნდა გ. ბრეგაძის, ა. საყვარელიძის სახელმძღვანელოები. ქირურგიულ სტომატოლოგიაში პირველი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელო გამოსცა ა. ელიბერიძემ, მოგვიანებით გამოქვეყნდა პროფესორ ო. ნემსაძის ქართული ორიგინალური სახელმძღვანელო "ქირურგიული სტომატოლოგია".

ასევე საყურადღებოა ალ. ბრეგაძის ორიგინალური სახელმძღვანელოები სტომატოლოგიაში. "სტომატოლოგიურ დაავადებათა ფიზიოთერაპია". "პრაქტიკული სტომატოლოგია", "სტომატოლოგია", "სტომატოლოგიურ დაავადებათა გადაუღებელი დახმარება", ალ. ბრეგაძისა და თ. ბრეგაძის "კლინიკური სტომატოლოგია".

ქართულ ენაზე გამოქვეყნებულმა სახელმძღვანელოებმა დიდი როლი ითამაშა ქართული საექიმო კადრების მომზადების საქმეში.

წინამდებარე სახელმძღვანელო "ქირურგიული სტომატოლოგიის საფუძვლები" აეგორთა მიერ მომზადებული ორიგინალური სახელმძღვანელოა. სახელმძღვანელოში მოტანილია საღვთი აპარატის ორგანოების და ყბა-სახის ცალკეული ორგანოების ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ფიზიოლოგია, ქირურგიული ანატომია. დაავადების ყველა ნომოლოგია განხილულია ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკის, დიაგნოსტიკის, დიფერენციული დიაგნოსტიკის, მკურნალობის მეთოდების და პროგნოზის გათვალისწინებით. სათანადო აღვლილი აქვს დათმობილი გაუტკივრებას, სიმსივნურ დაავადებებს და აღღვნითი ქირურგიის საკითხებს.

სახელმძღვანელოში პირველად არის გადმოცემული ყბა-სახის არესა და საბრძოლო დაზიანებათა კლინიკა, დიაგნოსტიკა, დაჭრილთა დახმარების ზოგიერთი ორგანიზაციული საფუძვლები, დახმარების აღმოჩენისა და მკურნალობის გაქტიკა.

სახელმძღვანელოში გადმოცემულია აეგორთა მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში (ინსტიტუტში). ერთ-ერთი აეგორის (ალ. ბრეგაძე) მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება მოსკოვის, ობინსკის, ლენინგრადის, ოდესის, ხარკოვისა და პოლტავის სამედიცინო დაწესებულებებში და ინსტიტუტებში.

სახელმძღვანელო დაზღვეული არ იქნება ცალკეული ხარეებებისაგან, აეგორები საქმიან შენიშვნებს კმაყოფილებით მიიღებენ და გაიოვალისწინებენ მათ შემდგომ გამოცემებში.

პირველი ნაწილი

პირველი თავი

ქირურგიული სტომატოლოგიის განვითარება საქართველოში

კბილების სამკურნალო კერები საქართველოში გამოჩნდა მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში, კერძოდ მას შემდეგ, როდესაც თბილისში გაიხსნა პირველი კერძო სასწავლებელი – კბილის სამკურნალო სკოლა (1905 წ.). ეს სკოლა გახდა ეროვნული კადრების – კბილის ექიმების მომზადების ძირითადი დაწესებულება. დარგის განვითარება უფრო სწრაფი ტემპით წაჰყვანა მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში, კბილის სამკურნალო საქმის სახელმწიფო დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ. კბილის სამკურნალო დარგის განვითარების დინამიკაზე მიუთითებს ასეთი მონაცემები (მოგანილია გ. ბრეგაძის "სტომატოლოგიის განვითარება საქართველოში" მისეღვით; 1981 წელი). 1920 წლამდე საქართველოში მოქმედებდა კერძო კბილის სამკურნალო კაბინეტები, რომლებშიც დასაქმებული იყო 56 კბილის ექიმი, მათ შორის მხოლოდ 9 ქართველი ეროვნების. 1921 წლიდან გარდება მთელი რიგი ღონისძიებები კბილთმკურნალობის განვითარებისათვის. 1922 წელს იხსნება სამკურნალო ამბულატორია კბილის სამკურნალო განყოფილებით, 1924 წელს თბილისის რეინიგზის სააქადემიოფოსთან გაიხსნა სამკურნალო ამბულატორია, 1926 წელს კი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 1923 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე უკვე მუშაობდა 61 კბილის სამკურნალო კაბინეტი.

საქართველოში სტომატოლოგიის განვითარებისათვის დიდი მნიშ-

ენკლობა კქონდა 1922 წელს (30 ივნისი) ოღონგოლოგიის კათედრის ჩამოყალიბებას თბილისის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტთან. ამ კათედრის დამაარსებელი და პირველი გამგე (1922-1929) იყო გამოჩენილი ქართველი კლინიცისტი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი გ. მუხაძე.

აკადემიკოს გ. მუხაძის დამსახურება ქართველი ერისა და ქართული სტომატოლოგიის განვითარებაში უაღრესად დიდია. მან პირველმა შეიქმნო და ყურადღება გაამახვილა ახალი სამკურნალო დარგის აუცილებლობასა და საჭიროებაზე, მტკიცე საფუძველი ჩაუყრა სტომატოლოგიური დარგის განვითარებას. დღის წესრიგში დაისვა ეროვნული კადრების მომზადების აუცილებლობის საკითხი. ამ მიზნით გ. მუხაძემ ოღონგოლოგიის კათედრაზე მოიწვია ცნობილი ქართველი კბილის ექიმები ე. ჭიჭინაძე და ნ. ჩხეიძე, რომელთაც დაევალებათ დარგის პრაქტიკული ხელმძღვანელობა. ოღონგოლოგიის საგანი ისწავლებოდა სამკურნალო ფაკულტეტის მე-4 კურსზე. ის ნიჭიერი ასაღვამრდა ექიმები, რომლებიც დაინტერესებას იჩენდნენ ახალი დარგით – ოღონგოლოგიით გ. მუხაძის რეკომენდაციით და მხარდაჭერით მუშაობას იწყებდნენ კბილის სამკურნალო დარგში. 1924 წლიდან ოღონგოლოგიის კათედრის დოცენტად დაინიშნა ა. ელიბერიძე, რომელმაც შემდგომში დიდი ღვაწლი დასდო ქართული სტომატოლოგიური სკოლის შექმნასა და სამსახურის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ სრულყოფას.

სტომატოლოგიის დარგში მუშაობა დაიწყო სამკურნალო ფაკულტეტის სხვა კურსდამთავრებულებმაც: მ. ბარათაშვილმა, ე. ელისაშვილმა, თ. წულუკიძემ, ა. ზუმბულიძემ, ი. გაგუამ და სხვებმა. ა. ზუმბულიძე და ი. გაგუა შემდგომში წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ მაპროფილებელ კათედრებს.

1928 წელს ქ. თბილისში გაიხსნა პირველი სტომატოლოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებელი – ოღონგოლოგიური ინსტიტუტი, რომლის დირექტორად დაინიშნა გამოჩენილი ქართველი პროფესორი ალ. ნათიშვილი.

1930 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა სტომატოლოგიური ფაკულტეტი სამი მაპროფილებელი კათედრით: თერაპიული სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია, ორთოპედიული სტომატოლოგია. ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრის ხელმძღვანელობა დაევალა დოცენტ ა. ელიბერიძეს, რომელიც ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა 1960 წლამდე.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 1935 წელს თბილისის სახ. სამედიცინო სტომატოლოგიური ფაკულტეტი გადაკეთდა თბილისის სტომატოლოგიურ ინსტიტუტად, რომლის პირველი დირექტორი იყო ი. ქოჩიაშვილი (1935-36 წწ.). 1937 წლიდან 1948 წლამდე ინსტიტუტის დირექ-

გორად მუშაობდა ა. ურუშიაძე. ინსტიტუტმა იარსება 1948 წლამდე, 1949 წლიდან შევიდა სტრუქტურული ფაქულტეტის სახით თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის შემადგენლობაში. ქირურგიული სტრუქტურის კათედრას 1960-73 წწ. განაგებდა ლოცენტი ა.ნ. ზუმბულაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა აღნიშნულ კათედრას და დიდი მუშაობა გასწია, როგორც ახალგაზრდა ექიმი-სტრუქტურების მომზადების საქმეში, ისე კათედრის მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების აღზრდაში. 1973-77 წწ. ქირურგიული სტრუქტურის კათედრის გამგედ მუშაობს ლოც. მ. გრიგალაშვილი. 1980 წელს კათედრის გამგედ არჩეული იქნა ა. ზუმბულიძის მოწაფე პროფ. ა. ბრეგაძე, რომელიც 1996 წლამდე აგრძელებს მუშაობას, 1997 წ. კათედრის გამგედ მუშაობს ლოც. ზ. გვენევაძე.

ქ. თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ფუნქციონირებს ქირურგიული სტრუქტურის კათედრა, რომლის შექმნა დაკავშირებულია პროფესორ ა. ელიზბერიძის სახელთან, რომლის უცვლელი გამგე იყო 1974 წლამდე, შემდგომში კათედრას განაგებდა პროფესორი ნ. ბაძოშვილი (1977-1980 წ.), 1988 წლიდან კათედრას განაგებს პროფ. ა. ელიზბერიძის მოწაფე, პროფესორი ო. ნემსაძე. ექიმთა დახელოვნების ქირურგიული სტრუქტურის კათედრა ამზადებს არა მარტო ნაციონალურ კადრებს, არამედ სხვა ქალაქებიდან მოწვეულ ექიმებსაც. ქირურგიული სტრუქტურის კათედრაზე ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებს 50-მდე ექიმი სტრუქტურის კათედრაში.

ქირურგიული სტრუქტურის მეცნიერული და პედაგოგიური კადრების მომზადების ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა 1937-39 წწ. როდესაც ამ დარგის ასპირანტურაში ჩაირიცხა 12 ექიმი. ასპირანტურა დაამთავრა 10-მა, საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 4-მა, 1937-89 წწ. ქირურგიული სტრუქტურის დარგში დატულია 23 საკანდიდატო დისერტაცია. 1940-89 წ. დატულია 8 სადოქტრო დისერტაცია.

ქირურგიული სტრუქტურის მეცნიერული კვლევის საგანს სხვადასხვა დროს შეადგენდა: ყბა-სახის არეს ანთებადი პროცესები, გაუტკივარება, სახის რბილი და მაგარი ქსოვილების ტრავმატიზმში, სანერწყვე ჯირკვლების დაავადება, ყბა-სახის არეს თანდაყოლილი და შეძენილი ღეფექტები, სიმსივნეები, ანთებადი პროცესების იმუნოკორექცია. კორუნდოკერამიკის გამოყენება ყბა-სახის აღდგენით ქირურგიაში და სხვა.

საქართველოში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ექიმ-სტრუქტურის რესპუბლიკური და რეგიონული ასოციაციები. მათ სხლომებზე სისტემატიურად მოისმინება სხვა საკითხებთან ერთად ქირურგიული სტრუქტურის აქტუალური საკითხები, რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში გარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები ქირურგ სტრუქტურის აქტიური მონაწილეობით. 1935 მომუშავე ექიმი-სტრუქტურის კათედრიდან ქირურგიულ სტრუქტურის კათედრაში მუშაობს 168 სტრუქტურის კათედრაში.

სტომატოლოგიური აქადმყოფების სტაციონალური მომსახურებისათვის ქ. თბილისში ფუნქციონირებს ორი სპეციალიზირებული განყოფილება; მე-4 კლინიკურ სააკადმყოფოში 70 საწოლზე და მე-5 კლინიკურ სააკადმყოფოში – 30 საწოლზე, 10 საწოლი გამოყოფილია რესპუბლიკური კლინიკური სააკადმყოფოს პოსტიგალური ქირურგიის კათედრის კლინიკაში. გარდა ამისა, საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში გახსნილია განყოფილება "თაქი-კისერი" 40 საწოლზე.

საწოლები ყბა-სახის ქირურგიული აქადმყოფებისათვის გამოყოფილია ქ. სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში.

ახალგაზრდა ექიმი-სტომატოლოგების მომზადების ძირითადი კერაა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ სტუდენტები გადიან სწავლების ერთწლიან კურსს და ამორჩეული სპეციალობის მიხედვით ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში გადიან სპეციალიზაციას და შემდეგ კვალიფიკაციის ამაღლებას, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში შემოღებულია ექიმთა ატესტაცია. მათი ცოდნის ღონის განსაზღვრის, დაკავებული თანამდებობის შესაბამისობის და კატეგორიების მინიჭების შესახებ, რაც ხელს უწყობს მეურნალობის ხარისხის შემდგომ ამაღლებას.

ქირურგიული სტომატოლოგიის დარგის განვითარებაში დიდი როლი განეკუთვნება ახალი მიღწევების გამოქვეყნებას და დანერგვას. სტომატოლოგიური სამეცნიერო სტატიები პერიოდულად იბეჭდება სამედიცინო ჟურნალების ფურცლებზე. ამ დარგის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა სასწავლო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოქვეყნებამ. ჯერ კიდევ 1930 წელს ა. ელიბერიძის მიერ ითარგმნა ვილიგერის "კბილის სამკურნალო ქირურგია", 1946 წელს ლვოვისა და ლიმბერგის "ქირურგიული სტომატოლოგია" (თარგმანი შეასრულა ა. ელიბერიძემ და მ. დადიანმა). 1966 წელს პირველად გამოქვეყნდა ორიგინალური სახელმძღვანელო "ქირურგიული სტომატოლოგია" შედგენილი პროფესორ ა. ელიბერიძის მიერ. მანვე 1968 წელს გამოაქვეყნა "პირსახის აღდგენითი ქირურგია". 1973 წელს ორივე სახელმძღვანელო გამოიცა ერთ წიგნად. 1940 წელს გამოიცა კ. კიკალიშვილის ორიგინალური სახელმძღვანელო "ქირურგიული სტომატოლოგიის პრაქტიკები", მეორე გამოცემა განახორციელა 1966 წელს. 1972 წელს გამოვიდა ა. ბრეგაძის პირველი ორიგინალური დამხმარე სახელმძღვანელო "სტომატოლოგიურ დაავადებათა ფიზიოთერაპია", 1980 წელს "პრაქტიკული სტომატოლოგია", 1980 წელს სახელმძღვანელო "სტომატოლოგია" (ა. საყვარელიძის თანაავტორობით). 1988 წელს გამოიცა ა. ბრეგაძის მონოგრაფია "გადაუღებელი სტომატოლოგიური დაზარება". 1996 წ. "კლინიკური სტომატოლოგია", 1997 წ. ო. ნემსაძის "ქირურგიული სტომატოლოგია".

დღემდე გამოცემული ზოგიერთი ქართული სახელმძღვანელო უკვე

ბიბლიოგრაფიული იმედიანობა გახდა და ამიტომ საჭიროა ახალი, თან-
ამყაროეკ ღონის მოთხოვნით, გამოცემული იქნას ქართულ ენაზე სახ-
ელმძღვანელოები, რომლებიც ხელს შეუწყობს ერთიანი კალრების
მომწადების ღონის შემდგომ ამადლებას.

მეორე თავი

სადეკი აპარატის ანატომია და ფიზიოლოგია

სადეკი აპარატი ორგანიზმის ზრდა-განვითარებასა და ცხოველქმეღ-
ბაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. მის ნორმალურ მქმობაზე
დიდალაა დამოკიდებული თითოეული ორგანოს, სისტემისა და მთელი
ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობა.

სადეკი აპარატის შემადგენელი ნაწილებია: პირის ღრუ, ზეღა და ქვეღა
ყბა, ქვეღა ყბის სახსარი, სადეკი და მიმიკური კუნთები, ლოყები, გუჩები,
რბილი და მადარი სახა, ენა, კბილები, დიდი და მცირე სანერწყვე
ჯირ, კელები, სისხლმდარლები, ღიმუური ძარლები და ნერვები. ძუძუმწო-
კართაგან აღამიანის სადეკი აპარატი ყვეღაზე უფრო რთული აღნაგო-
ბისაა, სადეკი აპარატის ყვეღა ორგანო გოპოგრაფიულად და ფუნქციურად
მქიდროლაა დაკაემირებული ერთმანეთთან, რაც განაპირობებს მათ
პარმონიულ მქმობას. სადეკი აპარატის ღრუ აღვეოლური მორჩებით,
კბილებითა და კბიღთა მწკრივებით იყოფა ორ ნაწიღად: პირის კარიბჭედ
და საკუთრიყ პირის ღრუღ, სადეკი აპარატი შეღგება ჩონჩხისა და მასთან
დაკაემირებული რბილქსოვილოკანი ორგანოებისაგან.

ზ ე ღ ა ყ ბ ა - Maxilla წყეიღი ძელისგან შეღგება. მის შემადგენ-
ლობაში არჩევენ სხეულსა და ოთხ მორჩს: მუბღის, ყერიმღღის, სასისა და
აღვეოლურ მორჩს. ზეღა ყბის სხეულს აქეს წიღი, რომელსაც პაიმორის
ღრუ, ანუ, ზეღა ყბის წიღი ეწოღება.

ზეღა ყბის წიღი შემოსამღერულია 5 ზეღაპირით: მეღა მხარე წარმოდ-
გენიღია თეღბღღის ქვეღა კეღღით, წინა ემქის ფოსოთი, მეღიღური -
ცხეირის კეღღით, ლაგერაღური - ზეღა ყბის ბორციით, ქვეღა - აღვეო-
ლური მორჩით.

ზეღა ყბის წიღღის მოცუღობა არ არის სგაბიღური, მისი მოცუღობა
სამქეღღოღ შეღღგენს 10-25 სმ¹-ს მამაკაცთა პაიმორის ღრუს მოცუღობა
უფრო დიღია, ვიღრე ქაღების (ი. კუღრინი). ზეღა ყბის წიღი იხსნება
ცხეირის ღრუში, ცხეირის მუღ გასაყღღის ღონეზე.

ზეღა ყბის უკანა ნაწიღში მესამე მოღარების ფესვების უკან და ზევიო
შემადლებაა, რომელსაც ზეღა ყბის ბორციე (tuber maxillae) ეწოღება,
ხოღო სასის მორჩზე მესამე მოღარის ღონეზე იხსნება სასის დიდი და

მკირე ხერელები. ზელა ყბის სახის ზელაპირზე თვალბუდის ქვედა კილის ქვეით ემვის ფოსოში თვალბუდის ქვედა ხერელია. ზელა ყბის საკბილე მორჩიში 16 კბილბუდეა შესაბამისი კბილებისათვის, კბილბუდეების არეში გარეთა ზელაპირი შესამჩნევად ამობურცულია და მას ალვეოლური შემალლება ეწოდება.

ზელა ყბის სახის მორჩის წინა ნაწილში, ფრონტალური კბილების არეში იხსნება ხერელი, რომელსაც საჭრელი ხერელი ეწოდება. ზელა ყბა ასაკთან დაკავშირებით განიცდის ცვლილებებს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს პრაქტიკული მუშაობის პირობებში.

ქ ე ე ლ ა ყ ბ ა - Mandibula მასიური ძვალია, რომელიც შედგება ორი სიმეტრიული ნახევრისაგან. ეს ორი ნახევარი ბაემეის დაბალების პერიოდისათვის ერთმანეთთან დაკავშირებულია მოძრავად ფრონტალური კბილების არეში, მისი საბოლოო გაძეალება ხდება 2-2,5 წლიდან. ქვედა ყბა შედგება სხეულისა და ორი გოგისაგან, რომლებიც მოზრდილებაში სამუალოდ 102-125°-იან კუთხეს ქმნიან.

ქვედა ყბის სხეულის გარეთა ზელაპირზე პირეული და მეორე პრემოლარების კბილბუდეებს შორის იხსნება ნიკაპის ხერელი, ნიკაპის ხერელის ქვეით და უკან იწყება გარეთა ირიბი შემალლება, რომელიც მიემართება უკან და ზევით გადადის გოგში. გოგის ნახევარკალისებრი ამონაჭლევის ქვეით შემალლებაა, რომელსაც ქვედა ყბის გორუსალური შემალლება ეწოდება, ამ შემალლებიდან ქვეით ქვედა ყბის ხერელია, რომელიც გადადის ქვედა ყბის არხში.

გვირგვინოვანი მორჩი უფრო სამკუთხა ფორმისაა. სასახსრე მორჩი მთავრდება გარდიგარდმო თვალური ფორმის სასახსრე თავით. ეს უკანასკნელი სასახსრე მორჩისაგან გამოყოფილია ყელით.

ალვეოლური მორჩი პარაბოლური რკალის ფორმისაა, მასში მოთავსებულია 16 კბილბუდე, რომლებიც გამოყოფილია ერთმანეთისაგან კბილბუდეთაშორისი ძვლოვანი ძვიდეებით. პრაქტიკული სტომატოლოგიის თვალსაზრისით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვედა ყბის ძვალი უფრო კომპაქტურია და მასზე კორტიკალური შრე უფრო მეტადაა გამოხატული, ვიდრე ზელა ყბაზე.

ქ ე ე ლ ა ყ ბ ის სა ხ ს ა რ ი - Articulatio Mandibularis ქვედა ყბის სახსარი რთული აგებულებისაა და განეკუთვნება კომბინირებულ სახსრებს. აღსანიშნავია, რომ ძვლების სასახსრე ზელაპირები დაფარულია ჩვეულებრივად არა პიალინით, არამედ ფიბროზული ხრტილით. ქვედა ყბის რთული მოძრაობა განპირობებულია შემდეგი სახის მარტივი მოძრაობებით: 1. ქვედა ყბის აწევით და ჩამოწევით, 2. ქვედა ყბის წინ და უკან გაწევით, 3. ქვედა ყბის გვერდითი მოძრაობით.

პირის მაქსიმალურად გაღების დროს სასახსრე ღისკო წინ გადაინაცვლებს და სასახსრე ბორცვზე გადაზღვრის. ქვედა ყბის ზევით აწევის დროს

ხლება უკემოდრაობა და სასახსრე ლისკო ვაღაიწვეს უკან სასახსრე ფოსოში.

ქველა ყბის წინ წამოწვეის დროს ერთდროულად ხლება ორივე სახსარში სასახსრე თაეებისა და სასახსრე ლისკოების წამოწვეა სასახსრე ბორცვებზე.

ქველა ყბის გვერდითი მოძრაობის დროს ხლება სასახსრე თაეის ცალმხრივი მოძრაობა სასახსრე ლისკოთი, ამ დროს ქველა ყბა გაღაინაცულებს საწინააღმდეგო მხარეზე. თუ მოძრაობა ხლება მარცხენა სახსარში, ქველა ყბა გაღაინაცულებს მარჯვნივ, მოპირდაპირე სახსარში სასახსრე ლისკო რჩება ადვილზე – სასახსრე ფოსოში, ხოლო სასახსრე თაეი ნაწილობრივ მობრუნდება თაეისი ვერტიკალური ლერძის გარშემო. ამ მოძრაობებს გარკვეული დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს სასახსრე მორჩების მოგეხილობების დროს (სამივე მოძრაობა ქმნის სამ წრიულ მოძრაობას – ცირკუმლუქციას). პირველი ცირკუმლუქცია მხოლოდ საგიტალურ ჭრილშია (რაც ხლება მხოლოდ ერთ წლამდე ბაემეებში და მოხუცებულებში, როდესაც მოლარები აღარ არის ალევოლურ მორჩებში). მეორე ცირკუმლუქცია ხლება ფრონტალურ ჭრილში, რომელიც მოიცავს პირის გაღება-დახურვას და ქველა ყბის გვერდით მოძრაობას. ეს დამახასიათებელია ლეჭვის მეორე ფაზისათვის. მესამე ცირკუმლუქცია ხლება პორიბონტალურ ჭრილში და დამახასიათებელია ლეჭვის დამამთავრებელი ფაზისათვის.

სამივე ცირკუმლუქცია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და განაპირობებს ურთიერთს საკეების დალეჭვის დროს.

ს ა ლ ე ჭ ი კ უ ნ თ ე ბ ი – *M. masseter* სალექი კუნთი შედგება ორი შრისაგან, იწყება ყვრიმალის რკალიდან და უმაგრდება ქველა ყბის კუთხეს. ამ კუნთის ზედაპირული შრე იწყება ყვრიმალის რკალის გარეთა ზედაპირიდან და მიემართება ირიბად ქვევით და უკან. დრმა შრე იწყება ყვრიმალის რკალის შიგნითა ზედაპირიდან, რკალის ქველა კილიდან და მიემართება ქვევით: სალექი კუნთი მთლიანად მიმაგრებულია ქველა ყბის კუთხის გარეთა ზედაპირთან. კუნთი მოთავსებულია ფასციაში. კუნთი შეკუმშვის დროს ქველა ყბას წვეს ზევით და აწვება ქველა სალექი კბილებით ზედა სალექ კბილებს.

2. საფეთქლის კუნთი (*M. temporalis*) იწყება საფეთქლის ფოსოს მთელი ზედაპირიდან, საფეთქლის ფასციის შიგნითა ზედაპირიდან და მიმაგრებულია ქველა ყბის გვირგვინოვან მორჩზე, კუნთი იწყება ფართოდ საფეთქლის ფოსოს მთელი ზედაპირიდან, შემდეგ კუნთოვანი ბოჭკოები თანდათან უახლოვდება ერთმანეთს და იკვრება ერთ მძლავრ კონად, გადის ყვრიმალის რკალის ქვევით, ფართოდ შემოხეხევა გვირგვინოვან მორჩს და უმაგრდება მას.

კუნთი მოთავსებულია ფასციალურ ბუცეში. საფეთქლის კუნთი შეკუმშ-

ვის ღროს მიიმაღაეს გვირგვინოვან მორჩს და ქვედა ყბის კბილებს მიაბჯენს ზედა ყბის კბილებს.

3. მელდალური ფრთისებრი კუნთი (*M. pterygoideus medialis*) იწყება ფრთისებრი მორჩის ფოსოლან და უმაგრდება ქვედა ყბის კუნთის შიგნითა ზედაპირს. ამ კუნთის ბოჭკოები მიეპარება ირიბად ქვევით, უკან და ლატერალურად. კუნთის შეკუმშვისას ქვედა ყბა იწევს ზევით, ხოლო ორმხრივი შეკუმშვის დრო ქვედა ყბას წამოწევს უკან.

4. ლატერალური ფრთისებრი კუნთი (*M. pterygoideus lateralis*) საფეთქლის ქვედა ფოსოშია. მის ბოჭკოებს აქვს თითქმის პორიზონცალური მსმართულება, აქვს ორი თავი: ზედა თავი იწყება ძირითადი ძელის დიდი ფრთიდან, ხოლო ქვედა – ძირითადი ძელის ფრთისებრი მორჩის ლატერალური ფირფიგიდან და ნაწილობრივ ზედა ყბის ბორცვიდან, უმაგრდება ქვედა ყბის სასახსრე მორჩსა და სასახსრე კაფსულას ფრთისებრ ფოსოში. კუნთების ორმხრივი შეკუმშვის დროს ქვედა ყბა წამოიწევს წინ, ცალმხრივი შეკუმშვის დროს ქვედა ყბა გადაინაცვლებს საწინააღმდეგო მხარეზე.

5. ყბა-ინის კუნთი (*M. mylohyoideus*) იწყება ქვედა ყბის შიგნითა ზედაპირის თანამოსახელე ხაზიდან და ემაგრება უკანა ბოჭკოებით ენის ქვეშა ძელის სხეულის წინა ზედაპირს. ამ კუნთის წინა ბოჭკოები ჩართულია შუა ხაზის შემაერთებელ ქსოვილოვან ნაკერში, შეკუმშვის დროს ქვევით და უკან სწევს ქვედა ყბას.

6. ორმუცელა კუნთის (*M. digastricus*) წინა ნაწილი იწყება ქვედა ყბის შიგნითა ზედაპირის თანამოსახელე ფოსოლან (ორმუცელა ფოსო); უკანა მუცელი კი საფეთქლის ძელის ღვრილისებრი მორჩის ამონაჭლევითა, ორივე ნაწილი ერთდება საერთო იოგით და უერთო ფიბრობული ჭიპით უმაგრდება ენის ქვეშა ძელის სხეულს, შეკუმშვის დროს ქვედა ყბას სწევს ქვევით.

7. ნიკაპ-ინის კუნთი (*M. geniohyoideus*) იწყება ნიკაპის ძელოვანი შემალბებიდან და უმაგრდება ენის ქვეშა ძელის სხეულს. ენის ქვეშა ძელის ფიქსირების დროს ამ კუნთის შეკუმშვა იწევს ქვედა ყბის ქვევით დაწევას.

მ ი მ ი კ უ რ ი კ უ ნ თ ე ბ ი – *M.M. faciei*, სახის გამომეცეველება დამოკიდებულია სახის კანის ქვეშ განლაგებული კუნთების მდგომარეობაზე. სახის გარკვეულ გამომეცეველებას ეწოდება მიმიკა, იმ კუნთებს კი, რომლებიც ცელიან სახის გამომეცეველებას – მიმიკური კუნთები. ისინი შეკუმშვის ან მოღუნების დროს საგრძობლად ცელიან სახის მიმიკას, მიმიკური კუნთებია:

1. თვალის ირგვლივი კუნთი (*M. orbicularis oculi*) მოთაესებულია თვალებულის კანის ქვეშ თხელი ფენის სახით. კუნთოვანი ბოჭკოები ცირკულარულად არის განლაგებული და გარეთ მღებარე ბოჭკოების შეკუმშვა იწყებს თვალების მოხუჭვას. უფრო შიგნით ქუთუთოების კუნთო-

ეანი ბოჭკოები, რომელთა შეკუმშვა იწვევს თვალების დახუჭვას (მაგ. ძილის დროს). ღრმად მდებარე კენთოვანი ბოჭკოებს საცრემლე კენთოებს უწოდებენ. თვალის ირგვლივი კენთის ყველა ბოჭკოს შეკუმშვა ხელს უწყობს თვალის წაპრალის დახურვას და მას იცავს წინიდან.

2. პირის ირგვლივი კენთი (*M. orbicularis oris*) გუნების სისქეშია და ცირკულარულადაა პირის ნაპრალის ირგვლივ. მაგრამ კენთოვანი ბოჭკოებს შორის ყოველთვის არის მიერეოლენი უჯრედისი, ამ კენთს ყველა მხრიდან განსაკუთრებით კი გუნების კუთხეებში უმაგრდება სხვა კენთები, რის შედეგადაც იქმნება საკმაოდ რთული კენთოვანი სისგემა. პირის ირგვლივი კენთის შეკუმშვა იწვევს პირის ნაპრალის დახურვას.

3. ლოყის კენთი (*M. buccinator*) ლოყის სისქეშია და სხვა მიმიკური კენთებისაგან განსხვავებით დაფარულია ფასციით. ლოყის კენთის ნაწილი გადახლართულია პირის ირგვლივ კენთის ბოჭკოებთან, განსაკუთრებით პირის კუთხეების არეში. რითაც ხელს უწყობს პირის ნაპრალის უკეთ დახურვას. დანარჩენი კენთოვანი ბოჭკოები პირის კუთხეს სწვევენ გვერდზე. ლოყის კენთის მოლიანი შეკუმშვა იწვევს პირის კუთხის ძლიერ გაწევას გვერდზე. ლოყის კენთი აქტიურად მონაწილეობს ღეჭვის აქტში.

4. ზედა გუნის ამწევი კენთი (*M. levator labii superioris*), რომელსაც უწოდებოდა ზედა გუნის კვადრატული კენთი, იწყება სამი თავით და ბაზელის ანატომიური ნომენკლატურის მიხედვით მიჩნეულია სამ დამოუკიდებელ კენტად: ა) ყვრიმალის მიერე კენთი იწყება ყვრიმალის ძელიდან, ბ) ზედა გუნის ამწევი, ანუ კუთხის კენთი იწყება, თვალის ირგვლივი კენთის მედიალური კუთხიდან, გ) გუნის ამწევი კენთი, ანუ თვალბულის ქვედა კენთის თავი იწყება თვალბულის კილიდან. ამ კენთის ყველა ბოჭკო ჩაქსოვილია ზედა გუნის სისქეში და შეკუმშვის დროს მას წევს ზევით.

5. ყვრიმალის ღივი კენთი (*M. zygomaticus major*) იწყება ყვრიმალის რკალიდან და მიემართება ზედა გუნის კუთხისაკენ, შეკუმშვის დროს პირის კუთხეს სწვევს ზევით და გარეთ. ამ კენთების მეშვეობით ადამიანი გამოხატავს ღიმილს, სიცილს, გაბრაზებასა და სიძულვილს.

6. ზედა გუნის საჭრელი კენთი (*M. incisivus labii superioris*), იწყება საჭრელი კბილების კბილბუდეების შემადგენლებიდან და უმაგრდება გუნის კუთხეს, შეკუმშვის დროს ზედა გუნს სწვევს მედიალურად და წინ (სტვენის, დაღვეის, კოცნის და ა.შ.)

7. პირის კუთხის ამწევი, ანუ ეშვის კენთი (*M. levator anguli oris s m. caninus*) იწყება თვალბულის ქვედა ხერეკლის ქვევით ეშვის ფოსოში, იგი მდებარეობს ზედა გუნის ამწევი კენთის ქვეშ, მიემართება ირიბად ქვევით და გარეთ, უმაგრდება პირის კუთხეს, შეკუმშვის დროს პირის კუთხეს სწვევს მედიალურად, ხოლო ზედა გუნს – ზევით.

8. ღიმილის კენთი (*M. risorius*) მიემართება ლოყაში ზედაპირულად და

გარდიგარდმო ყბაყურა ჯირკვლის ფასციიდან პირის კუთხემდე, შეკუმშვის დროს პირის კუთხეს ვაწვეს გარეთ, რითაც გამოისაგება სიცილი.

9. პირის კუთხის ღამწევი კუნთი (*M. depressor anguli oris*) ძველად ეწოდებოდა სამკუთხა კუნთი. იგი იწვება ლატერალურად ნიკაპის შემალბებიდან, თანდათან ეიწროვლება და უმაგრდება პირის კუთხეს, სწვეს მას ქვევით.

10. ქვედა ტურის ღამწევი კუნთი (*M. depressor labii inferior*) კვადრატული ფორმისაა (ძველად იწოდებოდა კვადრატულ კუნთად), იგი იწვება ნიკაპის ხერხელის ქვევით და უმაგრდება ქვედა ტურს, შეკუმშვის დროს ტურს სწვეს ქვევით და ზოგჯერ გარეთ. (ქვედა ტურის გადმობრუნება).

11. ქვედა ტურის საჭრელი კუნთი იწვება ეშვის ალვეოლური შემლბებიდან და არა საჭრელი კბილებიდან, მიემართება პირის კუთხისაკენ. ასრულებს იმავე ფუნქციებს, როგორსაც ზედა ტურის საჭრელი კუნთები.

12. ნიკაპის კუნთი (*M. mentalis*) იწვება საჭრელი კბილების ალვეოლური შემალბებიდან და უმაგრდება ნიკაპის კანს, შეკუმშვის დროს ზევით სწვეს ქვედა ტურსა და ნიკაპის კანს, ნაწილობრივ გადმოაბრუნებს ქვედა ტურს.

13. კისრის (ყელის) კანქვეშა კუნთი (*M. platysma*) ფართო თხელი კუნთია, რომელიც მდებარეობს ყელის წინა ნაწილში, იწყება მკერდის ფასციიდან და მთავრდება ქვედა ყბის ქვედა კიდესთან. მონაწილეობს როგორც მიმიკაში, ასევე ყბის ქვევით დაწვევაში.

პ ი რ ი ს ღ რ უ - (*Cavum oris*). პირის ღრუ შედგება ორი ნაწილისაგან. წინა ნაწილი, რომელიც გამოყოფილია საკბილე მორჩებით და კბილებით. მას ეწოდება პირის კარიბჭე (*Vestibulum oris*), ხოლო საკბილე მორჩებსა და კბილებს უკან მდებარე ღრუს ეწოდება საკუთრივ პირის ღრუ (*Cavum oris proprium*) პირის ღრუს ასეთი დაყოფა მკაფიოდაა გამოსატყული მაშინ, როდესაც ზედა და ქვედა ყბის კბილები შეთანასოვნებულ მდგომარეობაშია.

პ ი რ ი ს კ ა რ ი ბ ჭ ე - *Vestibulum oris*. პირის კარიბჭე წარმოდგენილია ნალისებრი ნაპრალით, რომელიც წინიდან შემოსაზღვრულია ტურებით. გვერდებიდან - ლოყებით, ხოლო უკანიდან - საკბილე მორჩებითა და კბილებით. ზედა და ქვედა ტური წარმოქმნის პირის ნაპრალს (*Rima oris*), რითაც პირის ღრუ უკავშირდება გარე სამყაროს.

პირის კარიბჭე გამოუფენილია ლორწოვანი გარსით (*Tunica mucosa*), რომელიც ტურებსა და ლოყებზე მოძრავია და იკრებება ნაოჭებად მის ქვეშ ლორწოვანქვეშა შრის არსებობის გამო. ასეთი შრე არა აქვს ღრძილების ლორწოვან გარსს, რომლის ბაზალური მემბრანა მჭიდროდ ეკერის ძელის საზრდელას. ღრძილების ლორწოვანი გარსი როგორც ზედა, ისე ქვედა ყბაზე გადაღის ტურებისა და ლოყის ლორწოვან გარსში და ქმნის პირის კარიბჭის თალებს (*Fornix superior et inferior*) ზედა და ქვედა ყბაზე

ენცრალური კბილების არეში ლორწოვანი გარსი ქმნის ლაგამს (*Frenulum labii*).

პირის კარიბჭის ლორწოვანი გარსის ქვეშ მრავალი მცირე სანერწყვე და ლორწოს გამომყოფი ჯირკვალბა, რომლებიც ზოგჯერ მკაფიოდ არის გამოხატული ლორწოვან გარსზე და იწვევენ დიაგნოსტიკურ მეცდომებს, ზოგიერთი ექიმი წორმას პათოლოგიად მიიჩნევს.

ლოყის ლორწოვან გარსზე ზედა მეორე მოლარის ღონებზე აღინიშნება ლორწოვანი გარსის შემადგენლობა, რომელსაც სანერწყვე ჯირკვლის ღერილს (*Papilla salivaris superior s. papilla parotidea*) უწოდებენ.

საკუთრივე პირის ღრუ – *Cavum oris proprium* საკუთრივე პირის ღრუს – წინა და გვერდით კედლებს ქმნის საკბილე მორჩი და კბილების, ენისა და სასის მხრივი ზედაპირები, ზედა კედელი წარმოდგენილია მაგარი და რბილი სასით, ქვედა-ენისა და პირის ღრუს ფსკერით. წინიდან პირის ღრუ უერთდება პირის კარიბჭეს, უკნიდან კი – ხახას.

მაგარი სასა (*Palatum durum*) ძელოვანი წარმონაქმნია და დაფარულია ლორწოვანი გარსით. სასის წინა ნაწილში, ფრონგალური საჭრელი კბილების უკან შემადგენლობა – საჭრელი ღერილი (*Papilla incisiva*), რომლის ქვეშ საჭრელი ხერელია. საჭრელი ღერილის უკან სასის წინა მესამედში კარგადაა გამოხატული ლორწოვანი გარსის ნაოჭები, რაც ფიზიოლოგიური ნორმაა. ზოგჯერ ზოგიერთი ექიმი პრაქტიკული მუშაობის პერიოდში მას მიიჩნევს პათოლოგიად. სასის ლორწოვანი გარსი მკიდროდ ეკერის სასის ძვალს, განსაკუთრებით სასის შუა ხაზთან. სასის ლორწოვან გარსში სასის მცირე სანერწყვე ჯირკვლებია (*Gl. Palatinae*). მაგარი სასის უკანა ნაწილში მესამე მოლარების ღონებზე ლორწოვანი გარსის ქვეშ იხსნება სასის დიდი ხერელი. რბილი სასა (*Palatum molle*), რომელიც მაგარი სასის რბილქსოვილოვანი გაგრძელებაა, იგი შედგება ცხიმოვანი უჯრედისა და გარდიგარდმო მოლებიანი კუნთოვანი ქსოვილისაგან. რბილი სასა დაფარულია ლორწოვანი გარსით, რომლის ზედა ზედაპირი (ცხვირის ღრუს მხარე) მოფენილია მოციმციმე ეპითელური უჯრედებით, ხოლო ქვედა მხარე – მრავალმრიანი ბრტყელი ეპითელით. რბილი სასის უკანა ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია ნაქი (*Uvula*) ხოლო რბილი სასის ლორწოვანი ქსოვილის ქვეშ, პირის ღრუს მხრიდან მრავალი სანერწყვე ჯირკვალბა. რბილი სასის მოძრაობა განპირობებულია შემდეგი კუნთებით:

1. ნაქის კუნთი (*M. uvulae*) მიემართება სასის შუა ხაზზე წერილი კუნთოვანი ბოჭკოების სახით და შეკუმშვის დროს ნაქს ამოკლებს, ზევით სწევს.

2. რბილი სასის აწვევი კუნთი (*M. levator veli palatini*) იწყება საფეთქლის ძელის ქვედა ზედაპირიდან და სასმენი მილის ხრტილოვანი ნაწილიდან. მიემართება ირიბად ქვევით შუა ხაზისაკენ. ექსოვება რბილ სასაში და შეკუმშვის დროს რბილ სასას სწევს ზევით.

3. რბილი სახის დამჭიმავი კუნთი (*M. tensor veli palatini*) მღებარეობს წინა მღებარე კუნთის გვერდით, იწყება ძირითადი ძელის ღივი ფრთის კუთხის ქვედა და სახსენი მილის კიდებიდან, შეკუმშვის დროს ნაწილობრივ ავიწროებს სახსენ ხერვლს და იწყებს ერთდროულად რბილი სახის დაჭიმვას.

4. სახა-ენის კუნთი (*M. palatoglossus*) იწყება სახის აპონევროზიდან და გადაის ენის გარდივარდმო კუნთში, შეკუმშვის დროს ავიწროებს სახის პირს და ქვევით სწევს რბილ სახას.

5. სახა-ხახის კუნთი (*M. palatopharyngeus*) იწყება სახის აპონევროზიდან და ექსოვება ხახას. შეკუმშვის დროს რბილ სახას სწევს ქვევით და უკან.

ენა - (*Glossus s lingua*) ენა კუნთოვანი ორგანოა, დაფარულია ლორწოვანი გარსით. არსებენ ენის წვეროს (*Apex Linguae*), სხეულსა (*Corpus linguae*) და ბირს (*radix Linguae*). ენის ზედა ზედაპირს ეწოდება ენის ზურგი (*Dorsum Linguae*), ხოლო ქვედა ზედაპირს - (*facies inferior Linguae*) ორივე ზედაპირის შეერთება ქმნის ენის გვერდებს - *margo Linguae*. ენის ზედაპირზე მითითებულია სხედასხეა ფორმის ღვრილეუბი, ძაფისებური ღვრილეუბი (*Papillae filiformis*) ენის ზედაპირს ხორკლიანს ხლიან.

ენის ზედაპირზე გემოვნების შემგძნობი სამი სახის ღვრილეუბია: 1. სოკოსებრი ღვრილეუბი (*Papillae fungiformes*), რომლებითაც მოუენილია ენის მთელი ზედაპირი. 2. ღარისებრი ღვრილეუბი (*Papillae vallatae*) 3. ფოთლისებრი ღვრილეუბი (*Papillae foliatae*) მღებარეობენ ენის გვერდით ზედაპირზე.

ენის ქვედა ზედაპირის ლორწოვანი გარსი უფრო მოყარდისფეროა და ენის შუა ხაზის შესაბამისად ნაოჭის სახით გადაის პირის ღრუს ფსკერის ლორწოვანაში. ამ ნაოჭს ეწოდება ენის ლაგამი (*Frenulum Linguae*). ზოგჯერ ენის ლაგამი მოკლეა და ენის წვერის მოძრაობა ძალზე შემზღუდულია, რაც ხელს უშლის არა მარგო ძუძუს წოვას, ჭამას, არამედ ლაპარაკსაც. ასეთი ენის ლაგამის მკურნალობა მხოლოდ ქირურგიულია.

ენის კუნთები პირობითად იყოფა ორ ჯგუფად: 1. საკუთრივ ენის კუნთები, განლაგებულია ენის შიგნით და ცელის ენის ფორმას; 2. ენის გარეთა კუნთები, იწყება ძელებიდან, უმაგრდება ენას და ცელის ენის მღებარეობას.

საკუთრივ ენის კუნთებია: 1. ენის ზედა გასწვრივი კუნთი (*M. longitudinalis superior*), რომელიც იწყება ენის ფასციიდან და მიემართება ენის წვეროსაკენ, მღებარეობს ზედაპირულად, შეკუმშვის დროს ენას ამოკლებს და ამსხვილებს; 2. ენის ქვედა გასწვრივი კუნთი (*M. longitudinalis inferior*), რომელიც წვეილი კუნთია, მღებარეობს ენის ქვედა ზედაპირზე, იწყება ენის ძირდან, ნაწილობრივ ენის ქვეშა ძელისაგან და უმაგრდება ენის წვეროს ფასციალურ ბუჯეს, შეკუმშვის დროს ენას ამოკლებს; 3. ენის

განივი კუნთი (*M. transversus Linguae*), რომელიც აერთებს ენის გვერდით კიდეებს ენის შუა ძვილქსთან. ამ კუნთის უკანა ბოჭკოები გადადის სასა-ენის კუნთში (*M. palatoglossus*), 4. ენის ვერტიკალური კუნთი (*M. verticalis Linguae*), რომელიც აერთებს ენის ქვედა ზედაპირს ენის ზურგთან. კუნთის შეკუმშვა ენას აგრძელებს და აბრტყელებს. ენის გართია კუნთებს მიეკუთვნება: 1. ნიკაპ-ენის კუნთი: (*M. genioglossus*), იგი იწყება ნიკაპიდან, იშლება მარაოსებრ ენის შუა ძვილის გასწვრივ და უმაგრდება ფასციას ენის ზურგის ქვეშ, შეკუმშვის დროს ენა გამოიწვევა პირის ღრუდან. 2. ენა-ინის კუნთი (*M. hyoglossus*), იწყება ენის ქვეშა ძვილის სხეულის გვერდითი ნაწილებიდან და ღივი რქებიდან, უერთდება ენას ვერტიკალურ კუნთთან ერთად. შეკუმშვის დროს აბრტყელებს ენას. სწევს მას ქვევით და უკან, 3. საღვს-ენის კუნთი (*M. stiloglossus*), იწყება საფუთქლის ძვილის საღვისისებრი მორჩიდან, მიემართება ირიბად ზევიდან, უკნიდან ჩაზრდილია ენაში, მარაოსებურად იშლება ენის გვერდით ნაწილებში, ბოჭკოების ნაწილი უერთდება ენის გარდიგარდმო კუნთს, შეუშმის დროს ენას სწევს ზევით და უკან. 4. სასა-ენის კუნთი (*M. palatoglossus*) იწყება რბილი სასის აპონევროზიდან. შედის ენის ძირში მისი გვერდითი გედაპირიდან. შეკუმშვის დროს ენას უახლოებს რბილ სასას და ენის უკანა ნაწილს სწევს ზევით.

ენა, როგორც რთული კუნთოვან-ნერვულ-სისხლძარღვოვანი ორგანო, ლაპარაკის გარდა, ასრულებს სხვა რთულ ფუნქციებსაც, მონაწილეობს საკვების დაღვწევაში, ყლაპვაში, უაერგისი საკვების უკუგდებაში, გამოყოფს ნერწყვს საუკთარი სანერწყვე ჯირკვლებიდან. აქვს საუკთარი ლიმფური (დამცველი) აპარატი და სხვ.

პირის ღრუს ფსკერი – *Regio sublingualis* პირის ღრუს ფსკერი ლორწოვანი გარსის ის ნაწილია, რომელიც მდებარეობს ენის წინა და ნაწილობრივ გვერდით ნაპარალებთან ქვედა ყბის კბილების ღრძილებთან.

ამ მიდამოში ლორწოვანი გარსის ქვეშ ენის ქვეშა სანერწყვე ჯირკვლები და კუნთებია, რომლებიც ქმნიან პირის ღრუს ფსკერის კუნთოვან ნაწილს: ნიკაპ-ენის კუნთი (*M. genioglossus*) და ყბა-ინის კუნთი (*M. milohyoideus*).

პირის ღრუს ფსკერის შუა ხაზზე ენის ლორწოვანი გარსიდან ეშვება ლორწოვანი ნაოჭი-ენის ლაგამი, ენის ლაგამის გვერდით მომეკრივო ლილეაკებია, რომელთა ქვეშ მოთაყსებულია ენის ქვეშა სანერწყვე ჯირკვლები. ლილეაკების გვერდით ლორწოვანი გარსი წარმოქმნის ენის ქვეშა ნაოჭებს (*Plica sublingualis*) რომლის წინა ნაწილში იხსნება ენის ქვეშა სანერწყვე ჯირკვლების წერილი სადინარები. ლილეაკის მყლიალურ ნაწილში ლორწოვანას შემაღლებაა (*Caruncula sublingualis salivaris*) აქ იხსნება ყბის ქვეშა სანერწყვე ჯირკვლების სადინარები.

სანერწყვე ჯირკვლები – *Glandulae salvaris* 1. ყბაყურა ჯირკვლი (*gl. Parotidea*) ყველა სხვა სანერწყვე ჯირკვლებზე დიდია, მათი საშუალო წონა 30 გრამია. იგი მოთავსებულია ყბის უკანა ფოსოში (*fossa retromandibularis*). ყბაყურა ჯირკვალს ზევიდან ესაზღვრება ყერი-მალის რკალი და გარეთა სახსენი სერული, უკნიდან – საფეთქლის ძელის ღვრილისებრი მორჩი და მკერდ-ლაყვიწ-ღვრილისებრი კუნთი, მედიალურად საღვისისებრი მორჩი და მასზე მიმაგრებული კუნთების დასაწყისი; წინიდან ჯირკვალს ესაზღვრება ქვედა ყბის ტოტი და მასთან მდებარე საღვჭი და მიმიკური კუნთები. ქვევით ყბაყურა ჯირკვალი აღწევს ქვედა ყბის კუთხემდე. ნორმალურად ჯირკვალი არ იხსნება, რადგან საკუთარ ფასციამა (*Fascia Parotidea*), ფასცია მჭიდროდ ეკერის ჯირკვალს და ვრცელდება მის შიგნითაც. ჯირკვალი შედგება ნაწილაკებისაგან, რომელთა გამომგანი საღინარები ერთდებიან და თანდათანობით ქმნიან საერთო საღინარს (*ductus Parotideus*). საღინარი გოვებს ჯირკვალს მის ზედა ნაწილში, მიემართება ყერიმალის რკალის პარალელურად დაახლოებით 1 სმ-ით ქვევით, გაივლის ლოყის ცხიმოვან უჯრედისს და კუნთს, იხსნება პირის კარიბჭის ლოყის ლორწოვან გარსზე მეორე საღვჭი კბილის ღონეზე, ყბაყურა ჯირკვლის საღინარის სიგრძეა 3-5 სმ. ხოლო დიამეტრი 2-3 მმ.

2. ყბისქვეშა ჯირკვალი (*Gl. submandibularis*) უფრო პატარაა, ვიდრე ყბაყურა. მისი წონაა 10-15 გ. იგი მოთავსებულია ქვედა ყბასა და ორმუცელა კუნთს შორის (*trigonum hyomandibulare s. submandibulare*) ჯირკვლის ზედა ლაგერალური საზღვარია ქვედა ყბაზე არსებული თანამოსახელე ფოსო, უკანა-ორმუცელა კუნთის უკანა მუცელი, წინა ნაწილი ნაწილობრივ დაფარულია ყბა-ინის კუნთით. ქვედა ყბის კუთხესთან ყბისქვეშა ჯირკვალი თითქმის ეხება ყბაყურა ჯირკვალს.

ყბისქვეშა ჯირკვლის ფასციას ქმნის კისრის ზედაპირული ფასცია, რომლიდანაც ჯირკვლის გამოყოფა ყოველთვის შეიძლება. ამ ჯირკვლის საღინარი (*Ductus submandibularis*) გაივლის ყბა-ინის კუნთის უკანა კიდეზე, მიემართება მის ზედა ზედაპირზე და იხსნება პირის ღრუში.

3. ენისქვეშა ჯირკვალი (*Gl. sublingualis*) ყველაზე პატარაა იწონის 5 გრამამდე, მდებარეობს ქვედა ყბის შიგნითა ზედაპირზე თანამოსახელე ფოსოში. ჯირკვლის ქვევით მდებარეობს ყბა-ინის კუნთი, მედიალურად ნიკაპ-ინის კუნთი, ზევიდან ჯირკვალი დაფარულია პირის ღრუს ფსკერის ლორწოვანი გარსით. ჯირკვალი წილაკოვანი აგებულებისაა და მოგჯერ თითოეული ნაწილაკის საღინარი დამოუკიდებლად იხსნება პირის ღრუში (*Ductus sublingualis major*) სიგრძით 9-20 მმ-ია. იხსნება ენის ლაგამის გვერდით.

სანერწყვე ჯირკვლები გამოყოფს ნერწყვს, რომელიც შეადგენს პირის

დრუს სითხის ძირითად შემადგენელ ნაწილს. ბოლო წლებში დადგენილია, რომ ყბაყურა სანერწყვე ჯირკვალის განიკუთვნება აგრეთვე შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს და გამოყოფს პორმონ პაროგინს (აგო, ზინოლა და სხვ.) რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისათვის.

ნორმალური ნერწყვი უფრო, თანავე წებოვანი სითხეა, მისი კუთრი წონაა 1,002-1,008, დღე-ღამის განმავლობაში 1-1,5 ლიტრი ნერწყვი გამოიყოფა, რომელიც შეიცავს 98,8-99,5 % წყალს და 0,5 % მყარ ნივთიერებას. აქედან 0,1-0,3% ორგანული ნივთიერებაა, ხოლო 0,1-0,2 % მარილები. ორგანული ნივთიერებიდან ნერწყვი შეიცავს ცილას. მუცინს და ფერმენტს ფტიალინს, რომელიც სახამებელს შაქრად გარდაქმნის.

სანერწყვე ჯირკვლები მონაწილეობს ნივთიერებათა ცელაში, კერძოდ გაელენას ახდენს კბილის ქსოვილების მინერალურ ცელაზე. სანერწყვე ჯირკვლების ფუნქცია მოშლილია როგორც ორგანიზმის ზოგადი დააქადებების, ისე ნერეული რეგულაციის დარღვევის დროს.

პ ი პ ე რ ს ა ლ ი ე ა ც ი ა გეხელება სამწვერა ნერეის ნეერალგის, პულპიტებისა და პერიოდონტიტების, სტომატიტის, კბილების ბორმანქანით დამუშაების დროს, ორსულობის პერიოდში, ისტერიის, ორგანიზმის პიპოქსიის შემთხვევაში და სხვა.

პ ი პ ო ს ა ლ ი ე ა ც ი ა შეიძლება გამოიწვიოს ნერეული სისტემის ფუნქციის მოშლამ, სანერწყვე ჯირკვლების კენჭოვანმა დააქადებებმა, სანერწყვე სადინარების შევიწროებამ ან დახშობამ, აგრეთვე ზოგიერთმა ინფექციურმა დააქადებამ (მუცლის ტიფმა, პნეემონიამ და სხვა), წყლის ცელის დარღვევამ, ქოლერამ, კუჭ-ნაწლავთა დისპეფსიებმა, ენტეროკოლიტმა, დიაბეტმა და სხვა).

ნერწყვის ნორმალურ სეკრეციას დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის, ნერწყვი, უპირველეს ყოვლისა, საჭმლის მომნელებელი წვენია, იგი აგრეთვე სეკრეცია, რომელიც ქმნის პირის დრუსა და მასში მღებარე ორგანოებისათვის სეულ გარემოს, ნერწყვის საშუალებით ორგანიზმიდან გამოიყოფა უამრავი ნივთიერება (კერცხლის-წყალი, ბრომი, ოიდი და სხვა.) ნერწყვი აქტიურად მონაწილეობს ყლაპეის აქტში. საკეების ყლაპეა იწყება პირის დრუში და მთაერდება საყლაპავ მილში. მანძილი პირის დრუდან კუჭამლე საშუალოდ 43-45 სმ-ია. დალეჭილი საჭმელი ამ მანძილს გაივლის 2-6 წამში, ნორმალურად ადამიანს შეუძლია ერთჯერადად გადაყლაპოს 7-10 სმ³ მოცულობის დალეჭილი საჭმელი.

ს ი ს ხ ლ ძ ა რ ლ ე ე ბ ი . სალეჭი აპარატის ორგანოები სისხლით მარაგდება გარეთა საძილე არტერიის ტოტებდან: 1. ენის არტერია (a. Lingualis) გარეთა საძილე არტერიის ტოტია. იწყება მის წინა ზედა-პირზე დაახლოებით 1 სმ-ის მკეით ზელა ფარისებრი არტერიიდან (დაახლოებით ინის ძელის დიდი რქების დონეზე). გალაკეუს ყბა-ინის კენთის

კლავს და ამ კუნთის ზედა ზედაპირით მიემართება, რამდენიმე იკლავს და და შეღის ენის ძირში ენის ღრმა არტერიის (a. profunda Linque) სახელწოდებით. ენის ღრმა არტერიებიდან შედიალურად და ლატერალურად, მკეით ენის ზურვისაკენ მიემართება მრავალრიცხოვანი გოტები, რომლებიც ენის ზურვს ქვეშ ქმნიან სისხლძარღვოვან თაღებს.

2. სახის არტერია (a. Facialis) იწყება გარეთა საძილე არტერიის წინა მუღაპირიდან, ენის არტერიის ცოტა ზევით, მიემართება ზევით, გაივლის ორბუცელა კუნთის უკანა მუცელთან და ყბის ქვეშა სახერწყვე ჯირკელის უკან, და იძლევა ღრმა გოტს რბილი სახისათვის. სახის არტერიის გოტები სისხლით ამარაგებს აგრეთვე ყბის ქვეშა სახერწყვე ჯირკვალს. სახის არტერია ქვედა ყბის ქვედა კილქსთან გადაიხრება და გაივლის ქვედა ყბის გარეთა კილქზე. საღვჭი კუნთის წინა კილქსთან (სადაც შეივრძნობა პულსირება). არტერია გადმოდის შედიალური კუთხისაკენ. აქ ამ არტერიას უწოდებენ კუთხის არტერიას (a. Angularis), რომელიც ანასტომოზით უერთდება ცხვირისა და თვალის ქვედა არტერიებს. სახის არტერია სისხლით ამარაგებს სახის მამიკურ კუნთებს და ირგვლივ მდებარე ქსოვილებს. სახის არტერიის გოტებია ზედა და ქვედა გუჩების არტერიები (a. labialis superior et inferior).

3. ყურის უკანა არტერია (a.auricularis posterior) ამარაგებს სისხლძარღვებით სახის ნერუსა და შუა ყურს.

4. გარეთა საძილე არტერია ქვედა ყბის სახსართან ქმნის ორ საბოლოო გოტს, საფეთქლის ზერელე არტერიასა და ზედა ყბის შიგნითა არტერიას.

5. საფეთქლის ზერელე არტერია (a. temporalis superior) მიემართება ქვედა ყბის სასახსრე თავიდან ზევით, გაივლის ყბაყურა ჯირკელის სისქეში (რომელსაც აძლევს წვრილ გოტებს. მას გამოეყოფა გოტი, სახის გარდიგარღო არტერია (u. transversa faciei). ყბაყურა ჯირკელიდან გამოსვლის შემდეგ საფეთქლის ზერელე არტერია მიემართება ზევით და ყურის ჭაელის წინ ყვრიმალის რკალის ღონეზე შეივრძნება მისი პულსაცია.

6. ზედა ყბის შიგნითა არტერია (a. maxillaris interna) გარეთა საძილე არტერიას გამოეყოფა თითქმის ყბაყურა ჯირკვალში, მიემართება ცოტა ზევით, შემდეგ მოუხევეს ფრათა-სახის ფოსოსაკენ. მისი პირველი გოტები გამოეყოფიან სასახსრე მორჩის ყელთან და მიემართება სასმენი ორგანოებისაკენ. უფრო მსხვილი გოტია – a. meningea medea, რომელიც ტენისის მავარი გარსისაკენ მიემათება წვეტიანი ხერყლით (f. spinosum) ზედა ყბის არტერიის გოტია ქვედა ალვეოლური არტერია (a. alveolaris inferior) რომელიც ქვედა ყბის ხერყლის სამუალეებით შეღის ქვედა ყბაში და იძლევა გოტებს კბილებისათვის, პერიოლონგისა და ღრძილებისათვის. ზედა ყბის არტერია იძლევა გოტებს აგრეთვე საფეთქლისა და საღვჭი კუნთებისათვის. ფრათა-სახის ფოსოს შესაეალთან მას გამოეყოფა უკანა

ზელა ალვეოლური არტერია (a. alveolaris superior posterior) ზედა ყბის ბორცვიდან შედის ძეღში და სისხლით ამარაგებს საღებ ქბილებს და ზედა ყბის წიაღს. ზედა ყბის არტერიის გოგია აგრეთვე თვალბულის ქვედა არტერია (a. infraorbitalis) იძლევა გოგებს პრემოლარების, ეშეებისა და საჭრელი კბილებისათვის. ზედა ყბის არტერიის ყველაზე მსხვილი გოგია სახის დაწვერივი არტერია (a. palatina descendens), რომელიც გამოდის სახის დიდ ხერეღში და სისხლით ამარაგებს მაგარი სახის ლორწოვანასა და ღრძილებს.

ი ნ ე რ ე ა ც ი ა . საღებუ აპარაგის ორგანოების ინერეაქციაში მონაწილეობს თავის გეინიდან გამოძაყალი 5 წყვილი ნერვი (მე-5 წყვილი, სამწვერა ნერვი, მე-7 წყვილი სახის, მე-9 წყვილი – ენა ხახის, მე-10 წყვილი – ცთომილი, მე-12 წყვილი – ენისქვეშა ნერვი). პირის ღრუს ორგანოები ღებულობს მამოძრავებელ, მგრძნობიარე, სეკრეციულ და გემოენების შემგრძნებ ნერეულ ბოჭკოებს, რომელთაგან მხოლოდ სეკრეციული ბოჭკოები განეკუთენება ეეგეგაგიურ ნერეულ სისგემას (სიმპათიკური და პარასიმპათიკური).

ს ა მ წ ე ე რ ა ნ ე რ ვ ი – n. trigeminus სამწვერა ნერვი თავის ქალიდან გამოძაყალი მეხუთე წყვილი ნერვია, იგი განეკუთენება შერეულ გემს. შეიცაეს როგორც მგრძნობიარე, ისე მამოძრავებელ ბოჭკოებს. ამ ნერვის მცირე ფესვი (portio minor) მამოძრავებელია, ხოლო დიდი ფესვი (portio major) მგრძნობიარე.

გასერის კეანძი (gasseri s semilunare) ნახეეარმთეარისებრი წარმონაქმნია, რომლის პერიფერიული ბოჭკოები წარმოქმნის სამ ნერუს. გასერის კეანძი გეინის მაგარი გარსის ფურცლებს შორისაა. ფურცლებს შორის სიერესს, საღაც გასერის კეანძია, ეწოღება მეეკლის ღრუ (cavum meckeli). გასერის კეანძიდან მიძაყალი პირეული გოგი ქაღას ღრუს გოეებს თეაღბუღის ზეღა ნაპრაღით (fissura orbitalis superior) და მიემართება თეაღბუღეში. მას თეაღბუღის ნერვი (n. ophthalmicus) ეწოღება. მეორე გოგი მიემართება წინ და ქეეეით, გოეებს ქაღას ღრუს მრგვალი ხერელით, მას ზეღა ყბის ნერვი (n. maxillaris) ეწოღება, მესამე გოგი (n. mandibularis) ქაღას გოეებს ოეაღური ხერელით, მას უერთღება მამოძრავებელი ბოჭკოები, იგი შერეული ნერვია.

1. თ ე ა ლ ბ უ ღ ი ს ნ ე რ ვ ი (n. ophthalmicus) თეაღბუღის ზეღა ნაპრაღში შესეღისას იყოფა სამ გოგად: ა) შუღლის ნერვი (n. frontalis) აინერეირებს შუღლის კანს და აძღეეს გოგებს ზეღა ქუთუთოს და თეაღის მეღიაღურ კუთხეს, ბ) საცრემღე ნერვი (n. lacrimalis) მიემართება საცრემღე ჰირეკელისაეენ, გაიეღის მას, მითაერღება კანში და თეაღის კუთხის ლაგერაღურად კონიუნქტიეაში. ამ ნერუს მგრძნობიარე ბოჭკოებს გარღა, აქეს აგრეთეე სეკრეციული ბოჭკოები საცრემღე ჰირეკელისათეის; გ) ცხეირ-წამწამის ნერვი (n. nasocilliaris) აინერეირებს ცხეირის ღრუს

წინა ნაწილს. თეალის კაკალს, თეალის კუთხის მედიალურად კანს, კონიუქტივას და ხაერკლუ პარკს.

2. ზედა ყბის ნერვი (n. maxillaris) ქალას ღრუს გოვეს მრგვალი ხერელით (f. rotundum) და შედის ფრთა-სასის ფოსოში, მიემართება თეალბუდის ქვედა ნაპრალით და შედის თეალბუდის ქვედა არხსა და ხერელში, ნერვის ამ ნაწილს თეალბუდის ქვედა ნერვი ეწოდება. იგი გამოდის სახეზე თეალბუდის ქვედა ხერელით. აქ ქმნის წერილ გოტებს, რომლებიც აინერვირებს ქვედა ქუთუთოს, ზედა ტუნსა და ცხვირის გვერდით მხარეს. ამ გოტებს გარდა, ზედა ყბის ნერვიდან გამოიყოფა მკლვეტი გოტები: ა) ყვრიმალის ნერვი (n. zygomaticus) აინერვირებს ლოყის კანსა და ყვრიმალის არის წინა ნაწილს; ბ) ზედა უკანა ალვეოლური ნერვი (n. alveolaris super. et. post.) ზედა შუა ალვეოლური ნერვი (n. alveolaris sup. media); ზედა წინა ალვეოლური ნერვი (n. alveolaris sup. anter.) აინერვირებს ზედა ყბის კბილებსა და ღრძილებს, გ) ფრთა-სასის ნერვი (n. pterygopalatinus) აინერვირებს სასისა და ცხვირის ღრუს, ზედა ყბის ნერვის ქვეით და მედიალურად ფრთა-სასის ფოსოში მდებარეობს ფრთა-სასის კეანბი (ganglion pterygopalatinum), რომლიდანაც გამოიყოფა მემლევი (სეკრეციული) გოტები: ა) ცხვირის უკანა გოტები (n. nasales posteriores) რომლებიც მიემართება ცხვირის ლორწოვანი ჯირკვლებისა, კენ. მათგან ყველაზე მსხვილია ცხვირ-სასის ნერვი (n. nasopalatinus) რომელიც გაივლის საჭრელ ხერელს და აინერვირებს მაგარი სასის ლორწოვანას ჯირკვლებს. ბ) სასის დიდი და პაგარა ნერვები (n.n. palatini) გამოდის სასაზე სასის დიდი და მცირე ხერელებით (f. palatini majus et minora) და აინერვირებს მაგარი და რბილი სასის ლორწოვანი გარსის ჯირკვლებს. სეკრეციულ ნერვებს გარდა, ფრთა-სასის კეანბიდან გამოდის მგრძნობიარე ნერვებიც, რომლებიც აინერვირებენ შესაბამის უბნებს.

როგორც ცნობილია მაგარი სახის ლორწოვან გარსს არა აქვს ფაშარი შემაერთებელი ქსოვილი და იგი უშუალოდ ეკვრის ძვლოვან ქსოვილს, რაც განაპირობებს დაავადების კლინიკასა და მკურნალობას.

დაავადება იწყება ძლიერი ტკივილით, რაც გამოწვეულია ლორწოვანი გარსის ამრევეებით ძლოვანი ქსოვილისაგან. სასაზე ყალიბდება სხვადასხვა ზომის ჩირქროვა. პალპაციით მტკივნეულია, აღიქმება ლორწოვანი გარსის გარკვეული დაჭიმულობა და ფლუქტუაცია. ღიაგნობის დასმა ძნელი არ არის. მკურნალობა ქირურგიულია. ვაგარებთ სამკუთხედის ფორმის განაკვეთს 0,5 X 0,5 სმ-ზე, რითაც ექმნით ჩირქის დნეირების ოპტიმალურ პირობებს. ხაზოვანი განაკვეთის შემთხვევაში ჭრილობის კიდეები ერთმანეთს უახლოვდება, ჭრილობა იხურება და ჩირქის დნეირება აღარ ხერხდება.

16. რბილი სახის აბსცესი. ჩირქოვანი ანთებადი პროცესი ვითარდება ზედა ყბის მოლარებისაგან.

რბილი სასა წარმოადგენს კუნთოვან ორგანოს, მოიცავს კუნთოვან ბოჭკოებს და მათ შორის საკმაოდ განვითარებულ ფაშარ შემაერთებულ ქსოვილს, რომელიც ხელს უწყობს აბსცესის სწრაფად ჩამოყალიბებას.

ავადმყოფი უჩვიის ტკივილს და რბილი სახის შეშუპებას, მეტყველების გაძნელებას, ყლაპვის ფუნქციის მოშლას. დათვალეირებით აღინიშნება რბილი სახის დეფორმაცია, ნაქის გადანაცვლება ჯანმრთელ მხარეზე, პალპაციით რბილი სასა მტკივნეულია, აღიქმება ფლუქტუაცია. პუნქციით მივიღებთ ჩირქს.

მკურნალობა ქირურგიულია. განაკვეთს ვაგარებთ არა აბსცესის ეპიცენ-

გრში, არამედ აბსცესის ქვედა კიდესთან, რათა მოეახლინოთ ჩირქოვანი მასის სრული ღრენირება. აბსცესის ცენტრში გახსნის ღროს რჩება ჩირქოვანი ჯიბე, რომელიც ხელს უშლის ჩირქის ღრენირებას.

ფლეგმონები

ჩირქოვანი ანთებადი პროცესი ძირითადად ლოკალიზდება კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილში, ფაშარ შემადგენელ ქსოვილში და ლიმფურ კვანძებში. იმის მიხედვით თუ რამდენად გავრცელებულია ჩირქოვანი პროცესი რბილ ქსოვილებში განისაზღვრება დაავადების ხასიათი. როდესაც ლაპარაკია ფლეგმონაზე, იგულისხმება, რომ ჩირქოვან ანთებად პროცესს დაკავებული აქვს ორგანოს ნახევარზე მეტი ან მთლიანად. ტერმინი – "ფლეგმონა გაფანტული ჩირქოვანა" არ მიმართავს სრულფასოვნად, რადგან მასში არ არის ჩადებული დაავადების არსი, მისი გავრცელება.

ფლეგმონა შეიძლება განვითარდეს ყბა-სახის სხვადასხვა არეში. ქირურგიული ანატომიის თვალთახედვით ვარჩევთ: 1. სახის არეს ფლეგმონები, 2. ყბასთან მიმდებარე ფლეგმონები, 3. პირის ღრუს ფსკერის ფლეგმონები, 4. სახის გვერდითი ფლეგმონები, 5. ენის ფლეგმონები, 6. კისრის არეს ფლეგმონები.

ფლეგმონა შეიძლება იყოს პირველადი და მეორადი. პირველადი ფლეგმონა აღმოცენდება უშუალოდ ერთ ორგანოში, მეორადი კი წარმოადგენს არსებული ჩირქოვანი ანთებადი პროცესის გართულებას, ერთი ორგანოდან მეორეში გადასვლას: ოსტეოფლეგმონა – ოსტეომიელიტის გართულებაა. ადენოფლეგმონა – ლიმფადენიტის გართულება და სხვა.

ფლეგმონებისათვის დამახასიათებელია მოგადი და ალგილობრივი ნიშნები.

მოგადი ნიშნებიდან აღსანიშნავია:

1. ორგანიზმის საერთო ინტოქსიკაცია. მაჯის აჩქარება, მეტყველებისა და სუნთქვის ფუნქციის მოშლა, ოფლიანობა, საერთო სისუსტე, შემცივნება, უძილობა, თავის ტკივილი.

2. თერმორეგულიაციის მოშლა. სხეულის მაღალი ტემპერატურა 38,5-40° და მეტი. მიაღწევს რა მაღალ მაჩვენებლებს, ტემპერატურა რჩება თითქმის მუდმივი ან განიცდის მცირე ამპლიტუდით რყევას. მოგჯერ ალგილი აქვს ეიფორიას.

3. გამოსხატული ცელილებები გულსისხლძარღვთა სისტემისა და გამომყოფი ორგანოების მხრივ, მაჯის აჩქარება, მოგჯერ გულის უკმარისობა,

სისხლში ცვლილებები: ელს-ის მაღალი მაჩვენებელი 35-70 მმ/საათში, ლეიკოციტოზი 9-11 ათასი და მეტი, ფორმულის მარცხნივ გადახრა. ლიმფოპენია 10%-მდე მიჯვანიწნებს დაავადების მძიმე მიმდინარეობაზე, ეოზინოფილების გაქრობა პერიფერიულ სისხლში და გამოსხატული ნეიტროფილია (80% მეტი) ადასტურებს დაავადების მძიმე პროგნოზს.

შარღში ცილების გამოვლენა მიუთითებს გოქსიკურ ნეფრიტზე, ამიგომ საჭიროა შარდის ანალიზის პერიოდული კონტროლი.

4. ორგანიზმის დაძაბუნების ფონზე მოსალოდნელია მძიმე გართულებები: სისხლძარღვთა თრომბოზი, სეფსისი, სეპტიკემია და სხვა.

დაავადების ადგილობრივი ნიშნების გამოსხატულება დამოკიდებულია ფლეგმონის ლოკალიზაციაზე. ყველა ფლეგმონისათვის (გარდა ღრმად მდებარე) დამახასიათებელია: 1. სახის ასიმეტრია, 2. ანთებადი ინფილტრატი, 3. ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვა, 4. ლევიისა და ყლაპვის ფუნქციის მოშლა, სუნთქვის ფუნქციის დარღვევა, 5. მეტყველების გაძნელება, 6. სანერწყვე ჯირკვლების ფუნქციის მოშლა.

ფლეგმონების მკურნალობის ძირითადი პრინციპები

ფლეგმონების მკურნალობაში უნდა გავითვალისწინოთ ორგანიზმის ინდივიდუალური მდგომარეობა, დაავადების სიმძიმე და მიმდინარეობის თავისებურება, ასაკი და ორგანიზმის რეაქტიულობა, მიკროფლორის ვირულენტობა და ანტიბიოტიკებისადმი მათი მგრძობელობა.

ფლეგმონების მკურნალობაში უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. გაუტკივარება. ბერელედ მდებარე ფლეგმონების შემთხვევაში ვიყენებთ ადგილობრივ გაუტკივარებას, პოტენცირების ფონზე. ღრმად მდებარე ფლეგმონების შემთხვევაში (როცა ფლეგმონა ვრცელდება 2-3 და მეტ ანატომიურ რეგიონზე) საჭიროა ზოგადი გაუტკივარება: ინტრავენური ნარკოზი ან ენდოტრაქეალური. პირის ღრუს რბილი ქსოვილების გამოსხატული შემუქების დროს ზოგჯერ საჭირო ხდება გრაქეოსტომის დადება.

2. ფლეგმონის გაკვეთა. გაკვეთის დროს უნდა გაიოიადლისწინოთ ყბა-სახის ორგანოთა ანატომიურ-ტოპოგრაფიული მდებარეობა (ნერვული ღეროები, სისხლძარღვები). ფლეგმონებს ახასიათებს რბილი ქსოვილების მკვეთრად გამოსხატული კოლაგერალური შემუქე-

ბა, რომელიც ცულის ორგანიზაცია გოპოგრაფიას, ამიგომ საჭიროა განაკეთის გაგარების ღონის მუსტად განსაზღვრა, ქსოვილების ბუნებრივი ნაოჭების, სახის ნერვის გოგების და მსხვილი სისხლძარღვების მიმართულების გათვალისწინებით. განაკეთი უნდა გაეგაროთ საჭირო სიდიდის, რათა მოეახლინოთ ჩირქოვანი მასის სრული და შეუფერხებელი ღრენირება. ეკეთათ კანს, კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს, ფასციას და შემდეგ ბლაგვად გათიშაეთ თითით (რემინის ხელთათმანით) ან იარაღით. ამასთან ერთად უნდა გაეხსნათ ჩირქგროვა ყველა შესაძლო მიმართულებით რათა არ დაგვრჩეს ჩირქოვანი ჯიბეები.

3. განაკეთის გაფართოების შემდეგ საჭიროა ჭრილობის გამორეცხვა ანტისეპტიკური ხსნარებით: წყალბადის ბეჟანგი, კალიუმ-მანგანუმის სუსტი ხსნარი, ქლორამინი, ქლორპექსილინი და სხვა. ფლეგმონის ხასიათის მიხედვით ერთ შემთხვევაში ჭრილობაში შეგვაქვს პიპერტონულ ხსნარში დასველებული ღობლანდი და ჭრილობას ვახვეთ პიპერტონულ ხსნარში დასველებული სტერილური ნახვევით, სხვა შემთხვევაში ჭრილობაში შეგვაქვს პერფორირებული პოლიეთილენის მილები (ორი ან მეტი) და ჭრილობას ვახვეთ პიპერტონულ ხსნარში დასველებული ნახვევით.

4. მიმეზობრივი კბილის ამოღება. როგორც წესი დაავადების გამომწვევი მიზეზი – კბილი ამოღებული უნდა იქნას. მაგრამ თუ საქმე გვაქვს რეგენირებულ ან ნახევრად რეგენირებულ კბილთან, ან კბილთან, რომლის ამოღება დაკავშირებულია დიდ გრავმასთან, კბილის ამოღება უნდა გადაეღოთ რამდენიმე დღით.

5. დაავადების გამომწვევი მიკროფლორის შესწავლა აუცილებელია, უნდა დადგინდეს მათი სახეობა და განისაზღვროს მათი მგრძნობელობა ანტიბიოტიკებისადმი, რომ მკურნალობა წარემართოთ მიზანდასახულად. მიკრობთა მგრძნობელობის განსაზღვრას საშუალოდ ჭირდება 3-6 დღე.

6. ანთების საწინაღმდეგო მკურნალობა გულისხმობს ანტიბიოტიკების გამოყენებას მკურნალობის კომპლექსში. როგორც ბევრად აღვნიშნეთ მიკრობთა მგრძნობელობის განსაზღვრას ჭირდება 3-6 დღე, ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფს უნიშნაეთ საერთოდ აღიარებულ ანტიბიოტიკებს: პენიცილინს, სტრეპტომიცინს, ამპიცილინს და სხვა. მიკრობთა მგრძნობელობის განსაზღვრის შემდეგ კი ვიყენებთ იმ ანტიბიოტიკს, რომლის მიმართაც ყველაზე მეტად მგრძნობიარეა მიკროფლორა. ღობის განსაზღვრის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ

მაქსიმალური ღირებუთი ან ღირებუთით (დაავადების სიმძიმის მიხედვით). ამ ანტიბიოტიკით მკურნალობას ვაგრძელებთ 7-10 დღე, შემდეგ ან მოხსნით (თუ მკურნალობის უეფექტი მიღწეულია), ან შეეცვლით სხვა ანტიბიოტიკზე.

ანტიბიოტიკების გარდა მკურნალობის კომპლექსში ვიყენებთ ფაგებს, ფერმენტებს, ვიტამინებს და სხვა საჭირო სამკურნალო საშუალებებს.

7. მადესენსიბილიზებელი თერაპია. ინფექციურ ანთებად პროცესებს ყოველთვის თან ახლავს ორგანიზმის სენსიბილიზაცია, ამიტომ მკურნალობის კომპლექსში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მადესენსიბილიზებელი საშუალებების დანიშნვას (დიმედროლი, სუპრასტინი და სხვა) 5-7 დღის განმავლობაში. გარდა ამისა ძალზე მნიშვნელოვანია იმუნოკორექციული ღონისძიებების გატარება, როცა ჩირქოვან ანთებად პროცესებს თითქმის ყოველთვის თან ახლავს ცვლილებანი იმუნური სისტემის მხრივ.

8. სამკურნალო საშუალებათა გადასხმები - ჩირქოვანი ანთებადი პროცესების მიმდინარეობის დროს ორგანიზმში გროვდება დიდი რაოდენობით გოქსინები და ცილების დაშლის პროდუქტები, რომელთა ორგანიზმიდან გამოყვანა აუცილებელია. ამ მიზნით აქედამყოფს ეუნიშნავთ დიდი რაოდენობით სითხეს - სასმელს, მინერალური წყალი, ხილის წვენები, თხიერი საკვები (თუ გულსისხლძარღვთა სისტემიდან არ არის რაიმე გართულება). ზოგ შემთხვევაში წვეთოვანი ოყნის სახით შეგვყავს 1-5 ლიტრი სითხე (ნატრიუმქლორის იზოტონური ხსნარი). გარდა ამისა ფლეგმონების მკურნალობის კომპლექსში ვიყენებთ ჰემოდემს 200-400 მლ; გლუკოზის ხსნარი 400-600 მლ. ინსულინთან ერთად, 5% ნატრიუმჰიდროკარბონატის ხსნარი (100-200 მლ), შეგვყავს ვიტამინები ასკორბინის მქაეა, B-ჯგუფის ვიტამინები. საჭიროების დროს ჰიდროკორტიზონი (25-100 მგრ.) ჩვენების მიხედვით ვიყენებთ საგულე საშუალებებს. დაავადების მძიმედ მიმდინარეობის შემთხვევაში საჭიროა ჰეპარინის შეყვანა ორგანიზმში 3 000 ერთეული 6 საათში ერთხელ (ჰეპარინის შეყვანა არ არის ნაჩვენები ფარული სისხლდენების და თრომბოპენიის დროს).

ჩვენს კლინიკაში წარმატებით ვიყენებთ სამკურნალო ნივთიერებათა ინტრაარტერიულ ინფუზიას. ეს საშუალებას გვაძლევს მრავალჯერადათ გაუმარღოთ წამლის კონცენტრაცია უშუალოდ დაავადების კერაში. ამ მიზნით ვიყენებთ საფეთქლის არტერიას, რომელშიც შეგვყავს კატეტერი და მისი წაწევით გართუ საძილე არტერიის სისტემაში

ვადგენთ სისხლით მომარაგების ზონას ყბა-სახის არეში. ზოგი აეგორი ამ მიზნით იყენებს ნოვოკაინის 0,25% ხსნარის 8-10 მლ-ს. ავადმყოფმა უნდა იგრძნოს ენის, გუჩების და ლოყის ქსოვილების გაუტკივარება. ჩვენ ამ მიზნით ვიყენებთ მეთილენის 1% წყლიან ხსნარს, რომელსაც ვაზავენთ ფიზიოლოგიურ ხსნარში და ნელა შეგვყავს კატეგერიტ. რბილი ქსოვილების შეფერადების მიხედვით ვადგენთ საჭირო ზონას.

9. ფიზიკური მეთოდებით მკურნალობა.

ფლეგმონების მკურნალობის კომპლექსში წარმატებით გამოიყენება ფიზიოთერაპია. ჩირქტროვის გახსნიდან მე-3 მე-4 დღეს შეიძლება დაუნიშნოთ ჭრილობის ულტრაიისფერი დასხივება ბიოლოჯის განსაზღვრის შემდეგ, უმს-დენს, კისრის სიმპატიკური წნულის ულტრაიისფერ დასხივებას. ვიყენებთ ლაზერის სხივებს.

ავადმყოფის გამოჯანმრთელების პერიოდში საჭიროა გამოვიყენოთ სამკურნალო ფიზკულტურა, კანის, კუნთოვანი სისტემის მასაჟი, ქვედა ყბის მოძრაობის აღდგენა მექანოთერაპიის გამოყენებით და სხვა.

თვალბუდის არეს ფლეგმონა

თვალბუდის არე ქირურგიული ანაგომიის თვალთახედვით მოიცავს ზედა და ქვედა ქუთუთოს და მათ ფაშარშემაერთებელ ქსოვილს. ინფექცია ვრცელდება კონტაქტური გზით: ორბიტის ოსტეომიელიტის ან ქუთუთოების ფაშარი შემაერთებელი ქსოვილის მწვავე ჩირქოვანი ანთების შედეგად. მოსალოდნელია ვენური სისხლძარღვების თრომბოზი და პათოლოგიური პროცესის გავრცელება ღრმად თვალბუდეში.

კლინიკა. ავადმყოფი უჩივის ტკივილს და ქუთუთოების სწრაფ შემუშებას, თვალის ნაპარალი ან ძლიერ შევიწროებულია ან დახურული. მფარავი კანი პიპერემიული, ჩირქის გავრცელება თვალბუდეში იწვევს თვალის კაკლის ცდომას და მხედველობის გაორებას. შეიძლება ადგილი ქონდეს მომიერად გამოხატულ ეგზოფთალმს.

დიფერენციული დიაგნოზი უნდა გაავაროთ ქუთუთოების აბსცესთან, რეტრობულბარულ ფლეგმონასთან, ორბიტის გრაველ დაზიანებასთან, ქუთუთოების ალერგიულ შემუშებასთან.

ქუთუთოს აბსცესის დროს შემუშება ვრცელდება ერთ ქუთუთოზე, თვალის ნაპარალი დახურული არ არის, ანთების კერის ცენტრში შეიძლება იყოს ჩირქოვანი ხერელარხი, აქვს მომიერად გამოხატული ტკივილი, პალპაციით აღიქმება ფლუქტუაცია.

რეტრობულბარული ფლეგმონის დროს ავადმყოფის მოგადი მდგომარე-

ობა მიძიება, არის მკვეთრად გამოხატული თავის ტკივილი, ტკივილი თვალბულის არეში, რბილი ქსოვილების შეშუპება, თვალის ნაპრალი დახურულია, არის გამოხატული ეგზოფთალმი, მხედველობის გაორება.

ორბიგის გრავიულ ლაზიანებას ახასიათებს სისხლჩაქცევა ქუთუთოს რბილ ქსოვილებში, ქუთუთოს შეშუპება, მაგრამ არ არის ფლუქტუაცია, ანამნეზში მიუთითებს გრავიმაზე. პალპაციით აღიქმება ორბიგის კილის მოტეხილობა.

ალერგიული შეშუპება ძირითადად ორმხრივია, მუარავი კანი უცვლელი ან ოღნაეჰიპერემიული, ავადმყოფი აღნიშნავს ქაეილს, ტკივილი ან არ არის ან ძალზე სუსტად არის გამოხატული. ფლუქტუაცია არ აღიქმება.

მკურნალობა. საჭიროა განაკეეთის გაგარება, განაკეეთს ეგარებთ ორბიგის ქეელა კილესთან, ორბიგის გარეთა კილესთან. კანის გაკეეთის შემდეგ ფრთხილად გაეთიშაეთ ბლაგვად რბილ ქსოვილებს, ისე რომ არ დაეამიანოთ ქუთუთოს ლორწოვანი გარსი. ჭრილობას გამოფრეცხავთ ანგისეპტიკური სხნარით და მასში ეგოვებთ რეზინის გამომგანს. ჭრილობაზე ეადებთ ანგისეპტიკურ ნახევეს. ეუნიშნავთ ანთების საწინააღმდეგო კომპლექსურ მკურნალობას, ინდივიდუალური სქემის გათვალისწინებით.

რეტრობულბარული ფლეგმონა

თვალის კაკლის უკან მდებარე ფაშარი შემაერთებელი ქსოვილი მდიდარია სისხლძარღვებითა და ნერვებით და უშუალოდ ესაზღვრება ქალას ღრუს. ინფექცია შეიძლება გავრცელდეს კონგაქტური გზით, საფეთქლის ქეელა ფოსოდან, ფრთასასის ფოსოდან ან ჰაიმორის ღრუს თვალბულის ქეელა კედლის დაშლის შედეგად.

კლინიკა. ავადმყოფი უჩივის ძლიერ ტკივილს თვალბულის არეში, თავის არეში. თვალის კაკლის უკან მდებარე რბილი ქსოვილების შეშუპების გამო ადგილი აქვს თვალის კაკლის წინ წამოწეევას – ეგზოფთალმს, მხედველობის გაორებას. დიპლოპიას, კონიუქტივის ლორწოვანი გარსის შეშუპებას – ქემოზს. თვალის კაკლის მოძრაობა შემლუღულია. თვალის კაკალზე თითის დაჭერით აღიქმება ტკივილი.

დიფერენციული დიაგნოზი – უნდა გავაგაროთ სარკომასთან, ბაზელოვის დაავადებასთან.

თვალბულის სარკომის დიაგნოზის დადგენაში გარკვეულ წილად დახმარებას გვიწევს ანამნეზის დეტალური შესწავლა. სარკომის განვითარებას წინ არ უძღვის ყბა-სახის არეს ანთებადი პროცესები, დაავადება ვითარდება თანდათანობით, ტკივილის გარეშე, ქუთუთოების რბილი ქსოვილები ანთებითი ცვლილებების გარეშეა. დაავადება მიმდინარეობს სხეულის გემპერაგურის მომატების გარეშე და შეუჩერებელი პროგრესირებს.

ბაზელის დაბრუნების დროს დაბრუნება იწყება შეუმჩნეველად, ტკივილის გარეშე, სხეულის ტემპერატურა ნორმის ფარგლებშია. ქუთუთოების რბილი ქსოვილები ანთებითი ცვლილებების გარეშე. ეგზოფთალმი გამოიხატება ორივე თვალზე, რეგრობულბარული ფლეგმონის დროს კი ასეთი ცვლილებები არ არის.

მკურნალობა. რეგრობულბარული ფლეგმონის მკურნალობა ქირურგიულია. განაკეთოს ვაგარებთ თვალბულის ქვედა კიდზე, გარეთა კიდესთან და ბლაგვად ძვალზე ცურვით შევდივართ ღრმად (ფრთხილად!), ჩირქოვანი მასის მიღების შემდეგ გამოვრეცხავთ ანგისეპტიკური ხსნარით და ჭრილობაში ვგოვებთ რეზინის გამოშვანს. ეუნიშნავთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობას.

ა. ევლოკიომოვის და გ. ეასილიევის აზრით ზოგჯერ კარგ შედეგს იძლევა ორბიტის ქვედა კედლის ტრეპანაცია პაიმორის ღრუს მხრიდან. ზედა ყბის წიაღი ღიად უნდა დარჩეს ფლეგმონის მკურნალობის პერიოდში.

რეგრობულბარული ფლეგმონის გახსნა გარკვეულ სიძნელებებთან არის დაკავშირებული და მოითხოვს ექიმისაგან დიდ ყურადღებას და დახელოვნებას.

პროგნოზი. ძირითადად კეთილსაიმედოა, თუ აქტიური ქირურგიული ჩარევა და მკურნალობა დროულად არის დაწყებული.

გართულებებიდან მოსალოდნელია: გვიხის აბსცესი; მენინგიტი.

ემვის ფოსოს ფლეგმონა

ინფექციის გავრცელების წყაროა ზედა ყბის ემვები. გვერდითი საჭრელი კბილები და პრემოლარები. ემვის ფოსო მდებარეობს სახის ჩონჩხის წინა ნაწილში. ზედა საზღვარია ორბიტის ქვედა კიდე, ქვედა, ზედა ყბის ალვეოლური მორჩის ლორწოვანი გარსის გარდამაქალი ნაოჭი, შიგნითა ცხვირის გვერდითი კედელი, გარეთა ყვრიმალ-ზედა ყბის ნაკერი.

კლინიკა. ავადმყოფი უჩივის ძლიერ ტკივილს სახის შესაბამის მხარეზე, თავის ტკივილს, რბილი ქსოვილების შეშუპებას, სხეულის ტემპერატურის მომატებას 38,5-39°.

დათვალეირებით აღინიშნება სახის ასიმეტრია, რბილი ქსოვილების შეშუპების გამო, შეშუპებულია, ქვედა ქუთუთო, კანი პიპერემიულია, პირის გაღება ნაწილობრივ შეზღუდულია. პალპაციით აღიქმება ფლუქტუაცია, პირის ღრუში გარდამაქალი ნაოჭის ლორწოვანი გარსი პიპერემიულია, გასადაეებულია.

დიფერენციული დიაგნოზი უნდა გაკატაროთ ემვის ფოსოს აბსცესთან, ზედა ყბის პერიოსტიტთან, სახის ფურუნკულთან, ზედა ყბის ოსტეომიელიტთან.

ემიის ფოსოს აბსცესის დროს ანთებადი ინფილტრატი შემოფარგლულია და ვრცელდება ამ ანაგომიური ზონის ერთ მეოთხედ, ერთი მეხუთედ ნაწილზე, ქვედა ქუთუთო შემუქებული არ არის, პირის გაღება თაყისუფალია. კოლაგერალური შემუქება გამოხატული არ არის.

ზედა ყბის პერიოსტიტის დროს აღინიშნება რბილი ქსოვილების შემუქება, მაგრამ მფარაეი რბილი ქსოვილების ფერი ან უცვლელია ან ოდაე პიპერემიული. დაზიანებული კბილის ახლო მდებარე ლორწოვანი გარსი შემუქებულია, პალპაციით მტკივნეული. პერიოსტიტის დროს რბილი ქსოვილების კოლაგერალური შემუქება უფრო ნაკლებად არის გამოხატული, ვიდრე ფლეგმონის დროს.

ზედა ყბის ოსტეომიელიტის დროს ორგანიზმის მდგომარეობა უფრო მძიმეა, გამოხატულია კოლაგერალური შემუქება, ალევოლურ მორჩე რამდენიმე კბილია ჩათრეული პათოლოგიურ პროცესში. პათოლოგიური პროცესი ვრცელდება გარდამავალ ნაოჭსა და სასის ლორწოვან გარსებზე. რამდენიმე კბილი მორყეულია.

სახის ფურუნკულის დროს ემეის ფოსოში აღინიშნება მომკერიეო ანთებადი ინფილტრატი, შემოფარგლული, კანი მკვეთრად პიპერემიული. ინფილტრატის ცენტრში ნეკროზული უბანი ჩირქოვანი ბუდით. პირის დრუში კბილები ინგაქტურია.

ემეის ფოსოს ფლეგმონის დროს მოსალოდნელია გართულება: ანთებადი ინფილტრატის გავრცელება ახლო მდებარე უბნებზე, ვენური სისხლძარღვების თრომბოზი.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . : განაკვეთს ვატარებთ გარდამავალ ნაოჭზე 4-5 სმ სიგრძის, გაეკვეთათ ლორწოვან გარსს და მის ქვემოთ მდებარე რბილ ქსოვილებს, შემდეგ ბლაგვად გაეთიშავთ ქსოვილებს და გავსხნით ჩირქოვან დრუს, უნდა შევიგრძნოთ ძვალი. იმ შემთხვევაში თუ ჩირქოვანი მასა ვერ მივიღეთ, ვხსნით ემეის ფოსოს რბილ ქსოვილებს. ზოგჯერ განაკვეთს ვატარებთ გარედან ცხვირ-ტუჩის ნაოჭის საპროექციო არეში. ჭრილობას გამოვრეცხავთ ანტისეპტიკური ხსნარებით და ჭრილობაში დავტოვებთ რეზინის ან პოლიეთილენის პერფორირებულ მილებს. ავადმყოფს ვუნიშნავთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობას.

ყვრიმალის არეს ფლეგმონა

ინფექცია ვრცელდება მეორადათ კონტაქტური გზით. ყვრიმალის ძვალი დაფარულია კანით, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი გამოხატულია ზომიერად, თვით ძვალი წარმოადგენს კუნთების მიმაგრების ადგილს, ფაშარი შემაერთებული ქსოვილი აქ არ არის, ამიგომ პათოლოგიური პროცესი ძირითადათ ლოკალიზდება კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილში.

კლინიკა. ავადმყოფი უჩივის ტკივილს, რომელიც ვრცელდება საფეთქლისა და თვალბულის არეში, რბილი ქსოვილების შეშუპებას, შეშუპება თანდათანობით პროგრესირებს. კოლაგერალური შეშუპება ვრცელდება საფეთქლის არეზე, ქუთუთოებზე, თვალის ნაპარალი ვიწროვდება. ზოგჯერ აღვილი აქვს ქველა ყბის მოძრაობის შეზღუდვას. ანთებადი ინფილტრაცი ვრცელდება აგრეთვე პირის კარიბჭის მხრისაკენ.

დიფერენციული დიაგნოზი უნდა გაეაგაროთ თვალბულის ფლეგმონასთან, საფეთქელქველა ფოსოს ფლეგმონასთან, სახის ფურუნკულთან.

თვალბულის ფლეგმონის შემთხვევაში ანთებადი ინფილტრაცი ძირითადად ლოკალიზდება თვალბულის არეში, ხოლო ყვრიმალის ძელის მიმართულებით ვითარდება კოლაგერალური შეშუპება. თვალბულის ფლეგმონას ახასიათებს ქუთუთოების ქემოზი. ყვრიმალის ფლეგმონის დროს ანთებადი ინფილტრაციის ძირითადი კერა ლოკალიზდება ყვრიმალის ძელის არეში, არ არის მიზემობრივი კბილი, რენტგენოლოგიურად ყვრიმალის ძელში გამოვლინდება დესტრუქციული პროცესი (ყვრიმალის არეს ფლეგმონა ხშირად ყვრიმალის ძელის ოსტეომიელიტის გართულება).

საფეთქლის ქველა ფოსოს ფლეგმონას ახასიათებს ქველა ყბის მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა პათოლოგიური პროცესის პროგრესირებასთან ერთად, სახის რბილი ქსოვილების კოლაგერალური შეშუპება ნაკლებად არის გამოხატული. კანის ფერი უცვლელია, ფლუქტუაცია არ აღიქმება.

სახის ფურუნკულის შემთხვევაში აღინიშნება მომკერივო ანთებადი ინფილტრაცი, რომლის ცენტრში რბილი ქსოვილების ნეკროზული უბანია, შესქელებული ჩირქოვანი მასაა. ძლიერი აუტანელი ტკივილია. აღინიშნული სიმპტომები ყვრიმალის ფლეგმონის დროს არ აღინიშნება.

მკურნალობა. საჭიროა ფლეგმონის გაკვეთა, უნდა გაეთვალისწინოთ სახის ნერვის გოტების გოპოგრაფია. გაკვეთავთ კანს და კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს 4-5 სმ. სიგრძეზე, შემდეგ ბლაგვად გაეთიშავთ რბილ ქსოვილებს და გაეხსნით ჩირქოვან ღრუს, გამოერეცხავთ და ღრუში შევიტანთ რეზინის გამომტანს (საჭიროა ყვრიმალის ძელის, სხეულის რევიზია). ავადმყოფს უნიშნავთ ანთების საწინააღმდეგო კომპლექსურ მკურნალობას.

ლოყის არეს ფლეგმონა

ინფექცია ვრცელდება ზედა ან ქველა მოლარების ან პრემოლარებისაგან. ინფექცია შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე კონტაქტური გზით მეზობელი ორგანოებიდან.

ლოცა ზევიდან მოსაზღვრულია ყვრიმალის ძელის ქვედა კილით, მიგნიდან ცხვირ-გუნის ნაოჭით, გარედან ხალკვი კუნთის წინა ბოჭკოებით, ქვევიდან ქვედა ყბის ხსეულის ქვედა კილით.

ლოცის შემაღლგუნლობაში შექლის კანი, კანქვეშა ცხიმოვანი უჯრედისი, კისრის კუნთის ნაწილი, ღმირის კუნთი, აქ გაღის ყბის გარეთა არგერია და სახის წინა ეენა, ყბა-ყურა სანერწყვე ჯირკელის ფასციის გაგრძელება ლოცის ფასცია, ბიმის ცხიმოვანი ბალიში, ღმიფური კეანძები, ნერეებს, ყბა-ყურა ჯირკელის საღინარი, ლოცის კუნთები, ლორწქვეშა უჯრედისი ა პირის ღრუს ლორწოვანი გარსი.

კლინიკა. დაავალება იწყება გამოსაგული ტკივილით, რომელიც ძლიერდება ქვედა ყბის მოძრაობის დროს. რბილი ქსოვილების ინფილტრაცია ვრცელდება ლოცის მთელ არეში. ქვედა ქუთუთოს შემუქება იწყებს თეაღის ნაპრალის შევიწროებას. ცხვირ-გუნის ნაოჭი გასაღავებულია და გუნის კუთხე დაწეულია. ლოცის კანი პიპერემიულია, ნაოჭად არ აიღება, თითის დაჭერით კანზე რჩება ჩაღრმავება. პალპაციით მტკიენულია და შეიგრძნობა ფლუქტუაცია. სახის ასიმეტრია მკაფიოდ არის გამოსაგული, პირის გაღება ნაწილობრივ შემღულულია, ლოცის ლორწოვანი გარსი პიპერემიული, შემუქებული. გარღამავეალი ნაოჭი შემუქებული და გასაღავებულია. ავადმყოფს აქვს მაღალი ტემპერატურა, შესაბამისი ცვლილებები სისხლის მხრივ, მღგომარეობა საკმაოდ მძიმეა.

დიფერენციული დიაგნოზი უნდა ჩავეგართ თეაღბუღის ფლეგმონასთან, თეაღბუღის ქვედა არეს, ემის ფოსოს, ყვრიმალის არეს ფლეგმონებთან. ყველა ამ ლოკალიზაციის ფლეგმონების დროს აღგილი აქვს რბილი ქსოვილების შემუქებას, სახის ასიმეტრიას, თეაღის ნაპრალის შევიწროებას. განსხვეავება მღგომარეობს მასში, რომ ლოცის ფლეგმონის დროს ანთებადი პროცესის კერა ლოკალიზდება ძირითადათ ლოცის სისქეში და რბილი ქსოვილების კოლაგერალური შემუქება ვრცელდება ანთების ცენტრალური ნაწილიდან პერიფერიისაკენ.

მკურნალობა. ქირურგიული მკურნალობა ითეაღისწინებს ფლეგმონის გახსნას. გარედან განაკვეთის გაგარების დროს უნდა გავითეაღწინით სახის ნერვის, არგერიის და ყბა-ყურა სანერწყვე ჯირკელის ღმირის გოპოგრაფიული მღებარეობა. ვევეთავთ კანს 4-5 სმ სიგრძემე, ნქვეშა ცხიმოვან ქსოვილს, ბლაგვად გავითეაღწინით ლოცის კუნთის ბოჭკოებს და ვხსნით ჩირქგროვას, გამოვრეცხავთ ანგისეპტიკური ხსნარებით, ტრილობაში შევიგანთ გამომგანს, ტრილობაზე ვაღებთ პიპერტონულ ხსნარში დასეველებულ სგერილურ ღოღბანდს და ვახევევთ. პირმიგნითა განაკვეთს ვაგარებთ იმ შემიხევევაში, როღესაც ანთებადი კერა უფრო აბლოს არის ლორწქვეშა გარსთან. დაავალების გამომწევე მიმღმს ("კბილს") ამოვიღებთ. ამის შემღევ ვსიმნავთ ანთების საწინააღმღევო კომპლექსურ მკურნალობას.

საფეთქლის არეს ფლეგმონა

პათოლოგიური პროცესი წარმოადგენს ოღონტოგენური ინფექციის გართულებას, ისუქექცია ერცელდება მეზობელი ქსოვილებიდან. პირველადი შეიძლება იყოს ინფექციის უშუალო მეჭრა დაზიანებული კანიდან.

საფეთქლის არეს საზღვრებია: ზელა და უკანა - მუზლისა და ოსიემის ძელების საფეთქლის ნაწილი; ქველა - ძირითადი ძელის საფეთქელქველა ქელი; წინა-ყერიმალის ძელი; უკანა-ყერიმალის ძელის რკალი. პათოლოგიური პროცესი შეიძლება მღებარეობლეს ზელაპირულად და ღრმად. ჩირქის ღოკალიზაცია შესაძლებელია სამ ფასციაღურ ზონაში: პირველი ფასციაღური მრე მღებარეობს უშუალოდ კანქველა ცხიმოვან ქსოვილში, საფეთქლის კუნთის აპონევროზამღე. მეორე ფასციაღური მრე მოთავსებულია აპონევროზსა და საფეთქლის კუნთს შორის, მესამე მრე მოთავსებულია საფეთქლის კუნთსა და საფეთქლის ძელს შორის.

კ ლ ი ნ ი კ ა . კლინიკური სურათი დამოკიდებულია პათოლოგიური პროცესის ღოკალიზაციაზე. ზელაპირულად განლაგებული ჩირქგროვის ღროს ავადმყოფი აღნიშნავს ზომიერად გამობაგულ გკივილს, რბილი ქსოვილების მეშუქებას ყერიმალის რკალის ზეით. აღნიშნება ასიმეტრია, პალპაციით ფლუქტუაცია და ზომიერად გამობაგული გკივილი. კოლაგერალური მეშუქება მკვეთრად გამობაგული არ არის.

ღრმად მღებარე ფლეგმონის ღროს გკივილი უფრო გამობაგულია, ძლიერი და მემაწუხებულია. კანის ასიმეტრია დასაწყისში არ არის, მაგრამ აღვლი აქვს პირის გალების შეზღუდვას, რომელიც თანდათან პროგრესირებს, მოგვიანებით გამოქლავნდება საფეთქლის არეს მეშუქება, ფლუქტუაცია არ შეიგრძნება. ფლეგმონის მეორე ფასციაღურ მრეში მღებარეობის ღროს ანთებად ინფილტრატს შეიძლება ქონღეს სილის საათის ფორმა. მესამე ფასციაღურ მრეში ფლეგმონის ღოკალიზაციის შემთხვევაში კოლაგერალური მეშუქება მღდარებით ნაკლებად არის გამობაგული, მაგრამ მკვეთრად არის წარმოდგენილი ანთებადი კონტრაქტურა. ღრმად მღებარე ფლეგმონები კლინიკურად მძიმელ მიმღინარეობს.

ღ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი ღ ი ა გ ნ ო ზ ი უნდა გაეაგაროთ საფეთქელქველა და ფრთა-სასის ფლეგმონებთან. ყველა ამ ფლეგმონებისათვის დამახასიათებელია მღდარებით შემოფარგლული ანთებადი ინფილტრატი. ფრთა-სასისა და საფეთქელქველა ფლეგმონები ძირითადათ ვითარღება ოღონტოგენური გზით. ე. ი. არის მიზეზობრივი კბილი, საფეთქლის ფლეგმონა კი ვითარღება მეორადათ ინფექციის გაერცობის გზით. საფეთქელქველა ფრთა-სასის ფლეგმონების ღროს პირის ღრუდან ღორწოვანი გარსი პიპერემიულია, პალპაციით მტკიენეულია. საფეთქლის ფლეგმონის ღროს პირის ღრუში ღორწოვანი გარსი უცელელია.

მკურნალობა. ზედაპირული ფლეგმონის დროს გაეკეთა კანს და გაეხსნით კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს, განაკეთეს ვაგირები ან რალიალური ფორმის ან ნახევარ რკალისებური. განაკეთი უნდა იყოს საკმაო სიღღის, ჩირქის ღრენირებისათვის. ღრმად მღებარე ფლეგმონების შემთხვევაში შეიძლება ვაგაგაროთ ყვრიმალის რკალის პარალელური განაკეთი. განაკეთები უნდა შევეართოთ საწინააღმდეგო მხრიდან ჩირქის უკეთ ღრენირებისათვის. ჭრილობაში ეტოვებთ პოლიეთილენის მიღებს, ჭრილობას გამოვრეცხავთ და ავადმყოფს ეუნიშნავთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობის კომპლექსს.

საფეთქელქვედა და ფრთასასის არეს ფლეგმონა

ინფექციის გავრცელების წყაროა ზედა მეშვიდე-მერვე კბილი განგრენული პულპით, ან მფარავი კანის დაზიანება საფეთქელქვედა ფლეგმონისათვის, ხოლო ფრთა-სასის ფლეგმონისათვის გუბერული ანესთეზიის გაგარების დროს აღნიშნული არეს ინფიცირება. ინფიცირება შეიძლება მოხდეს განერცობის გზითაც.

საფეთქელქვედა ფოსოს საზღერებია: ზედა-ძირითადი ძელის დიდი ფრთის საფეთქლის ზედაპირი, წინა-ზედაყბის ბორცი, გარეთა-ქვედა ყბის ტოტი, შიგნითა-ძირითადი ძელის ფრთისებრი მორჩის ლატერალური ფირფიგა. საფეთქელქვედა ფოსო მოთავსებულია ქალას ფუძეზე და გამოყოფილია საფეთქლის არესაგან საფეთქელქვედა ქელით.

საფეთქელქვედა ფოსოს შიგნით მოთავსებულია ფრთა-სასის ფოსო. ფრთა-სასის ფოსოს საზღერებია: წინა-ზედა ყბის სხეულის საფეთქელ-ქვედა ზედაპირი, უკანა-ძირითადი ძელის დიდი ფრთის ზედა-ყბისა და თვალბუდის ზედაპირი, ქვედა-ფრთისებრი არხის შესავალი, შიგნითა სასის ძელის ვერტიკალური ფირფიგა. ფრთა სასის ფოსო ქლას ღრუს უერთდება მრგვალი ხერელის საშუალებით, ხოლო თვალბუდის ქვედა ნაპრალით ორბიგას. ამ გზებით შესაძლებელია ინფექციის ღრმად გავრცელება.

კლინიკა. დაავადებას ახასიათებს ძლიერ გამოხატული ტკივილი, რომელიც ვრცელდება საფეთქლისა და თვალბუდის არეში. საფეთქლის არეს ქვედა ნაწილში აღინიშნება ანთებადი ინფილტრაცი – რბილი ქსოვილების შემუქება, შეიძლება ქონდეს სილის საათის ფორმა. ადგილი აქვს კოლაგერალურ შემუქებას ლოყისა და თვალბუდის ქვედა არეში. მფარავი კანი თითქმის უცვლელია. გამოხატულია ანთებადი კონტრაქტურა – ტრიმში. პირის კარიბჭის ლორწოვანი შესაბამის მხარეზე კიპერემიულია, მტკივნეულია. ავადმყოფის მღგომარეობა საშუალო სიმძიმის ან მძიმეა, ავადმყოფს აქვს შემცივნება, მაღალი ტემპერატურა. პალპაციით აღიქმება ტკივილი და ინფილტრაცი.

დიფერენციული დიაგნოზი უნდა გაეატაროს საფეთქლის ფოსოს, თვალბუდის არეს ფლეგმონებთან. ამნოზოლოგიისა და საფეთქლის ფოსოს ფლეგმონის საერთო ნიშნებია: თვალბუდის არის შეშუპება, თვალის ქუთუთოების შეშუპება და თვალის ნაპრალის შევიწროება, თვალბუდე-ყვრიმალის არეს რბილი ქსოვილების შეშუპება, პირის გაღების შეშუპება.

განმასხეავებელი ნიშნებია: საფეთქელქედა და ფრთა-სასის ფოსოს ფლეგმონის დროს დააეაღების გამომწვევი მიზეზია ზედა ყბის საღეჭი კბილების-მოღარების დააეაღება, საფეთქლის ფოსოს ფლეგმონის შემთხვევაში ანთებადი ინფილტრაციის გავრცელება ხდება სხვა არედან, გარდამაეაღი ნაოჭი ინფილტრირებული არ არის. საფეთქლის არეს ფლეგმონის დროს ეგზოფთალმი არასოდეს არ არის, მამინ როდესაც საფეთქელქედა და ფრთა-სასის ფოსოს ფლეგმონის შემთხვევაში ზოგჯერ აღგილი აქვს ეგზოფთალმი.

მკურნალობა. ფლეგმონის გახსნა გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს მისი გოპოგრაფიული ანაგომიის გამო. ფრთა-სასის ფლეგმონის გახსნა შეიძლება პირის კარიბჭის მხრიდან ზედა ყბის ბორცვის მიმართულებით. განაკვეთს (სათანადო გაუკტიეარების შემდეგ) ეატარებთ გარდამაეაღ ნაოჭზე, ლორწოვანი გარსის გაკვეთის შემდეგ ბლაგეად გაეთიშავთ რბილ ქსოვილებს და შეეღივართ ფრთა-სასის ფოსოში, ჩირქოვანი მასის მიღების შემდეგ გამოერეცხავთ ანგისეპტიკური ხსნარებით და ჭრილობაში შევიგანთ პოლიეთილენის მიღს, რომელსაც ვამაგრებთ კბილებზე ან ლოყის რბილ ქსოვილებზე. საფეთქელქედა ფლეგმონის გახსნა შეიძლება კანის მხრიდან. საფეთქლის კუნთის წინა კიღესთან გაეკვეთავთ კანს, კანქვეშა ქსოვილს და ბლაგეად გაეხსნით კუნთის ბოჭკოებს და სისხლძარღვის ღამჭერს მიემართავთ საფეთქლის ძელისაკენ. ჭრილობაში შევიგანთ გამომგანს. ზოგჯერ საფეთქელქედა და ფრთა-სასის ფოსოს ფლეგმონის გახსნის მიზნით მიემართავთ ყვრიმალის რკალის რეზექციას, რის შემდეგ შეეღივართ ფრთა-სასის ფოსოში. აეადმყოფს ეუნინნავთ ანთების საწინაღმდეგო მკურნალობის კომპლექსს.

პროგნოზი: მკურნალობის დროულად და სათანადო ღონეზე ჩატარების შემთხვევაში — კეთილსაიშედო. მოსალოდნელია გართულება: სისხლძარღვთა თრომბოზი, სეფსისი და სხვა.

ყბა-ყურა არეს ფლეგმონა

ინფექციის გავრცელება ხდება ოღონგოგენური გზით მესამე მოღარების დააეაღების შემთხვევაში, ან ყბა-ყურა სანერწყვე ჯირკელის ჩირქოვანი ანთებით, ან ლოყის კანის საფარის ღამიანებით, მეზობელი ორგანობის ღამიანებით, განერცობის და სხვა გზით.

ყბა-ყურა სალექი არეს გომოგრაფიულ-ანატომიური საზღვრებია: ზედა-ყვრიშალის ძელისა და რკალის ქვედა კიდე; ქვედა-ქვედა ყბის სხეულის ქვედა კიდე, წინა-სალექი კუნთის წინა კიდე; უკანა-ქვედა ყბის გოგის უკანა კიდე. ამ არეში ვარჩევთ მკრეულად ღრმად მდებარე ფლევმონებს. ზერელეს განვიკოვჩუხბა ის ფლევმონები, რომლებიც მოთაესებულია კანსა და ყბა-ყურა სანიერწყვე ჯირკელის ფასციას შორის; ღრმას კი, ფლევმონები, რომლებიც ლოკალიზდება ქვედა ყბის გოგსა და სალექი კუნთის ბოჭკოებს შორის ან თვით ყბა-ყურა სანიერწყვე ჯირკელის პანიერქიმასა და მის ირგვლიე მიმდებარე რბილ ქსოვილებში.

ყბა-ყურა სალექ არეში მოთაესებულია: ყბა-ყურა სანერწყვე ჯირკეალი, სანერწყვე ჯირკელის სადინარი, სახის ნერვის გოტები, არტერიული და ვენური სისხლძარღვები, სალექი კუნთი, ქვედა ყბის გოტი.

კლინიკა. დაავადებას ახასიათებს ძლიერ გამოხატული ტკივილი, სახის ასიმეტრია რბილი ქსოვილების შეშუპების გამო. ანთებადი ინფილტრაცი ვრცელდება ლოყის რბილ ქსოვილებზე. მფარავეი კანი დაჭიმულია, დაავადების დასაწყის ფაზაში უცელელი, მოგვიანებით ადგილი აქეს პიქერემიას. ზედაპირულად განლაგებული ფლევმონის შემთხვევაში აღინიშნება ფლუქტუაცია. პირის გაღება შეზღუდულია (ტრიზმი II-III ხარისხის). გაძნელებულია ღეჭვის, ყლაპვის ფუნქცია. ლოყის ლორწოვანი გარსი შეშუპებულია და მასზე ჩანს კბილების გვირგვინების ანაბეჭდი. დაავადება მიმდინარეობს მაღალი ტემპერატურით. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა დამძიმებულია.

დიფერენციული დიაგნოზი უნდა გავატაროთ ჩირქოვან პაროტიტთან, ლოყის ფლევმონასთან. საერთო ნიშნებია: სახის ასიმეტრია, ტკივილი, რბილი ქსოვილების შეშუპება, მაღალი ტემპერატურა. განმასხვავებელია: ჩირქოვანი პაროტიტის შემთხვევაში ანთებადი პროცესი ლოკალიზდება ჯირკელის ფასციის შიგნით, პარენქიმაში; ანთება შედარებით შემოსაზღვრულია, სტენონის სადინარიდან გამოიყოფა ჩირქოვანი მასა. ლოყის ფლევმონის დროს ანთებადი პროცესი ლოკალიზდება შედარებით ზედაპირულად კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილში, ქვედა ყბის მოძრაობა ან არ არის შემზღუდული ან მცირედ არის გამოხატული. სტენონის სადინარიდან გამოიყოფა სუფთა ნერწყვი.

მკურნალობა. ზედაპირულად განლაგებული ფლევმონების შემთხვევაში განაკვეთს ვატარებთ გარედან ყბა-ყურა ჯირკელის არეში. განაკვეთის ვატარების წინ უნდა გავითვალისწინოთ სახის ნერვის გოტების გომოგრაფია. სათანადო ვატუკივარების შემდეგ ვაკვეთათ კანს, კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს, შემდეგ ფრთხილად ვაგეხსნით ყბა-ყურა ჯირკელის საკუთარ ფასციას და სისხლძარღვის დამჭერით ფრთხილად ვაგეხსნით ჩირქგროვას.

ღრმად მდებარე ფლევმონების დროს, როდესაც ჩირქოვანი მასა მოთაესებულია სალექ კუნთსა და ქვედა ყბის გოტს შორის, ვატარებთ

განაკვეთს ქვედა ყბის კუთხიდან 2-2,5 სმ-ის დაშორებით 4-6 სმ სიგრძის, გაკვეთავთ კანს, კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს, გაეხსნით კისრის ზერეულ ფასციას და ბლაგვად მივალთ ქვედა ყბის ძელის კუთხესთან, ავაშირევეთ რბილ ქსოვილს, გადაეკვეთავთ 1-1,5 სმ. სიგრძეზე საღებუ კუნთის მყესებს და შევლივართ სისხლძარღვის დამჭერით საღებუ კუნთის ბოჭკოებსა და ქვედა ყბის გოგს შორის, ეხსნით ჩირქგროვას და შევიგანთ ღრენაეის მილს. ავაღმყოფს ეუნიშნავთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობის კომპლექსს.

პ რ ო გ ნ ო ზ ი . ღროული და ეფექტური მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი ყოველთვის კეთილსაიმელოა.

ქვედაყბისქვეშა არეს ფლეგმონა

ამ რეგიონში ჩირქოვანი ანთებადი პროცესი ძირითადად ვრცელდება ორი გზით: ოღონტოგენური და ლიმფოგენური. პირველს წარმოადგენს დაზიანებული მოლარები, უფრო იშვიათად პრემოლარები. ლიმფოგენური გზა წარმოადგენილია პირის ღრუში, ყბა-ენის ღარის არეში არსებული პათოლოგიური პროცესების ლიმფოგენური გზით ყბისქვეშა ლიმფური კვანძების ანთებით, ხოლო შემდგომში ჩირქოვანი პროცესის ირგვლივ მდებარე ფაშარშემავრთებელ ქსოვილში გავრცელებით.

ყბისქვეშა არეს საზღვრებია: ზედა შიგნითა-ენა-ინის კუნთის ბოჭკოები; ქვედა წინა-ორმუცელა კუნთის წინა ბოჭკოები; გარეთა-ქვედა ყბის სხეულის შიგნითა ზედაპირი; ქვედა უკანა-ორმუცელა კუნთის უკანა ბოჭკოები.

ქვედა ყბის ამ სამკუთხედში მოთავსებულია შემდეგი ანატომიური წარმონაქმნები: ყბისქვეშა სანერწყვე ჯირკვალი, ენისქვეშა ნერვი, სახის არტერია და ვენა, ლიმფური კვანძები. ეს არე მდიდარია ფაშარი შემავრთებელი ქსოვილით.

კ ლ ი ნ ი კ ა . დაავადებას ახასიათებს გამოხატული ტკივილი, რომელიც ძლიერდება ღებვის, ლაპარაკის, ყლაპვის დროს. სხეულის ტემპერატურა მომატებულია (38° - 39°), აღინიშნება საერთო სისუსტე. რბილი ქსოვილების შემუქების გამო სახე ასიმეტრიულია, მფარავი კანი დაჭიმულია. ჩირქგროვის ზედაპირულად განლაგების შემთხვევაში აღიქმება ფლუქტუაცია. კანი პიპერემიულია. პირის ღრუში დაზიანების მხარეზე ლორწოვანი გარსი შემუქებულია, პიპერემიულია.

დიფერენციულ დიაგნოზს ვაგარებთ ქვედა ყბის გრავმულ ოსტეომიელიტთან, ყბისქვეშა სანერწყვე ჯირკვლის ანთებასთან. საერთო ნიშნებია: ტკივილი, სხეულის ტემპერატურის მომატება, სახის ასიმეტრია, ღებვის ფუნქციის მოშლა.

გრავმული ოსტეომიელიტის დამახასიათებელი ნიშნებია: ქვედა ყბის

გრაემული დაზიანება (მოტეხილობა) და ინფექციის შეჭრა მოტეხილობის ხაზიდან, რენტგენოლოგიურად აღინიშნება ქვედა ყბის მოტეხილობა.

სანერწყვე ჯირკელის ანთებისათვის დამახასიათებელია ანთებადი პროცესის ნელი, თანმიმდევრული განვითარება, ტკივილი საკეების მიღების დროს, ჯირკელის სადინარიდან ჩირქნარევი ნერწყვის გამოყოფა, მიზეზობრივი დაზიანებული კბილი არ აღინიშნება.

მკურნალობა. გაუტეხარებაზე საჭიროა მოვებნოთ ქვედა ყბის კუთხის საპროექციო არე და მოვნიშნოთ მეთილენის ხსნარით, ასევე მოვებნოთ ქვედა ყბის ქვედა კიდის საპროექციო არეს და მოვნიშნავთ მას. ამ ხაზიდან 2,5 სმ. ქვემოთ აღენიშნავთ განაკვეთის გატარების ადგილს. სათანადო გაუტეხარების შემდეგ გაეკეთავეთ 4-6 სმ სიგრძეზე კანს, კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს, მოვებნოთ კისრის ბერეღე ფასციას, ავიღებთ მას სისხლძარღვის ორი დამჭერით და მათ შორის გაეკეთავეთ. განაკვეთის ვაფართოებთ ჭრილობის მთელ სიგრძეზე. ქვეშ მდებარე ფაშარ შემავრთებელ ქსოვილს ბლაგვად გავთიშავთ ან სისხლძარღვის დამჭერით (უკბილო!), ან თითოთ, რემინის სტერილური ხელთათმანის გამოყენებით. გავხსნით ჩირქგროვას და ჭრილობას გამოვრეტხავთ. ჭრილობაში შევიტანთ პოლიეთილენის მილს. ავადმყოფს ეუნიშნავთ ანთების საწინააღმდეგო კომპლექსურ მკურნალობას.

პროგნოზი. დროულად და სრული მოცულობით ჩატარებული ქირურგიულ-მედიკამენტური მკურნალობის შემდეგ პროგნოზი კეთილსაიმედოა.

მოსალოდნელია ჩირქგროვის გავრცელება ფასციალური შრეებით შუასაყარისაკენ და მედიასტინიტის ჩამოყალიბება.

ენის ფლეგმონა

ენა ძირითადად წარმოდგენილია კუნთოვანი ქსოვილით, ღარიბია ფაშარი შემავრთებელი ქსოვილისაგან. ფაშარი შემავრთებელი ქსოვილი ძირითადად მოთავსებულია ენის ძირის არეში. ჩირქოვანი პროცესი ვრცელდება ენის კუნთების ფასციათაშორის სივრცეში.

ანთებადი ინფექციის გავრცელება შეიძლება ოღონტოგენური, სტომატოგენური, ტონზილოგენური გზებით და უშუალოდ ენის ქსოვილის დაინფიცირებით.

კლინიკა. დაავადებას ახასიათებს ძლიერ გამოხატული ტკივილი, რომელიც ძლიერდება ენის მოძრაობის, ლაპარაკის, ლეჭვის დროს. მოშლილია ლეჭვისა და ლაპარაკის ფუნქცია, ყლაპვა გაძნელებულია. ენა შეშუპებულია, გვერდით მელაპირებზე აღინიშნება საღებუ კბილების ანაბეჭდი. ავადმყოფს პირი ნახეერად ღია აქვს. სუნთქვა გაძნელებულია,

ყბისქეშა ლიმურე კეანძე გალიდებულია, მტკივნეულია.

დიფერენციული დიაგნოზი უნდა გაეგაროთ ენის აბსცესთან, მაკროგლოსიასთან. დაავადების საერთო ნიშნებია ენის გადიდება, ლექვის და მეტყველების ფუნქციის მოშლა. ენის აბსცესის დროს ჩირქგროვა შემოფარგლულია და ენის ნორმალური მოცულობის ერთი მეოთხედი – ერთი მეხუთედი უკავია, ენის დანარჩენი ნაწილი ნორმის ფარგლებშია.

მაკროგლოსია ხასიათდება ენის ქსოვილის გადიდებით, ენის გვერდით ზედაპირზე აღინიშნება კბილების ანაბეჭდი, მაგრამ ენის ქსოვილში გამოხატული ანთებადი ინფილტრატი არ არის, ენა შედარებით მობილურია, მოძრავია. ანაბეჭდით კი ვარკვეთ, რომ ენა დიდი ხანია გადიდებულია. არა აქვს ტკივილი.

მკურნალობა. ენის ფლეგმონის გაკეთის დროს უნდა გაეითვალისწინოთ ენის ქირურგიული ანაგოზია. ენის სისქეში მდებარეობს ენის ღრმა არტერიები (მარჯვენა და მარცხენა, რომლებიც ენის სისქეში შედიან ენის ძირის არეში და ენის გვერდითი ზედაპირის პარალელურად მიემართებიან ენის წვერისაკენ). მათ შორის არის კარგად განვითარებული არტერიული ანასტომოზური ქსელი. აქედან გამომდინარე ენაზე განაკეთი უნდა გაეგაროთ ენის გვერდითი კედლის პარალელურად – გასწვრივ და არა გარდიგარდმო, რათა თავიდან აეცილოთ ენის ღრმა არტერიის დაზიანება და ძლიერი სისხლდენა. უმჯობესია განაკეთი 2-3 სმ სიგრძის გაეგაროთ ენის შუა ხაზთან ახლოს, აქ შედარებით მცირეა სისხლძარღვები. ჩირქგროვის გახსნის შემდეგ ავადმყოფს ეუნიშნაეთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობას.

პროგნოზი: დაავადების დროულად დაწყებული მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი კეთილსაიმედოა. ჩირქგროვის ირგვლივ მდებარე ქსოვილებში გავრცელების შემთხვევაში მოსალოდნელია სერიოზული გართულება – სასუნთქი გზების შევიწროება, ასფიქსიის განვითარება და სხვა.

ენისქეშა არეს ფლეგმონა

ინფექციის გავრცელების გზებია მცირე და დიდი საღეჭი კბილების დაავადება, ჩირქოვანი ანთებადი პროცესი ენისქეშა არეში.

ენისქეშა არეს საზღვრებია: ქვედა-ენა-ინის კუნთი, ზედა-პირის ღრუს ფსკერის ლორწოვანი გარსი; გარეთა-ქვედა ყბის სხეულის შიგნითა ზედაპირი, შიგნითა-ნიკაპ-ენის და ნიკაპ-ინის კუნთები.

კლინიკა. დაავადებისათვის დამახასიათებელია გამოხატული ტკივილი, რომელიც ძლიერება ენის მოძრაობის დროს, ქვედა ყბის მოძრაობა შემლუღულია. პირი ნახეკრად ღიაა, ენისქეშა არე შემუშპებულია, ენა აწეულია ზევით და თითქმის ებეინება სასას. მოშლილია ლექვის, ყლაპის და მეტყველების

ფუნქცია. ლორწოვანი გარსი კიპერემიულია, პირის ღრუდან შეიგრძნობა ცული სუნი. სხეულის ტემპერატურა მომატებულია.

დი ფერენციული დიაგნოზი უნდა გაეატაროთ ენის ფლეგმონასთან, პირის ღრუს ფსკერის ფლეგმონასთან.

საერთო ნიშნებია: რბილი ქსოვილების შეშუპება, ლეჭვის, ყლაპვის, მეტყველების ფუნქციის მოშლა. ენის ფლეგმონის ღროს ჩირქოვანი ანთებითი პროცესი ლოკალიზდება ძირითადად ენის კუნთებს შორის სიერცეში, კოლაგერალური შეშუპება ნაკლებად არის გამოხატული.

პირის ღრუს ფსკერის ფლეგმონის შემთხვევაში ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა, ჩირქოვანი პროცესი ლოკალიზდება პირის ღრუს ფსკერის ფაშარზე მათეობელ ქსოვილოვან სიერცეში, მკვეთრად არის გაოხატული კოლაგერალური შეშუპება, შეშუპება ვრცელდება ნიკაპქევა და ყბისქევა არეზე, ყლაპვა ძალზე გაძნელებულია. ინტოქსიკაციის ფონზე აღინიშნება სხეულის მაღალი ტემპერატურა და საერთო სისუსტე.

მკურნალობა. სათანადო გაუტკივარების ფონზე ვატარებთ პირშიგნითა განაკეეთს, გაკვეთათ ლორწოვან გარსს და შემდეგ ბლაგვად გახსნით ჩირქროვას, კრილობას გამოვრეცხათ და ავადმყოფს ეუნიშნავთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობას.

პროგნოზი. დროულად და სრულყოფილად ჩატარებული მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი კეთილსაიმედოა.

არასწორი მკურნალობისა და დაგვიანებულ შემთხვევაში მოსალოდნელია გართულება, პირის ღრუს ფსკერის ფლეგმონა, ჩირქის გავრცელება ფასციალური შრეებით, სასუნთქი გზების სტენოზი და სხვა.

პირის ღრუს ფსკერის ფლეგმონა

პირის ღრუს ფსკერი მდიდარია ფაშარი შემაერთებული ქსოვილით და ანთებადი პროცესი ამ არეში ღებულობს განერცობილ ხასიათს.

ინფექცია ვრცელდება როგორც ოღონტოგენური გზით, ისე პირის ღრუში არსებული პათოლოგიური პროცესებით.

პირის ღრუს ფსკერი პირობითად გაყოფილია ორ სართულად პირის ღრუს ღიაფრაგმით (ყბა-ინის კუნთი).

პირის ღრუს ფსკერის საზღვრებია: ზედა-ენისქევა ლორწოვანი გარსი; ქვედა – ნიკაპქევა და ყბისქევა არეს მფარავი კანი; წინა გარეთა – ენისქევა ზედაპირი, უკანა წარმოდგენილია კუნთებით – სადგის ინის, სადგის-ენის, სადგის-ხახის და ორმუცელა კუნთის უკანა მუცლით.

პირის ღიაფრაგმის ზევით ლორწოვანი გარსის ქვეშ მოთავსებულია ნიკაპ-ენის დანიკაპ-ინის წყვილი კუნთები, ენისქევა სანერწყვე ჯირკვლები,

წერილი სანერწყვეთი ჯირკვლები, ნერვები და სისხლძარღვები. პირის ღია-აფრაგმის ქვევით მოთავსებულია ყბისქვეშა სანერწყვეთი ჯირკვლები, ლიმფური კვანძები, სისხლძარღვები და ნერვები.

კ ღ ი ნ ი კ ა . დაავადება სასიათღებო სხეულის მაღალი გემპერაგურით, მაჯის ანქარებით, საერთო სისუსტით, უმადობით, ზოგჯერ შემცივნებით. ავადმყოფი უჩივის ძლიერ ტკივილს, პირის გაღების შემზღუდავს, ყლაპვის გაძნელებას, ღებვის, მეტყველებისა და სუნთქვის ფუნქციის მოშლას. ადგილი აქვს სახის მკაფიოლ გამოხატულ ასიმეტრიას, ნიკაპქეშა და ქვედა ყბის ქვეშა ორივე მხარე შემუშაებულია. აღინიშნება მომკვრივო კონსისტენციის ინფილტრაცი მფარავე კანი ფერმკრთალია. პირი ნახევრად ღიაა, ენა აწეულია ზევით, პირის ღრუში ცუდი სუნია, ენა გადიდებულია, დაფარულია ნაღებით, გვერდით ზედაპირზე მოჩანს კბილების ანაბეჭდები. ენის მოძრაობა მკვეთრად შემზღუდაულია.

ღ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ დ ი ა გ ნ ო ს ტ ი კ ა ს ეატარებთ ენის ფლეგმონასთან, ენისქვეშა არესა და ლუდოვიკოს ანგინასთან (პირის ღრუს ნეკროზულ-ანაერობული ფლეგმონა).

საერთო ნიშნები: ენის ქსოვილების შემუშება, ნახევრად გაღებული პირი, ღებვის, ყლაპვის ფუნქციის მოშლა, მეტყველების გაუარესება, სხეულის გემპერაგურის მომაგება, სახის ასიმეტრია.

ენის ფლეგმონის დროს ჩირქოვანი ანთებადი პროცესი ძირითადად ლოკალიზებულია ენის კუნთთა შორის ფასციულურ შრეებში, კოლაგერალური შემუშება ენის ირგვლივ ნაკლებად არის გამოხატული.

ენისქვეშა არეს ფლეგმონის ღიფერენცირება პირის ღრუს ფსკერის ფლეგმონასთან გარკვეულად ძნელია, რადგან ჩირქოვანი ანთებადი პროცესის ლოკალიზაცია ისეთივე ზონაშია, როგორც პირის ღრუს ფსკერის ფლეგმონის დროს. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ პირის ღრუს ფსკერის ფლეგმონის დროს პათოლოგიური პროცესი უფრო გავრცელებულია, ორმხრივია და ავადმყოფის მდგომარეობა უფრო მძიმე.

ლუდოვიკოს ანგინის დროს ავადმყოფის მდგომარეობა ძალზე მძიმეა. სუნთქვა გაძნელებული, აღინიშნება კანის საფარის ციანობი, ძლიერ გამოხატული სისუსტე, მაღალი სეპტიკური გემპერაგურა, ინტოქსიკაციის მოვლენები, მოსალოდნელია ასფიქსია რბილი ქსოვილების შემუშების ხარჯზე. ავადმყოფის მდგომარეობა პროგრესულად მძიმდება. დიდი ცვლილებებია სისხლში (ლეიკოპენია, ლიმფოპენია, ლეიკოციტური ფორმულის მარცხნივ გადახრა, მომაგებულია ელს (60-70 მმ საათში). განაკვეთის გატარების შემდეგ ჩირქოვანი მასა ან არ არის, ან ძალზე მცირე რაოდენობითაა (შეუსაბამობა დაავადების სიმძიმესა და ჩირქოვან მასას შორის). გამოიყოფა სორცის გარეცხვის დროს მიღებული ფერადი სითხე, ზოგჯერ აირის ბუშტუკებით, მყარალი სუნით. ადგილი აქვს რბილი ქსოვილის უბნობრივ ნეკროზს.

მკურნალობა. სათანადო გაუტყვივარების შემდეგ ვატარებთ პირგარეთა განაკვეთს ყბის ქვეშა არეში ორივე მხარეზე, გავკვეთავენ კანს, კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს და გაეხსნით კისრის ზერეულ ფასციას, ამის შემდეგ თითოთ, სისხლძარღვის დამჭერით (უკბილო!) ბლაგვად ვავითმავთ ღრმად მდებარე ქსოვილებს და ვაეხსნით ჩირქვროვას. განაკვეთს ვატარებთ ქვედა ყბის ქვედა კიდედან 2-2,5 სმ. ქვევით, რომ არ დაეაზიანოთ სახის ნერვის ქვედა კილოვანი ტოტი. დამატებით პირშიგნითა განაკვეთს ვატარებთ იმ შემთხვევაში თუ ჩირქვროვა ისინჯება ლორწოვანი გარსის ქვეშ. ზოგიერთი აეგორი მიუთითებს საყვლოსმაგვარი განაკვეთის უპირატესობაზე, რაც ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში არ არის მიზანშეწონილი (საყვლოსმაგვარი განაკვეთის ვატარება უფრო მისაღებია პირის ღრუს ანაერობული (ლულოვიკოს) ფლეგმონის დროს). ჭრილობები უნდა გამოვრეცხოთ ანტისეპტიკური ხსნარებით და ჭრილობაში ჩავტოვოთ პოლიეთილენის მილები ჩირქოვანი მასის დრენირებისათვის, დაავადების გამომწვევი მიზეზი (კბილი) უნდა მოვამოროთ.

ავალმყოფს ვუნიშნავთ ანოების საწინააღმდეგო კომპლექსურ მკურნალობას.

პროგნოზი: დაავადების დროული და მიზნობრივი მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი კეთილსაიმედოა, მოსალოდნელია გართულება-სეფსისი, მელიასტინიტი.

ფრთისებრ-ქვედა ყბის არეს ფლეგმონა

ფრთისებრ-ქვედა ყბის არე მდიდარია ფაშარი შემაერთებული ქსოვილით, რაც ხელს უწყობს ჩირქოვანი ანთებადი პროცესის სწრაფად გავრცელებას. ინფექცია ვრცელდება ქვედა მესამე მოლარების დაავადების შედეგად, გამტარებლობითი ანესთეზიის გზით, ახლო მდებარე ქსოვილებიდან – ნეშურა ჯირკვლების დაავადების შედეგად, ენის ძირიდან, პირის ღრუს ფსკერიდან.

ფრთისებრ-ქვედა ყბის არეს საზღვრებია: წინა-ლოყის კუნთის მიმაგრების ადგილი ფრთისებრ-ქვედაყბის ნაკერთან. უკანა – ნაწილობრივ ყბაყურა სანერწყვე ჯირკვალი და მედიალური ფრთისებრი კუნთი; გარეთა-ქვედა ყბის ტოტის შიგნითა ზელაპირი და საფეთქლის კუნთის ქვედა ნაწილი; შიგნითა-მედიალური ფრთისებრი კუნთი; ზელა-ლაგერალური ფრთისებრი კუნთი.

კლინიკა. დაავადებისათვის დამახასიათებელია ძლიერ გამოხატული ტკივილი, პათოლოგიური პროცესი სწრაფად პროგრესირებს, წარმოიქმნება ანთებადი ინფილტრატი ქვედა ყბის კუთხის არეში, ლიმფური კვანძები

გაღიღებულ და მტკივნეულია. პირის გაღება გაძნელებული კრიზის მიუკერის გამო პირის ღრუს დათვალიერება შეუძლებელია. პირის ნაწილობრივ გაღების შემდეგ აღინიშნება რეტრომოლარულ არეში ლორწოვანი გარსის შემუქება, ანთებადი ინფილტრატი, ანთებადი პროცესი შეიძლება გაერეულდეს ხახის გვერდით კელაღზე, ყლაპვა მტკივნეულია და გაძნელებული. სხეულის ტემპერატურა მომატებულია (39° და მეტი), აღინიშნება ცელილებები სისხლში – ნეიტროფილური ლეიკოციტოზი, ელს მომატებულია. შეიძლება ადგილი ქონდეს შემცივნებას, ინტოქსიკაციის მოვლენებს. ჩირქოვანი პროცესი შეიძლება გაერეულდეს ხახის ირგვლივ არეში.

ღ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ დ ი ა გ ნ ო ზ ს ვ ა გ ა რ ე ბ თ : მესამე მოლარის გაძნელებულ ამოჭრასთან, რეტრომოლარულ პერიოსტიტთან, ხახის გვერდით ფლეგმონასთან, ტრავმულ ოსტეომიელიტთან.

ამ დაავადებათა საერთო ნიშნებია: ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვა, ლეჭვის გაძნელება, ყლაპვის ღროს ტკივილი.

მესამე მოლარის გაძნელებული ამოჭრის შემთხვევაში პათოლოგიური პროცესი ვითარდება თანდათან, დასაწყისში ტკივილია, შემდეგ ადგილი აქვს ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვას, რენტგენოლოგიურად და კლინიკურად მესამე მოლარი ამოჭრილი არ არის, ადგილი აქვს ნაწილობრივ ან მთლიან რეტენციას. ლორწოვანი რეტრომოლარულ არეში პიპერემიულია, ლორწოვანი ქსოვილის ჯიბიდან გამოიყოფა ჩირქოვანი მასა. კოლაგერალური შემუქება გამოხატული არ არის, ან სუსტად არის წარმოდგენილი.

რეტრომოლარული პერიოსტიტი უფრო ხშირად მესამე მოლარის გაძნელებული ამოჭრის გართულებაა, არის ყბის მოძრაობის შეზღუდვა ლეჭვის და ყლაპვის გაძნელება, კოლაგერალური შემუქება გამოხატულია რეტრომოლარულ და ქვედა ყბის კუთხის არეში.

ხახის გვერდითი ფლეგმონა უფრო ხშირად ვითარდება ნუმურა ჯირკვლების ანთების შედეგად. ხახის გვერდითი კელელი გამოზურკულია, ხახის შესავალი შევიწროებული, სუნთქვა და ყლაპვა გაძნელებული. გარეთა კოლაგერალური შემუქება ან არ არის ან ძალიან სუსტად არის გამოხატული.

ტრავმული ოსტეომიელიტის განვითარებას წინ უძღვის ქვედა ყბის ტრავმა, რენტგენოლოგიურად ქვედა ყბა მოტეხილია კუთხის არეში. კოლაგერალური შემუქება გამოწვეულია მოტეხილობის არეში ინფექციის შეჭრით.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა : სათანადო გაუტკივარების შემდეგ ფლეგმონა შეიძლება გაუხსნათ პირშიგნითა განაკვეთით. პირშიგნითა განაკვეთს ვაგარებთ ფრთა-ქვედა ყბის ნაოჭის არეში, ქვედა ყბის გოტის მიმართულებით, ლორწოვანის გაკვეთის შემდეგ სისხლძარღვის დამჭერით ბლაგვად გაეთიშეთ რბილ ქსოვილებს და გაუხსნით ჩირქგროვას. ამ გზით ხშირად არ ხერხდება ჩირქგროვის სრულყოფილი გახსნა, ამიტომ მიემართაეთ პირგარეთა გაკვე-

ოას. ქვედა ყბის კუთხიდან 2 სმ-ის დაშორებით ვაგარებში ნახევარ კალოვან განაკვეთს, გაეკეთავეთ კანს, კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს და გაეხსნით პლატიზმას. მოვებნით ქვედა ყბის კუთხეს და გაეხსნით შიგნითა მხარეს და ბლაგვად შეუღივართ ქვედა ყბის ტოგის შიგნით ფროისებრ არეში ჩირქგროვის სრულყოფილად გახსნამდე. ვაშორებთ გამოიწვევ მიზეზს და ავალმყოფს უნიშნავით ანთების საწინააღმდეგო კომპლექსურ მკურნალობას.

პ რ ო გ ნ ო ზ ი . - დროული და სრულყოფილი მკურნალობის შემთხვევაში პროცნოზი კეთილსაიმედოა. მოსალოდნელია ჩირქოვანი პროცესის გავრცელება ხახის გვერდით კელეზზე; კისრის არეში, შუასაყარში.

ხახის გვერდითი კელის ფლეგმონა

ხახა პირის ღრუს მეზობელი ორგანოა და აქ მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ინფექცია ძირითადად ვრცელდება ნუმურა ჯირკვლების მწვავე ან ქრონიკული ანთების ნიადაგზე. ოღონტოგენური გზით ინფექცია ვრცელდება ქვედა მესამე მოლარის გაძნელებული ამოჭრის ან რეგრომოლარულ არეში ჩირქოვანი ანთებადი პროცესის არსებობის შემთხვევაში. შეიძლება იყოს ჩირქის გავერცელების სხვა გზა და წყარო.

ხახის სამღერებია: შიგნითა-ხახის გვერდითი კელელი და მისი კუნთოვანი წრე, რომელიც ჭიმავს რბილ სასას. გარეთა – მეღიალური ფრთისებრი კუნთი და ყბა-ყურა ჯირკვლის ხახის ღრმა ნაწილი. წინა-მეღიალური კუნთის შიგნითა მეღაპირი და ფრთისებრ კუნთთა შორის ფასცია. უკანა – გვერდითი ფასციალური წანაზარღები ხერხემლის ფასციიდან, რომლებიც მიმართულია ხახის კუნთოვანი გარისსა კენ, ქვედა-ყბის ქვეშა სანერწყვე ჯირკვლის შიგნითა მხარე.

პარაფარინგიალური სივრცე დაკავშირებულია ყბისუკანა ფოსოსთან-ყბა-ყურა ჯირკვლის იმ ნაწილთან, რომელიც ღრმად არის შეჭრილი სადგის-ხახის აპონევროზთან. ამ არის პათოლოგიის ღროს საყურადღებოა სასის აღმავალი ვენის როლი, რომლის თრომბოზის ღროს პათოლოგიური პროცესი შეიძლება გავრცელდეს ხახის საერთო ვენაზე, გარეთა და შიგნითა საულლე ვენაზე. პარავეტებარალურ სივრცეში (ხერხემლის წინა ფასციასა და ხახის უკანა კელელს შორის) აქ მოთავსებულია ისეთი სასიცოცხლო ორგანოები, როგორცაა: შიგნითა საპილე არტერია, საულლე ვენა, თავის გვინიდან გამოშავალი IX, X, XI და XII წყვილი ნერვები.

კ ლ ი ნ ი კ ა . დაავადების დასაწყისში ავალმყოფი უჩივის ზომიერად გამოხატულ ტკივილს ყლაპვის ღროს (როგორც კაგარული ანგინის ღროს). შემდეგ ტკივილი თანდათან ძლიერდება, ყლაპვა გაძნელებულია, ავალმყოფს გამოხატული აქვს შიშის შეგრძნება, მაღალი ტემპერატურა, ცელილებები

სისლღში — ლეიკოციტოზში მარცხნივ გადახრა, მომაგებულია ელს. ყბის ქვეშა ლიმფური კეანძები შეშუპებული და მტკიენულია. ადგილი აქვს სუნთქვის გაძნელებას, თანდათან ვითარლება კრიჭის შეკერა. პირის გაღება შეზღუდულია, პალპაციით ყბის ქვეშა და ყბის უკანა არე ზომიერად შეშუპებული და მტკიენული. პირის გაღების შემდეგ (ბერშე-ღუბოვის გაუტკივარება) ხახის პირი პიპერეკიულია, ხახა ღეფორმირებული, სანათური შეეწროებულია, ხახის ლორწოვანი გარსის გამოზურცვის გამო. შეშუპება შეიძლება გაერეულეს ხახის გვერდითი კელლის მხრივ რბილი სასისაკენ. ავადმყოფის სახე იღებს ციანოზურ შეფერადებას.

ღიფერენციულ დიაგნოზს ვატარებთ ყბა-ფრთისებრ არეს ფლეგმონასთან. საერთო ნიშნებია: თავის ტკივილი, ტკივილი ყლაპვის დროს, გამოხატული ასიმეტრიის არ არსებობა, გრიზში. განმასხვავებელი ნიშნებია: ხშირად "მიმეზობრივი კბილის" არ არსებობა, ხახის კელლის გამოზურცვა და სანათურის შეეწროება, გაძნელებული სუნთქვა. ხახის გვერდითი ფლეგმონის დროს სრული გრიზში (მესამე ხარისხის) არასოდეს არ გვხვდება. ეს უფრო დამახასიათებელია ყბა-ფრთისებრი ფლეგმონისათვის.

მკურნალობა. ავადმყოფის მოგალი მღგომარეობის და დაავადების ადგილობრივი ნიშნების გათვალისწინებით ვადგენთ გაუტკივარების სახეს. იმ შემთხვევაში თუ გადაეწყვიტეთ პირშიგნითა განაკვეთის გატარება, გრიზმის მოელენების მოსახსნელად ვაკეთებთ ბერშე-ღუბოვის ანესთეზიას, ხოლო პირის სათანადო გაღების შემდეგ ინფილტრაციულ გაუტკივარებას. ამისათვის საჭიროა ავილოთ გრძელი ნემსი (8-10 სმ სიგრძის), რომელსაც კარგად ეაშაგრებთ კანიულაზე, ან ვაფიქსირებთ სტერილური მასალის საშუალებით, ნოვოკაინის ხსნარი შეგეყავს მხოლოდ ლორწოვან გარსში (2-3 მლ) და ჩირქგროვას ვხსნით ვერტიკალურ სიბრტყეში, ისე რომ ლანცეტის მჭრელი პირი მიმართულია ზევით ხოანებისაკენ, ვაკეთას ვიწყებთ ქვევიდან ზევით, ვკვეთავთ 2-3 სმ სიგრძეზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ლანცეტის წვერი არ უნდა შევიყვანოთ 0,5 სმ-ზე მეტ სიღრმეზე, რათა არ დაეაზიანოთ ღრმად მდებარე სასიცოცხლო ორგანოები. ლანცეტის მჭრელი პირი უნდა დაეფაროთ სტერილური მარლით და ღიად დაეგოვოთ მხოლოდ მისი წინა ნაწილი-წვერი (1 სმ-ის ფარგლებში). ლორწოვანი გარსის გაკვეთის შემდეგ რბილ ქსოვილებს ბლაგვად ვაეთიშავთ სისხლძარღვთა დამჭვრით. ჩირქგროვა უნდა ვავხსნათ მაქსიმალურად ჩირქოვანი მასის სრული ღრენიებისათვის. რიგ შემთხვევაში პირშიგნითა განაკვეთის გატარება შეუძლებელია და საჭირო ხდება პირგარეთა განაკვეთის გატარება.

ავადმყოფის გამოკითხვა მნიშვნელოვანი მომენტია ანამნეზის შეგროვებაში, პაციენტს ვეკითხებით თუ რას უჩივის ამჟამად, როდის შეამჩნია (ტკივილი, ხმაური, მოძრაობის შეზღუდვა) დაავადების დასაწყისი. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დაავადებას ხშირად თან ახლავს ტკივილი, რომელიც ძლიერდება ლაპარაკის, საკვების დაღებვის, ქვედა ყბის მოძრაობის დროს. მწვავე ართრიტის დროს ადგილი აქვს ტრიზმს. ქრონიკული ართრიტის დროს პირის გაღება შეზღუდულია. კუნთოვან-სახსროვანი დისფუნქციის შემთხვევაში ღებვის აქტის ხანგრძლივობა შემცირებულია, მალე ილღება. პირის გაღება შეზღუდულია აგრეთვე ართროზების, დისფუნქციის, ბრუქსიზმის დროს. ტკივილის სიმპტომი შეიძლება აღმოცენდეს კბილების პროტემირების ჩატარების პერიოდში, რაც დაკავშირებულია პირის მაქსიმალურად გაღებასთან, კბილების ხანგრძლივ დაშვებასთან, საღებუ კუნთების გადაღვანასთან. ტკივილის სიმპტომი ზოგჯერ დაკავშირებულია ავადმყოფის ფსიქიკურ დაძაბულობასთან.

ობიექტურ გამოკვლევას ვიწყებთ სახის დათვალიერებით, ყურადღებას ვამახვილებთ საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრების არეში რბილი ქსოვილების მდგომარეობაზე (შეშუპება, ასიმეტრია). ქვედა ყბის მოძრაობის დროს ყურადღებას ვაქცევთ მის ცდომას შუა ხაზიდან, ხომ არა აქვს ადგილი ზიგზაგისებრ მოძრაობას, ვაღვანთ პირის გაღების დიაპაზონს. მანძილი ცენტრალურ საჭრელ კბილებს შორის ფიზიოლოგიური ნორმის დროს 45-50 მმ-ია. 30-35 მმ-მდე პირის გაღება მიგვანიშნებს საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დაავადებაზე. ხოლო პირის გაღება 50 მმ-ზე მეტად მიუთითებს სახსრის ქვეამოვარდნილობაზე. ქვედა ყბის მოძრაობის დროს ხმაური (ტაკუნის) სახსრის არეში უფრო ხშირად გამოწვეულია უფრო უხეში სტრუქტურული ცვლილებებით და შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვა სახსრების პათოლოგიასთან.

პ ა ლ პ ა ც ი თ განესაზღვრავთ სასახსრე თავის მოძრაობის ამპლიტუ-

დას, ტკივილს, პალპაციის ჩასატარებლად საჩვენებელ თითებს ვათავსებო ყურის სარქველის არეში და აეადმყოფს ეაძლევთ წინადადებას ამომძროს ქველა ყბა ვერტიკალურ და პორიზონტალურ სიბრტყეში. საღეჭი კუნთის ტონუსს განესაზღვრავთ ორივე ხელისგულის მოთაფსებით საღეჭი კუნთის საპროექციო არეში, კბილების დაჭერით და მოღუნებით აღვიქვამთ საღეჭი კუნთის ბოჭკოების შეკუმშვის ძალას თვითმოუღ მხარებზე.

პალპაციით განესაზღვრავთ აგრეთვე სხვა დაავადებისათვის დამახასიათებელ სიმპტომურ ტკივილს. ნევრალგიის გამოსარიცხად ვიკვლევთ ვაღეს წერტილებს, ხოლო სახის არეში ტკივილის ლოკალიზაციის დაღგენის მიზნით ვიკვლევთ საფეთქლის, სახისა და თეაღბუღის არტერიის ტოტებს მათი ტოპიკური მღებარეობის გათვალისწინებით.

რენტგენოლოგიური გამოკვლევით ვაღგენთ სახსარში წარმოქმნილ უხემ სტრუქტურულ ცვლილებებს (სასახსრე ნაპრალის შევიწროება, სასახსრე თავის ღეფორმაცია და სხვა).

არსებობს გამოკვლევის სხვა მეთოდები (გრაფიკული), რომლებსაც შეუძლიათ მოგვეცნ დამატებითი ინფორმაცია სახსრის დაავადებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათ არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭებათ.

საფეთქელ-ქველა ყბის სახსრის მტკივნეული ღისფუნქციის სინდრომი

ტერმინი მოწოდებულია 1959 წელს ლ. შეარტის მიერ და მიუთითებს სახსრის არეში ფუნქციური ცვლილებებით გამოწვეულ ტკივილზე. დაავადების ეს სახელწოდება შესულია ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის დაავადებათა კლასიფიკაციის სქემაში.

მტკივნეული ღისფუნქცია ძირითაღათ გამოწვეულია სახსრის ნერეულ-კუნთოვანი აპარატის ფუნქციური მოშლილობით, ქველა ყბის სახსარში მოძრაობის სინქრონიზმის დარღვევით. დაავადების პათოგენეზში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ყბა-კბილთა სისტემაში აღმოცენებულ ცვლილებებს.

ამ პათოლოგიის განვითარებაში განარჩევენ ორ პერიოღს: ღისფუნქციის პერიოღი და საღეჭი კუნთების მტკივნეული სპაზმი, რომელიც გარკვეულწიღად ზღუდავს ქველა ყბის მოძრაობის ამპლიტუღას. დაავადების პათოგენეზში მნიშვნელოვანი როღი განეკუთვნება საღეჭი კუნთების ზეღმეტაქტიურობას — კბილების კრაჭუნს (ბრუკსიზმი). ამ პათოლოგიის ერთ-ერთი ობიექტური ნიშანია ქველა ყბის ზიგზაგისებრი მოძრაობა, ქველა ყბის უნებღეე წინ წამოწევა. დაავადების თანმხლები ნიშნებია ხმაური და ტკაცუნი ქველა ყბის სახსარში პირის გაღების დროს.

კ ლ ი ნ ი კ ა . საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის მტკივნეული დისფუნქციის კლინიკური სურათი თითქმის მისგავსია სახსრის სხვა დაავადებების (ართროზი, ართროზი) კლინიკურ სურათთან: ქვედა ყბის მოძრაობის მოშლა, პირის გაღების შეზღუდვა, ხმაური სახსარში, ტკივილი. მტკივნეული დისფუნქციისათვის სახსრის არე პალპაციით არ არის მტკივნეული, ან უმნიშვნელოდ მტკივნეულია. უფრო მკაფიოდ გამოხატულია ტკივილი მიგნითა და გარეთა ფრთისებრი კუნთების პალპატორული გამოკვლევის დროს. ასევე მტკივნეულია საფეთქლის და საღეჭი კუნთების პალპაცია. ამ პათოლოგიას ზოგჯერ წინ უსწრებს კბილების კრაჭუნი (ბრუქსიზმი). რენტგენოლოგიური გამოკვლევით სახსარში სტრუქტურული ცვლილებები არ აღინიშნება.

ამრიგად, ამ პათოლოგიისათვის დამახასიათებელია ტკივილი საღეჭი კუნთების სისტემაში, რომელიც ძლიერდება ქვედა ყბის მოძრაობის დროს, პირის გაღების შეზღუდვა, ქვედა ყბის ზიგმაგისებური მოძრაობა.

სალიაგნოსტიკო-საკონტროლო მნიშვნელობა ენიჭება საღეჭი კუნთების მამოძრავებელი ნერვების ბლოკირებას პ. ეგოროვის მეთოდით. თუ ბლოკადის ფონზე ტკივილი და კუნთების სპაზმი მოიხსნა და ქვედა ყბის მოძრაობა გაუმჯობესდა, მაშინ სახსრის დისფუნქციის დიაგნოზი სწორად არის დასმული.

დიფერენციულ დიაგნოზს ვატარებთ ორი ძირითადი მიმართულებით:

1. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დაავადებებთან და 2. სახის არეში არსებულ ტკივილთან. პირველი ჯგუფის დაავადებებიდან ყურადსაღებია: მწვავე ართრიტი, ტრაეპული ართრიტი, რეემატოიდული ართრიტი, ჩირქოვანი ოტიტი, გარეთა სასმენი ხერელის ფურუნკული, ეესტაქის მილის ანთება, ცხვირის დანამატი ღრუების ლორწოვანი გარსების ანთება.

მეორე ჯგუფის დაავადებებიდან აღსანიშნავია: სამწვერა ნერვის ნევრალგია, ყურ-საფეთქლის ნერვის ნევრალგია (ფრეის სინდრომი), ფრთა-სასის კვანძის ნევრალგია (სლუდერის სინდრომი), ცხვირ-წამწამის ნერვის ნევრალგია (მარლენის სინდრომი), დაფის ნერვის ნევრალგია (რეისტერტის სინდრომი), კისრის მალეების ოსტეოქონდრომი, საღვსისებრი მორჩის სინდრომი, შაკიკი, საფეთქლის არტერიის არტერიიტი.

მ წ ვ ა ვ ე ა რ თ რ ი ტ ი . ამ დაავადებისათვის დამახასიათებელია ძლიერი ტკივილი ქვედაყბის მოძრაობის დროს, შემუპება სახსრების არეში და მკვეთრად გამოხატული ტკივილი პალპაციის დროს.

მტკივნეული დისფუნქციის დროს ანთებითი მოვლენები გამოხატული არ არის, სახსრის საპროექციო არე პალპაციით უმტკივნეულოა, ტკივილი ლოკალიზებულია მხოლოდ საღეჭი კუნთების არეში.

ტ რ ა ე მ უ ლ ი ა რ თ რ ი ტ ი ს გენეზში წამყვანია ტრაემა, რომელიც იწვევს სახსრის დამიანებას და არა მოტეხილობას. კარგად შეგროვილი ანამნეზი და კლინიკურ-რენტგენოლოგიური გამოკვლევა გვეხმარება დიაგნოზის დადგენაში.

რეკმაგოილული ართრიტი. საფეთქელ-ქეელა ყბის სახსრის რეკმაგოილული ართრიტი წარმოადგენს ორგანიზმში მიმდინარე სისტემური დაავადების ადგილობრივ გამოქვავებას. სისხლის გამოკვლევით დგინდება "C" რეაქტიული ცილა. ადგილი აქვს ზოგად მოვლენებს: სხვა წერილი სახსრების დაავადებას, ხეულის ტემპერატურის მომატებას, საერთო სისუსტეს ქეელა ყბის სახსრის დისფუნქციის შემთხვევაში ასეთი სიმპტომები არ აღინიშნება.

ჩირქოვანი ოტიტისათვის დამახასიათებელია მწვავე ტკივილი ყურის არეში, დაფის აქის პერფორაციის შემთხვევაში ჩირქოვანი გამონადენია გარეთა სასმენ ხერელში, ქეელა ყბის მოძრაობა შემზღუდული არ არის და არც ტკივილია.

გარეთა სასმენი ხერელის ფურუნკული . მწვავე, მუდმივი ხასიათის ტკივილია ყურის არეში, რბილი ქსოვილები პიპერემიულია, გარეთა სასმენი ხერელი შევიწროებულია. ყურის სარქველზე თითის დაჭერით ტკივილი ძლიერდება. გარეთა სასმენი ხერელის დათვალიერებით აღინიშნება ანთებადი ინფილტრატი.

ეესტაქის მიღების ანთების დროს, ქეელა ყბის მოძრაობა შემზღუდული არ არის, არ არის ტკივილი მიგნითა ფრთისებრი და სალკიკუნთების პალპატორული გამოკვლევით. ადგილი აქვს სმენის დაქვეითებას, ოტოსკოპიით აღინიშნება ცვლილებები დაფის აქკე.

ცხვირის დანამაგი ღრუების ანთებისათვის დამახასიათებელი კლინიკური სურათი აღწერილია შესაბამის თავში.

სამწვერა ნერვის ნევრალგიისათვის დამახასიათებელია მწვავე მეტევიითი ხასიათის ტკივილი, სახებე და პირის ღრუში ეგრეთწოდებული "ჩახმახოვანი" ზონების არსებობა, მათზე თითით შეხება იწვევს ძლიერი ტკივილის აღმოცენებას. ტკივილი ხანმოკლეა. ასეთი კლინიკური სურათი სახსრის მტკივნეული დისფუნქციისათვის დამახასიათებელი არ არის.

ყურ-საფეთქელის ნერვის ნევრალგია (ფრეის სინდრომი) . მწვავე ხასიათის ტკივილი აღიქმება საფეთქელ-ქეელა ყბის სახსრის არეში, გარეთა სასმენ ხერელთან მისთვის დამახასიათებელი ეგეტაგურ-სისხლძარღვოვანი მოშლილობანი, განსაკუთრებით საკვების მიღების დროს: სახის კანის პიპერემია, ოფლის გამოყოფა საინერეაციო ზონაში, სითბოს შეგრძნება, პიპერესთემია. ასეთი კლინიკური სურათი მას განახსვავებს სახსრის დისფუნქციისაგან.

ფრთა-სასის კვანძის ნევრალია (სლუდერის სინდრომი) ამ დაავადებისათვის დამახასიათებელია თვითნებითი შეტევიითი ხასიათის ტკივილი და გამოხატული ეგეტაგური მოშლილობანი. ტკივილი ლოკალიზდება ყბებისა და კბილების, ცხვირისა და თვალებულის არეში. დასაწყისში

მცირედ გამოხატული ტკივილი თანდათან ძლიერდება. ამ მოვლენებს თან ერთვის კონიუქტივის პიკერემია, ცრემლისა და ნერწყვის გაძლიერებული გამოყოფა. ცხვირიდან ძლიერდება სეკრეტორული გამოონაღენი. ზოგჯერ აღინიშნება რბილი სასის ამწევი კუნთების კანკალი. რიგ შემთხვევაში აღინიშნება ტკივილის ირადიაცია საფეთქლის, ყურის, ენის, სასის, კისრის არეში და სხვა. ამ კლინიკური ნიშნებით გამოვრცხავეთ სახსრის დისფუნქციის სინდრომს.

ცხვირწამწამის ნერვის ნევრალგია (შარლენის სინდრომი). მწვავე შეტევითი ხასიათის ტკივილი ლოკალიზდება თვალბუდეში, ვრცელდება ცხვირისა და შუბლის არეში. ტკივილი აღმოცენდება ლაპარაკის, ლეჭვის, ყლაპვის პროცესში, გრძელდება 20-40 წამი. დაავადებას თან ახლავს კერატიტი, ირიტი, ცხვირის ლორწოვანი გარსის გაჯირჯევა, გამონადენი ცხვირიდან. პერპესული გამონაყარი კანზე, შუბლისა და ცხვირის არეში. თვალბუდის შიგნითა კედლის პალპაცია მტკივნეულია. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანესთეზია ტკივილს ხსნის.

დაუის ნერვის ნევრალგია (რეიხტერტის სინდრომი) მწვავე შეტევითი ხასიათის ტკივილი გარეთა სასმენი ხერულის არეში. გარეთა სასმენი ხერულის პალპაცია მტკივნეულია. ასეთი ტკივილი სახსრის დისფუნქციისათვის დამახასიათებელი არ არის.

კისრის მალების ოსტეოქონდროზი. ამ პათოლოგიისათვის უფრო დამახასიათებელია მუღმივი, ყრუ ხასიათის ტკივილი პერიოდული გამწვაებით. ტკივილი იწყება კისრის არეში და გადაეცემა საფეთქლის მიმართულებით. კისრის მალების პალპაცია მტკივნეულია. რენტგენოლოგიური გამოკვლევით ვაღვენთ კისრის მალების ოსტეოქონდროზს. სახსრის დისფუნქციისათვის დამახასიათებელი ნიშნები: სახსარში ტაკუნეი, საღეჭი კუნთების სპაზმი და პირის გაღების შემღუღევა არ აღინიშნება.

სადგისისებრი მორჩის სინდრომი. ამ დაავადებისათვის დამახასიათებელია სადგისისებრი მორჩის ზედმეტად დაგრძელება და მისი წვეგის მეღიალურად გადახრა. ტკივილი აღმოცენდება ენის მოძრაობის, ყლაპვის დროს. ვრცელდება საფეთქლისა და ქვედა ყბის სახსრის, სასისა და ხახის მიმართულებით. ხახის რკალის მეღიალური არის და ენის ძირის პალპაციით შეიგრძნება დაგრძელებული სადგისისებრი მორჩი რომლის წვეგი პროუცირდება თითქმის ქვედა ყბის კუთხის ღონემღე. ასეთი სიმკომები სახსრის დისფუნქციისათვის დამახასიათებელი არ არის.

შაკიკი. შაკიკისათვის დამახასიათებელია მწვავე, შეტევითი ხასიათის ტკივილი, რომელიც გრძელდება რამდენიმე საათი და დღეუკი. ტკივილის შეტევას წინ უსწრებს საერთო სისუსტე, ცუდი თვითშეგრძნება, თავბრუ,

ზოგჯერ გულისრევის შეგრძნება, დაავადება იწყება მწვავე მეტევიითი ტკივილით შუბლის, საფეთქლის არეში, გადაეცემა თვალებულეში და სახის ნახევარზე. ასეთი სიმპტომები სახსრის დისფუნქციას არა აქვს.

საფეთქლის არტერიის არტერიოტივის დამახასიათებელია მეტევიითი, მწვავე სასიათის ტკივილი. ტკივილი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათი. ტკივილის გამოწვევა შეიძლება საფეთქლის არტერიის ბონის გაღიზიანებით – პალპაცია, შეხება. ტკივილი შეიძლება გაგრძელდეს ქვედა ყბის სახსრის და შუბლის არეში, თვალებულეში. ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი არ არის სახსრის არეში ტკაცუნი, ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვა, რასაც ადგილი აქვს სახსრის დისფუნქციის დროს. საფეთქლის არტერიის არეს ბლოკადა ტკივილს ხსნის.

ზოგიერთი ავტორის მითითებით სახის არეში ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს ფსიქოგენური ფაქტორები, განსაკუთრებით იმ კატეგორიის პაციენტებში, რომლებსაც აქვთ ფსიქოსტენიის, ნეეროსტენიის მოვლენები. ასეთი ავადმყოფები საჭიროებენ ფსიქოთერაპიევის კონსულტაციას და ერთობლივ კომპლექსურ მკურნალობას.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დისფუნქციის მკურნალობა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რადგან ამ დაავადების გენეზში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საღეჭი კუნთების სპაზმს, საჭიროა არა მარტო ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვა, არამედ სამკურნალო ფიზიკულტურის გამოყენება: ქვედა ყბის წინ და უკან მოძრაობა, გაღება და დასურვა, მოძრაობა მარჯვნივ და მარცხნივ. მოძრაობები უნდა იყოს ღობირებული და წყნარი. მნიშვნელოვანია საკეების შერჩევა, რბილი საკეები, ნოყიერი, ისე რომ არ საჭიროებდეს საღეჭი აპარატის ხანგრძლივ დატვირთვას, საჭიროა კუნთოვანი სისტემის განტვირთვა. საჭიროა აგრეთვე, ხანგრძლივი, დამაჯერებელი საუბარი პაციენტთან ფსიქოემოციური დატვირთვის მოხსნის მიზნით. ქვედა ყბის მოძრაობის დროს წარმოშობილი ხმაური უარყოფით ფსიქოემოციურ გავლენას ახდენს პაციენტზე, საჭიროა ამ მხრივ რიგი სამკურნალო ღონისძიებების გატარება, პირველ რიგში მოძრაობის შეზღუდვა. პაციენტს უნდა აუხსნათ პირის გაღების ის დონე, როდესაც ხმაური ჯერ კიდევ არ წარმოიქმნა და მიეანიშნოთ, რომ უფრო დიდზე პირის გაღება არ შეიძლება 4-5 კვირის განმავლობაში. მოწოდებულია, აგრეთვე, პირის გაღების შემზღუდავი აპარატები, რომლებიც მოითხოვენ ლაბორატორიული წესით დამზადებას.

მკურნალობის კომპლექსში ვიყენებთ რიგ მედიკამენტურ საშუალებებს, მიზანშეწონილია გრანკელიზაგორების დანიშვნა: ელენიუმი (0,005-0,01) ან სელუქსენი (0,0025-0,005) 2-3-ჯერ დღეში 10-12 დღე, ჩვენების მიხედვით. ზოგ ავადმყოფებს ვუნიშნავთ ტამეპაჰს (0,01) 2-3-ჯერ დღეში.

კუნთოვანი გონუსის დაძაბულობის შემთხვევაში, რომელსაც თან ახლავს სალუქი კუნთების სპაზმი ეუნიშნაეთ მეპროტანს (0,2-0,4) 2-3 ჯერ დღეში. შეიძლება გამოვიყენოთ ტრიოქსაზინი.

სახსრის არეში ტკივილის შეგრძნების შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ასპირინი 2-3 ჯერ დღეში ჭამის შემდეგ (სათანადო ჩვენებით), ინლომეტი 2-3 ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ზოგიერთი ავტორი მიუთითებს სიცივის ფაქტორის გამოყენებაზე – ქლორეთილის მოსხურება ჩახმაზოვანი ზონის არეში. აღწერილია დაღებითი სამკურნალო ეფექტი დაბალი კონცენტრაციის საანესთეზიო ნივთიერების შეყვანით სალუქი კუნთების არეში.

კ. ეგოროვმა მოგვაწოდა თავისი ორიგინალური მეთოდი სამწვერა ნერვის მამოძრავებელი ბოჭკოების ბლოკირებისათვის. სამწვერა ნერვის მესამე გოტის მამოძრავებელი ბოჭკოების ბლოკადა ავტორის აზრით საკმაოდ ეფექტურია. ბლოკადის ჩატარების მეთოდიკა ასეთია: პაციენტი მის სტომატოლოგიურ სავარძელში, თავი მობრუნებულია გვერდზე. მარცხენა ხელის ცერით მოეძებნით სასახსრე მორჩის თავს და სასახსრე ბორცვის წინა კიდე. ხელის თითი და კანი წინასწარ გაწმენდილია სპირტით. ყვრიმალის რკალის ქვევით სასახსრე ბორცვის წინა კიდესთან ვაკეთებთ ჩხელეკას ნემსით და შევდივართ ოდნავ გვეით 65° - 75° გრადუსით, მანამ სანამ არ შევიგრძნობთ საფეთქლის ძვალს, აღენიშნავთ სიღრმეს, ამოვწვეთ ნემსს კანქვეშა ქსოვილებამდე, შემდეგ ნემსს მივმართავთ კანის პერპენდიკულარულად და შევდივართ ღრმად აღნიშნულ სიღრმემდე. ავტორის მონაცემებით ნემსის წვერი მოხელება საფეთქელ-ფრთისებრი არეს ფაშარ შემაერთებელქსოვილოვან სივრცეში, აქ იმყოფება საფეთქლის და სალუქი კუნთების მამოძრავებელი და მგრძობიარე ნერვები.

ტკივილის მოხსნის მიზნით შეიძლება მივმართოთ ადგილობრივად კუნთებში საანესთეზიო ნივთიერების შეყვანას. ვიყენებთ 0,25%-0,5%-იან ნოვოკაინის ხსნარს.

სალუქი კუნთების გაუტკივარებას ვახდენთ ნოვოკაინის შეყვანით კუნთის მტკივნეულ არეში. ეს უფრო ხშირად სალუქი კუნთის ყვრიმალის ძვალთან მიმაგრების ადგილია. ამ ადგილის მოძებნისათვის მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს ვათავსებთ ყვრიმალის ძვალებზე, ცერს ქვედა ყბის ქვედა კიდეზე (სახის არტერიის საპროექციო არეში), ამ თითების შემაერთებელი ხაზი მივანიშნებს სალუქი კუნთის წინა კიდეზე. შუა თითით მოეძებნით მტკივნეულ ადგილს. ჩხელეკას ვაწარმოებთ კუნთის წინა კიდესთან და შევდივართ ღრმად კუნთის სისქეში, დაეღვრით 3-5 მლ. საანესთეზიო ნივთიერებას.

მუდიალური ფრთისებრი კუნთის გაუტკივარების მიზნით საჭიროა საჩვენე-

ბელი თითი მოვათავსოთ რეგრომოლარულ ფოსოში, შუა თითით მოეკუნით ძირითადი ძელის ფრთისებრ ფირფიგას, გადაეწვეთ ლოყას და საანესთეზიო ნივთიერებას შეეყვანთ კუნთის სისქეში.

საფეთქლის კუნთის გაუტკივარებისათვის მოეკებნით კუნთის ჩახმახოვან ზონას, კანს დაეამუშავეთ სპირტით და შეეყვანთ 4-5 მლ. საანესთეზიო ნივთიერებას.

თვითოულ ბლოკადას შორის ინტერვალის შეიძლება იყოს 2-3 დღე. 5-6 ბლოკადის ჩატარების შემდეგ უნდა მივიღოთ კლინიკური სამკურნალო ეფექტი.

საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ართრიტები

დაავადებას საფუძელად უღვეს სახსარში მიმდინარე ანთებითი და ღის-გროფიული ცვლილებები. ანთების გამომწვევე მიზეზი შეიძლება იყოს ადგილობრივი და ზოგადი. ადგილობრივი მიზეზებიდან აღსანიშნავია მწვავე და ქრონიკული ტრავმა, ალერგია, ინფექციის გავრცელება პემატოგენური გზით, განერცობით, ყურის ჩირქოვანი ანთებით და სხვა. დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია: ორგანიზმის გაციება, პორმონალური მოშლილობა, ნერეული სისტემის ღისფუნქცია და სხვა.

ვარჩევთ არა ინფექციურ და ინფექციურ ართრიტებს, ტრავმულ ართრიტს. ინფექციური ართრიტები შეიძლება იყოს სპეციფიკური (ტუბერკულოზი, ათამანგი, აქტინომიკოზი) და არა სპეციფიკური.

სპეციფიკური ართრიტები თითქმის ყოველთვის მეორადი დაავადებაა და დიაგნოზის დადგენა ხდება ძირითადი დაავადების განსამღვრის შემდეგ.

ტ რ ა ვ მ უ ლ ი - ართრიტების გენეზში წამყვანია მწვავე ან ქრონიკული ტრავმა. ტრავმა შეიძლება იყოს მწვავე ერთჯერადი და ქრონიკული მიკროტრავმა გამოწვეული კბილების ოკლუზური ფაქტორებით (მაღალი ბეწი, კბილების პროტეზი და სხვა). ერთჯერადი ტრავმის მიზეზი შეიძლება იყოს პირის ღიღზე გაღება, პირის ღრუში სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარების დროს (კბილების ამოღება, პროთეზირებისათვის ანაბეჭდის აღება, დამთქნარება, კაკლის კბილებით გატეხვა და სხვა).

პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობის მიხედვით ვარჩევთ მწვავე და ქრონიკულ ართრიტებს. მწვავე შეიძლება იყოს სეროზული და ჩირქოვანი.

მ წ ვ ა ვ ე ა რ თ რ ი ტ ი. გამომწვევი მიზეზი მრავალფეროვანია, ამიგომ ექიმი ვალდებულია აეადმყოფი გამოიკვლიოს ღეგალურად გამომწვევი მიზეზის დადგენის მიზნით, რათა მკურნალობა წარმართოს მიზანმიმართულად.

კ ლ ი ნ ი კ ა. დაავადება იწყება მწვავედ, ტკივილი აღიქმება ერთ ან

ორივე სახსარში. ტკივილი ძლიერდება ქვედა ყბის მოძრაობის დროს (ლაპარაკი, საკვების დალევა და სხვა). ტკივილი გადაიქცემა საფეთქლის, ყურის მიმართულებით. სახსრის საპროექციო არეში რბილი ქსოვილები შემუქმებულია, პირის გაღება მკვეთრად შეზღუდული 0,5-1 სმ-მდე. სხეულის გემპერაგურა შეიძლება იყოს აწეული ან ნორმის ფარგლებში. გრავული ართრიტის დროს ადგილი აქვს სასახსრე პარკში სისხლჩაქეცვებსა და იოგოვანი აპარატის გაგლეჯას. რევმატოიდული ართრიტის შემთხვევაში პათოლოგიური პროცესი ლოკალიზდება ორივე სახსარში, გარდა ამისა ადგილი აქვს სხვა წერილ სახსრების დაავადებას.

დიფერენციულ დიაგნოზს ეატარებთ მწვავე ოტიტთან, სამწვერა ნერვის ნევრალგიასთან, მწვავე პერიკორონარიტთან, მესამე მოლარის გაძნელებულ ამოჭრასთან.

მკურნალობა. მწვავე ართრიტის მკურნალობის მიზანია ანთებადი პროცესის ჩაქრობა, ტკივილის მოხსნა, ქვედა ყბის მოძრაობის აღდგენა. ამ მიზნით საჭიროა ქვედა ყბის მოძრაობის დროებით შეზღუდვა, სახსარში სამკურნალო წამალთა შეყვანა, მკურნალობის კომპლექსში ფიზიკური მეთოდების გამოყენება.

ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვის მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ აივის (მათულოვანი) მეთოდი, თავის ირგვლივი ნახევეი 3-4 დღით. სახსარში ანთებადი პროცესის ჩასაქრობად შეიძლება შევიყენოთ პიდროკორტიზონის ემულსია ნოეოკაინის ხსნართან ერთად. ი ბერნადსკის მეთოდით 1 მლ. პიდროკორტიზონის ემულსიას ვუმატებთ 2%-იან ნოეოკაინის 2 მლ ხსნარს და 200.000 ერთეულ პენიცილინს. სულ საჭიროა 3-5 ინექცია. ინექციების შორის ინტერვალი შეიძლება იყოს 2-3 დღე. ავტორის მიხედვით ამ მეთოდით მკურნალობა 3-4 დღეში იძლევა სამკურნალო ეფექტს. ჩვენი აზრით ამ მეთოდიკას აქვს რიგი ნაკლოვანი მხარე: 1. სასახსრე ჩანთის მოცულობა ფიზიოლოგიური ნორმის ფარგლებში შეადგენს 1-1,5 მლ. ამაზე მეტი რაოდენობის სითხის შეყვანა გამოიწვევს სასახსრე პარკის გაჭიმვას, 2. 2%-იან ნოეოკაინის ხსნარში პენიცილინი განიცდის კრისტალიზაციას და ამდენად მისი იქ ყოფნა კარგავს თავის მნიშვნელობას.

მემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია 2%-იანი ნოეოკაინის ნაცელად აღებული იქნას 0,5%-იანი ხსნარი, სასახსრე ჩანთაში შეყვანილი იქნას არა უმეტეს 1 მლ-ის, ხოლო დანარჩენი დაღერილი იქნას პერიბურსალურად. ჩვენ ვიყენებთ განსხვავებულ მეთოდიკას: ვიღებთ 1 მლ. დექსამონს, მას ვუმატებთ 1 მლ-ს 1%-იან ნოეოკაინის ხსნარს და სასახსრე ჩანთაში შეგვყავს 1 მლ, ხოლო დანარჩენს ვღვრით სასახსრე ჩანთის გარეთ. პენიცილინს არ ვუმატებთ, რადგან დექსამონს აქვს მკვეთრად გამოხატული ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.

სახსარში წამლის შეყვანის მეთოდიკა ასეთია: ავადმყოფი ზის სავარძელში ან დაწოლილია საოპერაციო მაგიდაზე, თავი მობრუნებული აქვს მოწი-

ნააღმდეგე მხარეზე. ავადმყოფს ვაძლევთ წინადადებას რამდენჯერმე გააღოს პირი და დახუროს, ამ დროს აღვნიშნავთ სასასხრე თავის მოძრაობის ადგილს, კანს გავწმენდავთ სპირტით, ავადმყოფს პირი ოღნავე გაღებული აქვს, ჩხვლეტას ვაკეთებთ კანის პერპენდიკულარულად და შევღვივართ სიღრმეში 1-1,5 სმ-მდე, სასასხრე ჩანთაში შევიყვანთ 1 მლ. სითხეს, შემდეგ ამოვწვეთ ნემს 0,5-1 სმ-მდე და დანარჩენს დავლვრით სახსრის პარკის გარშემო.

ინფექციური ართრიტის შემთხვევაში საჭიროა ანტიბიოტიკების დანიშვნა, სულფამილური (სულფალიმეზინი, სულფადიმეტოქსინი (1,03-4 ჯერ დღეში 5-6 დღე).

ი. ბერნადსკის აზრით, კარგ სამკურნალო ეფექტს იძლევა რონილაზას კომპრესები (1 ჩაის კოვზი რონილაზა უნდა დაეყაროს მარლის დასველებულ საფენზე დავადოთ სახსრის არეში და შევახვიოთ დილამდე) 10-15 პროცედურა. ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას ვირაპინის, კალი იოდიდის იონოფორები, დიმექსიდის კომპრესი.

მკურნალობის ხანგრძლივობა საშუალოდ 5-7 დღეა, მოგჯერ გრძელდება 10-15 დღე.

პ რ ო გ ნ ო შ ი . დროული და სწორად ჩატარებული მკურნალობის შემთხვევაში ყოველთვის კეთილსაიმედოა. სხვა შემთხვევაში მოსალოდნელია დაავადების ქვემწვავე ან ქრონიკულ ფორმაში გადასვლა, აღსანიშნავია, რომ ქვედა ყბის მოძრაობის აღდგენა ხდება თანდათანობით.

ქ რ ო ნ ი კ უ ლ ი ა რ თ რ ი ტ ი . არა სპეციფიკური ქრონიკული ართრიტი შეიძლება იყოს: ინფექციური, ტრავმული, რევმატული და რევმატოიდული.

არასპეციფიკური ქრონიკული ართრიტი დუნელ მიმდინარე პათოლოგიური პროცესია. აღინიშნება ზომიერად გამოხატული ტკივილი, რომელიც ძლიერდება პირის გაღების დროს. ქვედა ყბის მოძრაობა შეზღუდულია 2 სმ-მდე. სახსრის თავის საპროექციო არეში შეიძლება იყოს ზომიერად გამოხატული შეშუპება და ტკივილი. ქრონიკული ართრიტისათვის დამახასიათებელია ხმაური სახსრის არეში.

ქრონიკული რევმატიული ართრიტის დროს პათოლოგიური პროცესი ლოკალიზდება საფეთქელ ქვედა ყბის ორივე სახსარში, ახასიათებს პერიოდული გამწვაება და სუბფებრილური ტემპერატურა. აღინიშნება სახსრის ფუნქციური მოშლილობანი. კომპლექსური მკურნალობის ფონზე კლინიკური სურათი მკვეთრად უმჯობესდება.

ქრონიკული რევმატიული ართრიტის დროს პათოლოგიური პროცესი უფრო ხშირად ერთ სახსარში ლოკალიზდება, მაგრამ ამავედროულად აღინიშნება სხვა სახსრების (მუხლის, კოჭ-წვივის და სხვა) დაავადებაც. სახსარში მოძრაობის შეზოჭვა თითქმის მუდმივ ხასიათს ატარებს. თუ ქრონიკული რევმატიული ართრიტის დროს გულის კუნთში ყოველთვის

აღინიშნება პათოლოგიური ცვლილებები, რეემაგოიდული ართრიტის დროს ასეთი არ არის. გარდა ამისა რეემაგოიდული ართრიტის კომპლექსური მკურნალობა არ იძლევა საგრძნობ კლინიკურ ეფექტს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქრონიკული ართრიტების დროს რენტგენოლოგიურად თითქმის ყოველთვის გამოვლინდება ცვლილებები: სასახსრე ნაპრალის შევიწროება, საახსრე თავის ღეფორმაცია.

ღ ი ა გ ნ ო ზ ი . საჭიროა ავადმყოფის გულმოდგინე გამოკვლევა, ანამნეზის დეტალური შეგროვება, კონსულტაცია რეემაგოლოგთან, სისხლის გამოკვლევა (C-რეაქტიული ცილა), შარდის ანალიზი, საფეთქელ-ქეედა ყბის სახსრის რენტგენოლოგიური და სხვა გამოკვლევები.

დიფერენციალური დიაგნოზი უნდა გაეაგაროთ ყბა-ყურა ჯირკელის ქრონიკულ ანთებასთან.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . პათოლოგიური პროცესის მკურნალობა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს პირის ღრუს ორგანოებსა და მის გარეშე მყოფი ინფექციური კერების მკურნალობას. მკურნალობაში უნდა ჩაერთოს ორგანიზმის რეაქტიულობის ამწვევი მასტიმულირებელი საშუალებები, მადესენსიბილიმბულინიფიკატორები, ვიტამინები. უნდა გამოვიყენოთ ლექსამონი, აცეტილსალიცილის მეთა. თხიერი კალორიული საკვები. მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახსრის ფუნქციურ მყუდროებას და მის განტვირთვას. ამ მიზნით რეკომენდირებულია მოლარების არეში რეზინის (0,5-0,7 სმ) განმბუნის მოთავსება და ქეედა ყბის ელასტიკური დაჭიმვა. ნალელის კომპრესების, ელექტროფორეზის გამოყენება. ჩვენების მიხედვით დაჭიმვა, რაციონალური კბილთპროტეზირება.

.სპეციფიკური ართრიტები

მიუხედავად იმისა, რომ სპეციფიკური ართრიტები იშვიათად გვხვდება, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შეეჩერდეთ მათზე.

ტუბერკულოზური და აქტინომიკოზური ართრიტების დროს ინფექციის შეჭრის უხშირესი გზებია კონტაქტური: სიფილისური და გონორეულის შემთხვევაში კი ჰემატოგენური.

დიაგნოზის დადგენა ხდება სათანადო გამოკვლევების ჩატარებით, ხოლო მკურნალობა შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან შეთანხმებით.

საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ართროზი

ართროზი ქრონიკულად მიმდინარე პათოლოგიური პროცესია, რომელშიც ჩათრეულია არა მარტო სახსრის ძელოვანი და სრგილოვანი ქსოვილი, არამედ სახსრის სხვა შემადგენელი ნაწილებიც. დაავადების გენეზში წამყვანია ლისგროფიული კომპონენტი, ადგილი აქვს აგრეთვე ღუნელ მიმდინარე ანთებით პროცესს. დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია სახსრის ქრონიკული მიკროტრავმა, არტიკულაციის მოშლა, კუნთოვანი იოგოვანი აპარატის ლისფუნქცია. ზოგი ავტორი ამ დაავადებას განიხილავს, როგორც ოსტეოართროზს ან ოსტეოართრიტოართროზს. დაავადების განვითარების გარკვეულ ეტაპზე გამოიქვადნება სახსრისა და სასახსრე თავის ლეფორმაცია.

ვარჩევთ დაავადების ორ ფორმას: მასკლეროზირებულ და მალეფორმირებულ ოსტეოართროზებს.

კლინიკა. ართროზის წინამორბედი შეიძლება იყოს სახსრის ანთების ხშირი რეციდივი ან ართრიტის არასრულფასოვანი მკურნალობა. ზოგჯერ ართროზი იწყება ავადმყოფისათვის თითქმის შეუმჩნეველად. დაავადების გარკვეულ ეტაპზე სახსრის არეში შეიმჩნევა ხმაური, ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვა, განსაკუთრებით ღილის საათებში, ღლის ბოლოსათვის სახსრის მოძრაობა თითქმის მთლიანად აღდგება. შეაფიოდ გამოხატული გკივილი არ არის. ყრუ გკივილი აღიქმება მაგარი საკეების მიღების, ხანგრძლივი საუბრის დროს. პალპაციით სახსრის არეში გკივილი არ აღიქმება, შეიძლება იყოს უსიამოვნო შეგრძნება. ცალმხრივი ართროზის დროს დაავადების მხარეზე მოძრაობა შეზღუდულია, მოპირდაპირე მხარეზე კი მომატებული. ზოგჯერ ადგილი აქვს პარესთეზიას სახსრის საპროექციო ზონაში. რენტგენოლოგიური გამოკვლევით ვადგნთ სასახსრე ნაპრალის შევიწროებას მასკლეროზირებელი ფორმის დროს. სასახსრე თავის ლეფორმაციას მალეფორმირებელი ართროზის შემთხვევაში.

მკურნალობა. ართროზის მკურნალობა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს: რაციონალურ კბილთპროთეზირებას, საღებუ კბილების ბორცვების დაქლიბვას. გარდა ამისა ზოგიერთი ავტორი მიუთითებს სამკურნალო წამალთა ელექტროფორეზით მკურნალობის ეფექტურობაზე (ტრიმეკანი, ლიდოკაინი, კალიოდოლი, სამედიცინო ნალველი). დადებითი სამკურნალო ეფექტია მიღებული სამედიცინო ნალველის კომპრესების გამოყენებით 20-25 პროცედურა ყოველ დამეს, პარაფინის აპლიკაციები სახსრის არეში, დაავადების გამწვავების პერიოდში სახსრის დროებითი იმიზილიზაცია. ჩვენების მიხედვით სამკურნალო მიზნით სახსრის ჩანთაში შეგვყავს ჰიდროკორტიზონის ემულსია, დექსამონი. სასახსრე თავის მძიმე ლეფორმაციის დროს ნაჩვენებია რეზექცია და პლასტიკა (თუ სასახსრე ჩანთაში არ აღინიშნება მძიმე ორგანული ცვლილებები).

ქველა ყბის მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა

ქველა ყბის მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა შეიძლება გამოიწვიოს პათოლოგიურმა პროცესმა, რომელიც ლოკალიზდება ან თვით სახსარში (სახსრე ჩანთაში), ან სახსრის გარეთ. ვარჩევთ ქველა ყბის მოძრაობის შეზღუდვის სამ ძირითად სახეს: 1. გრიზმი (კრიჭის შეკერა), 2. ნაწიბუროვანი კონტრაქტურა, 3. ანკილოზი.

გ რ ი ზ მ ი . საღეჭი კუნთების გონურ შეკუმშვას გრიზმი ეწოდება. ამ დროს კუნთის თვითოეული ბოჭკო დაჭიმულია და ქველა ყბის მოძრაობა მკვეთრად შეზღუდულია, ან უძრავია. პირის გაღების მცდელობა შედეგს არ იძლევა, მოშლილია ღეჭვის, მეტყველების ფუნქცია. დაავადებას საფუძვლად უდევს სამწვერა ნერვის მამოძრავებელი ბოჭკოების უშუალო ან რეფლექსური გაღიზიანება, გრიზმი ხშირად ვითარდება საღეჭი კუნთის არეში არსებული ანთებადი პროცესის ნიადაგზე. გრიზმი შეიძლება იყოს სხვა დაავადების სიმპტომიც (გეტანუსი, მენინგიტი, გენის სიმსივნე, ისტერია, სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა და სხვა). ვარჩევთ გრიზმის სამ ხარისხს: 1. გრიზმი, როცა პირის გაღება ოდნავ არის შეზღუდული, 2. გრიზმი, როდესაც პირის გაღება შესაძლებელია 1-2 სმ. ფარგლებში, 3. გრიზმი, როცა პირის გაღება 1 სმ-ზე ნაკლებია.

ხანგრძლივი გრიზმი იწვევს ცვლილებებს არა მარტო ქველა ყბის სახსარში, არამედ თვით საღეჭ კუნთებში და შინაგან ორგანოებში. გრიზმის მკურნალობისათვის საჭიროა დაავადების გამომწვევი მიზეზის რადიკალური მკურნალობა, ნოეოკაინის ბლოკალები, ბერმე-დუბოვის ანესთეზია, უმსდენით მკურნალობა, გალვანიზაცია. ზოგ შემთხვევაში იოლ კალიუმის ელექტროფორეზი.

კონტრაქტურა . ქველა ყბის მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა ვითარდება ქსოვილებში ნაწიბურის განვითარების შედეგად. ნაწიბუროვანი ქსოვილი მდიდარია კოლაგენის ბოჭკოებით და ელასტიკურ ბოჭკოებს თითქმის არ შეიცავს, ამიტომ ასეთი ქსოვილების გაჭიმვალობა მკვეთრად შეზღუდულია. ნაწიბუროვანი კონტრაქტურა ყოველთვის ვითარდება და ლოკალიზდება საფეთქელ-ქველა ყბის სახსრის გარეთ, თვით სახსარში პათოლოგიური პროცესი არ არის. ნაწიბუროვანი კონტრაქტურის გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია: პირის ღრუში მიმდინარე ნეკროზულ-წყულლოვანი პროცესები, ქრონიკული სპეციფიკური ანთებები, ქიმიური და თერმული დამწვრობა, ტრავმული დაზიანება, ოპერაციის შემდგომ პერიოდში ნაწიბურის განვითარება, მალსციფირებელი მიოზიტი.

იმისდამხედვეთ თუ რომელ ქსოვილშია განვითარებული ნაწიბური ვარჩევთ შემდეგი სახის კონტრაქტურებს: დერმატოგენური, მუკოგენური, ლორწო-

ვანი, შიოგენური (კუნთოვანი), დესმოგენური (შემაერთებელქსოვილოვანი), შეიძლება იყოს კომბინირებული (ორი ან მეტი ქსოვილი ერთად).

კლინიკური შიმდინარეობის მიხედვით ნაწიბუროვანი კონტრაქტურა შეიძლება იყოს სუსტად გამოხატული ან ქვედა ყბის სრული უძრაობით.

ღ ი ა გ ნ ო ს ტ ი კ ა . ნაწიბუროვანი კონტრაქტურის დიაგნოზის დადგენა უძრავლეს შემთხვევაში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. დიაგნოზის დადგენაში გვეხმარება ანამნეზის შეგროვება (ანთებადი კონტრაქტურის დროს), სახის დათვალეიერება, სახისა და პირის ღრუს დეტალური პალპატორული გამოკვლევა ნაწიბურების გამოვლენის თვალსაზრისით. პალპატორული გამოკვლევის დროს ყურადღებას ვაქცევთ ნაწიბურის ზომას და ოდენობას, მის მიმართულებას. პალპატორული გამოკვლევა გაძნელებულია პირის კარიბჭის და პირის ღრუდან პირის გაღების შეუძლებლობის გამო.

დიფერენციული დიაგნოზი უნდა გაეგაროთ ქვედა ყბის სახსრის ანკილოზთან. ნაწიბუროვანი და ანთებადი კონტრაქტურის შემთხვევაში ქვედა ყბის გვერდითი მოძრაობის დროს სუსტად, მაგრამ მაინც შეიგრძნობა სასახსრე თავების მოძრაობა გარეთა სასმენ ხერხელთან. რენტგენოლოგიური გამოკვლევით სასახსრე ნაპრაღი ყოველთვის შენარჩუნებულია და სასახსრე თავის დეფორმაცია არ აღინიშნება.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . კონტრაქტურის მკურნალობა კომპლექსურია და მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას. ახალი ნაწიბურების შემთხვევაში (1-3 თვე) ზოგადი გაუტკივარების ფონზე ვახდენთ პირის ძალისმიერ გაღებას, რათა გაეთიშოთ ჯერ კიდევ სუსტი ნაწიბუროვანი ქსოვილი (კუნთოვანი ქსოვილი, ლორწოვანი გარსი). ამის შემდეგ საჭიროა ტკივილდამაყუჩებელი საშუალებები, კბილებს შორის მექანიკური განმბეყენი 7-10 დღე. ხოლო შემდეგ მექანოთერაპია 3-4 კვირა. აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ფიზიოთერაპია: უმს დენი, დიადინამიკური დენი, კალიოოდილის ელექტროფორეზი.

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ნაწიბურების ქირურგიული მკურნალობა ითვალისწინებს პორიზონგალური ან ვერტიკალური განაკვეთების გატარებას, თუ საჭიროა, დეფექტის შემხვედრი სამკუთხედით დახურვას. დიდი ზომის დეფექტების შემთხვევაში საჭიროა კანის გაღანერგვა და მისი დაფიქსირება სტენსით. სახის კანის არეში დიდი ნაწიბურები უნდა ამოიკვეთოს და დაიფაროს წინასწარ მომზადებული ფილაგოვის ყლორგით.

კუნთოვანი ქსოვილის ნაწიბუროვანი კონტრაქტურის შემთხვევაში საჭიროა საღებუ და მიგნითა ფრთისებრი კუნთების მოკვეთა, მათი კუთხესთან მიმაგრების ადგილზე, პირის გაღება, კბილებს შორის გამბეყენის მოთავსება 7-10 დღით.

საფეთქელ-ქვედა ყბის ანკილოზი

ქვედა ყბის მკვეთრად შეზღუდულ მოძრაობას ან სრულ უძრაობას ანკილოზი ეწოდება. პათოლოგიური პროცესი ლოკალიზდება სახსარში. აღსანიშნავია, რომ ბაეშეთა ასაკში ანკილოზი ყოველთვის იწვევს სახის ჩონჩხის გამოხატულ დეფორმაციას, რადგან ადგილი აქვს ქვედა ყბის მრდის ზონის დაზიანებას. მრდადასრულებულ ასაკში ანკილოზის დროს ქვედა ყბის დეფორმაცია თითქმის არ შეიმჩნევა. უმნიშვნელო დეფორმაცია შეიძლება გამოვლინდეს გრავემული ანკილოზის შემთხვევაში. ბაეშეთა ასაკში განვითარებული ანკილოზი იწვევს სახის მკვეთრ დეფორმაციას ქვედა ყბის განუვითარებლობის გამო (ე.წ. "ჩიგის სახე"). მოზრდილთა ასაკში ანკილოზის განვითარება უფრო ხშირად დაკავშირებულია სახსარში მიმდინარე ანეთებად პროცესებთან.

ანკილოზის განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს ინფექცია, გრავმა. ბაეშეთა ასაკში ანკილოზის განვითარება ხშირად დაკავშირებულია შუა ყურის ანთებასთან. ანკილოზის განვითარებას შეიძლება წინ უძღოდეს სხვა და სხვა ეტიოლოგიის ართრიტები. სახსარში შეჭრილი ინფექცია იწვევს ანთებას, რომელიც მოქმედებს სასახსრე თავის ქსოვილებზე და მენისკზე, ვითარდება ნეკროზი, შემდეგ წარმოიქმნება გრანულაციური ქსოვილი, ფიბროზული ქსოვილი და იწყება ნაწიბუროვანი ძელოვანი ქსოვილის ჩამოყალიბება. ზოგჯერ ძელოვანი ქსოვილის ჩამოყალიბება ვრცელდება მიმდებარე ქსოვილებზე, საფეთქლის ძვლის ჩათრევაჲ კი. აღსანიშნავია, რომ ბაეშეთა და ახალგაზრდა ასაკში უფრო ხშირად ვითარდება ძელოვანი ანკილოზი, ხოლო მომწიფებულ ასაკში – ფიბროზული.

გრავემული ანკილოზი უფრო ხშირად ვითარდება როკისებრი მორჩის დახურული მოტეხილობის შემთხვევაში. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ რაც უფრო ადრე ვითარდება პათოლოგიური პროცესი სახსარში, მით უფრო ძლიერად არის გამოხატული ქვედა ყბის მეორადი დეფორმაცია, განსაკუთრებით დაზიანების მხარეზე.

კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა . მოწოდებულია სხვა და სხვა სახის კლასიფიკაციური სქემები, მათ შორის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიგანოთ ორი სქემა. ეტიოლოგიური ფაქტორის მიხედვით ანკილოზი შეიძლება იყოს: თანდაყოლილი, შეძენილი, ანთებადი და გრავემული. კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით: ნაწილობრივი, მთლიანი, ცალმხრივი, ორმხრივი.

კ ლ ი ნ ი კ ა . დაავადების ძირითადი ნიშანია ქვედა ყბის მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა ან სრული უძრაობა. ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვა შეიძლება გამოწვეული იყოს სახსარგარეშე მიმდინარე პათოლოგიური პროცესებით (ანთებადი, ნაწიბუროვანი კონტრაქტურა). ამიტომ საჭიროა აუადმყოფის გულდასმით გამოკვლევა. ანამნეზის შეგროვების დროს ვარკვევთ,

თუ რამდენი ხასია, რაც მოძრაობა შეზღუდულია, უძლოდა თუ არა მას წინ ანთებადი პროცესი სახსრის არეში, ტკივილი, შეშუპება. აქეს თუ არა ჩაგარებული მკურნალობა, რით და როგორი იყო შედეგი. ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვას ხომ არ უძლოდა წინ გრავმა სახსრის არეში. უნდა გავარკვეოთ ქვედა ყბის მოძრაობა შეიზღუდა თანდათანობით თუ მოკლე დროში. ანკილოზისათვის დამახასიათებელია მოძრაობის თანდათანობითი პროგრესირებადი შეზღუდვა.

დათვალერებით ვადგენთ სახის ასიმეტრიას, ეამოწმებთ ხომ არ არის სახის არეში ნაწიბურები, გამოხატული პათოლოგიური პროცესი. ასევე ვარკვევთ პირის კარიბჭის მდგომარეობას. პალპატორულად ვადგენთ სასახსრე თავების მოძრაობას გარეთა სასმენი ხერხელის არეში. ქვედა ყბის მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა, ან უძრაობა დამახასიათებელია ძელოვანი ანკილოზისათვის. ცალმხრივი ანკილოზის დროს მხოლოდ გვერდითი მოძრაობაა შესაძლებელი. ასიმეტრია გამოხატულია, ნიკაპი, ქვედა გუჩის ლაგამი გადანაცვლებულია დაავადების მხარეზე, კბილები მჭიდროდ ეხება ერთმანეთს.

ორმხრივი ანკილოზის დროს სახის ასიმეტრია უფრო მკვეთრად არის გამოხატული ქვედა ყბის სხეულის და გოტების დეფორმაციის გამო. შეცვლილია კბილთა მწკრივების მდგომარეობა, კბილები განლაგებულია მარაოს მსგავსად. სახსრის რენტგენოლოგიური გამოკვლევით ვადგენთ სახსრის არეში უხემ ცვლილებებს. სასახსრე ნაპრალის მკვეთრი შეიწროებაა, ან არ არსებობს. ძელოვანი ანკილოზის დროს სასახსრე ნაპრალი საერთოდ არ გამოვლინდება.

ღ ი ა გ ნ ო შ ს ვადგენთ აქ მოტანილი კლინიკური სურათის მიხედვით. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ქვედა ყბის გამოხატული დეფორმაცია დამახასიათებელია მხოლოდ ბავშვთა ასაკში განვითარებული პათოლოგიური პროცესისათვის, მოზრდილთა ასაკში დეფორმაცია ან არ არის გამოხატული ან უმნიშვნელოა.

ღ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი **ღ ი ა გ ნ ო შ მ ი** უნდა გავაგაროთ ქვედა ყბის კონტრაქტურასთან. წამყვანი საღიფერენციაციო ნიშანია რენტგენოლოგიური გამოკვლევა. კონტრაქტურების დროს რენტგენოლოგიურად სახსარში ცვლილებები არ აღინიშნება, ანკილოზის შემთხვევაში კი სასახსრე ნაპრალი ან არ აღინიშნება, ან მკვეთრად შეიწროებულია.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა. მკურნალობის ძირითადი მიზანია ქვედა ყბის მოძრაობის აღდგენა და დეფექტის გასწორება. მკურნალობა მხოლოდ ქირურგიულია. მოწოდებულია მრავალი მეთოდი და მოდიფიკაცია. აღწერილია ოპერაციის შემდგომ პერიოდის გართულებები, მათ შორის ანკილოზის რეციდივი. რეციდივის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება: I. ოსტეოტომირებული ძელოვანი ფრაგმენტების მექანიკური და ქიმიური დამუშავება, მათ შორის სხვა და სხვა მასალის ინტერპოზი-

კია (კანი, ფასცია, კუნთოვანი ქსოვილი, პლასტმასა და სხვა). ზოგი ავტორის მითითებით უმჯობესია ფილაგოვის ყლორტის გამოყენება. 2. რაც შეიძლება ფართო დიასტაზის შექმნა ოსტეოტომირებულ ფრაგმენტებს შორის. ამ მიზნით საჭიროა საღებავი და მიგნითა ფრთისებრი კუნთების ამრევა ქვედა ყბისაგან, გარდა ამისა საჭიროა ქვედა ყბის სხეულის დაქაჩვა ქვევით და დაჭიმვა. 3. მექანოთერაპიის დროული და ეფექტური ჩატარება.

ფიბროზული ან კილოზის მკურნალობისათვის მიღებულია ე.წ. რედრესაციის მეთოდი, რომლის მიზანია სახსარშიდა ნაწიბურების გაგლეჯა და ქვედა ყბის მოძრაობის აღდგენა. ინტრავენური ნარკოზის ქვეშ ეახდენთ პირის ძალით გაღებას, ამ მიზნით მოლარების არეში ორივე მხარეზე ვათავესებთ პირის გამღებს და სინქრონული მოძრაობით ვაღწევთ პირის გაღებას 3,5-4 სმ-ით. კბილებს შორის ვათავესებთ გამბეჯენს 3-5 დღით, შემდეგ ვიწყებთ აქტიურ მექანოთერაპიას. ავადმყოფს 5-10 დღით ვაძლევთ ტკივილდამაყუჩებელს. ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ოპერაციული გზით სახსარე დისკოს ამოღება, ეს უფრო დამზოგავი მეთოდია, ვიდრე რედრესაცია, რედრესაციის შემდეგ მოსალოდნელია კიდევ უფრო უხეში ნაწიბურების განვითარება და ანკილოზის რეციდივი.

ძ ე ლ ო ვ ა ნ ი ა ნ კ ი ლ ო ზ ი ს ' მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . მკურნალობის ძირითადი პრინციპია ოსტეოტომიის რაც შეიძლება სახსართან ახლოს ჩატარება, ქვედა ყბის ტოტის სიმაღლის შენარჩუნება, თუ დამოკლებულია, მისი სიმაღლის აღდგენა. გამოხატული მიკროგენის შემთხვევაში საჭიროა აღნიშნული დეფორმაციის გასწორება.

პ. ღ ე ო ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი უ ლ ი მ ე თ ო დ ი . ყურის ბიბილოს ქვევით 1,5-2 სმ-ით ვაკეთებთ ნახევარკალოვან განაკვეთს, ქვედა ყბის ქვედა კიდედან 2,5 სმ-ით დაშორებით და განაკვეთს ვაგრძელებთ ქვედა ყბის სხეულის თითქმის შუა ნაწილამდე. გავეკეთავეთ კანს, კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს, გაეხსნით კისრის ფასციას (ყბა-ყურა ჯირკვალს არ ვეხებით) მივიღივართ ქვედა ყბის ძვლამდე. გადავეკეთავეთ საღებავი კუნთის ბოჭკოებს და ავაშრევეთ საღებავ კუნთს ისე, რომ არ დაეაზიანოთ ტოტის ძვლის საზრდელა. ავაშრევეთ მიგნითა ფრთისებრი კუნთის ბოჭკოებს. ქსოვილების ამრევებას ვაგრძელებთ ყვრიმალის ძვლის რკალამდე, ასევე ვამრეველებთ ქვედა ყბის ტოტს მიგნითა მხრიდან. უნდა ვეცადოთ არ დაეაზიანოთ ქვედა ალვეოლური არტერია. ოსტეოტომიის ჩასატარებელ ადგილზე გავეკეთავეთ ძვლის-საზრდელას და ნაწილობრივ ავაშრევეთ. ბორებით ან მრგვალი ხერხით გავეკრით ძვლოვან ქსოვილს ისე, რომ არ დაეაზიანოთ ყბის უკანა არტერია. ოსტეოტომირებულ ტოტის ზედაპირს ვამრგვალებთ, მათ შორის სხვა ქსოვილს არ ვათავესებთ. ოპერაციიდან მესამე-მეოთხე დღეს ვიწყებთ აქტიურ მექანოთერაპიას.

ა. რ ა უ ე რ ი ს ო პ ე რ ა ც ი უ ლ ი მ ე თ ო დ ი . მიზნად ისახავს როკისებრი მორჩის ირიბ ოსტეოტომიას და ოსტეოტომირებულ ნაწილებს შორის

ბარძაყის ფართო ფასციის გადანერგვას. განაკვეთი ტარდება სასახსრე მორჩის არეში. პირველი განაკვეთი 4 სმ-ის სიგრძის ტარდება ყვრიმალის რკალის პარალელურად და გრძელდება გარეთა სასმენი ხერხელის მიმართულებით, 1,5 სმ-ის დაშორებით გარეთა სასმენი ხერხელიდან. ამ წერტილიდან ტარდება მეორე განაკვეთი ვერტიკალურად ქვევით 4-5 სმ-ით სიგრძის. ყვრიმალის რკალის ძელისსამრდელას გავკვეთავთ და რბილი ქსოვილების გაკვეთით, მოიძებნება ანკილოზის ადგილი. ირიბი ოსტეოტომიის შემდეგ ფრაგმენტები განცალკავდება და მათ შორის თავსდება ბარძაყის ფართო ფასციის ნაჭერი.

ა. ლ ი მ ბ ე რ გ ი ს მ ი ხ ე ღ ე თ - საჭიროა აგრეთვე გვირგვინისებრი მორჩის ოსტეოტომია საფეთქლის კუნთის ჭიმვის შესამცირებლად.

მოწოდებულია სხვა მრავალი ოპერაციული ტექნიკა, მათ შორის საყურადღებოა ნ. პლოტნიკოვის მეთოდი. გადასანერგად ავტორი იყენებს გვამიდან აღებულ მასალას (ლიოფიზირებული მასალა).

ჩვენს კლინიკაში წარმატებით გამოიყენება კორუნდო-კერამიკა როკისებრი მორჩის აღსადგენად.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია საკითხი თუ როგორ ავიცილოთ ანკილოზის ოპერაციის შემდგომი რეციდივი. ამ მხრივ როგორც ბევრ იყო აღნიშნული მოწოდებულია ინტერპოზიციისათვის საჭირო სხვა და სხვა მასალა. მათ შორის ყურადღებას იმსახურებს ტოტის ოსტეოტომირებული ტაკის ქიმიური მეთოდით დამუშავება. ამ მიზნით რიგი ავტორები იყენებენ თხევად ამოტს, პიოციდის ხსნარს, კარბოლის კონცენტრირებულ ხსნარს. ამ მეთოდების გამოყენება მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, რათა არ მივიღოთ რბილი ქსოვილების დამწვრობა.

ოპერაციის შემდგომ პერიოდში საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება: 1. მოღარებს შორის (ოპერაციის მხარეზე) განმბეჭენის მოთავსება ოთხი კვირის განმავლობაში, 2. განმბეჭენის გამოღების შემდეგ აქტიური ფუნქციონალური ვარჯიში, საღეჭი აპარატის კუნთოვანი სისტემის მოსაწესრიგებლად, 3. მაღალი კალორიული დიეტა, 4. საჭიროების შემთხვევაში ორთოდონტიული მკურნალობის დამატება.

მკურნალობის ეფექტი დამოკიდებულია ოპერაციული ჩარევის ყველა ეტაპის აკადემიურ ღონეზე ჩატარებაზე, ოპერაციის შემდგომ პერიოდში ავადმყოფის სწორად წაყვანაზე და მოვლაზე. რეციდივი მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში, რომელიც ყალიბდება თანდათანობით. მოძრაობის შეზღუდვით და ოსტეოტომირებული კიდეების ძელოვანი შეხორცებით.

სახისა და სამწვერა ნერვის დაავადებანი

ყბა-სახისა და პირის ღრუს ორგანოების ინერვაციაში მონაწილეობს, როგორც მგრძნობიარე, ისე მამოძრავებელი ნერვები. მათი ფუნქციური და ორგანული მოშლილობანი იწვევს ყბა-სახის არესა და პირის ღრუს ორგანოების ფუნქციის მოშლასაც.

ორგანიზმის გარეგანი და შინაგანი გაღიზიანება აღიქმება სპეციალური ნერვული დაბოლოებებით — რეცეპტორებით, ისინი მოთავსებულია, როგორც კანში, ისე ლორწოვან გარსში. ცნობილია ზედაპირული მგრძნობელობის ოთხი სახე: ტაქტილური, სითბოს, სიცივის, ტკივილის. მგრძნობელობის თვითოეულ სახეს აქვს შესაბამისი რეცეპტორები.

ტ ა ქ ტ ი ლ უ რ ი მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ო ბ ა აერთიანებს შეხებისა და დაწოლის შეგრძნებას. შეხებითი შეგრძნება დამყარებულია ავადმყოფის სუბიექტურ ჩვენებაზე. მეტი ობიექტურობისათვის გამოკვლევის პროცესში ავადმყოფს თვალები დახუჭული აქვს. ექიმში პატარა ფორით ან ბამბის ფთილით ეხება კანს. პასუხი უნდა იყოს გარკვეული. გამოკვლევას ვიწყებთ საღი უბნიდან და შემდეგ გადავდივართ დაავადებულ მხარეზე.

ტ ე მ პ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ო ბ ა აღიქმება ნერვული დაბოლოებებით, ფიქრობენ, რომ ასეთი ნერვული დაბოლოებები მოთავსებულია სისხლძარღვთა კედლებში: ტემპერატურული მგრძნობელობის განსაზღვრის მარტივი მეთოდია მინის სინჯარები, რომლებშიც ჩასხმულია გარკვეული ტემპერატურის წყალი. სიცივის შეგრძნებისათვის ვიყენებთ 15-20°-იან წყალს, სითბოსათვის 37°-38°-იან წყალს. ავადმყოფი პასუხობს სითბო შეიგრძნო თუ სიცივე. მგრძნობელობის განსასაზღვრავად მოწოდებულია რთული აპარატურა და ხელსაწყოებიც.

ტ კ ი ვ ი ლ ის შე გ რ ძ ნ ე ბ ა. ტკივილის შემგრძნები სპეციფიური ნერვული ბოჭკოების არსებობას ბევრი ავტორი არ იზიარებს. ზოგიერთის აზრით ტაქტილური შეგრძნება შეიძლება იყოს ტკივილის შეგრძნების წინამორბედი. სხვადასხვა ინტენსიობის გაღიზიანება ყოველთვის იწვევს ტკივილს. ტკივილი ბევრ შემთხვევაში გამაფრთხილებელი სიგნალია და მიუთითებს ორგანოსა ან სისტემაში ამა თუ იმ მოსალოდნელ პათოლოგიურ პროცესზე. ასეთი სახის გაღიზიანება ცნობილია ნოციცეპტიურის სახელწოდებით. ტკივილის შეგრძნების გამოსარკვევად ვიყენებთ ქინძისთავს, რომლის ერთი ბოლო წვეტიანია, ხოლო მეორე — ბლაგვი, ავადმყოფს. თვალები დახუჭული აქვს. გამოკვლევას ვიწყებთ როგორც წვეტიანი, ისე ბლაგვი ბოლოთი. ავადმყოფის პაუზის მიხედვით (აღეკვატურია თუ არა) ვადგენთ ტკივილის შეგრძნებას.

მგრძნობელობის მოშლას აქვს ორი მხარე სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტურია პარესთეზიები: ცხელის და ცივის შეგრძნება, ქაველი, "ჭიან-

ჰველების ცოცვის" შეგრძნება და სხვა, როცა ტკივილი გამოხატულია სხვადასხვა ინტენსივობით. ობიექტური შეიძლება გამოქვეყნდეს: ანუსთომის სახით – მგრძნობელობის მთლიანი მოშლა რეგიონში; პიპესტივით – მგრძნობელობის საგრძნობი დაქვეითებით; პიპერესთეზიით – მგრძნობელობის საგრძნობი აწევით; პიპერპათიით – შეგრძნების არა სასიამოვნო აღქმით.

ტკივილის ინტენსიობა დამოკიდებულია არა მარტო გამაღიზიანებელ აგენტზე, მისი მოქმედების ხანგრძლივობაზე, არამედ ორგანიზმის რეაქტიულობაზე. ზოგიერთი მძიმე დაავადების დროს ტკივილი შეიძლება იყოს სუსტი და პირობითი. ამდენად ტკივილი ყოველთვის არ გამოხატავს დაავადების სიმძიმეს. ტკივილი გავლენას ახდენს ცალკეული ორგანოსა და სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე: აჩქარებს ან ანელებს გულისცემას, არღვევს სუნთქვის რითმულობას, ცელის სისხლის წნევის მაჩვენებლებს. სისხლში ზრდის ადრენალინის, შაქრის რაოდენობას და სხვა.

ტკივილი შეიძლება იყოს: ყრუ, მწვავე, მფეთქავი, მწველი, მჭრელი, მჩხვლეტავი, შემტევი. ტკივილი აღმოცენების და გავრცელების მიხედვით შეიძლება იყოს ადგილობრივი, რეფლექსური, ირადიაციული.

რეფლექსურად მიჩნეულია ისეთი ტკივილი, რომელიც აღიქმება სხვა ნერვული ღეროთი, ასეთი ტკივილის ადგილს ზახარინ-გელის ზონა ეწოდება. მაგალითად ოღონტოგენური ტკივილი ზოგჯერ აღიქმება კისრის ან ზედა კიდურების არეში.

ირადიაციული ტკივილი სახის არეში ვრცელდება ძირითადად სამწვერა ნერვის ტოტების საპროექციო არეში.

ნერვალგიური ტკივილის მექანიზმი მთლიანად ახსნილი არ არის, ზოგი ავტორის აზრით ტკივილი გამოწვეულია უჯრედულ დონეზე ნივთიერებათა ცელის მოშლით. ორგანული ცელილებები ნერვულ ღეროში აღწერილი არ არის. დამახასიათებელია მკვეთრი შეტევითი ხასიათის ტკივილი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სპონტანურად, ან უფრო ხშირად გამაღიზიანებელი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად (შეხება, მოძრაობა, ლაპარაკი, ყლაპვის აქტი და სხვა). ტკივილის შეტევა რამდენიმე წამიდან გრძელდება ერთ წუთამდე. ნერვალგიური ტკივილი შეიძლება იყოს მჭრელი, მწველი, მგლეჯავი და ა. შ. მას ხშირად თან ახლავს ე ა ლ ე ს მტკივნეული წერტილების არსებობა (ვალეს წერტილებად მიღებულია ის ადგილები, საიდანაც ნერვული ღერო გამოდის ძვლოვან ზედაპირზე ან მასზე მიემართება).

ნერვების ღამიანების დიაგნოსტიკაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება გემოვნების მოშლას. გემოვნების შემგრძნები რეცეპტორები მოთავსებულია ძირითადად ენის ღერილებში. გემოვნების ბოლქვები შეიგრძნობს ცხარეს, მწარეს, მკავეს, ტკბილსა და მღამეს. ენის წინა მესამედში გემოვნების მოშლა

მიუთითებს იმ პერიფერიული ნერვული ბოჭკოების დაზიანებაზე, რომლებიც შედიან ენის ნერვის, სახისა და დაფის ნერვის შემადგენლობაში. გემოვნების მოშლასთან ერთად ხდება ენის სათანადო ნაწილის მგრძობელობის მოშლა, სმენის ფუნქციის დაქვეითება. გემოვნების მოშლა ენის უკანა მესამედი მიუთითებს ენა-ხახის ნერვის დაზიანებაზე.

სახის ნერვის დაავადებანი

სახის ნერვი მეშვიდე წყვილია, მერეულია და მის შემადგენლობაში მამოძრავებლებ ბოჭკოებთან ერთად შედის სეკრეტორული და გემოვნების ბოჭკოებიც. ქალას ღრუს ტოვებს სადგის-ღვრილისებრი ხერელით და შედის ყბა-ყურა სანერწყვე ჯირკვალში, სადაც იყოფა ცალკეულ ტოტებად. სახის ნერვის დაზიანების დროს, დაზიანების ადგილის მდებარეობის მიხედვით, გამოვლინდება სხვადასხვა სახის მოშლილობანი-მამოძრავებელი, ნერწყვის და ცრემლის გამოყოფის მოშლა, აგრეთვე გემოვნებისა და მგრძობელობის მოშლა.

ნ ე ე რ ი გ ი . სახის ნერვის დაავადებიდან უფრო ხშირია ნეერიგი. დაავადების გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ინფექცია (გრები). ორგანიზმის გაციელება, სახისა და ქალას ტრავმა. ნეერიგი შეიძლება განვითარდეს შუა ყურის ანთების ფონზე, ყბა-ყურა ჯირკვლის დაავადებების დროს, სახის არეში ოპერაციული ჩარევის შედეგად.

პ ა თ ო გ ე ნ ე შ ი . ინფექციური ნეერიგების დროს ანთებითი ცვლილებები ლოკალიზდება თვით ნერვში, იწყება ნერვული ღეროს შემუქება, რომელსაც შეიძლება მოყვეს დეგენერაციული ცვლილებები ნერვში, ასეთივე ცვლილებებია მოსალოდნელი ნერვული ღეროს ტრავმული დაზიანების დროს. ნეერიგის განვითარებაში გარკვეული როლი განეკუთვნება არტერიული სისხლით კვების მოშლას ე. წ. სახის არხში, ნერვული ღეროს შემუქება იწყებს მისი ფუნქციის გამოვარდნას.

პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანების კლინიკური სურათი განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, დაზიანების ხარისხთან, დაზიანების ფართობით და დაზიანების ლოკალიზაციით. ნერვული ღეროს გაღიზიანებას, ნაწილობრივ ან მთლიან დაზიანებას ახასიათებს: 1. მამოძრავებელი ფუნქციის მოშლა (აღგზნება ან გამოვარდნა), 2. მგრძობელობის მოშლა, 3. ევგეგოტროფიკული მოშლილობანი. ევგეგატორი ბოჭკოების სრული გაგლეჯის შემთხვევაში, საინერვაციო ზონაში ადგილი აქვს სრულ ანჰიდროზს, ოფლი არ გამოიყოფა პილოკარპინის ინექციის შემდეგაც კი. ანჰიდროზის ზონის მიმდებარე არეში აღინიშნება პიპერკიდროზის მოვლენა. პერიფერიული

ნერეული ბოჭკოების გაღიზიანებას თან ახლავს კანის გაწითლება-ჰიპერემია, ჰიპერპიდროზი, ადგილზე კანის ტემპერატურის მომატება.

კ ღ ი ნ ი კ ა . კლინიკური სურათი განპირობებულია სახის ნერვის დაზიანების ადგილით. დაავადების ძირითადი სიმპტომებია: მიმიკური კუნთების პარეზი და პარალიზი, დაზიანების მხარეზე ცხვირ-ტუჩის ნაოჭი გასაღებულია. თვალის დასუჭუა არ ხერხდება (ბელის ნიშანი), ლოყების გაბერება შეუძლებელია. თუ ნერვის დაზიანება მოხდა სახის არხში, ნერეული მუხლის განლაგების ზემო ადგილზე, მაშინ ჩამოთვლილ სიმპტომებს ემატება: ცრემლის გამოყოფის შემცირება, გემოვნების მოშლა ენის წინა ორ მესამედში, ნერწყვის დენისა და სმენის გაუკუღმართება (დაბალი ტონის ხმამაღლა აღქმა). როცა ნერვის დაზიანება ლოკალიზდება ნერვის დამუხლულ ღონეზე აუაღმყოფს მკვეთრად გამოხატული ტკივილი აქვს დერილისებრი მორჩის არეში, ყურის გარეთა გასაქალში. ზოგჯერ ადგილი აქვს პერპესულ გამონაყარს გუჩებისა და ყურის ნიჟარის არეში.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . აღრე დაწყებული მიზანმიმართული მკურნალობა გვაძლევს კეთილსაიმედო პროგნოზს. ამ ფონზე სახის ნერვის ფუნქციის აღდგენა მოსალოდნელია 80-85% შემთხვევაში. დანარჩენ 15-20% შემთხვევაში ვითარდება მიმიკური კუნთების მყარი პარალიზი. მკურნალობა ითვალისწინებს ღიფერენციულ მიდგომას. ინფექციური ნეურიტების დროს აუაღმყოფს ეუგარებთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობას: ანტიბიოტიკები, ასპირინი, ანტიპისტამინური პრეპარატები, სისხლძარღვთა გამაფართოებელი ნივთიერებები. გრამული ნეურიტების შემთხვევაში ვიყენებთ პოლივიტამინებს, გლუტამინის მკაევას, ფოსფორის პრეპარატებს, ლიდაზას და სხვა.

ანთების საწინააღმდეგო მკურნალობის გარდა საჭიროა დეგიდრატაციული მკურნალობის გატარება. ამ მიზნით საჭიროა პექსამეთილენგეტრამინის კურსის გატარება. ეენაში შეგვყავს 40%-იანი ხსნარის 10 მლ. 40%-იან გლუკოზის 5 მლ, ერთად. კუნთებში შეგვყავს ვიტამინები C, B₁, B₁₂, დეჰიდრატაციის მიზნით ვუნინზავთ ფუროსემიდს (40 მგ.). აგრეთვე კორტიკოსტეროიდულ პრეპარატებს (პრედნიზოლონი 30-60 მგ. დღეღამეში 5 დღის განმავლობაში), შემდეგ დოზას ვამცირებთ 15-20 მგ-მდე. ადგილობრივ ვიყენებთ ნახევარსპირტიან კომპრესს ან ღიმექსიდის კომპრესს (ღიმექსიდს წინასწარ ვაზავებთ წყალში). სისხლძარღვთა გამაფართოებელი საშუალებებიდან ვიყენებთ ნიკოტინის მკაევას. პირველ დღეს კუნთებში შეგვყავს 1 მლ. შემდეგ ყოველდღე ვუმატებთ თითო მილილიტრს და დოზას ვზრდით 10 მლ-მდე, შემდეგ დოზას თანღათანობით ვამცირებთ და ჩამოგვყავს 1 მლ-მდე.

მისაღებია ფიზიოთერაპიული საშუალებების აღრეული დანიშენა (სოლუქსი, უმს დენი), პარაფინის, ოზოკერიტის აპლიკაციები. შეიძლება გამოვიყენოთ ნერობოლი, თითო აბი ორჯერ დღეში, 2-3 კვირა ჭამის წინ.

მკურნალობის კომპლექსში ვიყენებთ ღიბაზოლს, 0,02 3 ჯერ დღეში 3-4

კვირა. პროპერინი 0,05%-იანი ხსნარი 1 მლ, ან გალანგამინი 0,5%-1%-იანი ხსნარის 1 მლ კანქვეშ, მკურნალობის კურსი 25-30 ინექცია. მწვავე მოვლენების ჩამთავრების შემდეგ (10-12 დღე), ავადმყოფს უენიშნავთ ღობირებულ სამკურნალო ვარჯიშებს.

მიმიკური კუნთების მყარი შეუქცევადი პარალიზის შემთხვევაში ნაჩვენებია მკურნალობის ქირურგიული მეთოდები, მიუხედავად იმისა, რომ სამკურნალო ეფექტი ყოველთვის არ არის სრულად დამაკმაყოფილებელი. აქ გასათვალისწინებელია დაზიანების სიმძიმე, ხანგრძლიობა. მიმიკური კუნთების მღგობარეობა, ასაკი.

პირობითად ქირურგიული ოპერაციები შეიძლება დაეყოს ოთხ ჯგუფად: 1. ქირურგიული ჩარევა თვით სახის ნერვზე. აქ ნაგულისხმეია სახის ნერვის განთავისუფლება ნაწიბურებისაგან, მეწოლისაგან, გრანულაციური ქსოვილისაგან. ნერვის მექანიკური დაზიანების დროს ნერვული ღეროს გაკერვა. მისი ანაგომიური მთლიანობის აღდგენა.

2. ნეიროპლასტიკა – სახის ნერვის შერთულის გაკეთება ახლოს მდებარე სხვა მამოძრავებელ ნერვებთან. 3. მიოპლასტიკა, 4. პალიატიური ოპერაციები, რომლებიც მოიცავენ დადამბლავებული მიმიკური კუნთების სტატიკურ ჩამოკიდებას, მაკორეგირებელ ოპერაციებს: ჯანმრთელ მხარეზე კუნთების ქსოვილის ამოკვეთას, ქსოვილის ამოკვეთა დაავადებულ მხარეზე, ადგილობრივი ქსოვილებით პლასტიკა, ოპერაციები ქუთუთოებზე.

ქირურგიული ოპერაციები უნდა გაკეთდეს იმ პერიოდში, როდესაც ნერვულ-კუნთოვან ქსოვილში ჯერ კიდევ არ განვითარებულა შეუქცევადი პროცესები. მაგალითად გრავემული დაზიანების დროს ნეიროპლასტიკური ოპერაცია უმჯობესია გაკეთდეს გრავემის მიღებიდან 2-3 თვეში, ინფექციური ნევრიტის შემთხვევაში კი 3-6 თვეში.

1. ქირურგიული ჩარევა თვით სახის ნერვზე. სახის ნერვის გრავემული დაზიანებისას შესაძლოა ნერვული ღეროს ნაწილობრივი ან მთლიანი დაზიანება, ეს მოსალოდნელია, როგორც ყბა-ყურა სანერწყვე ჯირკვალზე ოპერაციული ჩარევის დროს, ისე სახის არემი ჭრილობის მიღების შემთხვევაში. ორივე შემთხვევაში საჭიროა დაზიანებული ნერვული ღეროების მოძებნა, მათი განთავისუფლება ირგვლივ მდებარე რბილი ქსოვილებისაგან და ეპინევრალურად შეკერვა აგრავემირებული ნემსის გამოყენებით. ამასთან საჭიროა სისხლდენის საბოლოო შეჩერება პემაგომის ჩამოყალიბების თავიდან აცილების მიზნით. ამავე დროს რბილი ქსოვილების გაკერვით არ გამოვიწვიოთ ნერვის დაზიანების არემი მომავალში უხეში ნაწიბურების განვითარება. იმ შემთხვევაში, როდესაც ოპერაციის გაკეთება გვიხდება უკვე განვითარებული ნაწიბურების ფონზე, საჭიროა ნერვული ღეროს ნაწიბურებისაგან განთავისუფლება ძალიან ფრთხილად, სრული პემოსტამის შემდეგ ჭრილობის გაკერვა. კელოიდური ნაწიბურის განვითარების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფიმიოთერაპია, ფერმენტების გამოყენება და სხვა.

2. სახის ნერვის შერთული. სახის ნერვის პლასტიკის ძირითადი მიზანია მისი მამოძრავებელი ფუნქციის აღდგენა. თვით ნერვის ფუნქციის აღდგენა საკმარისი არ არის რომ აღდგეს მიმიკური კუნთების ფუნქცია, ამიტომ საჭიროა ოპერაციამდე გამოვიკვლიოთ მიმიკური კუნთების ბოჭკოების ფუნქციური მდგომარეობა.

სახის ნერვის შერთულის გასაკეთებლად საჭიროა ყბა-ყურა ჯირკელის ქსოვილში მოვიძებნოთ ნერეული ღერო, გამოეყოთ რბილი ქსოვილებიდან სადგის-ღვრილისებრი სერელის მიმართულებით, მოვიძებნოთ ენის ქვეშა ან დამატებითი ნერვის ღეროს, გადაეკეთათ და ამ ნერვების ცენტრალურ ნაწილს მივაკერებთ სახის ნერვის ღეროს ეპინევრალურად. უნდა გვახსოვდეს, რომ ნერეული ღეროს გამოყოფის დროს არ დავაზიანოთ ნერეული ღეროს ირგვლივ მდებარე წვრილისისხლძარღვოვანი ქსელი, რათა არ მოეშალოთ ნერეული ღეროს კვება.

ამ ბოლო წლებში მიკროქირურგიის განვითარების საფუძველზე ნეიროპლასტიკის მიზნით იყენებენ საჯდომი ნერვის (ან მისი ტოტების) ნაწილის გადანერგვას სახის ნერვის ფუნქციის აღსადგენად. შედეგები ჯერჯერობით მთლიანად დამაკმაყოფილებელი არ არის.

3. მ ი ო პ ლ ა ს ტ ი კ ა . მოოპლასტიკისათვის ვიყენებთ საფეთქლის და საღეჭი კუნთების ქსოვილს. საფეთქლის კუნთზე ოპერაციის დროს განაკეთს ვაგარებთ საფეთქლის კუნთის მიმაგრების ზედა ნაწილში. ვერტიკალურ განაკეთს, ყურის საფეთქლიდან 2 სმ-ით დაშორებით, ვაგრძელებთ ყვრიმალის რკალის ღონემდე, ყვრიმალის ძვლის დისტალურად. გავხსნით კანს, კანქვეშა ქსოვილს ფასციამდე. პირის კუთხეში ნამგლისებრი განაკეთით გაეკეთათ კანს, კანქვეშა ქსოვილს და გაეაშიშვლებთ პირის ირგვლივი კუნთის ბოჭკოებს. ამის შემდეგ საფეთქლის კუნთის ცენტრალური ნაწილიდან 3,5-4 სმ. სიფართის კუნთოვან ქსოვილს ავაშრევეთ თავისი მყესოვანი ნაწილით ყვრიმალის ძვლის ქედამდე. ლოყის სისქეში პირის კუთხის მიმართულებით ვაკეთებთ ტუნელს და კემოსტამის შემდეგ, ტუნელში შემოგვაქვს საფეთქლის კუნთის ნაფლეთი და მარაოსებრ მივაკერებთ ქრომირებული კეტგუტით ტუნის ირგვლივი კუნთის ბოჭკოებს, თუ ქსოვილის ზედმეტობა აღმოჩნდება, მას ამოვკვეთათ და კანს გავკერავთ ყრულ.

ს ა ღ ე ჳ ი კ უ ნ თ ი ს . პლასტიკის შემთხვევაში განაკეთს ვაგარებთ ქვედა ყბის კუთხის არეში 2,5 სმ-ით დაშორებით ძვლიდან. გაეკეთათ კანს, კანქვეშა ქსოვილს, გაეაშიშვლებთ კუნთის მიმაგრების ადგილს ქვედა ყბის კუთხესთან და მის წინა ნაწილიდან გამოვჭრით ნაფლეთს, მოვკვეთათ ქვედა ნაწილში მყესთან ერთად. ტუნის კუთხის არეში ვაგარებთ ნამგლის ფორმის განაკეთს, შეექმნით ტუნელს ლოყის სისქეში, რომელშიდაც შემო-

ვიგანთ საღეჭი კუნთის ნაფლეთს და ჩაეკერებთ გუჩის ირგვლივი კუნთის ბოჭკოებს. ჭრილობას გავკერაეთ ყრულ. ზოგჯერ საჭირო ხდება გუჩის კუთხის ზევით აწვევა, ამ მიზნით გამოიყენება ბარძაყის ღილი ფასციის ნაფლეთი, ჩამოკიდებული ყვრიმალის რკალზე, 7-10 დღით ლეიკოპლასტიკის საშუალებით გუჩის კუთხეს ავწევთ ზევით და ვაფიქსირებთ.

4. პ ა ლ ი ა გ ი უ რ ი მ ა კ ო რ ე გ ი რ ე ბ ე ლ ი ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი . ამოპერაციების დანიშნულებაა მიმიკური კუნთების პარალიჩით გამოწვეული ანაგრომიურ-ფუნქციური მოშლილობის ნაწილობრივი გამოსწორება მაინც. ამ მიზნით გამოიყენება სახის დადამბლავებული ქსოვილების ჩამოკიდება სახის ჩონჩხზე. ამ მიზნით გამოიყენება ბარძაყის ფართე ფასციის ნაფლეთი, ლაესანის ძაფი და სხვა. ამავე მიზნით მოწოდებულია სახის ჯანმრთელ მხარეზე მიმიკური კუნთების ნაწილობრივ დაძაბუნება (რათა შევამციროთ მათი გადაჭიმვის ძალა). გადაკვეთით ან ნაწილობრივი ამოკვეთით, ნაკერების საშუალებით მათი ჯანმრთელ ქსოვილებზე დაფიქსირებით, დადამბლავებულ მხარეზე მოდუნებული (ზედმეტად გამობაგული) ქსოვილს ამოვკვეთათ. მაკორეგირებელ პალიატიური ოპერაციების რიგში განიხილება დადამბლავებულ მხარეზე წარბების აწვევა, ქუთუთოების კორექცია.

წარბის კორექციისათვის საჭიროა ლაესანის ძაფით ავილოთ წარბის ფაშარშემაერთებელი ქსოვილი და 3-5 ძაფით ავწიოთ ჯანმრთელი წარბის ღონებზე ოდნავ ზევით და ჩაეკეროთ ქალას ძელის შუბლის აპონევროზს.

როგორც ცნობილია სახის ნერვის დამბლას თან ახლავს შესაბამის მხარეზე თვალღიაობა, რასაც მოგვიანებით მოყვება რიგი სერიოზული გართულება (თვალის სიმშრალე, კერატიტი და სხვა). თვალღიაობის (ლაგოფთალმი) თავიდან აცილების მიზნით მოწოდებულია ოპერაცია სკლეროზოლუფარორაფია დაფუძნებული ბელის ფენომენზე (თვალის დახუჭვის მცდელობის დროს თვალის კაკალი გადაიხრება გარეთ და ზევით). ამაზე დაყრდნობით, თუ ქვედა ქუთუთოს მიეკერებთ თვალის კაკალზე, დახუჭვის დროს ქუთუთო მოძრაობს თვალის კაკალთან ერთად, ეხება ზედა ქუთუთოს და ქმნის თვალის ნაპრალის პერმეტივს.

სამწვერა ნერვის ნევრიტი

ანთების, ხანგრძლივი გკივილის ან სხვა მაგრავმირებელი ფაქტორების შემოქმედების შედეგად სამწვერა ნერვის სისტემაში თავს იჩენს ორგანული ცვლილებები, რომლებიც განაპირობებენ დაავადების ისეთ ფორმას, როგორც ნევრიტი. ნევრიტისათვის დამახასიათებელია მუდმივი ხასიათის გკივილი, მგრძნობელობის მოშლა და გროფიკული ცვლილებები კანზე (კანის გათხ-

ელემა, აქერცვლა, პიგმენტაციის მოშლა, შემუშება და სხვა). სამწვერა ნერვის ნეერიგის დროს აღინიშნება ნერული ღეროს გამსხვილება, მასში წერტილოვანი სისხლჩაქევეები, ცელილებები თვით ნერვის მკეებაე სისხლძარღვებშიც. ასეთი ნერული ღეროები ძელოვან არხებში განიცდის ზეწოლას და დეგენერაციულ ცელილებებთან ერთად ვითარდება რეაქტიული ანთებაე. აღსანიშნავია, რომ ხშირად ნეერიგი, სამწვერა ნერვის ნეერალგის თანმხლები დაავადება, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ექიმის მიერ.

კლინიკა. სამწვერა ნერვის ნეერიგისათვის დამახასიათებელია მუღმივი ხასიათის ტკივილი საინერვაციო ზონაში, მგრძნობელობის მოშლა-პარესთემია ("ჭიანჭველების ცოცვა", "ჩხვლეტის" შეგრძნება და სხვა). გამოკელების დროს ვადგენთ მგრძნობელობის ყველა სახის მოშლას: მგრძნობელობა აწეულია (პიპერესთემია), მგრძნობელობა დაქევეთებულია (პიპესთემია), მგრძნობელობის გამოვარდნა (ანესთემია), მგრძნობელობის გაუკულმართება (პარესთემია). ნეერიგის დროს ტკივილი მუღმივია, თვითნებითია, შემადონებული, ძლიერდება დაწოლით, შეხებით. ნეერიგებისათვის არ არის დამახასიათებელი ალგოგენური ზონების არსებობა და პაროქსიზმები.

1. თვალბუღის ნერვის ნეერიგი. როგორც ცნობილია თვალბუღის ნერვი ძირითადად იძლევა სამ გოგს: შუბლის ნერეს, რომელიც ინერვაციას აწეღის შუბლის კანს, ზედა ქუთუთოს და თვალის მეღიაღურ კუთხეს; საცრემლე ნერვი გაივღის საცრემლე ჯირკვალს, მთავრდება კანში და თვალის კუთხის ლატერალურად კონიუქტივაში, ამ ნერვის შემადგენლობაში შეღის აგრეთვე სეკრეტორული ბოჭკოები საცრემლე ჯირკელისათვის; ცხვირ-წამწამის ნერვი, რომელიც აინერვირებს ცხვირის დრუს წინა ნაწილს, თვალის კაკალს, კონიუქტივასა და საცრემლე პარკს. აქედან გამომდინარე თვალბუღის ნერვის ნეერიგის კლინიკა მრავალფეროვანია: მუღმივი ხასიათის ტკივილი, საკმაოდ კარგად გამოხატული, ლოკალიზდება ზემოთ აღწერილ ზონაში: თვალბუღის, თვალის კაკლისა და შუბლის არეში. მოშლილია მგრძნობელობა და ცრემლის სეკრეცია (მომატებულია ცრემლის გამოყოფა), პალპაციით ტკივილი ძლიერდება. დიფერენციული დიაგნოზი უნდა გავაგართთ პირველი გოგის, ფრთა-სასას კვანძის ნეერალგისთან, გლაუკომასთან, შუბლისა და ზედა ყბის წიაღის ანთებასთან, ეთმოიდიტთან.

მკურნალობა კონსერვატიულია, ვიყენებთ ტკივილდამაყუჩებელ საშუალებებს, ვიგამინებს (C და B ჯგუფი), ნერაბოლს, ფოსფორისა და რკინის პრეპარატებს, პროზერინს, სისხლძარღვთა გამაფართოებელ საშუალებებს, ჩენების მიხედვით კორტიკოსტეროიდულ პრეპარატებს. კარგია ფიზიკური მეთოდების გამოყენება.

2. თვალბუღის ქედა ნერვის ნეერიგი. ნერვი სახეზე

გამოდის თვალბუდის ქვედა ხერვლით და აინერვირებს ქუთუთოს, ზელა გუქს და ცხვირის გვერდით მხარეს. ახასიათებს მუღმიეი, ყრუ ხასიათის ტკივილი, მგრძნობელობის მოშლა. თითით მეწოლის ღროს ტკივილი ძლიერდება. დაავადებას არ ახასიათებს "ჩახმახოვანი" ზონუბი. ნეკრიტის სშირი მიმგზია ნერვის მექანიკური დაზიანება, რომელიც შეიძლება მოხდეს ინფარორბიტული ანესთეზიის გაკეთების ღროს, ან თვალბუდის ქვედა კადის მოტეხილობის შემთხვევაში.

მკურნალობა მიმართულია გამომწვევი მიზეზის მოსახსნელად: მონაგეზი ფრაგმენტების მეწოლისაგან განთავისუფლება. თვალბუდის ქვედა ხერვლის გაფართოება – ნერვის დეკომპრესია, ნერვის ნაწიბურებისაგან განთავისუფლება ნეეროლიზი. ამის გარდა ვიყენებთ მემოთ ჩამოთელილ მედიკამენტურ საშუალებებს და ფიზოთერაპიას.

3. ქვედა ალვეოლური ნერვების ნეერიტი დაავადების ძირითადი გამომწვევი მიზეზია მექანიკური ტრავმა (მანდიბულური ანესთეზია, კბილების ტრავმული ექსტრაქცია და სხვა). აღინიშნება მგრძნობელობის მოშლა, ძლიერი მუღმიეი ხასიათის ტკივილი. კბილბუღებე შეხება ტკივილს აძლიერებს.

მკურნალობა. ანესთეზიის შედეგად გამომწვეული ნეერიტის მკურნალობა ძირითადად ითვალისწინებს ვიგამინოთერაპიას, ფიზიომკურნალობას, პროზერინს, სისხლძარღვთა გამაფართოებელი საშუალებების დანიშვნას. ექსტრაქციის შემდეგ განვითარებული ნეერიტი მოითხოვს ენერგიულ მკურნალობას. სათანადო გაუტკივარების ფონზე საჭიროა კბილბუდის ფრთხილად ამოწმენდა. ჭრილობის გამორეცხვა ანტისეპტიკური ხსნარებით. ბლოკადები ნოვოკაინის ხსნარით, ფიზიომკურნალობა (უშს ღენი, დიალნამიკური ღენი, ელექტროფორეზი და სხვა). ავადმყოფს უენიშნაეთ ტკივლდამაყუჩებელ (ანალგინი) და ანგიპისგამინურ (დიმედროლი) პრეპარატებს.

4. ენის ნერვის ნეერიტი. შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დაავადება ტრავმის მიყენების ნიადაგზე, ან თან ახლდეს სხვა ნერვების დაავადებას. დაავადების ძირითადი ნიშნებია მუღმიეი ხასიათის ძლიერი ტკივილი ენის არეში და მგრძნობელობის მოშლა ენის წინა ორ მესამედში პარესთეზიებისა და მგრძნობელობის მოშლის სახით.

მკურნალობა ითვალისწინებს: ვიგამინოთერაპიას, ბლოკადებს ნოვოკაინის ხსნარით, ფიზიომკურნალობას. ვიყენებთ ტკივილდამაყუჩებელ საშუალებებს.

5. ლოყის ნერვის ნეერიტი. ნერული ღეროს დაზიანება შეიძლება გამომწვეული იყოს, როგორც ტრავმით, ისე ოპერაციული ჩარევის ღროს. ლოყის ნერვის ნეერიტისათვის ტკივილი დამახასიათებელი

არ არის. დაავადების ძირითადი ნიშანია მგრძობელობის მოშლა სათანადო მხარეზე, როგორც ლორწოვან გარსზე, ისე კანზე (ტურების კუთხის არე). მკურნალობა ზემოთ აღწერილი მეთოდებით.

6. ენის ქვეშა ნერვის ნევრიტი. ენის ქვეშა ნერვი მამოძრავებელი ნერვია და არეკულირებს ენის მოძრაობას, მაგრამ ატარებს მგრძობელობასაც. ამ ნერვის ნევრიტი, როგორც დამოუკიდებელი დაავადება იშვიათად გვხვდება. უფრო ხშირად დაზიანება მეორადია და გამოწვეულია იმ პათოლოგიური პროცესებით, რომლებიც მიმდინარეობს თავის ქალაში და ფუძეზე, კისრის I-II მალეში. ცალმხრივი პათოლოგიური პროცესი იწვევს ენის სათანადო ნახეურის ატროფიას, ენის კუნთების ფიბრილურ კანკალს. პირის ღრუდან ენის გამოყოფის მცდელობის დროს, ენა გადაინაცელებს დაზიანების მხარეზე. ორმხრივი დაზიანების დროს კი აღინიშნება ენის სრული უძრავობა-გლოსოპლეგია, მეტყველების ფუნქციის მოშლა-დიზართრია, ყლაპვის ფუნქციის მოშლა-დისფაგია.

მკურნალობა ტარდება გამოწვევი მიზეზის დადგენის მისელებით ნევროპათოლოგიის ერთად.

7. ენა-ხახის ნერვის ნევრიტი. მე-9 წყვილი ნერვია, არის რთული შემადგენლობის, შეიცავს გემოვნების, მგრძობიარე, სეკრეტორულ ბოჭკოებს ყბა-ყურა სანერწყვეჯირკვლებისათვის და მამოძრავებელ ბოჭკოებს სადგის-ხახის კუნთისათვის. ამ ნერვის ნევრიტი იზოლირებულად იშვიათად გვხვდება, უფრო ხშირად თან ახლავს ბუღბარულ დამბლას. დაავადებისათვის დამახასიათებელია ენის ძირისა და ხახის ლორწოვანი გარსის მგრძობელობის მოშლა-ჰიპესთეზია, გემოვნების მოშლა (აგეუზია) ენის უკანა მესამედში. ყბა-ყურა ჯირკვლების სეკრეტორული ფუნქციის დაქვეითება და ყლაპვის გაძნელება. მკურნალობა ნევროპათოლოგიის ერთად – კომპლექსურად.

8. ცთომილი ნერვის ნევრიტი. მე-10 წყვილი ნერვია, იძლევა გოგებს რბილი სასის კუნთებისათვის, ხახის შემავიწროებელი კუნთებისათვის. დაავადებისათვის დამახასიათებელია მეტყველებისა და ყლაპვის ფუნქციების მოშლა. დაზიანების მხარეზე რბილი სასა მოღუნებულია, ჩამოშვებულია, რბილი სასის ნაქი გადაწეულია ჯანმრთელ მხარეზე, ყლაპვის რეფლექსი მოსპობილია.

მკურნალობა კომპლექსურია, ნევროპათოლოგიის ერთად.

სამწვერა ნერვის ნევრალგია

ნევრიტისაგან განსხვავებით ნევრალგია განუკუთვნიება დაავადებათა იმ რიგს, როდესაც ანთების კომპონენტი საერთოდ არ არის გამოსაგული.

დაავადების დედაბერი მდგომარეობს მგრძობელობის მომლაში – ძლიერი ტკივილის ალქმაში, რაც გამოწვეულია ანიმალური აფერენტული და ვეგეტატიური ნერეული სისტემის ფუნქციური მოშლილობით. გამოთქმა "სამწვერა ნერეის ანთება" სამედიცინო თვალთახედვით ყოვლად მიუღებელი და არასწორია.

დაავადების ეტიოლოგია დაზუსტებული არ არის, ფიქრობენ დაავადების პოლიეტიოლოგიურ ბუნებაზე. ხელშემწყობ ფაქტორებად მიჩნეულია ინფექციური, ოღონტოგენური, ცხვირის დანამატი ღრუების დაავადებები, პიპერტონია, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ძელოვანი არხების კონსტიტუციურ სიეწროვეს. დაავადების გენეზში მნიშვნელობა ენიჭება გასერის კვანძის არეში გვინის მაგარი გარსის ნაწიბუროვან შეხორცებებს. ფიქრობენ, რომ ტკივილის აღმოცენებაში გარკვეული როლი უნდა ქონდეს ნერეულ ღეროში მოლეკულურ ღონეზე ცელილებებს.

ვარჩევთ სამწვერა ნერეის ნერვალგის ორ ძირითად ფორმას: 1. იდიოპათური (ესენციალური) ანუ პირველადი ნერვალგია. ამ ფორმის ღროს თანამედროვე ღონის გამოკვლევებით ნერეის სტრუქტურაში მორფოლოგიური ცელილებების აღმოჩენა შეუძლებელია. 2. სიმპტომური ანუ მეორადი ნერვალგია, როლესაც ტკივილი სიმპტომია იმ პათოლოგიური პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობს ან თვითონ ნერეულ ღეროში ან მის ირგვლივ მდებარე რბილ ქსოვილებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრინციპული განსხვავება ნერვალგის ამ ორ ფორმას შორის არ არის.

კ ღ ი ნ ი კ ა . სამწვერა ნერეის ნერვალგია უნდა განვიხილოთ, როგორც ქრონიკული დაავადება, რომელიც საჭიროებს მრავალკურსობრივ მკურნალობას. განსხვავებით სხვა ქრონიკული პროცესებისაგან, ამ დაავადებისათვის ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომია მწვავე, ძლიერი ხასიათის ტკივილი. ტკივილის ალქმა თვითოეული ავადმყოფისათვის თითქმის ინდივიდუალურია და უპირატესად განპირობებულია პიროვნების ნერეულ-ფსიქიკური მდგომარეობით.

ტკივილი ძირითადი და წამყვანი სიმპტომია, შეტევითი ხასიათისაა, გრძელდება რამდენიმე წამიდან წუთამდე. ტკივილი მოგჯერ ისეა გამოხატული, რომ თვით შეტევის ხასიათის დადგენა ძალზე ძნელია, იმის გამო, რომ ტკივილის შეტევა მოკლე ინტერვალებით მეორდება. ტკივილი შეიძლება იყოს მჩხვლეტავი, მგლეჯავი, მწველი, მზურღავი, ელექტროდენის დარტყმის ხასიათის და სხვა. ლოკალიზაციის მიხედვით მოგჯერ შემოსამღერულია პატარა უბნით. სხვა შემთხვევაში ვრცელდება გარკვეულ ფართზე. ტკივილი შეიძლება იყოს გელაპირული და უფრო ღრმად მდებარე.

ტკივილის შეტევა ავადმყოფთა გარკვეულ ნაწილში იწყება თვითნებურად, რაიმე ხილული მიზეზის გარეშე. უმრავლეს შემთხვევაში კი ტკივილის შეტევა დაკავშირებულია რაიმე გამაღმიანებელ ფაქტორთან: პირის დაბანა, საკვების დალევა, წვერის გაპარსვა, ლაპარაკი, ლოყის ან ლორწოვანი

გარსზე შეხება, გამჟღავნებული ცვალებადობა და სხვა. ტკივილი ვერცელდებოდა სამწვერა ნერვის საინერვაციო ზონებზე. მტკივნეული პაროქსიზმი აღმოცენებული მოულოდნელად, შეიძლება შეწყდეს ასევე მოულოდნელად ამასთან ერთად მკვეყათა შორის პერიოდში ტკივილი საერთოდ არ არსებობს.

ტკივილის შეტევა იწვევს აუადმყოფის მოძრაობის ყოველგვარ შეწყვეტას, მას ეშინია განძრევის, ხელი დაჭერილი აქვს მტკივნეულ ადგილებზე და მეწოლით ცდილობს ტკივილის ინტენსიობის შემცირებას.

სახის კანზე ან ლორწოვან გარსზე შეიძლება მოეძებნოთ მცირე ზომის ისეთი ადგილები, რომელზედაც შეხება გამოიწვევს ტკივილის პროვოცირებას. ასეთ ადგილებს ალგოგენური ზონები ("ჩახმახოვანი") ეწოდება. ტკივილის პაროქსიზმებს თან ახლავს მიმიკური და სალუჯი კუნთების რეფლექსური შეკუმშვა და სახის დამანჭვა, პიპერემია; ცრემლის, ნერწყვის ღენა. ცხვირის ნესგოდან გამონადენის გაძლიერება. ობიექტური გამოკვლევით ეადგენთ ვალეს მტკივნეულ წერტილებს (თვალბულის ზედა, თვალბულის ქვედა, მენტალური ხერეღი).

სამწვერა ნერვის პირეელი გოგის ნევრალგიის დროს ტკივილი აღინიშნება შუბლის ნერვის ან ცხვირწამწამის ნერვის არეში (შუბლისა და თვალბულის არე), თვალის გაწითლებულია, აღინიშნება კონიუქტივიტი და ცრემლის ღენა. რქოვანას რეფლექსი გამოვარდნილია.

მეორე გოგის ნევრალგიის დროს ტკივილი აღიქმება ზედა ყბის კბილებისა და ზედა გუჩის არეში. ტკივილი ვერცელდება თვალბულის ქვედა არეში. ადგილი აქვს ცხვირიდან ლორწოვანი გამონადენის მომატებას.

მესამე გოგის ნევრალგიის დროს ტკივილია ქვედა აღვეოლური ნერვის საინერვაციო არეში. ნიკაპის ხერელთან თითის დაჭერით აღიქმება ტკივილი. ნერწყვის გამოყოფა ზოგჯერ მომატებულია.

გარდა ცალკეული ნერეული გოგების ნევრალგიისა შეიძლება იყოს ერთდროულად ორი გოგის ნევრალგია. მაგალითად, მეორე და მესამე გოგების.

ღია გ ნ ო ბ ის დ ა დ გ ე ნ ის ა თ ვ ის გარკეული მნიშენელოვნობა ვალეს მტკივნეული წერტილების არსებობას. გარდა ამისა, კვლავ აღსაღებია შემდეგი მომენცებები: 1. "ჩახმახოვან ზონის" არეში მსუბუქი შეხება კი იწვევს გიპიური ნევრალგიის შეტევას, მაშინ, როცა ძლიერი ზედაწოლა ტკივილს არა თუ არ აძლიერებს, არამედ ზოგჯერ აწყირებს ტკივილის ინტენსიობას.

2. კანის მგრძნობელობის მოშლა წარმოდგენილია ორი ფორმით: მგრძნობელობის აწყვეით ან დაწყვეით, უფრო მეტად მხეხების მგრძნობელობის დაქვითებით.

3. გეგეტატური მოშლილობანი – გუგის გაფართოება (მიღრიაზი), ცრემლისა და ნერწყვის გამოყოფის გაძლიერება, ადგილობრივ ტკმჟერატორის

მომავტება (პიპერემია), მივანინშნებს სამწვერა ნერვის მონაწილეობაზე
პათოლოგიურ პროცესში.

4. გროფიკული მოშლილობა. სამწვერა ნერვის ნეერალგიის დროს ადგ-
ილი აქეს ზოგიერთ გროფიკულ მოშლილობას, როგორცაა: ლოყისა და
ტუჩების შეშუპება, პერპესული გამონაყარი, წამწაჩების, წარბების, თმე-
ბის დაცენა, კერატიტი (იშეითადა) და სხვა.

5. ტყიეილთან დაკავშირებული პიპერკინეზიები – მიმიკური კუნთების
კრუნჩხვითი შეკუმშეები; ზოგჯერ მიმიკური კუნთების სპაზმი წინ უსწრებს
ნეერალგიურ ტყიეილს, ზოგჯერ თან ერთეის მას.

ღიფერენციულ დიაგნოსტიკას ვაგარებთ: პულკიტან,
მწეავე პერიოდონტიტიან, პულპის დენტიკლთან, მწეავე პაიმორტიან,
შაკიკთან, კოსტენის სინდრომთან.

მწეავე პულპიტის დროს ყოველთვის მოიძებნება მიზემო-
ბრივი კბილი, რომლის ტემპერატურული ვალიზიანება იწვევს ტყიეილის
შეტეუას, მკურნალობის შემდეგ ტყიეილის სიმპტომი სრულად
იხსნება. ასეთივე მდგომარეობაა მწეავე პერიოდონტიტის შემთხვევაშიც.

პულპის დენტიკლის შემთხვევაში ინტაქტური კბილების რენგ-
გენოლოგიური გამოკვლევით ყოველთვის ვადგენთ რომელიმე კბილის
დრუში თავისუფლად ან კედელთან მიმდებარე დენტიკლის არსებობას,
რომლის ამოღების შემდეგ ტყიეილი იხსნება.

მწეავე პაიმორტიტისათვის დამახასიათებელია არა შეტ-
ევითი ტყიეილი, არამედ უფრო მუდმივი ხასიათის ტყიეილი, შესაბამისი
მხარის ცხვირის ნესტოდან სეროზული, ჩირქოვანი გამონადენია, რენტგენ-
ოლოგიურად აღინიშნება დაჩრდილევა. დრუს პუნქციით ვღებულობთ ჩირქო-
ვან მასას, ადგილი აქეს სხეულის ტემპერატურის მომავტებას. მკურნალობის
შემდეგ ტყიეილი იხსნება.

შაკიკისათვის დამახასიათებელია თავის პერიოდული ტყიეილი,
რომელსაც შეიძლება ახლდეს გულისრევა და პირღებინება. შაკიკის დროს
ტყიეილი იწყება გარკვეულ ლოკალურ ადგილზე. საფეთქელთან, თვალბუღ-
ესთან, შუბლის არეში, ზოგჯერ ადგილი აქეს ტყიეილის ირადიაციას. უფრო
ხშირად ლოკალიზდება ცალმხრივ, ტყიეილის შეტევა ხანგრძლივია, გრ-
ძელდება რამდენიმე საათი; ზოგჯერ დღეების კი. ამ მონაცემებით გამ-
ოვრიცხავთ ნეერალგიური ტყიეილისაგან.

კოსტენის სინდრომი დამახასიათებელია ქვედა ყბის სახსრის
დაავადებისათვის, ეს ამ სახსრის ართალგიაა. ახასიათებს ტყიეილი სახსრისა
და სახის არეში, ყურთან, ადგილი აქეს სმენის დაქვეითებას. ტყიეილი
ძლიერდება ქვედა ყბის მოძრაობის დროს.

მკურნალობა. დაავადება მოითხოვს გულისხმიერ და ვააზრე-
ბულ სამკურნალო ღონისძიებების ვაგარებას.

ნეერალგია ძნელად ექვემდებარება რომელიმე ერთი მეთოდით მკურ-

ნალობას. საჭირო ხდება მეურნალობის სხვადასხვა მეთოდების თანმიმდევრული გატარება. მეურნალობის მეთოდები პირობითად შეიძლება დაყოთ ორ ჯგუფად: კონსერვატიულ-მედიკამენტური და ქირურგიული.

კონსერვატიულ-მედიკამენტური მიდგომა ითვალისწინებს სხვადასხვა მედიკამენტების გამოყენებას: ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები, ტევრეტოლი, ფინლესინი, ნეიროლექტიური წამლები (ამინაზინი, მეპაზინი და სხვა), სამეურნალო კომპლექსში ერთავთ ვიგამინებს, ფიზიოთერაპიულ საშუალებას (გალვანიზაცია, დიალინამიკური ღენი და სხვა) წარმატებით გამოიყენება ნერვული ღეროს ბლოკადები (ნოვოკაინის 1%-2%-იანი ხსნარი, ტრიმეკაინის 1%-2%-იანი ხსნარი, ლიდოკაინის 2%-იანი ხსნარი და სხვა). ბლოკადებისათვის გამიზნული საანესთეზიო ხსნარებში აღრენალინის შერევა დაუშვებელია.

ვიყენებთ სპირტ-ნოვოკაინის ბლოკადებს. დასაწყისში ძლოვან არხში შეგვყავს საანესთეზიო ნივთიერება, ხოლო შემდეგ 75°-80°-იანი სპირტის 0,5-1 მლ.

ქირურგიული მეთოდებიდან ვიყენებთ ნერვული ღეროს გადაკვეთას, მის ამოგრებას, ღიათერმოკოაგულაციას, ვიყენებთ მიმართებით პიღროთერმულ ლესტრუქციას (ლ. ლიფშიცი, ზ. გვენეტაძე).

ცხვირ-წამწამის ნერვის ნევრალგია (ჩარლინის სინდრომი)

ცხვირწამწამის ნერვი თვალბუღის ნერვის ერთ-ერთი გოგია და ანერვირებს ზემო ქუთუთოს კანს, მის ლორწოვან გარსს, საცრემლე პარკს, მუბლის წიაღს, ცხავის ძელის უჯრედების ლორწოვან გარსს, ცხვირის ღრუს წინა ნაწილის ლორწოვან გარსს და ცხვირის კანს, ამ ნერვის დაავადებისათვის დამახასიათებელია მწვავე, ძალზე შემაწუხებელი ტკივილი, რომელიც უფრო ხშირად იწყება ღამით და იწვევს უძილობას.

კლინიკა. მწვავე ხასიათის ტკივილი ლოკალიზდება თვალბუღისა და შესაბამის მხარეზე ცხვირის ნახევარში, ცხვირის ლორწოვანი გარსი პიპერემიულია, ნესგოდან გამოდის ლორწოვან-სეკრეტორული გამონადენი, ადგილი აქვს ცრემლის ღენას. ცხვირისა და მუბლის არეში შეიძლება იყოს გამონაყარი. ვითარდება კონიუქტივიტი და კერატიტი, ზოგჯერ რქოვანას წყლული. პალპაციით თვალბუღესა და ცხვირის არეში აღიქმება ტკივილი.

დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია ცხვირის ნიჟარების პიპერტროფია, ცხვირის ძგიდის გამრუდება, კბილების დაავადება, ზოგიერთი ინფექციური სნეულება.

დიფერენციულ დიაგნოზს ვატარებთ წამწამოვანი კეანძის ნევრალგიასთან. წამწამოვანი კეანძი მდებარეობს თვალბუდეში, მხედველობის ნერვის გარეთა მხარეზე, თვალის კაკლის უკანა პოლუსიდან დაახლოებით 0,8 სმ. დაშორებით. ამ კეანძის დაავადების დროს გკივილი ლოკალიზდება მხოლოდ თვალში, რითაც განსხვავდება ცხვირწამწამის ნერვის ნევრალგიისაგან.

ფრთა-სასის ნევრალგიის დროს გკივილი უფრო მეტად გამოხატულია ცხვირის არეში, თვალის არეში ძალზე მცირედ. თვალის შიდა კუთხეში და ცხვირის არეში პალპაციით გკივილი არ არის. გამონაყარი არ არის. ცხვირის დრუს ლორწოვანი გარსის ჰიპერემია და გკივილი გამოხატულია უკანა და არა წინა ნაწილში. კოკაინ-აღრენალინის ხსნარით ცხვირის უკანა ნაწილის დამუშავების დროს გკივილი ან სულ ქრება, ან საგრძნობლად მცირდება.

მკურნალობა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ძლიერი გკივილის მოხსნა. ამ მიზნით გამოიყენება 5%-იანი კოკაინის ხსნარი აღრენალინთან ერთად. ხსნარი უნდა წაეუსვას ცხვირის ლორწოვან გარსზე მედანიჟარის არეში. ამის შემდეგ გკივილის შეტევა ან მთლიანად იხსნება ან ძლიერ მცირდება. ამავე მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ დიკაინის 4%-იანი ხსნარი, ლიდოკაინის 10%-იანი აუროზოლი. ვიყენებთ ნოვოკაინის ელექტროფორეზს ცხვირში. შეიძლება ავადმყოფს დაუნიშნოთ გეგრეტოლი, ფინლეუსინი.

ყურ-საფეთქლის ნერვის ნევრალგია (ფრეის სინდრომი)

შედარებით იშვიათი, მაგრამ საყურადღებო დაავადებაა. აღწერილია 1923 წელს ფრეის მიერ.

კლინიკა. ახასიათებს შეტევითი, მწველი გკივილი, შეტევის დროს ავადმყოფი აღიქვამს პულსაციას. გკივილი ლოკალიზდება საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის არეში, საფეთქლის არეში, გარეთა სასმენი ხერხელის შიგნით. შეიძლება გაერცელებს ქვედა ყბის მიმართულებით. გკივილის შეტევის მომენტში ყურ-საფეთქლის არეში აღინიშნება ადგილობრივი ჰიპერემია, ჰიპერპიდროზი (ოფლის წვეთები საინერვაციო არეში), შეიძლება დაერთოს ნერწყვის გაძლიერებული გამოყოფა. გკივილის შეტევის მიზეზი შეიძლება იყოს საკვების მიღება, ნერვულ-ფსიქიკური დაძაბულობა.

მკურნალობა. გკივილის შეტევის მოხსნის მიზნით ავადმყოფს უნდა მიეცეთ ანალგინი, სელალგინი, ვაკეთებთ ნერვის საპროექციო არეში ნოვოკაინის ბლოკადას კანქვეშ. საჭიროა ნეიროლეპტური და მცირე ტრანკვილიზატორების დანიშვნა (დიაზეპამი, ამინაზინი), B და C ვიტამინუ-

ბი, კალიბრის ელექტროფორები, სხვა ფიზიოთერაპიული საშუალებები. ზოგ შემთხვევაში მიემართავეთ სპირიტ-ნოვოკაინის ბლოკადას. შეუპოვარი ტკივილის შემთხვევაში შეიძლება გადავკეთოთ ყურ-საფეოქლის და ყურის დიდი ნერვი.

ენის ნერვის ნევრალგია

ქის ნერვი ქვედა ყბის ნერვის გოგია. ეშვება მივნითა ფრთისებრი კუნთის მუდმიურ შედაპირზე და გადადის პირის ღრუს ფსკერის ლორწოვან გარსსა და შედის ენაში, აინერვირებს ენის წინა ორ მესამედს.

ენის ნერვის ნევრალგია შედარებით იშვიათი დაავადებაა. ახასიათებს მწვავე შეგვეითი ხასიათის ტკივილი. ტკივილი ლოკალიზდება ენის წინა ორ მესამედში და ვრცელდება დაფის ღრუში. ტკივილის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს გემპერაგურული გალიზიანება (ცივი საჭმელი), ლაპარაკი, უარყოფითი ემოციები. ტკივილი ძლიერდება ენის მოძრაობით. შეიძლება ადგილი ქონდეს მგრძნობელობის მოშლას.

მკურნალობა. მკურნალობა მიმართულია ტკივილის მოხსნისა და შესაძლო გამომწვევი მიზეზის მოსაშორებლად. საჭიროა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების დანიშვნა: ანალგინი 0,5 თითო აბი 2-3 ჯერ დღეში, ან ანალგინის ხსნარი 50%-იანი 2 მლ. შერეული 2,5%-იანი ამინაზინის ხსნარის 1 მლ-თან კუნთებში, ბარალგინი თითო აბი 2-3 ჯერ დღეში. ენის ლორწოვანი გარსის დამუშავება კოკაინის 5%-იანი ხსნარით. დიკაინის 4%-იანი ხსნარით, ლიდოკაინის აეროზოლით, ეტიგამინოთერაპია (B_1 , B_{12}). ნოვოკაინის ხსნარის ელექტროფორები, ფინლფესინი, გეგრეტოლი სქემის მიხედვით, ენის ნერვის ბლოკადები ნოვოკაინის ხსნარით. უნდა ჩაეატაროთ პირის ღრუს სანაცია.

ენა-ხახის ნერვის ნევრალგია

ენა-ხახის ნერვი (მე-9 წყვილი) რთული შემადგენლობისაა, შეიცავს გემოვნების, მგრძნობიარე და მამოძრავებელ ბოჭკოებს. დაავადება პირითადად ცალმხრივია, პათოგენებში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ნოთიერებათა ცელის მოშლას, ინფექციურ პროცესებს (ანგინა, გრიპი, პარონიკული გონზილიტი), ინტოქსიკაციას. ზოგიერთი ავტორი მნიშვნელოვან ანიჭებს საღვინისებრი მორჩის დაგრძელებას.

კლინიკა. დაავადების წამყვანი სიმპტომია შეგვეითი ბასიათის

აკვილი, რომელიც იწყება ენის ძირში, ნუმურა ჯირკვლების არეში, ერ-
ცულდება ქურის, ყელის და რბილი სასის არეზე. გკივილი ძლიერდება ენის
შიძრობის, ყლაპვის, ლაპარაკის, ცხელი ან ცივი საკვების მიღების დროს.
დააწყვისში გკივილს შორის ხანგრძლივი ნათელი პერიოდებია, შემდეგ
რემისიები მცირდება და გკივილი შემაწუხებელი, აუტანელი ხდება. გკივილის
შეკვების დროს რიგი ავადმყოფები აღნიშნავენ სიმშრალეს ყელში, შეკვების
შემდეგ კი ნერწყვის გამოყოფის გაძლიერებას. დაავადების ერთ-ერთი
წამყვანი სიმკვრივეა გემოვნების გაუკუღმართება. ყველა გემოვნებითი ვად-
შიანება აღიქმება როგორც მწარე.

ღ ი ა გ ნ ო მ ს ე ა ღ გ ე ნ თ აქ მოგანილი კლინიკური სურათის მიხედ-
ვით. ენის ძირის და ნუმურა ჯირკვლების არეზე შეხება იწყებს გკივილის
შეგვეას.

ღ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი ღ ი ა გ ნ ო მ ი უნდა გაეაგაროთ სამწევრა
ნერვის ნევრალგიასთან. სამწევრა ნერვის ნევრალგიის დროს ტრიგერული
ბზნები განლაგებულია სახის კანის არეში, გუჩების, ალვეოლური მორჩის
არეში, და არა ენის ძირისა და ხახის არეში. ამავე დროს ენა-ხახის ნევრალ-
გიის დროს, ენის ძირის ლორწოვანი გარსის და ხახის პირის ღიკაინის
(კოკაინის) ხსნარით დამუშავებით გკივილის პაროქსიზმები იხსნება.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . გკივილის მოხსნის მიზნით ვიყენებთ კოკაინის ან
ღიკაინის ხსნარს, საანესთეზიო ნივთიერების წასმით ენის ძირისა და ხახის
პირის ლორწოვან გარსზე 2-3 ჯერ დღეში. ზოგჯერ მიემართაეთ ნოოკაინის
ინექციებს ენის ძირის არეში, ეაძლეეთ გკივილდამაყუჩებელ სამუალეებს.
უნიშნაეთ მოღუღირებულ დიადინამიკურ დენს ყბისუკანა, ნუმურა ჯირკვ-
ლებისა და ყელის არეში, 10-12 პროცენტურა. კომპლექსურ მკურნალობაში
ვიყენებთ B₁₂ ვიგამინს (1000 ერთეულს), ამინაზინის 2,5%-იანი ხსნარის 1 მლ-
ს, ფინლფუსინს, ნეიროლეპტიკურ სამუალეებს, ინგოქსიკაციური ნევრალგი-
ის დროს შეგვეყავს 5%-იანი უნიგიოლის 5-10 მლ. კუნთებში. საჭიროების
შემთხვევაში ეაკეთებთ ოპერაციას საღვისისებრი მორჩის დასამოკლებლად
და ენა-ხახის ნერეული დეროს გადაკვეთას. ოპერაცია საკმაოდ რთულია და
მოითხოვს ექიმის ყურადღებას და საჭირო გამოუდილებას. საჭიროა პირის
ღრუს სანაღია.

ფრთა-სასის კვანძის ნევრალღია (სლუღერის სინდრომი)

ფრთა-სასის ფოსოში ზედა ყბის ნერვის ქვედა კიდესთან მეღიაღურად
მოთაქსებულია 0,5 სმ. მომრგვალო სამკუთხა ფორმის პარასიმპაღიკური
კვანძი. ამ კვანძიდან გამოღიან, როგორც ეეგეგაღური ისე მგრძნობიარე

ბოჭკოები. ზოგიერთი ავტორი ამ კვანძის დაავადებას განიხილავს, როგორც განვლიონიგს ან განვლიონეერიგს.

დაავადების გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს მწვავე ინფექცია (გრიპი), ცხვირის დანამაგი ღრუების ანთებითი პროცესი, სიმსიენე, ენდოკრინული მოშლილობა, ოდონტოგენური ფაქტორები და სხვა.

კ ლ ი ნ ი კ ა . დაავადებისათვის დამახასიათებელია უეცარი, ძლიერი, შემტვევი ხასიათის ტკივილი თვალბუღის არეში, საფუთქელთან, ცხვირის ფუძესთან. ტკივილი ვრცელდება ზედა ყბის არეში, კბილებსა და სასაბუ.

ტკივილის შეტევას თან ახლავს ნერწყვის დენის გაძლიერება, ცხვირის ლორწოვანი გარსის შეშუპება, პიპერემია, ცხვირიდან გამონადენი (რინორეა), თვალის ლორწოვანის პიპერემია, ცრემლდენა; სახის პიპერემია. ალგილი აქვს გემოვნების გაუკუღმართებას, თავბრუს, ლებინებას.

ღ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ დ ი ა გ ნ ო მ ს ვაგარებთ სამწვერა ნერვის ნევრალგიასთან, აქ მოგანილი კლინიკური სურათის გათვალისწინებით.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . მკურნალობის უპირველესი ამოცანაა ტკივილის შეტევის მოხსნა. ამ მიზნით ვიყენებთ ტკივილგამაყუჩებელ სამუალეებს: ანალგინი, ბარალგინი. ცხვირის ლორწოვანი გარსის შუა გასაველის უკანა ნაწილი უნდა დავემუშაოთ დიკაინის 2-4%-იანი ხსნარით, კოკაინის 2-5%-იანი ხსნარით, გრიმეკაინის ხსნარით.

ტკივილის ძლიერი შეტევის დროს ვიყენებთ განვლიობლოკატორებს: ბენზოგექსონიას 2%-იანი ხსნარის 0,5-1,0 2-3 ჯერ დღეში. პენგამინის 5%-იანი ხსნარის 1 მლ. 2-3 ჯერ დღეში 10-12 დღე. კვანძის ბლოკადის მიზნით ფრთა-სახის ფოსოში შეგვყავს 2-3 მლ. ლიდოკაინის ან გრიმეკაინის ხსნარი. მკურნალობის კომპლექსში ვიყენებთ ანტიბიოტიკებს (ანთების ჟონის მოსახსნელად), მადესენსიბილიზირებელ სამუალეებს (დიმედროლი, სუპრასტინი). ფიზიკური მეთოდებიდან ვიყენებთ ნოვოკაინის ენდონ-აზალურ ელექტროფორეზს, უმს დენს, დიადინამიკურ დენს, B ჯგუფის ვიტამინებს, ბიოგენურ სტიმულიატორებს (ალოე, მინისებური სხეული). მკურნალობის პროცესში, აგრეთვე, ვუნიშნავთ ქოლინოლიზურ სამუალეებს: 0,2% პლატიფილინის 1,0 კანქემი 10-12 დღე. მეტაქინს 0,002 გრ. ორჯერ დღეში 8-10 დღე. მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, ტკივილის რეციდივის შემთხვევაში საჭიროა მკურნალობის განმეორებითი კურსის ჩატარება. ზოგჯერ მივმართავთ სპირტ-ნოვოკაინის ბლოკადას.

შ ა კ ი კ ი

შაკიკი სისხლძარღვოვან დაავადებათა ჯგუფს განეკუთვნება, მაგრამ მის გენეზში მნიშვნელობა ენიჭება ნერვულ ფაქტორს. დაავადება საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული, როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში და ლოკალიზდება სახისა და თავის ნახევარ მხარეზე.

კლინიკა . შაკიკის ახასიათებს შეტევითი ხასიათის ტკივილი, რომელიც უფრო ხშირად იწყება დილით, შუბლის ან საფეთქლის არეში, შეიძლება გავრცელდეს თვალბუდეზე და კეფის არეზე. ტკივილის შეტევას წინ უძღვის ისეთი სიმპტომები, როგორცაა ნერვიულობა, გამღიზიანებლობა, მთქნარება, მიმშლიის შეგრძნება. შეიძლება ადგილი ქონდეს სხეულის გემპერაგურის ზომიერ მომაგებას, პერიორბიტულ შემუქებას და თვალის ნაპრალის შევიწროებას. ტკივილი ინტენსიურია და ხანგრძლივია, გრძელდება რამდენიმე საათი (8-10 საათი და მეტი), შემდეგ თანდათან სუსტდება და ქრება. ვ. გრეჩკო არჩევს შაკიკის სამ კლინიკურ ფორმას: ჩვეულებრივი, თვალბუდეოვანი და სახის შაკიკს. მიღებულია დაავადების განვითარების სამი სტადია: პირველ სტადიაში ადგილი აქვს სისხლძარღვთა შევიწროებას, რასაც თან მოყვება ტკივილი და სახის გაფერმკრთალება, ეს პერიოდი შედარებით ხანმოკლეა. მეორე პერიოდი – სისხლძარღვთა გაფართოება, სახე ხდება პიპერემიული. ეს პერიოდი უფრო ხანგრძლივია (2-4 და მეტი საათი). მესამე სტადიაში ტკივილის შეტევა თანდათან მცირდება და აღინიშნება საერთო სისუსტე და უხასიათობა.

მკურნალობა . დაავადების მკურნალობის ერთიანი სქემა არ არსებობს. ტკივილის შეტევის მოხსნა ზოგჯერ ინდივიდუალურია. ზოგჯერ თავის მაგრად შეკვრით ტკივილის შეტევა სუსტდება და იხსნება კიდეც. სამკურნალოდ ვიყენებთ სისხლძარღვთა გამაფართოებელ საშუალებებს (ერგოტოქსინი, ერგოტამინი) ტკივილის შეტევის დროს ავადმყოფს ვაძლევთ 0,1%-იანი ერგოტამინის ხსნარის 15-20 წვეთს ან შეგუყავს კუნთებზე 0,05%-იანი ხსნარის 0,5-0,1 მლ. ბავშვთა ასაკში გამოიყენება აცეტილსალიცილის მებავა 0,1-0,3 (ასაკის გათვალისწინებით), 2-3 ჯერ დღეში ჭამის შემდეგ 6-7 დღის განმავლობაში, მოზრდილებში 0,5-1,0 2-3 ჯერ დღეში. ავადმყოფს უნიშნავთ C და B ჯგუფის ვიტამინებს, კოფეკამინის აბებს (თითო აბი დღეში ორჯერ). ერგოტამინის ხანგრძლივად მიღება არ არის მიზანშეწონილი. 6-7 დღის მიღების შემდეგ საჭიროა 4-5 დღით შესვენება. ერგოტამინი წინააღმდეგ ნაჩვენებია ათეროსკლეროზის, პიპერგონული დაავადების, ორსულობის, ლეიძლისა და თირკმელების, სეფსისისა და სხვა დაავადებების დროს. შაკიკის დაავადების პროფილაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების მოწესრიგებას, ორგანიზმის გაკაეებას, სახისა და თავის არეში მასაჟს, სრულფასოვან ძილსა და ღიეჭას.

საფეთქლის შერეულ არტერიის არტერიტი

სახის არეში ტკივილის დროს ავადმყოფთა გარკვეული ნაწილი მიუთითებს მის ლოკალიზაციაზე საფეთქლის არეში. ამ არეში ტკივილი შეიძლება იყოს ირადიაციული ხასიათის, ან იყოს აქ არსებული ქა-

თოლოგიური პროცესის ძირითადი სიმპტომი. ასეთი პათოლოგიური პროცესი შეიძლება იყოს საფეთქლის არტერიის ე. წ. არტერიიტი.

კ ლ ი ნ ი კ ა . აკადმყოფი მიუთითებს მუღმივი ხასიათის ტკივილზე საფეთქლის არეში ცალ მხარეზე. ტკივილი ძლიერდება ქვედა ყბის აქტიური მოძრაობის, ლეჭვის, საფეთქლის კუნთის დაძაბვის დროს. ვიზუალურად ზოგჯერ აღინიშნება საფეთქლის არტერიის საგრძნობი გაფართოება. დაავადების გამწვავების პერიოდში შეიგრძნება გაძლიერებული პულსაცია. აღსანიშნავია, რომ აკადმყოფთა გარკვეული ნაწილი მიუთითებს მხედველობის გაუარესებაზე, რომელსაც აქვს პროგრესირებადი ხასიათი და შეიძლება მხედველობა მთლიანად მოიშალოს. ზოგი ავტორი ამ დაავადებას განიხილავს, როგორც ადგილობრივ კოლაგენოზს.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . მკურნალობის კომპლექსში ვიყენებთ ტკივილდამაყუჩებელ (ანალგინი, ბარალგინი) და სისხლძარღვთა გამაფართოებელ სამკურნალო საშუალებებს: ნოშპა, პაპაზოლი, პაპავერინი. ასევე ბუგალიონს, დიმედროლს. შეიძლება გამოვიყენოთ გლიკოკორტიკოსტეროიდები. დაღებთი სამკურნალო ეფექტია მიღებული დექსამონის გამოყენებით. ქირურგიულ მკურნალობას (არტერიის ამოკვეთა) მივმართავთ კონსერვატიული მკურნალობის არა ეფექტურობის შემთხვევაში.

მხსეთა ნანილი

ოცდაპეორე თავი

ყბა-სახის არეს რბილი და მაგარი ქსოვილების გრავმული დაზიანება

ყბა-სახის არეს რბილი და მაგარი ქსოვილების გრავმული დაზიანება ხშირია და ამ პრობლემის განხილვა და შესწავლა აქტუალურია არა მარტო მშვიდობიანობის, არამედ საომარი მოქმედების დროსაც.

ყბა-სახის არე რთული ორგანოა, აქ თავმოყრილია გრძნობის ყველა ორგანო და საჭმლის მომნელებელი სისტემის დასაწყისი. სახის ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებანი, ერთის მხრივ, ხელს უწყობს ჭრილობებისა და გრავმული დაზიანებების შეხორცებას, ხოლო მეორე მხრივ, საგრძნობლად ართულებს მას. ეს თავისებურებანი განისაზღვრება საღეჭი აპარაგით, მიმიკით, ქსოვილების რეგენერაციის უნარით და მიკროფლორით.

საღეჭი აპარაგთან განსაკუთრებით საყურადღებოა კბილები. დაავადებუ-

ლი კბილები (განგრენული პულპით) ინფექციის გავრცელების წყაროა და ართულებს რბილი და ძვლოვანი ქსოვილის ჭრილობის შეხორცებას, ჯანმრთელი კბილები დადებით როლს ასრულებს მონატეხი ფრაგმენტების ფიქსაციის დროს.

მიმიკით ადამიანი გამოხატავს თავის ინდივიდუალურ და ემოციურ მდგომარეობას. სახის პარმონია ადამიანს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ შრომასა და ცხოვრებაში. სახის დაზიანება კი იწვევს ძლიერ ფსიქიკურ ძვრებს.

სახის არეს ქსოვილების მაღალი რეგენერაციის უნარი განპირობებულია ნერვულ-ტროფიკული ფუნქციით, მდიდარი სისხლძარღვებით და რეგიკულურ-ენდოთელური სისტემით: სახის მდიდარ სისხლძარღვოვან ქსელზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გარეთა საძილე არტერიის ერთ მხარეზე გადაკვანძვის შედეგ, საფეთქლის არტერიის პულსაცია მე-3 დღეს აღდგება, ხოლო ორმხრივი გადაკვანძვის დროს კი მეშვიდე დღეს.

პირის ღრუში დიდი რაოდენობითაა მრავალსახოვანი მიკროფლორა. აქ არსებული შერეული მიკროფლორა ხელს უწყობს რბილ ქსოვილებში ლპობითი პროცესების განვითარებას.

კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა . საერთაშორისო სტაგისტიკური კლასიფიკაციის მიხედვით გრავმული დაზიანება იყოფა ორ ჯგუფად: 1. გამომწვევი მიზეზის მიხედვით – ეტიოლოგია E; 2. გრავმის სახე – ლოკალიზაცია H. გამომწვევი მიზეზის მიხედვით ვარჩევთ საწარმოო და არასაწარმოო გრავმას. არასაწარმოო გრავმატიზმი მოიცავს მოზრდილთა და ბავშვთა გრავმატიზმს.

ლოკალიზაციის მიხედვით ვარჩევთ:

1. არაცეცხლნასროლი დაზიანება
რბილი ქსოვილების დაზიანება
ქვედა ყბის მოტეხილობა
ზედა ყბის მოტეხილობა
ცხვირის ძვლების მოტეხილობა
ყვრიმალის ძელისა და რკალის მოტეხილობა
კბილების გრავმა
სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა

2. ცეცხლნასროლი დაზიანება

3. სახის არეს დამწვრობა.

მშვილობიან პრეიოდში ყბა-სახის არეს დაზიანება დამაზიანებელი ფაქტორების მოქმედების მიხედვით შეიძლება იყოს: 1. მექანიკური, 2. ცეცხლსასროლი, 3. თერმიული (დამწვრობა, მოყინვა), 4. ქიმიური, 5. კომბინირებული.

მექანიკური გრავმის მიყენების შედეგად შეიძლება მივიღოთ რბილი ქსოვილების (კანი, ლორწოვანი გარსი) დაჟეიწილობა, ძვლოვანი ქსოვილის მოტეხილობა. დაჟეიწილობას ხშირად თან ახლავს კანის ან ლორწოვანი გარსის ზედაპირის ნაწილობრივი დაზიანება ექსკორიაციების სახით.

მოგეხილობა პირობითად შეიძლება დაეყოს სამ ჯგუფად: 1. პირდაპირი მოგეხილობა, როდესაც მოგეხილობა ლოკალიზდება უშუალოდ გრავმის მიყენების ადგილზე; 2. არაპირდაპირი მოგეხილობა, ლოკალიზდება გრავმის მიყენების ადგილიდან მოშორებით; 3. შერეული მოგეხილობა, რომელიც აერთიანებს მოგეხილობის გემოთმოყვანილ სახეობას. მოგეხილობა, აგრეთვე, შეიძლება იყოს ღია და დახურული. მოგეხილობა ღიაა თუ ძელის მფარავი ლორწოვანი გარსის ან კანის მთლიანობა დარღვეულია. აღსანიშნავია, რომ კბილთა მწკრივის არეში მოგეხილობა ყოველთვის ღიაა. დახურული მოგეხილობაა სასახსრე მორჩის, ქვედა ყბის გოგის, ყვრიმალის რკალის არეში. იმ შემთხვევაში, როდესაც ჭრილობა შემავალია ცხვირის, პირის ღრუს ან ჰაიმორის ღრუში, ჭრილობას გამჭოლი ეწოდება. მონაგები ფრაგმენტები შეიძლება იყოს მოძრავი, ძნელად მოძრავი და ჩაჭედილი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ აღამიანის სახე ინდივიდუალურად განუმეორებელია და მისი ანაგომიური, ფუნქციური და კოსმეტიკური თავისებურების შენარჩუნება ყბა-სახის ქირურგის უპირველესი ამოცანაა.

ავადმყოფის გამოკვლევა

ტრავმული ავადმყოფის გამოკვლევა მოითხოვს თანმიმდევრობას და მიზანდასახულობას.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სათანადო დოკუმენტაციის შევსება, ან თვით დაზიანებულის უშუალო მონაწილეობით (თუ ცნობიერება შენარჩუნებულია) ან მომყოლი (ოჯახის წევრი, მეზობელი, თვითმხილველი, სამედიცინო პერსონალი) პერსონალის დახმარებით. ასევე ანამნეზის შეკრება ხორციელდება თვით ავადმყოფის ან მომყოლი პირის დახმარებით. უნდა დავაზუსტოდ ხომ არ იყო დაზარალებული ტრავმის მიღების მომენტში ნასვამ მდგომარეობაში. უნდა დავაზუსტოთ სად, როდის და რა ვითარებაში მოხდა ტრავმა, აღვნიშნოთ ტრავმის მიღების დღე და საათი, რამდენი დღე გავიდა ტრავმის მიღებიდან. აღმოუჩინეს დაზარალებულს რაიმე სამედიცინო დახმარება თუ არა. თუ აღმოუჩინეს ვინ და რა მოკულობის, არის თუ არა ამის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. აუცილებლად უნდა გაეარკვიოთ დაკარგა თუ არა ცნობიერება, რამდენი ხნით, ახსოვს თუ არა ტრავმის მიღების მომენტი. ხომ არ ქონია გულის რევა ან პირის ლებინება. გაუკეთდა თუ არა გეგანუსის საწინააღმდეგო შრატი, ხომ არ ქონდა გვერდითი მოვლენები. თუ ავადმყოფის მდგომარეობა დამძიმდა, უნდა მივიღოთ სასწრაფო გალაწყვეტილება, დაუყოვნებლივ სასწრაფო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

და თ ვ ა ღ ი ე რ ე ბ ა , დაზარალებულის გამოკვლევის ერთ-ერთი

ძირითადი მეთოდია, რომელსაც წინ უძღვის ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის შეფასება, ვითვალისწინებთ არა მარტო სახისა და თავის არეს, არამედ სხეულის სხვა ნაწილებსაც, რომ არ გამოგვეპაროს შერწყმული გრამეა.

სახის დათვალიერების დროს ყურადღებას ვაქცევთ ქსოვილების დაზიანების ლოკალიზაციას, ოდენობას, სიღრმეს, სისხლის ღენას, ჭრილობის დაზიანებებს, რბილი ქსოვილების რეაქტიული შემუქების მდგომარეობას. გამჭოლი დაზიანების დროს სისხლის ღენას პირის (ცხვირის) ღრუში. საჭიროა ჭრილობის სიღრმის გამოვლა. სახის ნერვის, სანერწყვე ჯირკვლების დაზიანების დადგენა და სხვა. ყურადღებას ვაქცევთ თანკიბის მდგომარეობას, ქვედა ყბის მოძრაობის ამპლიტუდას. პირის ღრუს დათვალიერების დროს ვაღვანთ კბილების მდგომარეობას, სისხლის ღენას პირის ღრუში, კბილების პროტეზების არსებობას, მაგარი და რბილი სასის მდგომარეობას, არ უნდა გამოგვჩვენოს მხედველობიდან გარეთა სასმენი ხერხის დათვალიერება სისხლის ღენის ან მურგის გვინის სითხის გამოყოფის დადგენის მიზნით.

პ ა ლ პ ა ც ი ა . პალპაცია ერთ-ერთი აუცილებელი მეთოდია, მისი საშუალებით ვაღვანთ გვიწვილის ხასიათს და ლოკალიზაციას, ქსოვილების სიღრმეში ფაშფაღს (ფლუქტუაციას), კანქვეშა ემფიზემას, მოგეხილობის ლოკალიზაციას, მონატეხი ფრაგმენტების მოძრაობას, მათ ლოკალიზაციას. ზედა ყბის ალვეოლური მორჩის მოგეხილობის დროს მარცხენა ხელით (შაადელით, სარკით, კავით) უნდა აეწიოთ ზედა გუჩი, ხოლო მარჯვენა ხელის ცერს ვათავსებთ პირის კარიბჭეში ფრონტალურ კბილებზე, ხოლო მეორე და მესამე თითებს სასის მხარეზე და ფრთხილი, ღომირებული მოძრაობით ვაღვანთ ალვეოლური მორჩის მოძრაობას (მოგეხილობას).

ქვედა ყბის ალვეოლური მორჩის მოგეხილობის დროს მარცხენა ხელით ვაფიქსირებთ ნიკაპს, ხოლო მარჯვენა ხელის ცერის პირის კარიბჭეში და მეორე მესამე თითების ენის მხარეზე მოთავსებით, ფრთხილი მოძრაობით, ვამოწმებთ ალვეოლური მორჩის მოგეხილობას.

ქვედა ყბის მოგეხილობის დასადაგენად პალპაციას ვიწყებთ მარჯვენა ან მარცხენა მხრიდან (უმჯობესია ჯანმრთელი მხრიდან). მარცხენა ხელის მეორე-მესამე თითებს ვათავსებთ რეგრომოდარულ არეში მარჯვენა მხარეზე, ცერს ქვედა ყბის კუთხის არეში გარედან, მარჯვენა ხელის თითებს ვათავსებთ პირის ღრუში, მარცხენა ხელის თითებთან ახლოს და ვამოწმებთ ქვედა ყბის მოგეხილობის ლოკალიზაციას მარჯვენა მხრიდან მარცხნივ.

ზედა ყბის მოგეხილობის დროს მარცხენა ხელით ვაფიქსირებთ ავადმყოფის თავს, ხოლო მარჯვენა ხელის თითებით (ისე როგორც ალვეოლური მორჩის მოგეხილობის დროს) ვამოწმებთ ყბის ძვლის მოგეხილობის ლოკალიზაციას.

ქვედა ყბის სასახსრე მორჩების მოგეხილობის დროს ორივე ხელის მე-

თითებს ვათავსებთ გარეთა სასმენ ხერელში და ავადმყოფს ვაძლევთ წინადადებას გააკეთოს ქვედა ყბის მოძრაობა ვერტიკალურ და პორიზონტალურ სიბრტყეში. ჩვეულებრივ სასახსრე თავეების მოძრაობა სინქრონულია და კარგად აღიქმება. მოტეხილობის დროს კი აღინიშნება მოძრაობაში ჩამორჩენა იმ მხარეზე, სადაც მოტეხილობაა.

ზოგჯერ ქვედა ყბის მოტეხილობის დასაღვენად მიემართავეთ ე. წ. ზეწოლის სიმპტომს. ავადმყოფს პირი დახურული აქვს შეძლების მისეღვით, ნიკაპზე ვათავსებთ მარჯვენა ხელის გულს და ზომიერი ზეწოლით ვაზუსტებთ ტკივილის შეგრძნების არეს, საჭიროა აგრეთვე რენტგენოლოგიური გამოკვლევა ორ პროექციაში.

სახის რბილი ქსოვილების დაქევილობა

დაქევილობას განვიხილავთ, როგორც რბილი ქსოვილების მექანიკურ დაზიანებას. მექანიკური ზემოქმედება – დარტყმა, დაცემა იწვევს კანის, კანქვეშა ცხიმოვანი, კუნთოვანი ქსოვილების დაზიანებას, ამასთან ერთად ზიანდება სისხლძარღვები, ნერვები. დაზიანება მიდის, როგორც უჯრედულ, ისე ქსოვილოვან დონეზე. დაქევილობა შეიძლება იყოს შემოსაზღვრული ან განერყობილი. დაქევილობას ახასიათებს შემდეგი კლინიკური ნიშნები: 1. ტკივილი, რომელიც გამოწვეულია ნერვული ბოჭკოების დაზიანებით, ასევე კუნთოვანი ბოჭკოების ტრავმით; 2. გამოხატული სისხლჩაქცევა, რომელიც განპირობებულია სისხლის ძარღვის სანათურის გაგლეჯით; 3. რბილი ქსოვილების სწრაფი შეშუპება, რომელსაც საფუძვლად უდევს სისხლძარღვთა კედლების გაღწევალობის გაძლიერება და ქსოვილოვანი სითხის უპირატესი დაგროვება ტრავმის მიყენების არეში. შეშუპება ისე სწრაფად ვითარდება, რომ რამდენიმე საათში კოლაგენალური შეშუპება იწვევს სახის მკვეთრად გამოხატულ ასიმეტრიას თვალის ნაპარალის შევიწროებას და დახურვას, 4. კანზე შეიძლება იყოს ნაკაწრები, ექსკორიაციები; 5. რიგ შემთხვევაში აღვივებთ აქვს ჰემატომის ჩამოყალიბებას.

ღ ი ა გ ნ ო შ ი ს დ ა დ გ ე ნ ა ძნელი არ არის, მაგრამ საჭიროა ავადმყოფის გულმოდგინეთ გამოკვლევა, რათა არ გამოგვეპაროს სახის ჩონჩხის მოტეხილობა, ეს განსაკუთრებით ეხება ყვრიმალის ძვლის, ყვრიმალის რკალის და თვალბუდის ქვედა არეს ტრავმული დაზიანების შემთხვევებს, როდესაც მკვეთრად გამოხატული შეშუპების გამო დეტალური გამოკვლევა გაძნელებულია.

მ კ უ რ ა ლ ო ბ ა . ტრავმის მიღების პირველ წუთებშივე საჭიროა ეფექტური ღონისძიებების გატარება: დამწოლი ნახვევის დაღება, ცივი საფრები (ყინული), ტკივილდამაყუჩებელი საშუალებების დანიშვნა. ამ ღონისძ-

იების გატარებით ჩვენ თავიდან ავიცილებთ პემაგომისა და შემუპების ჩამოყალიბებას. სახის კანის ექსკორიაციების დროს საჭიროა ანტიგეგანური შრატის გაკეთება. ტრავმის მე-4-5 დღეს სისხლჩაქეუების გაწოვის დაჩქარების მიზნით ავადმყოფს ვუნიშნავთ ფიზიოთერაპიულ საშუალებებს (უმს დენი, კომპრესები და სხვა), პემაგომის დაჩირქების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა მისი გახსნა, კოლგების ამოღება და ანთების საწინააღმდეგო მკურნალობა.

სახის რბილი ქსოვილების ჭრილობა

ჭრილობა ქსოვილების მთლიანობის მექანიკური დაზიანებაა. ჭრილობა შეიძლება იყოს ქირურგიული (ოპერაციული), შემთხვევითი და საბრძოლო. ვარჩევთ ჭრილობის შემდეგ სახეებს: ნაკენი, ნაფლეთოვანი, ცეცხლნაროლი, ნაკვეთი, ნაჩხვლეტი, მოკვეთილი, დაეეილი. ჭრილობას აქვს ოთხი ძირითადი კლინიკური ნიშანი: პირლიაობა, სისხლდენა, ტკივილი, ფუნქციის მოშლა. ჭრილობის პირლიაობა გამოწვეულია მიმიკური კუნთების ფუნქციის მოშლით, სისხლდენა კი სახის არეში კარგად განვითარებული სისხლძარღვოვანი ქსელით.

სახის ჭრილობას შეიძლება თან ახლდეს სხვა ორგანოების დაზიანება. ამ მხრივ საყურადღებოა ყბა-ყურა ჯირკელისა და მისი სადინარის ტრავმა, სახის ნერვის ტოტების, მსხვილი არტერიული სისხლძარღვების დაზიანება. ენის დაზიანების დროს მოსალოდნელია მისი შეშუპება, მეტყველების და ყლაპვის ფუნქციის მოშლა.

კლინიკა. ავადმყოფი უჩივის ტკივილს და გამოხატულ სისხლდენას. სისხლდენა შეიძლება იყოს არტერიული, ვენური, კაპილარული. ჭრილობის კიდეები დამორებულია ერთმანეთს, თითქოს ამობურცულია. ავადმყოფს აქვს შეშინებული გამომეტყველება, სისხლის დიდი რაოდენობით და კარგის შემთხვევაში აღინიშნება სახის გაფითრება, საჭიროა დახმარების დაუყოვნებლივ აღმოჩენა.

ობექტივი გამოკვლევის დროს ყურადღებას ვამახვილებთ ავადმყოფის ზოგად მდგომარეობაზე, შეძლებისდა მიხედვით ვადგენთ დაკარგული სისხლის რაოდენობას, არის თუ არა ჭრილობა სიცოცხლისათვის საშიში. ჭრილობა იზოლირებულია თუ გამჭოლი, შეუღლებულია სხეულის სხვა დაზიანებასთან თუ არა.

მკურნალობა. სახის არეს ჭრილობების მკურნალობას ახასიათებს რიგი თავისებურება, რომლის გათვალისწინება აუცილებლად საჭიროა ექიმი-სპეციალისტის მიერ. სამკურნალო ტაქტიკა დამოკიდებულია ჭრილობის ლოკალიზაციაზე, დაზიანების მოცულობაზე, სხვა ორგანოებთან შეუღლებაზე და დაჭრილის ზოგად მდგომარეობაზე.

ჭრილობის მიყენების შემთხვევაში ადგილზე საჭიროა შემდეგი ღონისძ-

იუბების გაგარება: 1. ჭრილობაზე დამწოლი ნახვევის დაღება, სისხლდენის შეჩერების მიზნით; 2. დაჭრილის წოლითი მდგომარეობის შერჩევა გრანს-პორტირებისათვის; 3. სუნთქვის გაძნელების და ციანობის დროს ენის აღება აბრეშუმის ძაფზე (ინგლისური ბულაეა), მისი გამოტანა პირის ნაპრალიდან და პირის დრუს გარეთ ფიქსირება;

სახის იზოლირებული ჭრილობის დროს პირველადი დახმარების მიზანია ჭრილობის გასუფთავება, მისი გამორეცხვა ანტიბიოტიკური ხსნარით, სისხლდენის შეჩერება და სტერილური ნახვევის დაღება. უნდა გავარკვიოთ საჭიროა თუ არა ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატის გაკეთება.

ს პ ე ც ი ა ლ ი მ ი რ ე ბ უ ლ დახმარებას ვატარებთ სტაციონარულ პირობებში. სპეციალიზებული დახმარება მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო აღრეა ჩატარებული, იგი ითვალისწინებს ჭრილობის ქირურგიულ დამუშავებას და ნაკერის დაღებას. ჭრილობის გამორეცხვის შემდეგ, ვაკეთებთ მის რევიზიას და ვადგენთ ჭრილობის კიდეების განახლების საჭიროებას. სახეზე ჭრილობის კიდეების განახლება უნდა იყოს ძალზე ეკონომიური, მოვკვეთავთ მხოლოდ ამკარად მკედარ ქსოვილს, ვაჩერებთ სისხლდენას და ჭრილობას გავკერავთ შრეობრივად. გამჭოლი ჭრილობის დროს გავკერავთ ლორწოვან გარსს, შემდეგ კუნთოვან შრეს და ბოლოს კანს. გაუტკივარების დროს ნოვოკაინთან ერთად შეიძლება შევიყვანოთ ანტიბიოტიკი დაჩირქების თავიდან აცილების მიზნით, გრაემის მიღებიდან 36 საათის განმავლობაში.

ლ ო ყ ი ს ა რ ე შ ი ჭრილობის დამუშავების დროს ყურადღებას ვაქცევთ სტენონის სადინარის მდგომარეობას. თუ ის დამიანებულია, უნდა აღვადგინოთ მისი მთლიანობა, ან შევექმნათ ხელოვნური სადინარი.

ტ უ ჩ ე ბ ი ს ჭ რ ი ლ ო ბ ი ს დროს სისხლდენის შეჩერების შემდეგ ჯერ გავკერავთ კუნთოვან შრეს, შემდეგ ავადგენთ წითელი ყაეთანის ანატომიურ ფორმას, გავკერავთ ლორწოვან გარსს, ხოლო შემდეგ კანს.

ც ხ ვ ი რ ი ს ჭ რ ი ლ ო ბ ი ს დროს საჭიროა ჭრილობის კიდეების მუსტი შეთანასოვნება და გაკერვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოთ ცხვირის ხრტილოვანი ნაწილის ქსოვილით დაფარვას, რისთვისაც შეიძლება დაგვჭირდეს ქსოვილის მობილიზაცია და ადგილობრივი პლასტიკა. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ მეორადი დეფორმაციის განვითარება.

კანისა და კუნთოვანი ქსოვილის გასაკერად ვიყენებთ მცირე ზომის ნახევარკალისებრ, სამწახნაგოვანი ფორმის ნემსებს. მრგვალ ნემსებს ვიყენებთ მხოლოდ სანერწყვე ჯირკვლების პარენქიმის გასაკერად. სახის კანის ნემსით განხვლეგას ვახდენთ ჭრილობის კიდედან 2-3 მმ-ის დაშორებით, ნაკერებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 0,5-1 სმ-ს. შეხვევები უნდა ჩავატაროთ ასექტიკისა და ანტისექტიკის პირობებში.

კბილებისა და ალვეოლური მორჩის ტრავმული დაზიანება

კბილების მწვავე ტრავმულ დაზიანებას იწვევს ერთჯერადი ტრავმა: დარტყმა, დაცემა, მოკენეგა და სხვა. ქრონიკული მატრავმირებული ფაქტორებიდან აღსანიშნავია: კბილის პროტემები, არასწორად დადებული ბეწები, მანეუ ჩევეები და სხვა. ხშირია ფრონტალური კბილების, შემდეგ პრემოლარების დაზიანება.

კ ბ ი ლ ე ბ ი ს დ ა ქ ე ქ ი ლ ო ბ ა ს ახასიათებს ტრავმული პერიოდონტიკის კლინიკური სურათი: ტკივილი, რომელიც ძლიერდება კბილის კბილზე მოხედრის დროს, საჭმლის მოკბეჩის მომენტში, შეიძლება ადგილი ქონდეს მცირედ გამოხატულ მოძრაობას.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა ითვალისწინებს კბილის თანკბილიდან გამოთიშვას, ტკივილდამაყუჩებელი საშუალებების დანიშვნას, ქრონიკული მატრავმირებული ფაქტორის მოშორებას. ეფექტურია ფიზიკური მეთოდების გამოყენება: უმსდენი, დიადინამიკური დენი, ელექტროფორეზი, ლაზერის სხივები და სხვა.

კ ბ ი ლ ი ს ა მ ო ვ ა რ დ ნ ი ლ ო ბ ა განპირობებულია პირდაპირი ტრავმით, ვარჩევთ ნაწილობრივ და სრულ ამოვარდნილობას. ნაწილობრივი ამოვარდნილობის დროს კბილის ფესვი ისევ კბილბუდეშია. ამოვარდნილობისათვის დამახასიათებელია შემდეგი კლინიკური ნიშნები: 1. კბილის მდგომარეობის შეცვლა; 2. კბილის მორყევა, 3. კბილის გვირგვინის ამალღება, 4. ტკივილი დაზიანებული კბილის არეში. მოგჯერ ადგილი აქვს კბილის ჩაჭედვას. ჩაჭედილი კბილის გვირგვინი უფრო დაბლა დგას, ვიდრე მემობელი კბილების გვირგვინები.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . ნაწილობრივი ამოვარდნილობის დროს, როდესაც კბილის ნერვულ-სისხლძარღვოვანი კონა გაგლეჯილი არ არის, საჭიროა კბილის ჩაბრუნება საკუთარ კბილბუდეში და მისი ფიქსირება ალუმინის მარტივი არტაგონით ან სწრაფგამკერივადი პლასტმასით 4-5 კვირის ვადით.

კბილის ნერვულ-სისხლძარღვოვანი კონის გაგლეჯის დროს (კბილი დასაწყისში მოვარდისფროა, შემდეგი იღებს მოლურჯო შეფერადებას), კბილს ვაბრუნებთ საკუთარ კბილბუდეში, ვაფიქსირებთ და შემდეგ ანესთეზიის ქვეშ ვახდენთ კბილის გვირგვინის ტრეპანაციას, პულპის ექსტირპაციას, არხის დაბეწვას.

კბილის მთლიანი ამოვარდნილობის დროს, როდესაც იგი ავადმყოფმა თან მოიგანა, ვახდენთ მის რეპლანტაციას. მოგანილ კბილს ვათავსებთ სუფრის მარილის იზოტონურ ხსნარში, ვახდენთ კბილბუდის რევიზიას, ვასუფთავებთ მას სისხლის კოლგისაგან, გამოვრეცხავთ ანტისეპტიკური

ხსნარებით და მასში დროებით ვათავსებთ სტერილურ დოლბანდს. ვახდენთ კბილის ფესვის მწვერვალის რემბექციას, პულპის ექსტირპაციას, არხს დავაბენთ, კბილს გავრეცხავთ ანტიბიოტიკების ხსნარში და გადავიტანთ მომზადებულ ალვეოლაში, ვაფიქსირებთ ალუმინის არტაშნით 6-8 კვირის ვადით.

კ ბ ი ს მ თ გ ე ხ ი ლ ო ბ ა : განპირობებულია პირდაპირი გრავით, შეიძლება იყოს იზოლირებული ან ალვეოლურ მორჩითან ერთად. ვარჩევთ მოტეხილობას გვირგვინის, ყელისა და ფესვის არეში. მოტეხილობის დამახასიათებელი ნიშნებია: კბილის გვირგვინის იზოლირებული მორყევა, პულპის გამიშვლება, სისხლდენა, ძლიერი ტკივილი. კლინიკური გამოკვლევის გარდა მიემართავთ რენტგენოლოგიურ გამოკვლევას.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა დამოკიდებულია მოტეხილობის ხასიათზე. იმ შემთხვევაში, როდესაც კბილის ფესვის ირგვლივ პათოლოგიური პროცესია საჭირო ხდება კბილის ამოღება. გვირგვინის ნაწილობრივი მოტეხილობის შემთხვევაში ალვადგენტ მონატეხ ნაწილს, ჩანართის ან ბეჭენის სახით. გვირგვინოვანი პულპის გამიშვლების დროს ვახდენთ პულპის ექსტირპაციას ანესთეზიის ქვეშ და გვირგვინს ალვადგენტ ან ვამზადებთ წკირიან კბილს. კბილის ფესვის მოტეხილობის ზოგ შემთხვევაში საჭიროა მონატეხი ფესვის მწვერვალის ამოღება და კბილის შემდგომი კონსერვატიული მკურნალობა.

ალვეოლური მორჩის მოტეხილობა შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან მთლიანი. მოტეხილობის კლინიკური ნიშნებია: ტკივილი, სისხლდენა, თანკბილვის დარღვევა, მონატეხი ფრაგმენტის მოძრაობა. მოტეხილობის ხაზი შეიძლება გადიოდეს კბილების ფესვების მწვერვალის დონეზე, კბილების ფესვების 2/3-ის დონეზე, ან ცხვირ-მსხლისებრი ამონაჭდვისა და ჰაიმორის ღრუს ქვედა კედლის დონეზე. ამ შემთხვევაში აღინიშნება სისხლდენა ცხვირის ნესტოდან.

კ ლ ი ნ ი კ ა . ავადმყოფი მიუთითებს მიღებულ გრავმაზე, აღნიშნავს ტკივილს, ზომიერად გამოხატულ სისხლდენას, ტუჩების (ტუჩის) შემუშებას. დათვლიერებით აღინიშნება თანკბილვის დარღვევა, პალპაციით ალვეოლური მორჩი მოძრაობა.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ი ს მიზანია სისხლდენის შეჩერება, თანკბილვის გასწორება, მონატეხი ფრაგმენტის გასწორება და ფიქსაცია, მოტეხილი კბილის ალვეოლურ მორჩში შენარჩუნება დამოკიდებულია არსებული კბილების მდგომარეობაზე: თუ კბილები განგრენული პულპითაა, შეხორცების შანსი ნაკლებია, მოსალოდნელია გართულება – აბსცესი, ოსტეომიელიტი და სხვ. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია მოტეხილი ფრაგმენტიდან კბილის მოშორება, ძელოვანი კიდეების გასადაღავევა და ლორწოვანი გარსის გაკერვა. სხვა შემთხვევაში მონატეხ ფრაგმენტს ვაფიქსირებთ ალუმინის საღა არტაშნით და

თვითოვეულ კბილს ვამაგრებთ ბრინჯაო-ალუმინის მავთულით. არტამანს მოეხსნით 6-8 კვირის შემდეგ. ალვეოლური მორჩის მთლიანი მოგეხილობის დროს მიემართავთ ოსტეოსინთეზს. მონაგებ ფრაგმენტს მავთულით ვამაგრებთ ცხვირის ქვედა გასაველის ძელოვან კიდეზე ან ზედა ყბის ძევაზე. ავადმყოფს ეუნიშნავეთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობას, ანტიბიოტიკების პრეპარატებს, ქლორკალციუმის 10%-იან ხსნარს, კალციგლუკონატის აბებს (თითო აბი სამჯერ დღეში 4-6 კვირა), D ვიტამინს, გვიეილგამაყუჩებელ საშუალებებს, მაღალკალორიულ დიეტას, პირის ღრუს ხშირ ირიგაციას.

ქვედა ყბის ამოვარდნილობა

ქვედა ყბის ამოვარდნილობა უფრო ხშირია ქალებში 20-40 წლის ასაკში. ამოვარდნილობის მიზეზი შეიძლება იყოს ერთჯერადი ტრავმა, პირის დიღზე გაღება (დამთქნარება, მოკბეჩა, სიცილი, კბილის ექსტრაქცია, ტრაქიის ინტუბაცია და სხვა).

პირის დიღზე გაღების დროს სასახსრე იოგები იჭიმება და სასახსრე თავი შეიძლება გამოვიდეს სასახსრე ფოსოლან. ამოვარდნილობას თან ახლავს ძლიერი გვიეილი და საღეჭი კუნთების ბოჭკოების სპასტიკური შეკუმშვა, რის გამოც ავადმყოფი პირს ვერ ხურავს.

კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა . ვარჩევთ ამოვარდნილობის შემდეგ სახეებს: წინა ამოვარდნილობა, უკანა ამოვარდნილობა, ცალმხრივი წინა, ორმხრივი წინა, ჩვეულებრივი ამოვარდნილობა.

კ ლ ი ნ ი კ ა . წინა ამოვარდნილობის დროს სასახსრე თავი ხრტილოვან დისკოსთან ერთად გადაინაცულებს სასახსრე ბორცვზე და გადადის მის წინ, სასახსრე ჩანთის გაგლეჯა არ ხდება, პირი გაღებულია, თანკბილვა დარღვეული.

ორმხრივი წინა ამოვარდნილობის შემთხვევაში ავადმყოფს პირი გაღებული აქვს, ნიკაპი წინ და ქვევით არის გადაწეული, ლოყები შესქელებული და დაჭიმულია, ქვედა ყბის მოძრაობა მკვეთრად შეზღუდულია, ყლაპვა გაძნელებული, საჭმლის მოკბეჩვა და დაღეჭვა შეუძლებელი. აღინიშნება პირის ღრუდან ნერწყვის დენა, აქვს შემინებული გამომეტყველება. ქვედა ყბის სახსარში მოძრაობა არ აღინიშნება.

უკანა ამოვარდნილობის დროს პირი დახურულია. აღინიშნება ქვედა ყბის სრული უძრაობა, მოლარები ურთიერთ მჭიდრო შეხებაშია. სასახსრე მორჩის სასახსრე თავი გადაინაცულებულია უკან და მოთავსებულია გარეთა სასმენი ხერელის ქვევით, დვრილისებრი მორჩის წინ. მოლარების ფიზ-

იოლოგიური მეთიანასოვნება დარღვეულია, ქვედა საჭრელი კბილები გადა-
ნაცვლებულია უკან სასის მიმართულებით, ნიკაპი გადაწეულია უკან, საღვჭი
კუნთების ბოჭკოები დაჭიმულია.

ჩ ე ე უ ლ ი ამოვარდნილობა წინა ამოვარდნილობის ნაირსახეობაა
და დაკავშირებულია ქვედა ყბის მოძრაობასთან – პირის მაქსიმალურად
გაღება, დამთქნარება. ამ ამოვარდნილობის დროს საღვჭი კუნთების ბოჭკოე-
ბის დაჭიმულობა ნაკლებად არის გამოხატული, ამიტომ თვით პაციენტი
შეღარებით თავისუფლად აბრუნებს ამოვარდნილ ქვედა ყბას თავის ანაგო-
მიურ-ფუნქციონალურ მდგომარეობაში. ჩვეული ამოვარდნილობა ძირითა-
დათ ორი სახისაა: მენისკო-გემპორალური და მენისკო-კონდილოიდური.
მენისკო-გემპორალური ამოვარდნილობა ხდება ქვედა ყბის სახსრის ზედა
სართულზე, ხოლო მენისკო-კონდილოიდური – სახსრის ქვედა სართულზე.
ამოვარდნილობას თან ახლავს ტკაცუნი. ჩვეული ამოვარდნილობა გან-
პირობებულია სასახსრე იოგების დაჭიმვით და სასახსრე ფოსოს გასქელებით.
ჩვეული ამოვარდნილობა უფრო ხშირია ხანდამმულ ასაკში. ის პერიოდუ-
ლად მეორდება და პაციენტი ისე ეჩვევა მას, რომ ყბის ინდივიდუალური
მოძრაობით თვით აბრუნებს სასახსრე ფოსოში.

ქვეამოვარდნილობა განპირობებულია სასახსრე ბორცვის ან სასახსრე
თავის განუვითარებლობით. პირის მაქსიმალური გაღების დროს სასახსრე
თავი გამოდის სასახსრე ფოსოდან და დახურვის დროს თავისუფლად ბრუნ-
დება სასახსრე ფოსოში, ამ მოძრაობას თან ახლავს დამახასიათებელი
ტკაცუნი.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა ახალი ამოვარდნილობის შემთხვევაში ავად-
მყოფს უნდა გაეუკეთოთ ბერშე-დუბოვის ანესთეზია ორივე სახსრის არეში
(2%-იანი ნოვოკაინის 6-8 მლ). დამატებითი ანესთეზიის გაკეთება შეიძლება
საღვჭი კუნთების მიმაგრების ადგილზე ქვედა ყბის კუთხის არეში. 10-15 წუთის
შემდეგ ავადმყოფის პირის ღრუში შეგვაქვს ცერა თითები, რომლებზედაც
წინასწარ შემოხვეული გვაქვს მარლის ღოლბანდი. თითებს ვათავსებთ
მოღარების საღვჭ ზედაპირებზე, ხოლო დანარჩენ თითებს – ქვედა ყბის ქვედა
კიდეზე. ავადმყოფს ვაძლევეთ წინადადებას სცადოს პირის გაღება-დახურვა,
გაღების მომენტის დროს საღვჭი კუნთების ბოჭკოები მოღუნებულია. ამ
მომენტში ქვედა ყბის კუთხეს ვწვეთ ქვევით, ნიკაპის. ზევით აწევასთან
ერთდროულად ქვედა ყბას გადავანაცვლებთ უკან. ჩაყენების მომენტში ცერა
თითები უნდა გადავიგანოთ პირის კარიბჭეში, ტრავემის თავიდან აცილების
მიზნით. ამის შემდეგ საჭიროა ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვა 12-15 დღით.
ქვედა ყბის ამოვარდნილობის ჩაყენების აუცილებელი წინა პირობაა ავადმყოფისა
და ექიმის სწორი მდებარეობა. ავადმყოფი უნდა იჯდეს დაბალ სკამზე

ისე, რომ მისი ქვედა ყბა მდებარეობდა ექიმის იდაყვის ღონებზე. ექიმი ყოველთვის ღვას ავადმყოფის წინ.

მოძველებული ამოვარდნილობის შემთხვევაში ზემოთ მოგანილი ანესთეზია საკმარისი არ არის, ამიტომ საჭიროა ვენური ნარკოზის გამოყენება. ნარკოზიდან ავადმყოფის გამოყენების შემდეგ, ავადმყოფი უნდა იმყოფებოდეს საექიმო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ 1,5-2 საათის განმავლობაში.

ქვედა ყბის უკანა ამოვარდნილობის შემთხვევაში, ვაკეთებთ ბერშე-ლუბოვის ორმხრივ ანესთეზიას. ავადმყოფს ვსვამთ დაბალ სკამზე, ცერა თითები შეგვაქვს პირის კარიბჭეში და ვათავსებთ გარეთა ირიბ ხაზებზე, დანარჩენი თითებით ვაფიქსირებთ ქვედა ყბის სხეულს, ქვედა ყბას ვწევთ ქვევით და წინ. ამოვარდნილობის ჩაყენების შემდეგ საჭიროა ქვედა ყბის მოძრაობის შემზღვევა 10-15 დღე. ავადმყოფს ეუნზნავენ გვიწვილი მკურნალებელ საშუალებებს, უმს, დიალინამიკურ ღენს, თხიერ საკვებს.

ცალმხრივი ამოვარდნილობის დროს პირი ნაწილობრივ გაღებული და გადაბრეცილია ისე, რომ ავადმყოფი ვერ ხურავს მას. ნიკაპი გადაწეულია ჯანმრთელ მხარეზე (სასახსრე მორჩის მოგეხილობის დროს ქვედა ყბა და ნიკაპი გადანაცვლებულია მოგეხილობის მხარეზე) და სასახსრე მორჩის თავი ამოვარდნილობის მხარეზე არ შეინიშნება, არ შეიგრძნობა მოძრაობა სასახსრე ფოსოში. ბერშე-ლუბოვის ანესთეზიის ქვეშ ქვედა ყბის ამოვარდნილობას ჩავასწორებთ, შევზღუდავთ ქვედა ყბის მოძრაობას 12-15 დღით.

ჩვეულებრივი და ქვეამოვარდნილობის მკურნალობა ითვალისწინებს ქვედა ყბის სახსარში მოძრაობის ხანგრძლივ შემზღვევას (1-1,5 თვე). მოძრაობის შესაზღუდად მოწოდებულია მრავალი საშუალება (პეტროსოვის, ხოლოროვიჩის, ხონოვის და სხვათა აპარატები), გარდა ამისა ვიყენებთ ფიზიოთერაპიულ საშუალებებს (უმს, დიალინამიკური ღენი, პიდროკორტიკონის ფონოფორეზი).

მკურნალობის ქირურგიული მეთოდები მიზნად ისახავს ან სასახსრე ფოსოს ჩადრმავევას, ან სასახსრე ბორცვის ამალღებას. მკურნალობის ქირურგიული მეთოდების ეფექტურობა ლიგურატურული მონაცემებით საკმარისად მაღალი არ არის.

ქვედა ყბის მოგეხილობა

ქვედა ყბის მოგეხილობა უფრო ხშირად გვხვდება 20-40 წლის ასაკში. ვარჩევთ გრაემულ და სპონგანურ მოგეხილობას. სპონგანური ანუ პათოლოგიური მოგეხილობა ვითარდება ძვალში მიმდინარე პათოლოგიური

პროცესის ფონზე (ქრონიკული ოსტეომიელიტი, ოღონტოგენური კისტა, ადამანტინომა, ავთვისებიანი სიმსივნე).

მიყენებული ძალის მიხედვით შეიძლება განვითარდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მოტეხილობა. ქველა ყბაზე ტიპური მოტეხილობის ადგილებია: ქველა ყბის შუა ხაზი, ეშვების არე, ქველა ყბის კუთხე, სასახსრე მორჩის არე. უმრავლეს შემთხვევაში აღინიშნება მონატეხი ფრაგმენტების შეცილება, რაც დამოკიდებულია მიყენებულ ძალაზე, თვით მონატეხი ფრაგმენტების სიმძიმეზე და მონატეხი ფრაგმენტებზე კუნთების შეკუმშვაზე.

ნორმალურ პირობებში ქველა ყბის მოძრაობა განპირობებულია ორი ჯგუფის კუნთების მუშაობით:

ა. ქველა ყბის ამწევი კუნთები (უკანა ჯგუფი).

ბ. ქველა ყბის დამწევი კუნთები (წინა ჯგუფი).

ამწევი ანუ უკანა ჯგუფის კუნთებს მიეკუთვნება: 1. საღეჭი კუნთი, რომელიც ქველა ყბას ზევით აწევს; 2. საფეთქლის კუნთი – ქველა ყბას წევს ზევით და რამდენადმე უკან, 3. მედიალური ფრთისებრი კუნთი – ქველა ყბას წევს ზევით და ნაწილობრივ წინ, ცალმხრივი შეკუმშვის დროს ქველა ყბა გადაიწევს საწინააღმდეგო მხარეზე; 4. ლატერალური ფრთისებრი კუნთი – ორმხრივი შეკუმშვის დროს ქველა ყბა წამოიწევს წინ, ცალმხრივი შეკუმშვის დროს კი გადაინაცვლებს საწინააღმდეგო მხარეზე.

დამწევი ანუ წინა ჯგუფის კუნთებს მიეკუთვნება: 1. ორმუცელა კუნთი; 2. ყბა-ინის კუნთი; 3. ნიკაპ-ინის კუნთი; 4. ნიკაპ-ენის კუნთი, 5. ენა-ინის კუნთი.

ქველა ყბის მოტეხილობის დროს, როდესაც მოტეხილობის ხაზი გადის ქველა ყბის სხეულზე შუა ხაზიდან დაშორებით (დისგალურად), მცირე ფრაგმენტი, რომელზედაც მხოლოდ ამწევი კუნთებია მიმაგრებული, გადაინაცვლებს ზევით, ხოლო ფრთისებრი კუნთის შეკუმშვის შედეგად შიგნით ისე, რომ მონატეხი ფრაგმენტი შემობრუნდება ღერძის გარშემო და მისი კბილების ლოყისკენა ბორცვები შეეხება ზედა ყბის ანტაგონისტი კბილების სასისკენა ბორცვებს. დიდი ფრაგმენტი მასზე მიმაგრებული დამწევი კუნთების შეკუმშვის შედეგად გადაინაცვლებს ქვევით და შიგნით, კუთხის არეში მოტეხილობის დროს მონატეხი ფრაგმენტების შეცილება თითქმის არ აღინიშნება საღეჭი კუნთის ბოჭკოების მონატეხი ფრაგმენტებზე თანაბარი რაოდენობით მიმაგრების გამო. ქველა ყბის სხეულის ორმხრივი მოტეხილობის დროს მოტეხილი შუალედური ფრაგმენტი გადაინაცვლებს ქვევით და უკან.

როკისებრი მორჩების ორმხრივი მოტეხილობის დროს ქველა ყბა აიწევს ზევით ისე, რომ შეხებაშია მხოლოდ მოლარების საღეჭი ზედაპირები, ფრონტალური კბილების არეში კი ღია თანკბილეაა.

ემეების არეში ორმხრივი მოტეხილობის დროს მონატეხი ფრაგმენტი

ფრონტალური კბილებით გადაინაცვლებს ქვევით და მიგნით ისე, რომ იწვევს ყლაპვისა და სუნთქვის გაძნელებას.

კ ლ ი ნ ი კ ა . ქვედა ყბის მოგეხილობას ახასიათებს: სახის ასიმეტრია, ნახევრად გაღებული პირი, ტკივილი, პირის ღრუდან ნერწყვისა და სისხლის დენა, თანკბილვის დარღვევა, ქვედა ყბის არეში მგრძობელობის მოშლა.

ღ ი ა ტ ნ ო მ ი ს დასმა სათანადო გამოკვლევის შედეგად ძნელი არ არის.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . ყბების მოგეხილობის მკურნალობა მოიცავს ოთხ ძირითად მომენტს: 1. მონაგები ფრაგმენტების შეთანასოვნება და ანატომიური მთლიანობის აღდგენა, 2. მონაგები ფრაგმენტების იმობილიზაცია, 3. ძელოვანი ჭრილობის შეხორცების სტიმულირება, 4. მოსალოდნელი გართულების (ოსტეომიელიტი, ფლეგმონა, ყალბი სახსარი) პროფილაქტიკა.

ახალი მოგეხილობის დროს მონაგები ფრაგმენტების სწორ მდგომარეობაში ჩაყენებას ვახორციელებთ ხელის საშუალებით, მოგჯერ ვიყენებთ ხელსაწყო-იარაღებს, განსაკუთრებით ჩაჭედილი მოგეხილობის დროს. მონაგები ფრაგმენტების ჩასწორებას ვატარებთ გაუტკივარების ფონზე. ორმხრივი მოგეხილობის დროს უმჯობესია გაეაკეთოთ მანდიბულური (ტორუსალური) ანესთეზია ორივე მხარეზე და 10-15 წუთის შემდეგ შეუდგეთ მონაგები ფრაგმენტების ჩასწორებას. სასახსრე მორჩების მოგეხილობის დროს და იმ შემთხვევებში, როდესაც პირის გაღება არ ხერხდება, საჭიროა ბერმელუბოვის ანესთეზიის გაკეთება. მონაგები ფრაგმენტების ჩასწორების შემდეგ საჭიროა მათი მყარი ფიქსაცია. საფიქსაციო საშუალებებს პირობითად ვყოფთ ორ ჯგუფად: დროებითი და სამკურნალო.

დროებითს განეკუთვნება: ნიკაპ-თაეის ნახევევი (შურდულისებრი), ამისათვის ვიყენებთ სამედიცინო ბანდს და სხვა ხელმისაწვდომ საშუალებებს. ნახევევით ვაფიქსირებთ ქვედაყბის კბილებს ზედა ყბის კბილებთან ფიზიოლოგიური ოკლუზიის მდგომარეობაში. ნახევვის დადების წინ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ავადმყოფს არ ექნება გულსრევა და ღებინება. ამასთან ერთად მთლიანად უნდა გამოერიცხოთ ასფიქსიის სამშრობაყ.

ქვედა ყბის სხეულის ხაზოვანი მოგეხილობის დროს დროებით ფიქსაციას ვახორციელებთ ბრონზოალუმინის მავთულით. მოგეხილობის ხამიდან დისტალურ და მედიალურ ფრაგმენტებზე ვიღებთ ორ-ორ კბილს და ვაფიქსირებთ მათ. თუ მონაგები ფრაგმენტების ცლომაა, მაშინ ქვედა ყბას ასეთივე წესით ვაფიქსირებთ ზედა ყბაზე. მოგ შემთხვევაში ეამზადებთ ნიკაპზე ამოსაღებ ბანდ-თაბამირის ფირფიკას, რომელშიც ჩაეაფენთ მარლას (ბამბას) და რბილი დაჭიმვით ვამაგრებთ თავზე მოთავსებულ ქულზე.

მუღმივი საფიქსაციო საშუალებები იყოფა ორ ჯგუფად: უსისხლო და

ოპერაციული (სისხლიანი). პირველ ჯგუფს განეკუთვნება კბილებზე დასაღები მავთულოვანი და პლასტმასის არგამნები, რომლებსაც ამზადებენ ლაბორატორიის გარეშე (ტივერშეტის, გარდაშნიკოვის, სტეპანოვის, კერეიკოს და სხვა). ლაბორატორიულ არგამნებს განეკუთვნება ვანკეიჩის, კატცის, ოქსმანის და სხვა. ვიყენებთ, აგრეთვე, სტანდარტულ არგამნებსაც (ვასილიევი).

მავთულოვანი არგამნის დასამზადებლად საჭიროა შემდეგი მასალები და იარაღები: 1. ბრინჯაო-ალუმინის წერილი 0,3-0,5 მმ. კვეთის მავთული; 2. მმ-მდე კვეთის ალუმინის მავთული, 3. კრამპონის მაშა, 4. ანატომიური პინცეტი, 5. ნემსდამჭერი, 6. მავთულის მაკრაგელი, 7. ქლიბი, 8. რეზინის რგოლები.

საჭიროების მიხედვით ვამზადებთ ალუმინის მავთულის ქვემოთ ჩამოთვლილ არგამნებს:

1. ს ა დ ა ა რ ტ ა მ ა ნ ს ვიყენებთ მარტივი ხაზოვანი მოტეხილობის (ალვეოლური მორჩი, ქვედაყბის ცალმხრივი მოტეხილობა, ფრონტალური კბილების გრავმული დაზიანება და სხვა), საფიქსაციოდ. არგამანზე ვაფიქსირებთ მოტეხილობის ზონაში არსებულ ყველა კბილს და არა ნაკლებ ორსამსაღ კბილს.

2. გა მ ბ ე ე ნ ა რ ტ ა მ ა ნ ს ვიყენებთ მოტეხილობის იმ ფორმის შემთხვევაში, როდესაც ალვეოლურ მორჩიში არ არის ორი ან მეტი კბილი.

3. ა რ ტ ა მ ა ნ ს და ხ რ ი ლ ი - სიბრტყით ვიყენებთ იმ შემთხვევაში, როდესაც მოტეხილი ღიდი ფრაგმენტები დახრილია მოტეხილობის შიგნით და მარტივი არგამნით მონატეხი ფრაგმენტების ფიქსირებას ვერ ვახერხებთ.

4. კ ა უ ჯ ი ა ნ ა რ ტ ა მ ა ნ ს ვიყენებთ ყბათაშორისი ფიქსაციისათვის რეზინის რგოლებთან ერთად ქვედა ყბის რთული მოტეხილობის დროს.

მოტეხილობის მკურნალობა გრძელდება ოთხი-ხუთი კვირა, იმ შემთხვევაში, როდესაც შეხორცება მიმდინარეობს გართულების გარეშე, არგამანი შეიძლება მოეხსნათ 22-25 დღეზე. თუ მოტეხილობის ხაზზე კიდე შეიგრძნობა მოძრაობა, მაშინ საჭიროა ფიქსაციის ვადის გაგრძელება 8-10 დღით.

მოტეხილობის ხაზზე კბილის დატოვების საკითხი უნდა გადაეწყვიტოს ინდივიდუალურად. განგრენული პულპით კბილი ამოსაღებია, ზოგჯერ კბილს ვიყენებთ, როგორც გამბეუნს.

მავთულის (პლასტმასის) არგამნებს გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებანი, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად საჭიროა: 1. მავთულის არგამნის დამზადება-დამაგრება მოითხოვს დიდ დროს (1-2 საათი), 2. მავთულის ლიგატურები თანდათანობით სუსტდება და საჭიროებს პერიოდულ კონტროლს; 3. ორივე ყბის ფიქსაციის დროს გაძნელებულია პირის ღრუს მოვლა, კვება, სუნთქვა და მეტყველება; 4. ორივე ყბის ფიქსაციის დროს ავადმყოფი

გამოჯანმრთელებამდე უნდა იმყოფებოდეს სტაციონარში; 5. უკბილო ყბაზე არტაზნის გამოყენება შეუძლებელია; 6. მავთულოვანი არტაზნი არ გამოიყენება ბავშვებში და ფსიქიკურ ავალმყოფებში.

ოქერაციული მეთოდები მოკლებულია ზემოთჩამოთვლილ ნაკლოვანებებს, მაგრამ მათაც გააჩნიათ ხარვეჭები.

მოგეხილობის ოქერაციული მკურნალობის მეთოდები ითვალისწინებს: 1. მონაგები ფრაგმენტების ფიქსაციას შეკერვით (ფოლადის, ტანტალის მავთული, კარონის ძაფი); 2. ლითონის ჩხირებით მონაგები ფრაგმენტების ფიქსაცია; 3. ძვალზე გარედან დასამაგრებელი ფირფიტების გამოყენება; 4. პირგარეშე საფიქსაციო აპარატების (რუდკო, ბერნალსკი, პანჩოხა, ბაძოშვილი და სხვა); 5. ძვლის შესაკერი აპარატების გამოყენება.

ოქერაციული მეთოდები გამოიყენება უკბილო ქვედა ყბის მოგეხილობის შემთხვევაში, მონაგები ფრაგმენტების საგრძნობი დისლოკაციის დროს, კუთხის, სასახსრე მორჩების ზონაში მოგეხილობის დროს.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა ითვალისწინებს ოქერაციულ ჩარევას და მედიკამენტურ შემოქმედებას.

ო ქ ე რ ა ც ი ის გ ე ქ ნ ი კ ა . განაკვეთი შეიძლება გაეატაროთ როგორც პირშიგნითა-პირის კარიბჭეში, ისე პირგარეთა წესით, უფრო ხშირად განაკვეთს ვაგარებთ გარედან. გაეკვეთათ კანს, კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს ფასციამდე. ფრთხილად გაეხსნით ფასციას და ბლაგვი გზით მივიღივართ ქვედა ყბის მონაგებ ფრაგმენტამდე. მონაგებ ფრაგმენტებზე ბორმანქანით ვაკეთებთ ორ-ორ ხერვლს, მონაგები კიდედან 1-1,5 სმ-ის დაშორებით ისე, რომ არ დაეაზიანოთ ქვედა ყბის არხი და მასში მოთავსებული ნერველ-სისხლძარღვოვანი კონა. ხელოვნურად შექმნილ ხერვლებში გაეატარებთ მავთულს. მონაგები ფრაგმენტების ჩასწორების შემდეგ, ჯვარედინად გადაეგრეხავთ ამავნიტურ მავთულს; ჭრილობას გაეკერავთ შრეობრივად. უნდა გეახსოვდეს, რომ ქვედა ყბის არეში განაკვეთის ვაგარების დროს არ დაეაზიანოთ სახის ნერვის ქვედა ტოტი. ამ მიზნით განაკვეთს ვაგარებთ ქვედა ყბის ქვედა კიდედან 2,5 სმ-ის დაშორებით.

მონაგები ფრაგმენტების შეერთებას (ოსტეოსინთეზს) ეახლენთ, აგრეთვე, მონაგებ ფრაგმენტებში მავთულის ჩხირის გაყრით. ზოგიერთი ავტორი ოსტეოსინთეზისათვის იყენებს წინასწარ დამზადებულ ლითონის ჩარჩოებს, რომლებსაც მონაგებ ფრაგმენტებზე ამავრებს სპეციალური ხრახნიანი ლურსმებით.

მონაგები ფრაგმენტების ფიქსაციისათვის მოწოდებულია აგრეთვე სპეციალური აპარატები, რომლებიც თავსდება პირგარეშე (რუდკო, ბერნალსკი, პანჩოხა, ბაძოშვილი და სხვა) წესით.

მოგეხილობის კომპლექსურ მკურნალობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მედიკამენტურ მკურნალობას: ვიყენებთ ანთების საწინააღმდეგო და ძელოვანი ჭრილობის შეხორცების მასტიმულირებელ

საშუალებებს. ცალკეულ შემთხვევაში განუსაზღვრავთ ანტიბიოტიკებისადმი შეუთავსებლობას კანქვეშა სინჯის გამოყენებით. პირველ 3-4 დღეს უმჯობესია ანტიბიოტიკები შევიყვანოთ მოტეხილობის ზონაში. კარგ შედეგებს იძლევა გეტრაციკლინის ჯგუფი (ერითრომიცინი, ტერამიცინი, მორფოციკლინი), რომლებიც გროვლებიან ძვალში. ძელის რეგენერაციის მასტიმულირებელი საშუალებებიდან ვიყენებთ ოსტეოგენურ ციტოტოქსიკურ მრატს, რეტაბოლილს, თიროკალციტონინს. პირამიდონის ჯგუფიდან — პენტოქსილს, მეთილურაცილს. მკურნალობაში ვიყენებთ, აგრეთვე, მადესინსიბილიმბებულ საშუალებებს, ვიტამინებს, კალციუმის პრეპარატებს. წარმატებით ვიყენებთ მკურნალობის ფიზიკურ მეთოდებს: უმს დენი, ელექტროფორეზი, ულტრაიისფერი დასხივება; პარაფინის, სამკურნალო გალახის აპლიკაციებს. ამასთან ერთად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ პირის ღრუსა ან ყბის ძვალში არსებული ლითონი არ არის ფიზიოპროცედურების ჩატარების უკუჩვენება. საჭიროა კალორიული კვება. პირის ღრუს ხშირი გამორეცხვა ანგისექტიკური ხსნარებით.

ქვედა ყბის სასახსრე მორჩის მოტეხილობა

სასახსრე მორჩის მოტეხილობა ძირითადად გამოწვეულია არაპირდაპირი გრავით. ვარჩევთ როკისებური მორჩის მოტეხილობას მორჩის ძირის, ყელისა და სასახსრე თავის არეში. უფრო ხშირია სასახსრე მორჩის ძირის მოტეხილობა.

სასახსრე მორჩის მოტეხილობას ახასიათებს მოტეხილობის ყველა დამახასიათებელი ნიშანი: ტკივილი, ღეჭვისა და მეტყველების ფუნქციის მოშლა, თანკბილვის დარღვევა. ორმხრივი მოტეხილობის დროს შეხებაშია მოლარები, ფრონტალური კბილების არეში აღინიშნება ღია თანკბილევა. ცალმხრივი მოტეხილობის დროს მოკლდება სახსრის სიმაღლე მცირე ფრაგმენტის ცდომის გამო, ამიტომ ქვედა ყბის ზევით აწვეის დროს მოლარების შეხება მოხდება ჯერ დამიანებულ მხარეზე, ხოლო შემდეგ ჯანმრთელ მხარეზე. საღიაგნოსტიკო მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ტკივილის შეგრძნებას მოტეხილი სახსრის არეში. ამ მიზნით მარჯვენა ხელით ვაწვევით ნიკაპზე, ტკივილი შეიგრძნება მოტეხილი სახსრის არეში. თუ გარეთა სასმენ ხერულში მოვათავსებთ საჩვენებელ ან მეხუთე თითებს და ავალმყოფს მიეყვამ წინადადებას ამოძრავს ქვედა ყბა, სასახსრე თავის მოძრაობა შესუსტებული იქნება მოტეხილობის მხარეზე. სასახსრე მორჩის მოტეხილობას, მის დისლოკაციას ვაბუსტებთ რენტგენოლოგიური გამოკვლევით.

მკურნალობა. იმ შემთხვევაში, როდესაც მოტეხილი სასახსრე მორჩი მცირე შეტურებით ქვედა ყბის გოგის სიბრტყეშია, საკმარისია

კონსერვატიული მკურნალობა. ავადმყოფს ორივე ყბაზე ეუკეთებთ ალუმინის მარყუჟოვან არტაშანს. მოლარების არეში ორივე მხარეზე ვათავსებთ 0,5-1 სმ-ის სისქის განმბეჯენს და ყბებს შეეკრავთ რეზინის რგოლებით. განმბეჯენს ვამაგრებთ აბრეშუმის ძაფით პირის ღრუს გარეთ. განმბეჯენს ამოვიღებთ 10-12 დღის შემდეგ ხოლო ელასტიურ ჭიმვას ვაგრძელებთ 4 კვირაზე. ცალმხრივი მოტეხილობის შემთხვევაში განმბეჯენს ვათავსებთ მოლარების არეში მოტეხილობის მხარეზე.

უკბილო ქვედა ყბის სასახსრე მორჩის მოტეხილობის დროს საჭიროა ოპერაციული ჩარევა, ოპერაციულ მკურნალობას მიემართავთ აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მოტეხილი სასახსრე მორჩი თითქმის პორიზონგალურ მდგომარეობაშია და კონსერვატიული მკურნალობით მისი ჩასწორება არ შეიძლება.

ოპერაციის ტექნიკა. ოპერაცია უმჯობესია ჩავატაროთ ენდოტრაქეალური ნარკოზის ქვეშ. განაკვეთს ვატარებთ ქვედა ყბის კუთხის გარეთა კიდედსთან 6-8 სმ-ის სიგრძეზე. ვაკვეთავთ კანს, კანქვეშა ქსოვილს, ვავითიშავთ კუნთებს და ვაშიშეღებთ ქვედა ყბის კუთხის გოტის არეს. რბილ ქსოვილებს კავით ავწვეთ ზევით და წინ ისე, რომ მოექებნოთ სასახსრე მორჩი. სასახსრე მორჩზე და ქვედა ყბის გოტზე ბორმანქანით ვაკეთებთ ხერელს, ნახერეგებში გაუყვრით ამაგნიტურ მავთულს, შევათანასოვნებთ მონაგებს ფრაგმენტებს და მავთულს გადავგრებთ, ჭრილობას შევკერავთ შრეობრივად. სასახსრე მორჩის ოსტეოსინთეზი შეიძლება ჩავატაროთ ლითონის ჩხირის მონაგებს ფრაგმენტებში გატარებით ან მონაგებს ფრაგმენტებზე ჩხირის გარედან ფიქსაციით. ოსტეოსინთეზისათვის განაკვეთის გატარება შეიძლება ყურის ჭაულის წინა კიდედსთან ისე, რომ არ დაეზიანოთ სახის ნერვის გოტები. მიდგომის ეს მეთოდი მოითხოვს ოპერატორის დახელოვნებას და სათანადო გამოცდილებას. ეს მეთოდი წარმატებითაა გამოყენებული ჩვენს მიერ.

ზედა ყბის მოტეხილობა

ზედა ყბა წყვილი ძვალია, შედგება მარჯვენა და მარცხენა ნახევრისაგან. ფუნქციის თვალთახედვით მკვეთრად განსხვავდება ქვედა ყბისაგან და განიცდის ძლიერ დატვირთვას. მოწოდებულია ზედა ყბის მოტეხილობის სხვა და სხვა კლასიფიკაციური სქემები. უფრო გავრცელებულია ფრანგი მეცნიერის ლეფორის (1901 წ.) კლასიფიკაცია. რუსულ ლიტერატურაში ავტორისეული კლასიფიკაცია არ იყო სწორად თარგმნილი და შესაძებ გიპის მოტეხილობა აღწერილია როგორც პირველი, რაც ბირფესვიანად ცუდის როგორც მოტეხილობის კლინიკურ სურათს, ისე დაზიანების სიმძიმეს. დღევანდელ პირობებ-

ში საჭიროდ მიგვაჩნია ისტორიული სინამდვილის აღდგენა და ამიტომ აქ მოვიგანთ ზედა ყბის მოგეხილობის ლე-ფორის კლასიფიკაციის ავტორისეულ სქემას.

I ტიპი – ზედა მოგეხილობა. მოგეხილობის ხაზი გალის ცხვირის ძელის ძირზე, თვალბუდის ქვედა ნაპრალზე, თვალბუდის გარეთა კიდეზე, გაიელის ყვრიმალის რკალზე და გრძელდება ძირითადი ძელის ფრთისებრ მორჩამდე. ამ შემთხვევაში აღგილი აქვს სახის ჩონჩხის მთლიან მოცილებას ქალას ჩონჩხისაგან.

II ტიპი – შუა მოგეხილობა. მოგეხილობის ხაზი გალის ცხვირის ძირზე, თვალბუდის შიგნითა კედელზე, ზედა ყბისა და ყვრიმალის ძელების ნაკერზე და გრძელდება ძირითადი ძელის ფრთისებრ მორჩებადდე. ამ შემთხვევაში მოგეხილია ზედა ყბა და ცხვირის ძელები.

III ტიპი – ზედა ყბის სხეულის ქვედა მოგეხილობა. მოგეხილობის ხაზი გაიელის პორიზონტალურად ზედა ყბის სხეულზე, ცხვირის ღრუს ქვედა კიდეზე, მოგჯერ ჰაიმორის ღრუს მთლიანობის დარღვევით. ამ დროს მოგეხილია ზედა ყბის ალვეოლური მორჩი კბილებითურთ.

რუსი ავტორები პ. არქანცევი, გ. ივაშენკო, თ. ლურიე არჩევენ სახის ჩონჩხის ზედა ნაწილის მოგეხილობის 5 ტიპს: I ტიპი – ყვრიმალის ძელის მოგეხილობა, II ტიპი – ცხვირის ძელების მოგეხილობა, III ტიპი – ალვეოლური მორჩის მოგეხილობა, IV ტიპი – სუბბაზალური მოგეხილობა, ზედა ყბისა და ყვრიმალის ძელების შეერთების აღგილზე, V ტიპი – სუბორბიტული მონის მოგეხილობა.

კლინიკა, დიაგნოსტიკა. ზედა ყბის მოგეხილობის კლინიკური სურათი მრავალფეროვანია და დამოკიდებულია, როგორც გრავემის მიყენების ძალაზე, მონატეხი ფრაგმენტების ცდომამზე, მოგეხილობის ლოკალიზაციაზე, დაზიანებული ზოგად მდგომარეობამზე, ასევე სხეულის სხვა ნაწილების დაზიანებასა და ტვინის გრავამაზე.

ზედა ყბის მოგეხილობის დროს აღინიშნება: 1. შეცვლილი სახის ფორმა, 2. სისხლჩაქცევები რბილ ქსოვილებში ("შავი სათვალის ნიშანი"), 3. თანკბილის დარღვევა, 4. ლეჰვის, მეტყველების, სუნთქვის ფუნქციის მოშლა.

პირველი ტიპის მოგეხილობის დროს კლინიკური სურათი მძიმეა და რთული. დაზიანებულს სახე დაგრძელებული აქვს, გამოსატულია "შავი სათვალის" ნიშანი. თანკბილევა, სუნთქვა, მეტყველება დარღვეულია. აღინიშნება სისხლდენა ცხვირდან, პირიდან, ყურებიდან, ზოგჯერ აღგილი აქვს ზურგის ტვინის სითხის დენასაც. მოშლილია თავის ტვინის ნერვების ფუნქცია (სამწვერა, სახის, თვალის მამოძრავებელი და სხვა). სახის მიმიკა დარღვეულია, აღინიშნება დიპლოპია (მხედველობის გაორება), სახის არემო

მგრძობელობის მოშლა, ზოგჯერ გვინის დაქვეილობა, უფრო ხშირად გვინის შერყევა. ქალას ფუძის მოგეხილობის დროს აღინიშნება სისხლდენა ვარეთა სასმენი ხერეულიდან. თაებურგვინის სითხის დენა ცხვირიდან, ყურიდან.

ზურგის გვინის სითხის დენა (ლიქვორეია) ვითარდება გრავმის მიღებიდან პირველი სამი დღის განმავლობაში. ლიქვორეია ცხვირიდან ძნელი დასადგენია, მის დასადგენად ვიყენებთ ე. წ. "ცხვირსახოცის" სინჯს. ზურგის გვინის სითხეში დასველებული სუფთა ცხვირსახოცი გამრობის შემდეგ რჩება რბილი, ცხვირის სეკრეტში დასველებული – გამრობის შემდეგ რჩება ხმელი, თითქოს სახამებელში ამოვლებული. ეს სინჯი ყოველთვის უცყუარი არ არის.

მორე გვიის მოგეხილობის დროს კლინიკური სურათი დამოკიდებულია მონატეხი ფრაგმენტების ცდომამზე და რბილი ქსოვილების მდგომარეობამზე. სახე ასიმეტრიულია, რბილი ქსოვილები შემუქებული, აღინიშნება სისხლდენა ცხვირიდან, დაცხრილული ფირფიტის დამიანების დროს კი – ზურგის გვინის სითხის გამოყოფა. სისხლჩაქევეებია თვალბუდში, კონიუქტივამზე. ზედა ყბის და ცხვირის ძელები მოძრავია. თვალბუდის ქვედა კიდე მოგეხილია. ადგილი აქვს ანესთეზიას თვალბუდის ქვედა ნერვის საინერვაციო ზონაში.

მესამე გვიის მოგეხილობის დროს აღინიშნება მონატეხი ფრაგმენტების ცდომა, თანკბილეა ხშირად დარღვეულია, ზოგჯერ ადგილი აქვს ცხვირის ნესტოდან სისხლდენას. პალპაციით ვადგენთ ალვეოლური მორჩის მოგეხილობის ზონას.

კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით ვარჩევთ ზედა ყბის მსუბუქ, საშუალო და მძიმე მოგეხილობას. მსუბუქ დამიანებას ვაკუთვნებთ ალვეოლური მორჩის მოგეხილობას, ან ზედა ყბის ნაწილობრივ მოგეხილობას თანკბილვის დარღვევის გარეშე, ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თავის გვინის შერყევა არ არის, შეხორცება მიმდინარეობს სადად. მკურნალობა გრძელდება ორი კვირა.

საშუალო სიმძიმის დამიანებას განეკუთვნება ზედა ყბის სხეულის ცალმხრივი ან ორმხრივი მოგეხილობა, მონატეხი ფრაგმენტების ცდომით, თანკბილვის დარღვევით, სასისა და ზედა ყბის წიაღის დამიანებით, თავის გვინის შერყევით. ასეთი ავადმყოფის მკურნალობა საშუალოდ 3-4 კვირა გრძელდება.

მძიმე დამიანებას მიეკუთვნება ზედა ყბის პირველი გვიის მოგეხილობა, ამავე დროს დამიანებულია შემობელი ორგანოებიც: ორბიტა, ცხვირი, შეიძლება ქვედა ყბაც. ასეთი დამიანება მოითხოვს რთულ ქირურგიულ ჩარევას. მკურნალობის ვადები დამოკიდებულია დამიანების სიმძიმეზე, ავადმყოფის ზოგად მდგომარეობამზე, დაავადების გართულებამზე. მკურნალობა შეიძლება გაგრძელდეს 5-6 კვირა.

მელა ყბის მოგეხილობის მკურნალობა

პირველ რიგში საჭიროა დაზიანებულის ზოგადი მდგომარეობის შეფასება, უნდა გავაგაროთ საჭირო ღონისძიებები სისხლდენის შესაჩერებლად და თავისუფალი სუნთქვის აღსადგენად. გადაეწყვიტოთ მონატეხი ფრაგმენტების დროებითი და საგრანსპორტო ფიქსაციის საკითხები. დაზიანებულის მძიმე, უგონო მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში, აქტიური ქირურგიული ჩარევა, თუ არ არის სასიცოცხლო ჩვენება, მიზანშეწონილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ მონატეხი ფრაგმენტების ჩასაყენებელი არტაშნები ყოველთვის თავსდება მოგეხილობის საზის ქვევით, ხოლო მაფიქსირებელი – მოგეხილობის საზის ზევით (თაემე, ორბიტის კიდემე და სხვა).

როდესაც მოგეხილობა ნაწილობრივ მოძველებულია (ფიბროზული ქსოვილია უკვე განვითარებული) მონატეხი ფრაგმენტების ჩაყენებას ვაწარმოებთ ორი წესით: რეკომბიცია ხელით ან სხვადასხვა მამის საშუალებით, ელასტიკური დაჭიმვით.

მელა ყბის მოგეხილობის დროებითი საფიქსაციო საშუალებებია: 1. მურდულისებრი ნახვევი: სალი ქვედა ყბა აწევა მელა ყბას ფიზიოლოგიური თანკბილვით და აფიქსირებს მელა ყბის მოგეხილ ფრაგმენტებს. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე ყბაზე კბილთა უმრავლესობა შენარჩუნებულია და არ არის თავის ტვინის შერყევის ნიშნები. 2. სახელდახელო საფიქსაციო საშუალებები: სახაზავი, ფანერის ნაჭერი, ხის ჩხირი და სხვა. ვიყენებთ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვედა ყბა უკბილოა, ან გულისრევისა და პირღებინების საშიშროებაა. ასეთ საფიქსაციო საშუალებები შეგვაქვს პირის ღრუში მელა ყბის პრემოლარების ღონემე დავამარებთ თაემე ნახვევის საშუალებით. 3. სპეციალური კომპობი – არტაშნები (რაეუერის, ლიმბერგის და სხვა). 4. საკუთარი მოსახსნელი კბილის პროთეზები, თუ ისინი არ არის დამსხვრეული გრამვის მიყენების დროს.

ავადმყოფი უნდა გამოვიყვანოთ შოკიდან, მივეცეთ ტკივილდამაყუჩებელი, საგულე საშუალებები. ამავე დროს საჭიროა გრანსპორტის სახეობის განსაზღვრა და ავადმყოფის საგრანსპორტო მდებარეობის შერჩევა. ავადმყოფი უნდა იწვეს გვერდზე ან თავდაღმა ისე, რომ მუბლი ელოს რაიმე რბილ საგანზე და პირიდან იყოს თავისუფალი ნერწყვედენა. გრანსპორტირების დროს ავადმყოფს თან უნდა ახლდეს სამედიცინო პერსონალი.

მუდმივ საფიქსაციო საშუალებად შეიძლება გამოვიყენოთ ლაბორატორიული წესით დამზადებული კომპობი – არტაშნები, სპეციალური საფიქსაციო ქულები (თაბამირის, მ. ზბარეის და სხვა), აგრეთვე ალუმინის მღუნავე მავთულის არტაშნები.

მკურნალობის ქირურგიული მეთოდებიდან ეიყენებთ: 1. მოტეხილი ზედა ყბის ყვრიმალის რკალზე დამაგრებას; 2. თვალბუდის გარეთა კიდეზე დამაგრებას, 3. სხვირის გასაელის წინა ქვედა კიდეზე დამაგრებას, 4. თვალბუდის ქვედა კიდეზე, 5. შუბლის ძვალზე ხრახნით (კუფნერის მეთოდი). 6. თვალბუდის ზედა კიდეზე, 7. მემბრელ ძვლოვან ქსოვილებზე მავთულოვანი ნაკერის დადებას. განვიხილოთ რამდენიმე მეთოდი:

1. ფედერსპილის მეთოდი. მოტეხილი ზედა ყბის ალვეოლურ მორჩზე ვაფიქსირებთ ალუმინის მავთულის არტაშანს ორი მარყუქით პირველი მოლარის ღონეზე. ავადმყოფის თავზე ვამზადებთ თაბამირის ქუდს, რომელშიც თვალბუდის გარეთა კიდის ღონეზე ჩაერთავთ მარყუქოვან მავთულს. ვაკეთებთ ანესთეზიას ორივე ლოყის სისქეში, შემდეგ გრძელი, სწორი ნემსით პრემოლარების (პირველი მოლარის) ღონეზე ვატარებთ მავთულს რომლის ერთ ბოლოს ვამაგრებთ პირის კარიბჭეში ალუმინის არტაშნის მარყუქზე, ხოლო მეორე თავი გამოგვაქვს სახეზე ლოყის სისქედან და ვამაგრებთ თაბამირის ქუდის მავთულოვან მარყუქზე. ეს მეთოდი შედარებით მარტივია, მაგრამ მისი გამოყენება არ შეიძლება თავის ქალას ძვლების ტრავმის დროს.

2. ადამსის მეთოდი. ზედა ყბის ალვეოლურ მორჩზე ვაფიქსირებთ ალუმინის მავთულის არტაშანს ორი მარყუქით მეორე პრემოლარის ან პირველი მოლარის ღონეზე ორივე მხარეზე. 1%-იანი ნოვოკაინის ხსნარის 1 მლ. შეგვყავს თვალბუდის გარეთა კიდედან, 5-6 წუთის შემდეგ ვატარებთ განაკეთეს, გავთიშავთ რბილ ქსოვილებს, ვამიშვლებთ თვალბუდის გარეთა კიდე და ძვალში ბორმანქანით ფრთხილად ვაკეთებთ ერთ ხერელს, ასეთივე ხერელს ვაეთებთ მეორე მხარეზე. ხერელებში ვატარებთ მავთულს ან პოლიამიდურ ძაფს, შემდეგ გრძელი, სწორი ნემსით ლოყის სისქეში შეგვყავს ნოვოკაინის 1%-იანი ხსნარის 5-6 მლ. მავთულის გატარების საპროექციო არეში. ანესთეზიის დადგომის შემდეგ ჭრილობიდან შევდივართ გრძელი ნემსით ლოყის რბილ ქსოვილებში (ნემსის ყუნწში გაყრილია მავთული), ყვრიმალის რკალის ქვეშ და გამოვდივართ პირის კარიბჭეში ზედა ყბის ბორცვთან, ასე ვაკეთებთ მეორე მხარეზედაც. ზედა ყბის მონატეხ ფრაგმენტებს ვაყენებთ ანაგომიურ-ფუნქციურ მდგომარეობაში და მავთულის დაჭიმვით ვაფიქსირებთ 4-5 კეირის ვადით. მუხორცების შედეგ პირის ღრუში გადავჭრით მავთულის ერთ ბოლოს და ფრთხილად გამოვიტანთ პირის კარიბჭიდან. ჩემი აზრით, ჭრილობის არხის ინფიცირების თავიდან აცილების მიზნით უმჯობესია მავთული გადავჭრათ თვალბუდის კიდედან და ორივე ნახევიარი გამოვიტანოთ პირის კარიბჭიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ზედა ყბის მოტეხილი ალვეოლური მორჩის

ცლომა მკვეთრად არის გამოხატული და ავადმყოფს გულისრევა და ლებინება არა აქვს, ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ ინტერმაქსილური ფიქსაციისათვის. ამ მიზნით დასაწყისში ორივე ყბაზე ეაკეთებთ მარყუკოვან არტაზანს, ორივე ყბა მოგვყავს ანატომიურ-ფუნქციურ ოკლუზიის მდგომარეობაში და ვაფიქსირებთ ადამსის მეთოდით.

ადამსის მეთოდით მარტო ზედა ყბის ფიქსაციას ის უპირატესობა აქვს, რომ ოპერაციის შემდეგ ავადმყოფს თავისფლად შეუძლია საკვების მიღება, პირის გაღება, აღდგენილია სუნთქვისა და მეტყველების ფუნქცია.

ანთებადი გართულების თავიდან აცილებისა და ოსტეოგენეზის სტიმულირების მიზნით საჭიროა: ანტიბიოტიკების შეყვანა ღია ჭრილობის არეში 3-4 დღე, ანტიბიოტიკების შეყვანა კუნთებში, ანტიპისტამინური პრეპარატების დანიშვნა, ასევე C და B ჯგუფის ვიტამინები, რეტაბოლილი ჩვენების მიხედვით, კალცი ელექტროფორეზი მე-12 დღიდან, ოსტეოგენური ციტოტოქსიკური შრატის შეყვანა სქემის მიხედვით, ფიზიოთერაპია.

ყვრიმალის ძვლისა და რკალის მოტეხილობა

ყვრიმალის ძვლისა და რკალის მოტეხილობა გამოწვეულია პირდაპირი ტრამებით. მოტეხილობა შეიძლება იყოს იზოლირებული და ზედა ყბის მოტეხილობასთან შერწყმული. პრაქტიკული მუშაობისათვის უფრო მისაღებია რ. ნომოვას კლასიფიკაცია: 1. ყვრიმალის ძვლის მოტეხილობა შეცურების გარეშე და შეცურებით, ზედა ყბის წიაღის კედლის დაზიანებით. 2. ყვრიმალის რკალის მოტეხილობა შეცურების გარეშე და შეცურებით; 3. ყვრიმალის ძვლისა და რკალის ერთდროული მოტეხილობა შეცურებით და შეცურების გარეშე, ზედა ყბის წიაღის კედლის დაზიანებით.

კ ლ ი ნ ი კ ა . ავადმყოფი უჩივის ტკივილს, რბილი ქსოვილების შეშუპებას, სისხლჩაქცევას თვალბუდის არეში, ზოგჯერ სისხლდენა ცხვირის ნესტოდან, მგრძნობელობის მოშლას თვალბუდის ქვედა ნერვის საინერვაციო ზონაში, ზოგჯერ აღინიშნება ენოფთალმი. რბილი ქსოვილების შეშუპების გამო თვალის ნაპრალი შევიწროებული ან დახურულია, პალპაციით ყვრიმალის ძვალი ჩაწეულია ჰაიმორის ღრუში ან გადანაცვლებულია ქვევით, გარეთ და შიგნით. თვალბუდის ქვედა კიდე მოტეხილია, აღინიშნება კიბის საფეხურისმაგვარი ღეფორმაცია, ზოგჯერ არის ღიპლოპია. ქვედა ყბის მოძრაობა შეზღუდულია. ყვრიმალის რკალის მოტეხილობა შეიძლება იყოს იზოლირებული ან ყვრიმალის ძვალთან ერთად, ამ შემთხვევაშიც ქვედა ყბის მოძრაობა შეზღუდულია, ლეკვის ფუნქცია მოშლილია. ზოგჯერ სახის რბილი ქსოვილების ძლიერი შეშუპების გამო მოტეხილობის პალპატორული გამოკვლევა არ ხერხდება, ყვრიმალის ძვლის მოტეხილობა შეუმჩნეველი რჩება და

გადადის მოძველებულ მოგეხილობაში. ამის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა რენტგენოლოგიური გამოკვლევა.

ღ ი ა გ ნ ო შ ი ს დადგენა მოგანილი კლინიკური სურათის მიხედვით უმრავლეს შემთხვევაში ძნელი არ არის.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . ყვრიმალის ძელისა და რკალის მოგეხილობის სამკურნალოდ ვიყენებთ კონსერვატულ და ქირურგიულ მეთოდებს. კონსერვატული მეთოდი გამოიყენება ახალი მოგეხილობის დროს, როდესაც არ არის მონაკვები ფრაგმენტების გამოხატული ცდომა. ავადმყოფს ეუნიშნაეთ თხიერსაკეებს, გკივილდამაყუჩებელსამუალებებს, ადგილობრივციე საფენებს. ტრავმის მიღებიდან მე-3, მე-4 დღეზე გადაგყავს ფიზიომკურნალობაზე.

უსისხლო ქირურგიულ მეთოდს ვიყენებთ ყვრიმალის ძელის ახალი მოგეხილობის შემთხვევაში. საჩვენებელი თითი შეგვაქვს პირის კარიბჭეში, ვათავსებთ ყვრიმალ-ალეეოლური მორჩის ქედთან და მოგეხილ ყვრიმალის ძვალს ვაყენებთ თავის ანატომიურ მდგომარეობაში.ამავე მიზნისათვის ვიყენებთ ლითონის შპალეს (რომელზედაც დახვეულია მარლის ბანდი), შეედივართ პირის კარიბჭეში და მონაკვებ ფრაგმენტებს ჩაყენებთ თავის ადგილზე.

სისხლიან ქირურგიულს განეკუთვნება კენის მეთოდი. გაუტკივარების შემდეგ პირის კარიბჭეში ყვრიმალ-ალეეოლური ქედის უკან ვაკეთებთ განაკვეთს. შეედივართ ელევატორით და ენერგიული მოძრაობით ზევით და გარეთ ყვრიმალის ძვალსა და რკალს ვაბრუნებთ ანატომიურ-ფიზიოლოგიურ მდგომარეობაში.

ღ ი მ ბ ე რ გ ი ს მ ე თ ო დ ი . გაუტკივარების შემდეგ ლიმბერგის კავით გაეჩხვლეგავთ კანს, კანქვემა ქსოვილს და შეედივართ ყვრიმალის ძელის (რკალის) კიდეტან, ვაფიქსირებთ კავს და მოძრაობით გარეთ და ზევით მონაკვებ ფრაგმენტებს ვაყენებთ სწორ მდგომარეობაში. ამავე მიზნით ვიყენებთ შ.ჩხოლარიას მამას.

ყვრიმალის ძელის პაიმორის დრუმი ჩავარდნის შემთხვევაში საჭიროა ოპერაციული ჩარევა. გაუტკივარების შემდეგ, გარდამავალ ნოჭზე პირის კარიბჭეში ვატარებთ განაკვეთს, ავამრეეებთ ლორწოვან გარსს და ძელისსამრდელას,ეშვის ფოსოში გავხსნით პაიმორის დრუს, გავათავისუფლებთ მას სისხლის კოლგებისა და ძელოვანი ნამსხერეეებისაგან, თითით გამოვიკვლევეთ დრუს კედლებს, ვაბუსტებთ ყვრიმალის ძელის ცდომას, ამოეწვეთ სწორ მდგომარეობაში, ძელის საფიქსაციოდ დრუმი შეგვაქვს ილოფორმის ლობბანდი, რომელსაც ეგოეებთ 12-14 დღე. მოგ შემთხვევაში მიემართაეთ ყვრიმალის ძელის ოსტეოსინთემს.

ყვრიმალის რკალის დამხვრეული მოგეხილობის დროს ვიყენებთ ოსტეოსინთემს. გაუტკივარების შემდეგ განაკვეთს ვატარებთ რკალის საპროექციო არეში, გავეეეთავთ კანს, კანქვემა ქსოვილს, მოეძებნით მონაკვებ ფრაგმენტებს, რომლებზედაც ბორმანქანით ვაკეთებთ თითო ხერელს და

მავთულით ან პოლიამიდური ძაფით ვაერთებთ მონატებს ფრაგმენტებს, ჭრილობას გავეკრაუთ ყრუდ. ავადმყოფს ეუნიშნავთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობას.

ცხვირის ძვლების მოტეხილობა

ცხვირის ძვლების მოტეხილობა საკმაოდ ხშირია და შეადგენს შემთხვევათა 16-23%. გამოწვეულია ძირითადად პირდაპირი ტრავმით; შეიძლება იყოს იზოლირებული ან შერწყმული სახის სხვა ძვლების მოტეხილობასთან.

ი. ვოლკოვმა მოგვაწოდა ცხვირის ძვლების მოტეხილობის ასეთი კლასიფიკაცია: 1. ცხვირის ძვლების მოტეხილობა მონატეხი ფრაგმენტების შეცურების გარეშე, ცხვირის დეფორმაციის გარეშე, 2. ცხვირის ძვლების მოტეხილობა მონატეხი ფრაგმენტების შეცურებით და ცხვირის დეფორმაციით, 3. ცხვირის ძვლის მოტეხილობა.

ცხვირის ძვლების მოტეხილობა შეიძლება იყოს ღია და დახურული. მონატეხი ფრაგმენტების შეცურება იწვევს არამარტო ცხვირის დეფორმაციას, არამედ ცხვირის ლორწოვანი გარსის ძლიერ დაზიანებასაც.

კლინიკა. ავადმყოფი უჩივის ტკივილს, ძლიერ სისხლდენას ცხვირიდან, სუნთქვის გაძნელებას. ადგილი აქვს ცხვირის რბილი ქსოვილების შეშუპებას, დეფორმაციას და თვალბუდეებში სისხლჩაქცევას. ზოგჯერ ადგილი აქვს ორბიტის დაცხრილული ფირფიტის მოტეხილობას.

დიაგნოზის დადგენა ძნელი არ არის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების გათვალისწინებით.

მკურნალობა. პირველ რიგში საჭიროა სისხლდენის შეჩერება ცხვირიდან. სისხლდენა შეიძლება იყოს დიფუზური ან არტერიული, უფრო ხშირად კი გამოწვეულია კისელბახის წნულის დაზიანებით. ჩვეულებრივ სისხლდენას ვაჩერებთ ან წყალბადის ზეეანგით ან ცივი საფენებით. ძლიერი სისხლდენის შემთხვევაში მივმართავთ ცხვირის უკანა გამპონადას ბელოკის წესით. ცხვირის ნესტოების დატამპონებაც ითვლება სისხლდენის შეჩერების ერთ-ერთ მეთოდად. სისხლდენის შეჩერების შემდეგ ცხვირის ნესტოებს გაეწმენდავთ სისხლის კოაგულებისაგან. გაუკვივარებას ვაღწევთ ან ნოვოკაინის 1-2%-იანი ხსნარით ან ლიკაინის 3-4%-იან ხსნარში დასველებული დოლბანდის შეგანით ცხვირის ნესტოებში. შეიძლება გამოვიყენოთ 10%-იანი ლიდოკაინის აეროზოლი. შემდეგ სისხლძარღვის დამჭერით, რომელზედაც დახვეულია დოლბანდი, შევდივართ ცხვირის ნესტოში ზედა გასავლის დონეზე და ჩავასწორებთ მოტეხილ ფრაგმენტებს თითების კონტროლით, ასე ჩავასწორებთ მეორე მხარეზედაც. მონატეხი ფრაგმენტების ჩასწორება შეიძლება პირდაპირი ელვატორით, რომელზედაც ჩამოცმულია რეზინის მილი, მონატეხი ფრაგმენტების საფიქსა-

ციოდ შეიძლება გამოვიყენოთ ორი მეთოდი: 1. იოდოფორმის დოლბანდები, დასველებული სტერილურ ვაზელინში, შეგვაქვს ცხვირის ნესტოებში (ნესტოში), 2. ცხვირის ნესტოებში შეგვაქვს რეზინის ან პოლიეთილენის მილები (ვაზელინის დოლბანდით შემოხვეული), რომლებსაც ვააგრებთ ცხვირის შესავალთან. რეზინის მილები ურუნველყოფს თავისუფალ სუნთქვას ცხვირიდან. ცხვირის გამჟონები უნდა გამოეცვალოს 2-3 დღეში ერთხელ. იმობილიზაციის ხანგრძლივობა საშუალოდ 10-12 დღეა. ცხვირზე გარედან ვაღებთ მაფორმირებელ ნახვევს (თაბაშირი, გყვიის ფირიგა, კლეოლი, პლასტმასის ინდივიდუალური არტაშანი (რ.კომახიძე) და სხვა. ავადმყოფს უნიშნავთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობას. მძიმე გრავმული დაზიანების იმ შემთხვევაში, როდესაც მოგეხილია ცხვირის ძირი და მისი ჩასწორება ზემოთ მოტანილი მეთოდებით არ ხერხდება, მიემართავთ ოსტეოსინთეზს, ცხვირის ძირს მივაკერებთ შუბლის ძვალს.

ხანდაზმულთა და მოხუცებულთა ასაკში ყბა-სახის და- ზიანებათა თავისებურება

ხანდაზმული და მოხუცებული ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალიზირებულ სტომატოლოგიურ დახმარებას, საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ყბა-სახის გრავმული დაზიანება ამ ასაკში მიმდინარეობს თავისებურად – დაქვეითებული იმუნობიოლოგიური და შეცვლილი რეაქტიულობის ფონზე. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ამ ასაკში საქმე გვაქვს შინაგანი ორგანოების ქრონიკულ დაავადებებთან, რომლებიც ამძიმებენ გრავმული დაზიანების მკურნალობას.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ დაბერების პროცესში ადამიანის ქსოვილთა ყველა სისტემაში მიმდინარეობს ძვრები, რომლებიც აძნელებენ ჭრილობის შეხორცებას. ატროფიას განიცდის სახის კანი, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი, კუნთები, ლორწოვანი გარსი, იცვლება სისხლძარღვთა ტონუსი, ისინი ხდებიან მყიფე, აღვილად მიანდებიან და იწვევენ კანქვეშა სისხლჩაქცევებს და პემაგომას. კანი კარგავს გურგორს, ხდება მობილური, ჭრილობის შეხორცება მიმდინარეობს დუნედ. სახის ჩონჩხის ძვლოვან ქსოვილში ვითარდება დიფუზური ოსტეოპოროზი. გაძნელებულია ძვლოვანი კორძის ჩამოყალიბება და მისი გაძვალბება, ხოლო თანმხლები დაავადება მოითხოვს დამატებითი სამკურნალო ღონისძიებათა კომპლექსის ჩატარებას.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ხანდაზმულობა და მოხუცებულობა არ ითვლება ოპერაციული ჩარევის წინააღმდეგჩვენებად. საჭიროა მუსკად განვსაზღვროთ ოპერაციული ჩარევის ჩვენება, მოცულობა, გაუტკივარების სახე

და თანმხლები დაავადების სიმძიმე. თვითთვეული ავადმყოფი მოითხოვს ინდივიდუალური მკურნალობის გეგმის შედგენას. სამკურნალო წამალთა დანიშვნის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ კუჭ-ნაწლავთა ტრაქტიდან წამალთა შეწოვა შეფერხებულია და საჭიროა მისი პარენტერალურად შეყვანა. მკურნალობის ვადები გახანგრძლივებულია 10-14 დღით. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს პირის ღრუს სისუფთავე და ოპერაციის შემდგომ მისი ხშირი გამორეცხვა.

სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია ყბა-სახის ტრავმული დაზიანების დროს მშვიდობიან პერიოდში

ტრავმატოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობის ეფექტურობა დამოკიდებულია იმ ღონისძიებათა თანმიმდევრულ გატარებაზე, რომლებიც საჭიროა ადგილზე ტრავმის მიღებიდან სპეციალიზირებულ სამკურნალო დაწესებულებაში. ეტაპური დახმარება ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. დაზარალებულის პირველადი დახმარება ადგილზე ნიშნავს თვითდახმარებას (ურთიერთდახმარებას), ან სანიტრის დახმარებას.

2. ექიმამდელი დახმარება უნდა ჩაატაროს ექთანმა ან ფერშალმა, რაც მიზნად ისახავს პირველადი დახმარების დროს დაშვებული უზუსტობის ან შეცდომის გამოსწორებას და დამატებითი ღონისძიებების გატარებას.

3. პირველადი საექიმო დახმარება, ატარებს ექიმი ტრავმის მიღებიდან პირველი 4 საათის განმავლობაში. ასეთი დახმარება შეიძლება ჩაატაროს არასპეციალისტმა ექიმმაც ჯანპუნქტში, საუბნო საავადმყოფოში, სასწრაფო დახმარების პუნქტში.

4. ევაკუაციური ქირურგიული დახმარება. გარდება ტრავმის მიღებიდან 12-18 საათის განმავლობაში სამკურნალო დაწესებულებაში.

5. სპეციალიზირებული დახმარება, ხორციელდება სპეციალიზირებული სამკურნალო დაწესებულებაში ტრავმის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

პირველადი დახმარება ადგილზე

სამედიცინო სამსახურის უპირველესი ამოცანაა გააცნოს წარმოების მუშა-მოსამსახურეებს პირველადი დახმარების ელემენტები, განსაკუთრებით მაღალი გრავმატიზმის საწარმოებში. პირველადი დახმარების აღმოჩენაზე დიდად არის დამოკიდებული არა მარტო მკურნალობის შემდგომი ეფექტი, არამედ თვით დაზიანებულის სიცოცხლეც. პირველადი დახმარება გულისხმობს დაზიანებულის გამოყვანას გრამების მიღების ადგილიდან (ნანგრევა-ბიდან, დამტყრეული მანქანიდან და სხვა), სხეულის განთავისუფლება ცეცხლმოკიდებული ნივთისაგან. დაზიანებულს უნდა მიეცეთ მოხერხებული მდებარეობა — დაეაწინოთ გვერდზე ან მუცელზე, თავი მიეაბრუნოთ ჭრილობის მხარეზე, ასფიქსიის თავიდან აცილების მიზნით. დამწვრობის დროს საჭიროა დამწვარი ადგილის ჩამობანა ცივი წყლით. ზოგჯერ საჭიროა დამწვრობაზე ანტისეპტიკური ნახევეის დადება და დაზარალებულის ევაკუაცია სამედიცინო დახმარების პუნქტზე, სადაც სამედიცინო პერსონალი აღმოუჩენს ექიმამდელ დახმარებას.

ყბა-სახეში დაზიანებულთა უმრავლესობას თვითონ შეუძლია გადაადგილება და სამედიცინო პუნქტამდე მისვლა. სხვა შემთხვევაში საჭიროა ტრანსპორტირება.

ექიმამდელი დახმარება

ექიმამდელი დახმარება გარდება გრავმული დაზიანების ადგილზე, სანიტარულ საგუშაგოზე, ჯანპუნქტებში, საფერშლო პუნქტებში. გადაუდებელი დახმარება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ჭრილობიდან სისხლდენის შეჩერებას, ასფიქსიისა და შოკის პროფილაქტიკას.

სამედიცინო პუნქტში მომუშავე მედპერსონალი ვალდებულია იყოდეს ყბა-სახეში დაზიანებულთა დახმარების ელემენტები და ტრანსპორტირების თავისებურება. მედპერსონალი შეძლებისდამიხედვით იკვლევს დაზარალებულს და აღგენს წინასწარ დიაგნოზს, ატარებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რაც გულისხმობს:

1. სისხლის დენის შეჩერება — ჭრილობის დაგამპონება და დამწოლი ნახევეის დადება.

2. ასფიქსიის პროფილაქტიკა — დაზარალებული უნდა დავსვათ, თავი დავახრეინოთ წინ და ქვევით. მძიმე გრავმის შემთხვევაში დაზარალებულს ვაწვენთ მუცელზე სახით ქვევით. ასფიქსიის საშიშროება იქმნება ნიკაპის არეში ორმხრივი მოტეხილობის დროს, როდესაც ენა გადინაყულებს ხახისაკენ. საჭიროა ენის წინ წამოწევა და ბულაეკით ან ძაფით პირუს დრუს გარეთ დაფიქსირება.

3. შოკის საწინააღმდეგო ღონისძიება – პირველ რიგში სისხლდენის შეჩერება, ასფიქსიის პროფილაქტიკა, სატრანსპორტო იმობილიზაცია. ჭრილობაზე ვადებთ სტერილურ ნახევებს. შეგვეყავს 3.000 ერთეული ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი. დაზიანებული გადაგვეყავს შემდეგ ეტაპზე.

პირველადი საექიმო დახმარება

პირველადი საექიმო დახმარება ხორციელდება საუბნო-საექიმო სააავად-მყოფოებში, საექიმო ჯანაპუნქტებში და სხვა. პირველადი საექიმო დახმარების მიზანია სისხლის დენის შეჩერება, ასფიქსიისა და შოკის პროფილაქტიკა. სისხლდენის შეჩერება უნდა მოვახდინოთ სისხლდარღვის მოძებნით და მისი ლიგირებით, ან კარგი გამპონირებით. ძლიერი სისხლდენის დროს, რომლის შეჩერება ჩვეულებრივი ხერხებით არ შეიძლება, საჭიროა ან გარეთა საძილე არტერიის გადაკვანძვა, ან სასწრაფო ტრაქეოსტომის გაკეთება და პირის ღრუს მჭიდრო გამპონადა. დისლოკაციური ასფიქსიის შემთხვევაში საჭიროა ენის აღება ძაფზე და მისი საიმედო პირგარეთა ფიქსაცია. საჭიროა წინათ დადებული ნახევების გადამოწმება. ამ ეტაპზე საჭიროა დაზიანებული სათვის წყალისა და საკვების მიწოდება. სახის ჩონჩხის მძიმე მოტეხილობების დროს ექიმის შეხედულების მიხედვით დაჭრილი შეიძლება პირდაპირ გადაიგზავნოს სპეციალიზებულ სტომატოლოგიურ დაწესებულებაში. საჭიროა სხვა სპეციალისტების კონსულტაცია. თუ საუბნო-საავადმყოფოში მუშაობს ექიმი-სტომატოლოგი მან დაზიანებულს უნდა აღმოუჩინოს საჭირო სპეციალიზირებული დახმარება (მონაგები ფრაგმენტების დროებითი ფიქსაცია, სიგუაციური ნაკერის დადება და სხვა).

კვალიფიციური ქირურგიული დახმარება

დაზიანებულმა კვალიფიციური ქირურგიული დახმარება უნდა მიიღოს პოლიკლინიკასა და ტრავმატოლოგიურ პუნქტში, ქალაქის (რაიონის) ქირურგიულ ან ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში. საექიმო დახმარებას აწარმოებს ქირურგი ან ტრავმატოლოგი. ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებს ექიმი-სტომატოლოგი.

კვალიფიციურ ქირურგიულ დახმარებას საჭიროებენ ის ავადმყოფები, რომლებმაც დაკარგეს სისხლი დიდი რაოდენობით, უგრძელდებათ სისხლდენა, იმყოფებიან შოკში, ან აქეთ ასფიქსიის მოვლენები. ამ ეტაპზე ჩვენების მიხედვით მიზანშეწონილია გარეთა საძილე არტერიის გადაკვანძვა და დაზიანებულთა სამი ჯგუფის გამოყოფა: 1. დაზიანებულები, რომლებიც საჭიროებენ მხოლოდ კვალიფიციურ ქირურგიულ დახმარებას

(სახის არეში ჭრილობა რბილი ქსოვილების დეფექტის გარეშე, სახის დამწვრობა I-II ხარისხის). ამ ეტაპზე ავადმყოფები ღებულობენ ამომწურავ ქირურგიულ დახმარებას.

2. დაზიანებულები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალიზებულ მკურნალობას (სახის რბილი ქსოვილების ისეთი ჭრილობები, რომლის დროსაც საჭიროა პლასტიკის ელემენტების გამოყენება, სახის ჩონჩხის მოტეხილობა, სახის III-IV ხარისხის დამწვრობა). ავადმყოფთა ეს ჯგუფი გადაუღებელი ქირურგიული დახმარების შემდეგ უნდა გადაგზავნონ ყბა-სახის ქირურგიულ განყოფილებაში, სახის დამწვრობის შემთხვევაში დამწვრობის განყოფილებაში.

3. მესამე ჯგუფში შევა ის პირები, რომელთა გრანსპორტირება არ შეიძლება, ადგილი აქვს სხეულის შერწყმულ დაზიანებას (თავის გვინის გრავმა და სხვა).

მეორე და მესამე ჯგუფის ავადმყოფები საჭიროებენ აუცილებელ რენტგენოლოგიურ გამოკვლევას და შემდგომი ქირურგიული ჩარევის მოსულობის განსაზღვრას.

სპეციალიზებული დახმარება

სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება ხორციელდება ყბა-სახის ქირურგიულ განყოფილებებში, ქალაქების მსხვილ საავადმყოფოებსა და სპეციალიზირებულ კლინიკებში. ამ ეტაპზე ქირურგიული ჩარევა უნდა იყოს ერთმომენტიანი, სრულყოფილი და სრული მოსულობის, ძელოვანი პლასტიკის გათვალისწინებითაც კი. მკურნალობის ძირითადი პრინციპებია მონატეხი ფრაგმენტების იდეალური შეთანასოვნება და მყარი ფიქსაცია.

თანამედროვე პირობებში მოტეხილობის თითქმის 75% საჭიროებს არტაშნებით მკურნალობას, ჩვენების მიხედვით გამოიყენება ოსტეოსინთეზი. მკურნალობის უეფექტურობა დამოკიდებულია პირის ღრუს სანაციაზე, მოტეხილობის ახლოს ანგიბიოტიკების შეყვანაზე, პირის ღრუს მოვლასა და სხვა ფაქტორებზე.

კბილის ამოღების ჩვენება მოტეხილობის ხაზიდან ექიმმა უნდა განსაზღვროს ინდივიდუალურად. მკურნალობის აუცილებელი პირობაა პირის ღრუს მიკროფლორის სახეობის დადგენა და ანგიბიოტიკებისადმი მათი მგრძნობელობის განსაზღვრა. სახის III-IV ხარისხის დამწვრობა საჭიროებს სპეციალიზებულ განყოფილებაში მკურნალობას. მკურნალობის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას ეუთმობთ ფიზიოთერაპიას, ავადმყოფის კვებას და მოვლას, გართულებათა პროფილაქტიკას. საჭიროა აგრეთვე სამედიცინო დოკუმენტაციის მუსტი და სწორი წარმოება.

მშვიდობიანობის პერიოდში მიღებულია ყბა-სახის დაზიანებათა მკურნალობის (სტაციონარში) შემდეგი სამუალო ვადები: ქვედა ყბის ერთეული მოტეხილობა – 15-20 დღე; ქვედა ყბის მრავლობითი მოტეხილობა – 20-30 დღე;

ზედა ყბის ალვეოლური მორჩის მოტეხილობა – 7 დღე; ზედა ყბის მოტეხილობა – 20-30 დღე; ყვრიმალის ძეღისა და რკალის მოტეხილობა ჩასწორების გარეშე – 6-7 დღე; იგივე, ჩასწორებით – 8-10 დღე; ცხვირის ძეღების მოტეხილობა – 8-9 დღე; სახის ჩონჩხის მრავლობითი მოტეხილობა – 30 დღე; სახის რბილი ქსოვილების იზოლირებული ტრავმა – 8-9 დღე; სახის ცეცხლსასროლი ტრავმა – 30-40 დღე. აღნიშნული ვადები არ არის ოპტიმალური, პრაქტიკული მუშაობის პირობებში მოსალოდნელია მათი შეცვლა ინდივიდუალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ოცდამესამე თავი

სახის რბილი და მაგარი ქსოვილების ცეცხლნასროლი დაზიანება

ცეცხლნასროლი ჭრილობები თავისი კლინიკური სურათით და მიმდინარეობებით, მკურნალობის პრინციპებით, განსხვავდებიან არაცეცხლნასროლი ჭრილობების კლინიკისა და მკურნალობისაგან. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ახლა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის აღდგენასთან დაკავშირებით. ამ ასპექტში ღიღი მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო სტომატოლოგიის საგნის შესწავლას და ეროვნული კადრების – სამხედრო სტომატოლოგების მომზადებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ სამხედრო სტომატოლოგიის საგანი და ქირურგიული სტომატოლოგიური სამსახურის ორგანიზაციის პრინციპები. ეს საკითხები ძირითადად დამყარებულია და ეყრდნობა მეორე მსოფლიო ომის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციული გამოცდილების განზოგადოებას.

სამხედრო სტომატოლოგიის საგანი. სამხედრო სტომატოლოგია არის ზოგადი სტომატოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სტომატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის თავისებურებებს საქართველოს რესპუბლიკის არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის, როგორც მშვიდობიან, ისე ომის მიმდინარეობის პერიოდში. სამხედრო სტომატოლოგია არის სამხედრო მედიცინის შემადგენელი ნაწილი, რადგან ორგანიზაციულ-მეთოდური თვალსაზრისით ემორჩილება ერთიან სამხედრო-სამედიცინო ლოქტრინას. სამხედრო-სამედიცინო ლოქტრინის ძირითადი პრინციპებია:

1. დაავადების, ტრავმის განვითარების და მისი თერაპიული და ქირურგიული მკურნალობის ერთიანი გაგება.

2. ომის დროს დაჭრილებისა და ავაღმყოფების თანმიმდევრული მომსახურეობა ევაკუაციის სხვადასხვა ეტაპზე.

3. მკაფიო, მოკლე და თანმიმდევრული სამედიცინო დოკუმენტაციის აუცილებელი არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს მკურნალობის და აღრიცხვიანობის ერთიან სისტემას, მის თანმიმდევრობას და მონაცელებას ევაკუაციის სხვა და სხვა ეტაპზე.

დაავადების ერთიანი გაგება გულისხმობს თანამედროვე მედიცინის თეორიული და პრაქტიკული მიღწევების უახლოეს მონაცემებს. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სტომატოლოგიური პროფილაქტიკის საფუძველი უნდა გახდეს პირადი შემადგენლობის პირის ღრუს სანაცია და კარიესისა და მისი გართულებების წინააღმდეგ ბრძოლა. პირის ღრუს სანაცია უნდა ჩატარდეს გეგმიურად. გეგმა ღებება ექვს თვეში ერთხელ. იმ ნაწილებში, სადაც არ არის სტომატოლოგიური კაბინეტი, საჭიროა გამოყენებული იქნას მოძრავი სტომატოლოგიური კაბინეტები. სტომატოლოგიური დახმარების მოცულობა ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

1. სამხედრო სამსახურში ახლად მოსულ პირთა, პირის ღრუს დათვალიერება და დისპანსერულ აღრიცხვაზე აყვანა.

2. კარიესით დაავადებული კბილების მკურნალობა.

3. დაავადებული კბილების და ფესვების ამოღება.

4. სახის რბილი და მაგარი ქსოვილების ანთებადი პროცესების ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა.

5. კბილის ქვების მოცილება და პაროდონტის დაავადების მკურნალობა.

6. ენისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა მკურნალობა.

7. პირის ღრუს მომზადება საპროტეზოდ და პროთეზირება.

8. პირის ღრუსა და სახის სიმსივნური დაავადების ადრეული გამოძიება და მკურნალობა.

9. სახისა და ყბების ტრავმული დაზიანების პირველადი კვალიფიციური და სპეციალიზირებული დახმარების აღმოჩენა.

10. პირად შემადგენლობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაცია.

11. სამხედრო სტომატოლოგიაში რაციონალიზატორული და გამომგონებლობითი მუშაობის გაშლა.

12. სამხედრო სტომატოლოგთა კვალიფიკაციის ამაღლება.

სამკურნალო-პროფილაქტიკური და მუშაობის ცენტრი უნდა გახდეს სამხედრო პოსპიტალის ყბა-სახის ქირურგიული განყოფილება, ამ განყოფილების უფროსს კი უნდა დაევალოს სამხედრო სტომატოლოგიის ხელმძღვანელობა, ის ითვლება მთავარ სამხედრო სტომატოლოგად რესპუბლიკაში.

საბრძოლო ჭრილობების მკურნალობის პრინციპები ყბა-სახეში დაჭრილთა მკურნალობა შედგება ქირურგიული და ორთოპედიული ჩარევისაგან, რომელთა მიზანია: 1. გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; 2. მონატეხი ფრაგმენტების ჩასწორება და ფიქსაცია, 3. ძელოვანი ჭრილობის მკურნალობა, 4. სახის რბილი ქსოვილების ჭრილობების დახურვა.

სამხედრო საველე პირობებში ყბა-სახეში დაჭრილთა მკურნალობა უნდა ჩატარდეს ეტაპობრივად:

1. გადაუდებელი დახმარება ითვალისწინებს: სისხლდენის შეჩერებას, ასფიქსიის პროფილაქტიკასა და მკურნალობას, საგრანსპორტო იმობილიზაციას.

2. მონატეხი ფრაგმენტების ჩაყენება და დამაგრება.

3. ძელოვანი ჭრილობის მკურნალობა.

4. სახის რბილი ქსოვილების ჭრილობის დახურვა.

აფხაზეთის გერიგორიაზე მიმდინარე ომმა დაგვანახა ყბა-სახეში დაჭრილთა სამედიცინო დახმარების არაორგანიზებული და სრული უუნარობა, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო ეროვნული მოძრაობის პერიოდში სამხედრო სტომატოლოგიის უარყოფით სამედიცინო ინსტიტუტში. არ სრულდებოდა ჭრილობათა დამუშავების პრინციპები, ადგილი ქონდა მძიმე გართულებებს.

ეტაპური მკურნალობის თანამედროვე სისტემა ითვალისწინებს შემდეგი დახმარების აღმოჩენას:

1. პირველადი დახმარება; 2. ექიმამდელი დახმარება; 3. პირველადი საექიმო დახმარება; 4. კვალიფიციური საექიმო დახმარება; 5. სპეციალიზირებული საექიმო დახმარება. აღსანიშნავია, რომ დახმარების პირველი ოთხი სახე დაჭრილებს უკარდებათ საბრძოლო რაიონში: აქედან პირველადი და ექიმამდელი დახმარება უშუალოდ ბრძოლის ველზე, პირველადი საექიმო დახმარება ლეგიონის საექიმო პუნქტზე, კვალიფიკაციური დახმარება მედიკო-სანიტარულ ასეულში, სპეციალიზირებული დახმარება რესპუბლიკის სპეციალიზირებულ ჰოსპიტლებში.

პირველადი დახმარება ბრძოლის ველზე

პირველადი დახმარება ბრძოლის ველზე დამოკიდებულია საბრძოლო ვითარებაზე და ხორციელდება თვითდახმარება, ურთიერთდახმარება, სანიტრის ან სანიტარულქორის დახმარება. ბრძოლის ველზე უნდა განხორციელდეს შემდეგი მოცულობის დახმარება:

1. მებრძოლის ნანგრევებიდან განთავისუფლება და გამოყვანა, ცეცხ-

ლმოდებულ განსაცემელზე ცეცხლის ჩაქრობა, დაჭრილის გვერდზე ან მუცელზე დაწვენა, ასპირაციული ასფიქსიის თავიდან აცილების მიზნით.

2. ჭრილობაზე (დამწერობაზე) ნახევეის დადება.

3. ანტიბიოტიკების შეყვანა.

4. აირწინაღის გაკეთება (თუ ეს აუცილებელია!).

5. წყურვილის მოკვლა.

6. დაჭრილების ერთ ადგილზე თავმოყრა შემდგომი ევაკუაციისათვის.

ექიმამდელი დახმარება

ექიმამდელი დახმარება უნდა განახორციელოს ბატალიონის ფერშალმა ან სანიტარულმა ინსტრუქტორმა. ბატალიონის სამედიცინო ოცეული ალჭურვილია სტერილური შესახვევი მასალით და სანიტარული მანქანით. მაქსიმალური დახმარების აღმოჩენა ხერხდება მაშინ, თუ ბატალიონს უკავია მყარი თავდაცვა. ასეთ პირობებში უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: 1. წინათ დადებული ნახევეის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში ახალი ნახევეის დადება. 2. ტკივილგამაყუჩებელი და საგულე სამუალებების შეყვანა (მორფინი, ლობელინი, ციტიგონი და სხვა), 3. საჭიროების შემთხვევაში ენის პირის ღრუდან გამოწვევა და გარეთ ფიქსაცია, 4. ანტიბიოტიკების შეყვანა; 5. დაჭრილის გათბობა (მოკის შემთხვევაში). ბატალიონის ფერშალის მოვალეობაა ჩაატაროს დაჭრილების სწორი ეტაპური ევაკუაცია.

პირველადი საექიმო დახმარება

პირველადი საექიმო დახმარება ხორციელდება ლეგიონის საექიმო პუნქტზე, სადაც უნდა იყოს ექიმი-სტომატოლოგი.

ლეგიონის საექიმო პუნქტი წინა ხაზიდან მოშორებულია 2-5 კმ-ზე. მისი მოვალეობაა: 1. მოახდინოს დაჭრილთა ევაკუაცია ბრძოლის ეელიდან და ბატალიონის საექიმო პუნქტიდან, 2. ჩაატაროს დაჭრილთა მიღება, რეგისტრაცია, ნაწილობრივი სანიტარული დამუშავება და სამედიცინო დახმარისხება: ექიმ-სტომატოლოგს აქვს საჭირო საექიმო კომპლექტები. ამ ეტაპზე პირველადი საექიმო დახმარება ითვალისწინებს: 1. მოკთან ბრძოლას, 2. სისხლის ღენასთან ბრძოლას, 3. დისლოკაციურ ასფიქსიასთან ბრძოლას.

კვალიფიციური ქირურგიული დახმარება

კვალიფიციური ქირურგიული დახმარება ხორციელდება მედიკო-სანიტარულ ასეულში ან ცალკეულ სამედიცინო რაზმში, რომლის შტაბში მუშაობს ექიმი-სტომატოლოგი. ექიმი-სტომატოლოგი ვალდებულია: ნახოს ყველა მოსული დაჭრილი, ჩაატაროს: ასუქსიის საწინააღმდეგო ღონისძიება (ტრაქეოსტომია), სისხლდენის საბოლოო შეჩერება (სისხლძარღვთა ლიგირება, გარეთა საძილე არტერიის გადაკეანძვა), ყბების საგრანსპორტო იმობილიზაცია. საჭიროების შემთხვევაში ფირფიტოვანი ნაკერის დადება სახის რბილ ქსოვილებზე, ახდენს ჭრილობის დამუშავებას.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაჭრილთა დახარისხება ორ ჯგუფად:

1. მსუბუქად დაჭრილები იგზავნიებიან მსუბუქად დაჭრილთა პოსპიტგალში.

2. საშუალო და მძიმედ დაჭრილები (ყბების მოგეხილობები, რბილი ქსოვილების ფართო ჭრილობები და სხვა) გადაგვყავს სპეციალიზირებულ ქირურგიულ პოსპიტგალში.

სპეციალიზირებული დახმარება

დღემდე შემუშავებული სქემით სპეციალიზირებული დახმარება გარდობოდა სპეციალიზირებულ პოსპიტგალში, რომელსაც ეწოდებოდა "თავში, კისერში და ხერხემალში" დაჭრილთა პოსპიტგალი. ასეთ დაწესებულებაში მუშაობს: ნეიროქირურგი, ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტი, ოფთალმოლოგი, სტომატოლოგი, კბილის ტექნიკოსი. სტომატოლოგს თავის თანამუშევსთან ერთად აქვს სტომატოლოგიური კომპლექტი; კომბინირებული ბორმანქანა, დასაკეცი სავარძელი, მოგადი ქირურგიული იარაღები.

პოსპიტგალში საწოლთა ფონდი ასე შეიძლება განაწილდეს: ნეიროქირურგიული 55%, ყბა-სახის 25%, თვალის – 10%, ყელ-ყურ-ცხვირი – 10%. საშუალოდ ერთი მსუბუქი დაჭრილისათვის გაანგარიშებულია 30 წუთი, საშუალო სიმძიმის ავადმყოფისათვის 1,5 საათი, ხოლო მძიმე ავადმყოფისათვის სამი საათი. ერთმა ორკაციანმა ბრიგადამ 16 სამუშაო საათის განმავლობაში უნდა დაამუშაოს ყბა-სახევი დაჭრილი საშუალო და მძიმე 10-12 მებრძოლი.

ეცესლნასროლი ჭრილობების საერთო დახასიათება, კლასიფიკაცია, მიმდინარეობის თავისებურებანი, კლინიკა

ყბა-სახის არეს ეცესლნასროლი ჭრილობები შეადგენს სხეულის სხვა ჭრილობების 4%. სახის ღამიანების ასეთი სტაგისტიკური მონაცემები დამოკიდებულია სახის ფართობის შეფარდებაზე სხეულის ფართობთან. სახის ფართი შეადგენს 3,12%-დან (ბ. პოსტნიკოვი), 3,4% (ბ. კაბაკოვი).

ეცესლნასროლი ჭრილობა შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ რბილ ქსოვილებს ან იყოს ძელოვან ქსოვილების ღამიანებასთან ერთად. რბილი ქსოვილების ღამიანება 2-2,5 ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე შეუღლებული. თავდაპირველი ბრძოლების დროს რბილი ქსოვილების იზოლირებული ღამიანება უფრო იშვიათია, მეტევის დროს კი პირიქით. თანამედროვე ომის ტექნიკურმა საშუალებებმა გამოიწვია დამსხვრეული ჭრილობების ზრდა.

სახის ჩონჩხიდან უფრო ხშირად ღიანდება ქვედა ყბა, შემდეგ ზედა ყბა, ორივე ყბა და ყვრიმალის ძეალი. ძელოვანი ჭრილობა უფრო ხშირად დამსხვრეული მოგეხილობითაა წარმოდგენილი. ყბა-სახის არეში ჭრილობების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქსოვილის დეფექტის განსაზღვრას. ყალბი დეფექტის დროს ქსოვილის დანაკარგი მცირეა, მაგრამ ჭრილობის პირღიაობა დიდია მიმიკური კუნთების და ვლასტიკური ბოჭკოების შეკუმშვისა და ნაფლეთის გადანაცვლების შედეგად.

კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა . I. ეცესლნასროლი ჭრილობები, ქსოვილების ღამიანების მიხედვით: 1. რბილი ქსოვილების ღამიანება, 2. ძელოვანი ჭრილობა, 3. ქვედა ყბის ჭრილობა, 4. სახის ძელების შეუღლებული ღამიანება.

ღამიანების ხასიათის მიხედვით: 1. გამჭოლი, 2. ბრმა, 3. შეხებითი.

II. არაცეცესლნასროლი ღამიანება და ჭრილობა.

III. კომბინირებული ღამიანება.

IV. დამწერობა.

V. მოყინვა.

ეცესლნასროლი ჭრილობები ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რაც ერთის მხრივ განპირობებულია სახის დანიშნულებით, მეორეს მხრივ ანატომო-ფიზიოლოგიური თავისებურებებით. სახის ჭრილობათა თავისებურებებს განეკუთვნება: 1. სახის დამახინჯება, 2. ჭრილობის სახეობის და სიმძიმის შეუსაბამობა, 3. აირწინალის გამოყენების შეუძლებლობა (ბრძოლის ველზე), 4. ემოციური-ფსიქიკური მოშლილობა.

1. **სახის დამახინჯება.** სახის რბილი და მაგარი ქსოვილების დეფექტი განაპირობებს სახის პარმონიის მოშლას. გარდა ამისა აღინიშნება სუნთქვის, ლეკვის, ყლაპვის, მეტყველების მოშლა. ყოველივე ამის

გათვალისწინებით საექიმო დახმარება მიმართული უნდა იყოს ყველა ამ ფუნქციის სრულყოფილი აღდგენისაკენ, როგორც ჭრილობების პირველადი დამუშავების დროს, ასევე ორგანოს ფუნქციის საბოლოო აღდგენისაკენ.

2. ჭრილობის სახეობისა და სიმძიმის შეუსაბამობა, სახის არემი გამოხატულია პირღიაობით, რითაც იქმნება შთაბეჭდილება მძიმე ჭრილობის არსებობისა, ეს კი განპირობებულია სახის მიმიკური კუნთების ფუნქციით. გარდა ამისა სახის არეს ჭრილობებს ახასიათებს ძლიერი სისხლდენა და ნაფლეთოვანი ჭრილობები. თუ ამას დაემატება ჭრილობის გაბინძურებას მიწით, სისხლჩაქცევებს და სახის რბილი ქსოვილების ძლიერ შეშუპებას, გონების დაბინდვას, იქმნება შთაბეჭდილება დაჭრილის გადარჩენის უიმედობისა, აქედან გამომდინარე ბრძოლის ველიდან უნდა გამოვიყვანოთ ყველა დაჭრილი. მათ შორის თითქოს უიმედო დაჭრილები, რომელთა სიცოცხლის შენარჩუნება დიდად საეჭვოა.

3. ბრძოლის ველზე აირწინადის გამოყენების შეუძლებლობა გამოწვეულია, იმით, რომ აირწინადი იწვევს მონაკები ფრაგმენტების ცდომას და ხელს უწყობს შოკის განვითარებას, გარდა ამისა სახის ჭრილობის დროს მოშლილია სუნთქვა, ადგილი აქვს სისხლდენას და ეს უკანასკნელი ქმნის ასფიქსიის განვითარების საშიშროებას.

4. ფსიქიურ-ემოციური მოშლილობა. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს იყო ცნობილი, რომ სახის სიმახინჯე იწვევს ფსიქიკურ დეპრესიას, რის ნიადაგზე მოგიერთი სახიჩარი მიმართავდა თვითმკვლელობას. დაჭრიდან 10-15 დღის განმავლობაში დაჭრილები ჯერ კიდევ ისე მძიმედ არ განიცდიან დაკარგული ორგანოს სიმძიმეს, ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად დაეადოთ ფირფიტოვანი ნაკერი და მოვახდინოთ პირის ღრუს ე.წ. "პერმეტიზაცია". ცეცხლნასროლი ჭრილობების საერთო დახასიათების დროს საჭიროა გავითვალისწინოთ, აგრეთვე, რიგი მომენტები: 1. პირის ღრუში კბილების არსებობა, 2. უცხო სხეულის სასიცოცხლო ორგანოებთან არსებობა, 3. სახეში დაჭრილთა სპეციალური კეება და მოვლა.

კბილები, გარდა თავისი დიდი დადებითი როლისა, მონაკებს ფრაგმენტების ფიქსაციის საქმეში, თამაშობს მკვეთრად უარყოფით როლს ცეცხლნასროლი ჭრილობის განვითარებაში. ჭრილობის გამომწვევი გყვია კბილებსა და ძვლის ნაშხერევეებს ანიჭებს სიჩქარეს და ისინი როგორც მეორადი გყვია დამატებით აზიანებს ქსოვილებს. ამასთან ერთად თუ კბილი განგრენული პულპითაა, მას ინფექცია გადააქვს ღრმად, ქსოვილებში.

უცხო სხეულის სასიცოცხლო ორგანოებთან სიახლოვე (თავის გვინი, თვალი, სასმენი ორგანო, ზედა სასუნთქი გზები) ხშირად ამძიმებს დაჭრილის მდგომარეობას, რადგან იწვევს ამ ორგანოების დაზიანებას და მათი ფუნქციის მოშლას (თავის გვინის დაჟეჟილობა, შერყევა, მხედველობის

ლაზიანება, სუნთქვის გაძნელება, ასფიქსია). განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უცხო სხეულის ამოღების გადაუღებელი ჩვენება. ასეთ ჩვენებას განეკუთვნება: 1. უცხო სხეულის ახლო მდებარეობა მაგისტრალურ სისხლძარღვებთან, 2. უცხო სხეულის ახლო არსებობა, საყლაპავთან, ხორხთან, 3. უცხო სხეულით გამოწვეული მწვავე ანთებადი პროცესი. მოგვყავს ბრმა ჭრილობების კლასიფიკაცია:

1. ბრმა ჭრილობები, მხოლოდ რბილ ქსოვილებში, უცხო სხეული მდებარეობს კანქვეშ ან კუნთებში, სახის ძელებთან გარედან.

2. ბრმა ჭრილობა ძელოვანი ქსოვილის ღაზიანებით, უცხო სხეული მდებარეობს ზედაპირულად.

3. უცხო სხეული მდებარეობს ღრმად: კაიმორის ღრუში, საფეთქლის, ფრთა-სასის ფოსოში და სხვა.

4. უცხო სხეული მდებარეობს ენის სისქეში.

5. შეუღლებული ჭრილობები, უცხო სხეული მდებარეობს კისრის არეში.

ბრმა ჭრილობების გამოკვლევისათვის ვიყენებთ კვლევის შემდეგ მეთოდებს: ანამნეზის შეკრება, არსებული ლოკუმენტაციის შესწავლა, ჭრილობის არსებობისა და ნაწიბურების შესწავლა, პალპაცია, მონდით გამოკვლევა, რენტგენოსკოპია-რენტგენოგრაფია ორ პროექციაში, ფისტულოგრაფია.

ცეცხლნასროლი ჭრილობები და ღაზიანებები მრავალფეროვანია. დიდ ჭრილობებთან ერთად გვხვდება პატარა ზომის, ზოგჯერ ძნელად შესამჩნევი ჭრილობები. განსაკუთრებით მძიმეა დიდი ზომის ნაფლეთოვანი ჭრილობები, ორგანოების (ტუჩის, ცხვირის, ნიკაპის, ყურის ნიჟარების) მოწყვეტით. შემხები ჭრილობები ითვლება შედარებით მსუბუქ ჭრილობებად. ჭრილობის არხი ხასიათდება ირგვლივი ქსოვილების დაეყვილობით, გაჭყლევით, ჭრილობის გაბინძურებით, რითაც მას განუასხვავებთ ნაკვეთი ჭრილობისაგან.

ყბა-სახეში დაჭრილთა კიდევ ერთი თავისებურებაა დაჭრილთა კეება და მოვლა. რადგან პირის ღრუს პერმეტივში ხშირად დარღვეულია საკვების ჩვეულებრივი მიღება არ შეუძლიათ, ამიგომ საჭიროა ნოციერი თხიერი საკვების შეყვანა რეზინის მილის საშუალებით, წყურვილის მოკვლა კი სპეციალური კონსტრუქციის ჩაიდანით. პირის ღრუს ჭრილობები მოითხოვს განსაკუთრებულ მოვლას, საჭიროა პირის ღრუს ანტისეპტიკური ხსნარებით გამოორეცხვა, ირიგაცია. ნერწყვის გარეთ ღენის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ სპეციალური ნერწყვიმღები.

სახის რბილი ქსოვილების საბრძოლო დაზიანება

სახის რბილი ქსოვილების იზოლირებული ჭრილობები დამოკიდებულია ბრძოლის ხასიათზე და საბრძოლო იარაღის სახეობაზე. უფრო ხშირია გყვიით, ხელყუმბარის ნამსხერქვევით დაზიანება. ჭრილობის სიმძიმე დამოკიდებულია ჭრილობის ხასიათზე: შემსებია, გამჭოლი, ბრმა.

ბრმა ჭრილობები უფრო ხშირად ლოკალიზდება სახის გვერდით მიდამოში (ლოყა, ქვედა ყბის კუთხის არე, ყბის ქვეშა მიდამო და სხვა).

გამჭოლი ჭრილობა მრავალფეროვანია, შეიძლება იყოს მსუბუქი (ტუჩის, ლოყის შედაპირული არე) და მძიმე (კუნთების, ნერვების, სისხლძარღვების დაზიანებით).

შემსები ჭრილობები განეკუთვნება მსუბუქი ჭრილობების კატეგორიას, ჭრილობა პირლიაა, დასათვალისწინებლად და გამოსაკვლევად ხელმისაწვდომია. შემსებ ჭრილობებს ხშირად ახლავს ქსოვილების დეფექტი. სახის იზოლირებული ჭრილობების კლინიკური მიმდინარეობა დიდად არის დამოკიდებული შეღწევალია პირის და ცხვირის ღრუში თუ არა.

შეუღწევალი ჭრილობების მიმდინარეობა უფრო კეთილთვისებიანია, ასეთი დაჭრილების მკურნალობა ძირითადად გარდება საჯარისო რაიონში.

სახის რბილი ქსოვილების ჭრილობების შეფასების დროს საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა. მოშორებული უნდა იქნას მხოლოდ ისეთი ქსოვილი, რომლის შენარჩუნება შეუძლებელია. ციანოზური და ანემიური კანი უმრავლეს შემთხვევაში ხორცდება. აღსანიშნავია, რომ მე-5 მე-6 დღეს საზღვარი ცოცხალსა და მკვლარ ქსოვილებს შორის მკაფიოდ არის გამოხატული. სახის არეში ადგილობრივი რეაქტიული მოვლენები აღრე შედარდება და გამოხატულია სახის, ტუჩების, ენის, თვალებულის შემუქებით. ადგილი აქვს სისხლჩაქევეებს, რაც ხშირად განაპირობებს სახის დეფორმაციას. აღსანიშნავია, რომ სახის ქსოვილებს აქვთ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების დიდი უნარი, მაშინაც კი, როცა ვფიქრობთ, რომ ნეკროზი გარდაუვალია.

ჭრილობის შეხორცების შემდეგ სახის არეში ვითარდება ნაწიბურები. ნაწიბურების ოპერაციული ამოკვეთა შეიძლება აღრე ვადებში 1-1,5 თვეში.

სახის რბილი ქსოვილების ჭრილობების დროს მოსალოდნელია გართულება: დაჩირქება, ნეკროზი. ამიგომ ჩირქგროვის აღრეული გასსნა, უცხო სხეულის ამოღება განაპირობებს ანთების ჩაქრობას.

სახის არის რბილი ქსოვილების ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება აქტუალური საკითხია და არის იმის გარანტი, რომ ჭრილობა სადად შეხორცდება და თავიდან ავიცილებთ მოსალოდნელ გართულებებს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ჭრილობის კიდეების ეკონომიური დამუშავე

ბა, განახლება, უცხო სხეულის ამოღება, ჭრილობის გამორეცხვა და განგრუნის საწინააღმდეგო შრაგის შეყვანა. სახის არეში ჭრილობაზე პირველადი ნაკერის დადება შეიძლება 36-48 საათის განმავლობაში.

გ ა რ თ უ ლ ე ბ ა . სახის არეში ჭრილობების გართულება შეიძლება იყოს აღრეული და მოგვიანებითი.

აღრეული გართულებები: გონების დაკარგვა, ასფიქსია, სისხლის ღენა, შოკი.

გონების დაკარგვა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. ტვინის შერყევით, სისხლის დაკარგვით. სისხლის ღენა შეიძლება იყოს არტერიული, ვენური, ლიმფური. შოკის გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია: სისხლის დაკარგვა, ტრავმა, ორგანიზმის გაციება.

განსაკუთრებით საშიშია და საყურადღებო ასფიქსიის განვითარება. ვარჩევთ ხუთი სახის ასფიქსიას:

1. **ღისლოკაციური**, მონატეხი ფრაგმენტების გადანაცვლება, ენის დისლოცირება უკან.
2. **ობტურაციული**, ზედა სასუნთქი გზების დაცობა სისხლის კოლგით, უცხო სხეულით.
3. **სტენოზური** - ხორხზე ბეწოლა, პემატომით, უცხო სხეულით, ემფიზემით, მემუჰებით.
4. **სარქველოვანი** - სასუნთქი გზების დახურვა რბილი ქსოვილის ნაფლეთით, სახის ან ხახის ლორწოვანი გარსით.
5. **ასპირაციული** - სისხლის კოლგით, ნაღები მასა და სხვა.

მოგვიანებით გართულებას განეკუთვნება: მეორადი სისხლის ღენა, ბრონქოპულმონური გართულება, ოსტეომიელიტი, კონტრაქტურა, სანერწყვე ფისგულები.

სისხლღენა შეიძლება იყოს აღრეული მეორადი და მოგვიანებითი მეორადი. აღრეულ მეორადად ითვლება სისხლღენა დაჭრიდან რამდენიმე საათის ან 1-2 დღის შემდეგ, რომლის მიზეზი შეიძლება იყოს თრომბის მოცილება ან დამატებითი ტრავმა. მოგვიანებითი მეორადი სისხლღენა შეიძლება დაიწყოს დაჭრიდან 7-14 დღის შემდეგ, სისხლძარღვის კედლის დამლით ან კედლის ნეკროზით. აღსანიშნავია, რომ მეორადი სისხლღენა იწყება ღლის ბოლოს ან ღამით.

სახის ძელების საბრძოლო დაზიანება

სახის ძელების საბრძოლო დაზიანებას თითქმის ყოველთვის თან ახლავს რბილი ქსოვილების ჭრილობა. მისი განმასხვავებელი ნიშნებია: ჭრილობის

არსებობა, გყვიის მოქმედების ადგილზე ძველების დაზიანება (და არა სუსტ ადგილებში), დამსხვრეული მოტეხილობა, კლინიკური სურათის სწრაფი ცვალებადობა. ცეცხლნასროლი მოტეხილობა უფრო მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე არაეცხლნასროლი. ადგილი აქვს არა მარტო ყბების მოტეხილობას, არამედ მოტეხილია ალვეოლური მორჩი და კბილები. დაჭრილს პირი ნახევრად ღია აქვს, ტუჩები წინ წამოწეული, პირიდან გადმოდის სისხლნარევი ნერწყვი.

ქვედა ყბის მოტეხილობა განეკუთვნება მძიმე დაზიანებათა რიცხვს და სამიზნა ადამიანის სიცოცხლისათვის. ამ დროს ადგილი აქვს ფიზიოლოგიური წონასწორობის მოშლას. მონატეხი ფრაგმენტების შეცურება, რბილი ქსოვილების დაზიანება, მეტყველების, ლეჭვის, ყლაპვის, სუნთქვის ფუნქციების დარღვევა ძალზე მძიმე გავლენას ახდენს დაჭრილის ზოგად მდგომარეობაზე. ქვედა ყბის მოტეხილობის ერთ-ერთი პირველი კლასიფიკაცია მოგვაწოდა ს. ტიგერშტეტმა. ამ კლასიფიკაციის მიზნადეით პირველ ჯგუფს შეადგენს მოტეხილობა, როდესაც მონატეხი ფრაგმენტები მოძრავია, მეორე ჯგუფი: მონატეხი ფრაგმენტები ძნელად მოძრავია, მესამე ჯგუფი – მონატეხი ფრაგმენტები ჩაჭედილია. უფრო სრულყოფილი კლასიფიკაცია მოწოდებულია 1944 წელს (ბინინი).

1. ქვედა ყბის სხეულის მოტეხილობა

ა. მსხვილი ნამსხვრევებით

ბ. წერილი ნამსხვრევებით

გ. ძელოვანი ქსოვილის დეფექტით

დ. ძელოვანი ქსოვილის დეფექტის გარეშე

ე. კბილების შენარჩუნებით მონატეხ ფრაგმენტებზე

ვ. კბილების არ არსებობით მონატეხ ფრაგმენტებზე

ზ. კბილების არ არსებობით არც ერთ მონატეხ ფრაგმენტზე.

2. ქვედა ყბის გოტების მოტეხილობა

ა. დეფექტის გარეშე და ბ. დეფექტით.

3. ქვედა ყბის კუთხის მოტეხილობა

ა. წერილი ნამსხვრევებით, ბ) მსხვილი ნამსხვრევებით, გ. შეცურების გარეშე, დ. ძელის კილოვანი მოტეხილობა.

ქვედა ყბის ცეცხლნასროლი მოტეხილობის სიმძიმე დამოკიდებულია:

1. იარაღის სახეობასა და მის ცოცხალ ძალაზე, 2. დაზიანების ლოკალიზაციასა და ხასიათზე, 3. დაჭრის მომენტიდან განედილ დროზე, 4. დაჭრილის ზოგად მდგომარეობაზე. კლინიკური სურათია: ნახევრად გაღებული პირი, პირიდან სისხლნარევი ნერწყვი, დაბნეული გამომეტყველება და უსუსურობა, ძლიერად გამოხატული სიმახინჯე. საჯარისო რაიონის სამედიცინო ეტაპებზე დაჭრილებს აქვს გამოხატული სისხლჩაქევიები და რბილი ქსოვილების პროგრესირებადი შემუქება,

ამას თან ერთვის ჭრილობის ინფიცირება. სატრანსპორტო არტაზინის დაღების შემდეგ დაჭრილთა მდგომარეობა მკვეთრად უმჯობესდება, მაგრამ თუ პირის ღრუს რბილი ქსოვილებიცაა დაზიანებული, მდგომარეობა მძიმდება.

ზედა ყბის მოტეხილობა. პირველ ადგილზეა კბილებისა და ალვეოლური მორჩის მოტეხილობა, მეორეზე – ზედა ყბის სხეულის მოტეხილობა. ზედა ყბის მოტეხილობა გვხვდება სახის სხვა ძვლების მოტეხილობასთან ერთად: ყვრიმალის ძვალთან, ქვედა ყბასთან, ცხვირის ძვალთან, შუბლის ძვალთან. გარდა ამისა გვხვდება: თვალის დაზიანება, თავის ქალის დაზიანება, ტვინის შერყევა, სახის დაზიანება.

დაჭრილის გამოკვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ქალას ფუძის მოტეხილობის სიმკვრივეს (გარეთა სასმენი ხვრელიდან სისხლდენა, ლიქვორეა და სხვა).

სახის დამწვრობა

სახის არე შეადგენს სხეულის ფართის 3,12-3,14%. კანის საფარის ფართო საერთოდ დამოკიდებულია სქესზე, სიმაღლეზე, ჩასუქებულობაზე. მოზრდილი ადამიანის კანის საერთო ფართი შეადგენს 1,5-2,5 მ². კანის საშუალო ფართი 16.028 სმ²-ია. კანის სისქე 1,72-1,92 მმ-ია. კანის შემაღვენილობაში ვარჩევთ ორ შრეს: ა. ზედაპირული – ეპიდერმისი, ბ. შემაერთებულ-ქსოვილოვანი შრე-დერმა, რომელიც ეპიდერმისის ქვეშ მდებარეობს. დერმის ქვეშ მდებარეობს კანქვეშა ცხიმოვანი უჯრედისი. კანის ზედაპირზე იხსნება ოფლისა და ქონის გამომყოფი ჯირკვლების საღინარები, კანში მოთავსებულია თმის ძირის ბოლქვები.

დამწვრობის კლასიფიკაცია. დაზიანებული აგენტის ზემოქმედების მიხედვით ვარჩევთ დამწვრობის შემდეგ სახეებს: 1. თერმიული, 2. ქიმიური, 3. ელექტროდამწვრობა, 4. სხიური, 5. კომბინირებული.

1. **თერმიული დამწვრობის** ქვეშ იგულისხმება დამწვრობა გამოწვეული მაღლი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად (ცეცხლი, ცხელი სითხეები, გახურებული საგნები, გამლნარი ლითონი, ნაპალმი და სხვა).

2. **ქიმიური დამწვრობა** მიიღება ქიმიურად აქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად (მეაუეები, ტუტეები, ფოსფორი და სხვა).

3. **ელექტროდამწვრობა** მიიღება ელექტროდენის ზემოქმედების შედეგად.

4. **სხიური დამწვრობა** მიიღება მზის, რენტგენის სხივების

გემოქმედებით, რადიაქტიული იზოტოპების, ატომური აუფოტეების შედეგად მიღებული სინათლის გამოსხივებით.

5. კომბინირებული დამწვრობა ორგანიზმზე რადიაქტიული გემოქმედებით.

დამწვრობის კლინიკური კლასიფიკაცია. დღეისათვის მოქმედებაშია კლასიფიკაცია, რომელიც დამწვრობის ოთხ ხარისხს ითვალისწინებს.

I ხარისხის დამწვრობა – კანის პიკერემია, კანის შეშუპება.

II ხარისხის დამწვრობა – ბუშტუკების ჩამოყალიბება, ბუშტუკები შეიცავს პლაზმის მაგვარ სითხეს.

III ხარისხის დამწვრობა იყოფა ორ ჯგუფად: III^ა – კანის არასრული დამწვრობა, ეპითელიზაციის მცირე უბნების შენარჩუნებით, III^ბ – კანის მთლიანი ნეკროზი.

IV ხარისხის დამწვრობა ვრცელდება კანქვეშა ქსოვილებზე, დამწვარია ცხიმოვანი უჯრედისი, ფასცია, კუნთები, ძვალი.

პირველი ხარისხის დამწვრობის დროს ადგილი აქვს სისხლძარღვთა გაფართოებას და მისი კედლების გაღწევადობის მომაგებას, რის შედეგად პირველსავე წუთებში ვითარდება პიკერემია და შეშუპება. დაავადების ძირითადი სიმპტომებია: სიწითლე, ტკივილი, შეშუპება. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. პირველი ხარისხის დამწვრობის შეხორცება ჩვეულებრივ მიმდინარეობს 3-4 დღეში. ნაწიბური არ ვითარდება, დამწვრობითი ჭრილობა არ ყალიბდება.

მეორე ხარისხის დამწვრობის დროს ადგილი აქვს კანის პიკერემიას, ქსოვილების შეშუპებას. სითხის კანქვეშ დაგროვების გამო ხდება კანის ამრევება და ყალიბდება ბუშტუკები. აღიქმება ძლიერი ტკივილი. 3-4 დღეში ექსუდაცია მცირდება და სითხე შეიწოვება. მე-7-10 დღეზე იწყება დამწვრობის ეპითელიზაცია, ნაწიბური არ წარმოიქმნება, თუ ბუშტუკები დაჩირქდა წარმოიქმნება ნაწიბური.

მესამე ხარისხის დამწვრობის დროს ადგილი აქვს კანის მშრალ ან სველ ნეკროზს. მშრალი ნეკროზი ყალიბდება მაღალი ტემპერატურის გემოქმედების შედეგად, კლინიკურად აღინიშნება ქერქი, კანი ყავის ფერი ან შავია, დაკარგული აქვს თავისი სტრუქტურა. III^ა დამწვრობის შესორცება შესაძლებელია, III^ბ დროს კი არა. ქერქის ქვეშ მიმდინარეობს ეპითელიზაცია, 2-3 კვირის შემდეგ ქერქი მოშორდება და 1-2 თვეში დამწვრობა იფარება ეპითელური ქსოვილით, ვითარდება ნაწიბური. III^ბ დამწვრობის დროს ქერქის მოშორება ხდება 1-1,5 თვის შემდეგ. დამწვრობა იფარება გრანუ-

ლაციური ქსოვილით, იწყება დანაწიბურება, ეპითელიზაცია იწყება ნაპირუ ბიდან მაგრამ სრული აღდგენა არ ხდება.

მეოთხე ხარისხის დამწვრობის დროს ზიანდება ღრმად მდებარე ქსოვილები, წარმოიქმნება ღრმა დამწვრობითი ჭრილობა, რომელიც დამოუკიდებლად არ შეხორცდება. ორგანიზმი კარგავენ დიდი რაოდენობით სითხეს და ცილოვან ნივთიერებებს.

I-III^o დამწვრობა ითვლება მედაპირულ დამწვრობად, ხოლო III^o და IV ხარისხის ღრმა დამწვრობად. სახის არეში II, III და IV ხარისხის დამწვრობა ითვლება მძიმე დამწვრობად. ღილი მნიშვნელობა აქვს აქვადმყოფის ფსიქიკურ მდგომარეობას. მეორე და მესამე ხარისხის დამწვრობა სახის არეში იძლევა ძლიერ შეშუპებას, ხოლო III^o და IV ხარისხის დამწვრობის დროს სახეზე რჩება უხეში დეფორმაცია და ქსოვილთა დეფექტები, ვითარდება ფუნქციური მოშლილობანი: სუნთქვის, მეტყველების, ლეჰვის, ნერწყვის დენის და სხვა.

გადაუდებელი დახმარება ითვალისწინებს დაზიანებულის სასწრაფოდ გადმოყვანას დამწვრობის კერიდან. განსაყმელზე ცეცხლის ჩაქრობას. არ შეიძლება დამწვარი ადგილებიდან მიკრული განსაყმლის აძრობა, დამწვარი ადგილების გაწმენდა, ბუმბუკების გახსნა, დამწვარ ადგილებზე ვაშელინის, ზეთის, კალიუმმანგანუმის ან სხვა ნივთიერებების წასმა. დამწვარი ადგილები შეიძლება დაეფაროს მშრალი სუთა ნახევებით. პირველადი ნახევების დანიშნულებაა მეორადი ინფექციის პროფილაქტიკა. დამწვარს უნდა შეეუყვანოს 1-2 მლ, 1%-იანი მორფი, ან 2 მლ. 2%-იანი პანგაპონი, სჯობია ეენაში). მიეცეთ ცხელი ჩაი და 50-100 მლ. ალკოპოლი.

მკურნალობა. დამწვრობის მკურნალობა რთულია და მოითხოვს კომპლექსური ღონისძიებების გატარებას: 1. გაუკვივარებას, 2. ენგბადოვან მკურნალობას, 3. პორმონების დანიშვნას, 4. ტრანფუზიულ მკურნალობას, 5. იმუნოთერაპიას, (იმუნური სისხლის გადასხმა), 6. ინფექციასთან ბრძოლას, 7. ანემიასთან ბრძოლას, 8. სამკურნალო კვებას. აღნიშნული ღონისძიებები უნდა გატარდეს დამწვრობის განყოფილებაში.

დამწვრობის ადგილობრივი მკურნალობა. დღეისათვის მიღებულია დამწვრობის მკურნალობის დამზოგავი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს დამწვრობის ადგილიდან უცხო სხეულებისა და განსაყმლის ფრთხილად მოშორებას, სახის კანი უნდა გაეწმინდოს 0,5%-იანი ნიშადურის ხსნარში დასველებული გამონით, ამავე მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ნოვოკაინის ხსნარი. დამწვრობით ჭრილობას გამოერეცხავთ გამთბარი ანგისეპტიკური ხსნარით (ფურაცლინი, რივანოლი 3%-იანი ბორის შეაეა. ჭრილობაზე შეიძლება დაეფაროს ანგისეპტიკური ნახევევი. დამწვრობითი შოკის დროს ჭრილობის ტუალეგი უნდა გადავლოთ 2-5 ღლით, დაზიანებ-

ულის მოკიდან მთლიანად გამოსვლამდე. ღრმა დამწვრობის დროს შეიძლება მიემართოს ლეკომპრესიულ განაკვეთებს.

დამწვრობის პირველადი დამუშავების (ტუალეტის) შემდეგ დაზიანებულ ადგილზე უნდა წაეუსვით 5%-იანი სინგომიცინის, სტრეპტოციდის (ან სხვა ანტიბიოტიკის) ემულსია. თვალის ნაპრალში ვაწვეთებთ 15%-იან ალბუციდს და დიკაინის 0,25%-იან ხსნარს. გარეთა სასმენ ხერელში შეგვაქვს სტერილური ღოღბანდი და გამოცვლით 2-3 დღეში ერთხელ. მორიგი შეხვევის წინ საჭიროა ნარკოტიკის შეყვანა. დაზიანებულს ვაძლევთ ტკივილდამაყუჩებელ და ძილის მომგვრელ საშუალებებს.

პლასტიკური მკურნალობის ჩვენება. ვარჩევთ პირველად და მეორად პლასტიკას. პირველადი პლასტიკა მაშინ, როდესაც ნეკროზული კანის ამოკვეთისთანავე ვახდენთ დამწვრობითი ჭრილობის დაფარვას. მეორადი პლასტიკა ითვალისწინებს დამწვრობითი ჭრილობის დაფარვას გრანულაციის სტადიაში. პლასტიკური ოპერაციის წინ ავადმყოფის მდგომარეობა უნდა იყოს დამაკმაყოფილებელი, კემოგლობინის რაოდენობა 60%-ზე მეტი უნდა იყოს. სახისათვის კანი შეიძლება ავიღოთ მხარის შიგნითა ზედაპირიდან.

განვიხილოთ დამწვრობის სხვა სახეებიც, გამომწვევი ფაქტორის ზემოქმედების მიხედვით.

ელექტროდენით დამწვრობა, ქიმიური დამწვრობა

ელექტროდენი მოქმედებს ზოგადად (ელექტროგრაფმა) და ადგილობრივად (ელექტროდამწვრობა), დამწვრობის ეს სახეობა თერმულ დამწვრობასთან შედარებით იშვიათია, მაგრამ ხშირად თან სდევს დიდი სიკვდილიანობა. სიცოცხლისათვის საშიშია დენის ძალა 100 მილიამპერი და მეით.

კლინიკა. დენის ზემოქმედების დროს ადგილი აქვს სხეულის კუნთების კრუნჩხვით შეკუმშვებს, რის გამოც დაზიანებულს არ შეუძლია ყვირილი. ხშირად კარგავს ცნობიერებას. ადგილი აქვს სიფერმკრთალეს, ციანოზს, თავის ტკივილს, გულყრას.

პირველადი დახმარება ითვალისწინებს დაზიანებულის სასწრაფოდ გამოყვანას დენის ზემოქმედების სფეროდან. ვატარებთ ხელოვნურ სუნთქვას, გულის არაპირდაპირ მასაჟს. ზოგჯერ საჭიროა გულის დეფიბრილიაცია. დაზიანებული გადაგვყავს სტაციონარში.

ელექტროდამწვრობა. ელექტროდის შეხების ადგილზე თუ დენის ძალა 380V და მეტია ადგილი აქვს დამწვრობას. ვარჩევთ

დამწვრობის შემდეგ სახეებს: I ხარისხის – ღენის ნიშანი, II ხარისხის – ბუმტუკების წარმოქმნა, III – კანის მთელ სიღრმეზე დაზიანება, IV ხარისხის – ძელის დაზიანება. კონტაქტური დამწვრობა ხშირია გელა კიდურებში და სახის არეში, დამწვრობა მომრგვალო-ოვალური ფორმისაა, აქვს მოთეთრო ან ნახშირის ფერი. პატარა ზომის დამწვრობას აქვს მკვეთრი საზღვრები. მძიმე დამწვრობის დროს ვითარდება სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა და მეორადი სისხლღენა.

ქიმიური დამწვრობა, გამოწვეულია ქიმიური ნივთიერების კონტაქტით პირის ღრუსა და სახის არეში. გვხვდება მკავეთ (მარილმკავეა, გოგირდმკავეა) დამწვრობა, გუგით დამწვრობა, მძიმე მეტალების მარილებით. ქიმიური დამწვრობა ძალზე ნელა ხორცდება. კონცენტრირებული ხსნარების შემოქმედების შედეგად სწრაფად მიმდინარეობს ქსოვილებიდან წყლის გამოცლა და ცილების შეღებვა, რის შედეგადაც წარმოიქმნება მშრალი ქერქი. მწვავე ტუტეებით დაწვის დროს ადგილი აქვს ცილების გახსნას, წარმოქმნილი ქერქი რბილი და ფხვიერია.

პირველადი დახმარება. დაზიანებული ადგილი უნდა ჩამოვბანოთ წყლით, რათა შევამციროთ ხსნარის კონცენტრაცია. ჩამოვანვას ვაწარმოებთ 20-30 წუთი. მკავეთ დამწვრობის შემთხვევაში, ჩამოვრეცხავთ სოდის ხსნარით, ხოლო ტუტით დამწვრობის დროს დაზიანებულ ადგილს ჩამოვრეცხავთ 1-2%-იანი ძმარმკავეის ან 0,25%-იანი ბორის მკავეს ხსნარით. მკურნალობა ტარდება ისეთივე წესით, როგორც სხვა დამწვრობის დროს.

სამხედრო დამწვრობა

მეორე მსოფლიო ომში დამწვრობა შეადგენდა ყველა სხვა დაზიანების 1 %-ს. ატომური აფეთქებით გამოწვეული დამწვრობა მომავალში იქნება წამყვანი, მოსალოდნელია 65-85 % დამწვრობა. აქედან 40 % იქნება მედაპირული, ხოლო 30% ღრმა და გავრცობილი.

ბირთვული აფეთქების შედეგად მივიღებთ თერმულ და რადიაქტიურ დამწვრობას. გარდა ამისა ადგილი აქვს აგრეთვე მეორად დამწვრობას (ცეცხლის გაჩენით შენობაში, განსაცემელზე ცეცხლმოკიდებით, სხვა საგნების აალებით).

საბრძოლო დამწვრობა ხასიათდება ერთი საერთო ნიშნით-ერთდროულად ზიანდება ადამიანთა დიდი კონტიგენტი, როგორც მებრძოლები ისე მშვიდობიანი მოსახლეობა. 1945 წელს იაპონიაში ორი ატომური ბომბის აფეთქების შედეგად სხეულის დამწვრობა მიიღო 100 000-მდე ადამიანმა. ამ ჭრილში დიდი მიშენელობა ენიჭება საექიმო დახმარების ორგანიზაციას, სამედიცინო ევაკუაციას ყველა ეტაპზე. უნდა იყოს დახმარების, დახარისხების და ევაკუაციის მკაფიო სისტემა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზიანებულთა დახარისხებას, მისი მიზანია სამედ-

იციზო დახმარება აღმოუჩინოს პირველ რიგში დაზიანებულთა დიდ რიცხვს, რომელთა გადარჩენა შესაძლებელია. უნდა გამოიყოს შემდეგი ჯგუფები:

1. დამწვრები, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფო დახმარებას აღნიშნულ ეტაპზე.

2. დამწვრები, რომელთა დახმარება შეიძლება დროებით გადაიდოს.

3. მსუბუქად დამწვრები, რომლებიც ევაკუაციას არ საჭიროებენ.

4. დამწვრები რადიაქტიური გაჭუჭყიანებით.

კომბინირებული დაზიანება

აღამიანის ორგანიზმზე ერთდროულად რამდენიმე ფაქტორის ზემოქმედება იწვევს კომბინირებულ დაზიანებას. დაზიანება შეიძლება იყოს ერთდროული და თანმიმდევრული. დარტყმითი ტალღა და გამოსხივება; ცეცხლნასროლი ჭრილობა და მომწამვლელი ნითიერება, და სხვა, ატომური იარაღის აფეთქების დროს წარმოიქმნება მაიონიზირებული რადიაციის ძლიერი ნაკადი (აღფა, ბეგა ნაწილაკები, გამა და რენტგენის სხივები, ნეიტრონები), რომელიც იწვევს გარემოს დაზიანებას. მაიონიზირებული რადიაციის გარკვეული დოზის მიღების დროს ვითარდება მწვავე სხივური დაავადება, დამწვრობას ამ დროს ადგილი არა აქვს. კანის დამწვრობა ვითარდება რადიაქტიულ ნითეთიერებასთან შეხებისა და ბეგა სხივების ზემოქმედების დროს. დასხივებიდან რამდენიმე საათში და ერთ დღემდე კანზე ვითარდება პირველადი ერთემა, რომელიც რჩება 2 დღელამდე. პირველადი ერთემის გაქრობის შემდეგ 2-3 კვირამდე კანზე არავითარი პათოლოგიური ცვლილებები არ რის, ეს არის ე. წ. ფარული პერიოდი. ამ პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სხივების დოზაზე და გამოსხივების წყაროზე. ფარული პერიოდის შემდეგ იწყება მეორე პერიოდი, იწყება კანის ჰიპერემია, ვითარდება ბუშტუკები, რომელთა გასკდომის შემდეგ ყალიბდება ეროზიები და წყლულებები. ეს არის ე. წ. მწვავე ანთების პერიოდი. რომელიც მთავრდება წყლულების ეპითელიზაციით და გადადის ე. წ. ადღენით პერიოდში.

კომბინირებული დაზიანებისათვის დამახასიათებელია შემდეგი საერთო ნიშნები: 1. დაზიანების ერთი სახეობა აუარესებს მეორის მიმდინარეობას, 2. ძალზე გაძნელებულია პირველადი დახმარების აღმოჩენა (ღრმა დამწვრობა და მოგეხილობა) და შემდეგი მკურნლობა. 3. გართულებულია დაზიანებულთა დახარისხება საევაკუაციოდ.

ატომური აფეთქების შედეგად მოქმედებს სამი ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორი: 1. მექანიკური (დარტყმითი ტალღა), 2. თერმიული (სინათლის გამოსხივება), 3. რადიაქტიული. ღია ადგილებში სამივე ფაქტორი მოქმედებს 1,5 კმ-ზე, ხოლო გამოსხივება და დარტყმითი ძალა 2,5 კმ-ზე.

ეპიცენტრიდან 1-2 კმ. ფარგლებში მყოფნი აფეთქებისთანავე ადგილზე ილუკებიან.

ქირეულადი დახმარება ხორციელდება საერთო პრინციპით. კომლექსური მკურნალობა იწყება ადრე პერიოდში. შევეყაეს ანტიბიოტიკები, არ შეიძლება სულფამიდური პრეპარატების, ნიტროფურანის რიგის (ფურადონინი, ფურაზოლინი), ლევოშიცეტინი, რისტომიცინი, ეს პრეკაპარები აფერხებენ სისხლმზადი ორგანოების მუშაობას. ქირურგიული ჩარევა უნდა მოხდეს, რაც შეიძლება ადრეულ პერიოდში, ძვლოვანი ჭრილობის მკურნალობა (ოსტეოსინთეზი) და შემდეგ რბილი ქსოვილების ქირურგიული დამუშავება. სხიური დაავადების პერიოდში ქირურგიული ჩარევა შეიძლება მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენების მიხედვით.

ქიმიური დაზიანება **(საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერება)**

საომარი მოქმედების პერიოდში გამორიცხული არ არის საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენება. ქიმიური საბრძოლო ნივთიერებებით დასნებოვნებული სამხედრო კონტიგენტი სამედიცინო ევაკუაციის ეტაპებზე გადის სპეციალურ სანიტარულ დამუშავებას, რის შემდეგ თავსდება სპეციალიზირებული დახმარებისათვის პოსპიტალში. ამ კონტიგენტისათვის ქირურგიული ჩარევის ჩვენებაა: 1. როდესაც ჭრილობა დასნებოვნებულია საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებებით. 2. როცა საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერება არის სახის კანზე, ტანსაცმელზე, მაგრამ არ არის ჭრილობაში. 3. როდესაც საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებით დაზიანება გვხვდება დახურულ დაზიანებასთან ერთად.

ჭრილობის დასნებოვნება შეიძლება მოხდეს ორი სახის: მომწამვლელი ნივთიერებებით: 1. მომწამვლელი ნივთიერება, რომელსაც გააჩნია ადგილობრივი და ზოგადი მოქმედების თვისება. 2. მხოლოდ ზოგადი მოქმედება.

ქირეულადი დახმარება: ითვალისწინებს თავზე აირწინალის გაკეთებას, სახის კანის დამუშავებას ქიმსაწინააღმდეგო პაკეტით და ჭრილობაზე სტერილური ნახევის დადებას. შემდეგ ეტაპზე დაზიანებულები გადიან სრულ სანიტარულ დამუშავებას, დახარისხებას და იგზავნიებიან შემდეგ ეტაპზე.

ჭრილობის ქირურგიული დამუშავების დროს საჭიროა დავიცვათ შემდეგი წესები:

1. ყველა განაკვეთი უნდა გავატაროთ დაზიანებული კანის გარეთ, 2. ოპერაციის დროს საჭიროა იარაღების ცელა. 3. ყველა სისხლძარღვი უნდა გადაიკვანძოს ჭრილობაში. 4. უცხო სხეულის ამოღება ჭრილობიდან

აუცილებელია. 5. სახეზე დიდი ჭრილობის შემთხვევაში ვალებთ მიმართებით ნაკერებს, 6. დაზიანებულის მძიმე საერთო მდგომარეობის ღროს ოპერაციული ჩარევა ღროებით უნდა გადავლოთ.

დასნებოვნებული და რადიოქტიური ნივთიერებით გაბინძურებული ჭრილობების პირველადი დამუშავების შემდეგ ყრუდ გაკერვა არ არის მიზანშეწონილი. ჭრილობაში რამდენიმე დღით ვგოვეთ მარლის ღოლბანდებს და მოგვიანებით დავადებთ მეორად ნაკერს.

მოყინვა

გარემოს ცივი ტემპერატურის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად ვითარდება ქსოვილების დაზიანება-მოყინვა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორგანიზმის ცილები ძალიან მგრძობიარეა მაღალი ტემპერატურის მიმართ, რომლებიც იწვევენ ცილების შედედებას. ცივი აგენტის მიმართ ცილები მდგრადია და დაბალი ტემპერატურა 100-150° არ იწვევს ცილების დაშლას – დესტრუქციას. პირიქით დაბალ ტემპერატურაზე ვინახავთ ზოგიერთ გადასანერგ ორგანოს, რათა შევინარჩუნოთ ქსოვილების სიცოცხლისუნარიანობა. მაგრამ აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ორგანიზმის ტემპერატურის დაქვეითება 25°-22°-მდე იწვევს ორგანიზმის დალუპვას. მოყინვას საფუძვლად უდევს ქსოვილებში ფიზიოლოგიური პროცესების მკვეთრი დაქვეითება და ნივთიერებათა ცვლის, ქსოვილოვანი სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის მოშლა. ამ ნიადაგზე შემდგომში ვითარება ნეკროზი.

მოყინვის ფაქტორს აძლიერებს ცუდი მეტეოროლოგიური პირობები – ქარი, ჰაერის ზედმეტი ტენიანობა. გარდა ამისა მნიშვნელოვანია აგრეთვე ორგანიზმის წინააღმდეგობის დაქვეითება, დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვა და სხვა. რომელიმე ორგანოზე ცივი აგენტის ლოკალური ზემოქმედება იწვევს – მოყინვას, ხოლო მთელ ორგანიზმზე – გაყინვას. ვარჩევთ მოყინვის ორ პერიოდს: პირველი, ფარული პერიოდი (პიპოთერმიის პერიოდი) და მეორე პერიოდი-რეაქტიული-ქსოვილების გათბობის შემდეგ.

პირველ პერიოდში დაზიანებული აღნიშნავს ტკივილსა და უსიამოვნო შეგრძნებას იმ ორგანოში, რომელზედაც მოქმედებდა ცივი აგენტი. სახე მკრთალია, მოგვიანებით ვითარდება ანესთეზია.

მეორე პერიოდში (რეაქტიული) აღინიშნება ორგანოს ნორმალური ტემპერატურის აღდგენა. ძლიერდება ტკივილი და ქსოვილების შეშუპება, ვითარდება შეგუბებით ჰიპერემია და ნეკროზი. ამ პერიოდშია შესაძლებელი დიაგნოზის დამუსტება.

მიღებულია მოყინვის ოთხი ხარისხი:

1. პირველი ხარისხის მოყინვა - დაზიანების მსუბუქი

ფორმაა, მოყინულ ორგანოს აქვს მუქი-მოლურჯო ფერი და ზომიერად გამოსატყლი შემუშება. ავადმყოფი უჩივის მჩხვლეტავი ხასიათის ტკივლს, აღინიშნება ანესთეზია და პარესთეზია. ქსოვილის ნეკროზი არ არის არც ვიზუალურად და არც მიკროსკოპულად. კონსერვატიური მკურნალობის შედეგად 6-7 დღეში აღნიშნული მოვლენები ქრება და კანის შეფერადება ნორმალიზდება.

2. მეთრე ხარისხის მოყინვა. ავადმყოფი აღნიშნავს უფრო ძლიერი ხასიათის ტკივილს, ტკივილი მუდმივია, ძლიერდება ღამით. მოლურჯო ფერის კანზე აღმოცენდება ბუმბუკები, მოყვითალო გამჭირვალე სითხით, ადგლი აქვს კანის ზედაპირული შრის ნეკროზას. კონსერვატიული მკურნალობით მოყინვითი დაზიანება შეხორცდება 2-3 კვირაში, კანზე ნაწიბურები არ წარმოიქმნება.

3. მესამე ხარისხის მოყინვა. ავადმყოფი აღნიშნავს ძლიერ გამოსატყლ ტკივილს, რომელიც მუდმივი ხასიათისაა. აღინიშნება პარესთეზია. კანზე მრავლობითი ბუმბუკები, გაკსებული მუქი სისხლნარევი სითხით, კანის ყველა შრე განიცდის ნეკროზს. რბილი ქსოვილები შემუშებულა. ბუმბუკების ადგილზე მოგვიანებით ვითარდება ქერქი, რომელიც იწყებს ტკივილს და სისხლდენას. 3-4 კვირაში ვითარდება გრანულაციური ქსოვილი და ნაწიბური, მკურნალობა გრძელდება 4-5 კვირა.

4. მეოთხე ხარისხის მოყინვა. აღინიშნება გამოსატყლი მუდმივი ხასიათის ტკივილი, ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა, არის მკაფიოდ გამოსატყლი შემუშება, კანზე არის ბუმბუკები. დანეკროზებული არა მარტო კანი, არამედ მის ქვეშ მდებარე ქსოვილები. სახის არემი-ცხვირის ხრტილოვანი ნაწილი და ყურების ხრტილი. ვითარდება პერიქონ-დრიტი, რომელსაც ემატება ინფექციური ანთება, მეოთხე ხარისხის მოყინვის გამოსავალი ორგანოს ნაწილის ან მისი მთლიანად დაკარგვა. საჭირო ხდება პლასტიკური ოპერაციული ჩარევა სახის პარმონის ადგენის მიზნით.

მკურნალობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველადი დახმარე-ბის დროულ და სრულფასოვან აღმოჩენას. დახმარების მიზანია მატრავმირე-ბელი აგენტის ორგანიზმზე მოქმედების დროს შემცირება და სისხლის მიმოქცევის აღდგენა. დახმარების აღმოჩენას ვიწყებთ მოყინული ადგილის ხელით მასაჟით, მანამ, სანამ სახის კანი არ მიიღებს მოვარდისფერო შეფერადებას და არ შევიგრძნობთ სითბოს. თოვლით მასაჟი არ შეიძლება, რადგან გაციებული ადგილის კიდევ უფრო გაციება, კიდევ უფრო გააძნელებს სისხლის მიმოქცევის აღდგენას. თოვლის მასამ შეიძლება გამოიწვიოს კანის საფარის დაზიანება და გზა გაუხსნას მეორადი ინფექციის განვითარებას. გარდა ამისა საჭიროა ავადმყოფისათვის ცხელი ჩაის მიწოდება, 50-100 მლ.

ალკოჰოლის მიყვება. შეგვეყავს 3 000 ერთეული ტეტანუსის საწინააღმდეგო შრავი. ჩირქოვანი ინფექციის პროფილაქტიკის მიზნით ვუნიშნავეთ ანტიბიოტიკებს, სულფამიდურ პრეპარატებს, ვიტამინებს.

II ხარისხის მოყინვის შემთხვევაში ბუშტუკები არ უნდა გავხსნათ, ეს კი ხელს უწყობს ეპითელიზაციას. დაჩირქების შემთხვევაში ბუშტუკებს გავხსნით, ჭრილობას დაეამუშავეთ ანტისეპტიკური ხსნარით და წაუსუამთ ანტიბიოტიკის მალამოს. მკურნალობა მიგვეყავს ღია წესით.

III ხარისხის მოყინვის დროს მოყინვით ჭრლობას ვმკურნალობთ საერთოდ მიღებული წესით. ვამორებთ ნეკროზულ ქერქს, ახალგაზრდა გრანულაციური ქსოვილის დაჩირქების თავიდან აცილების მიზნით, გრანულაციურ ქსოვილზე ვათავსებთ ანტისეპტიკურ მალამოში დასეველებულ დოლბანდს და მკურნალობა მიგვეყავს დახურული წესით.

IV ხარისხის მოყინვის მკურნალობა მოითხოვს ეტაპობრივ ქირურგიულ მკურნალობას, რომელიც ითვალისწინებს სამ ძირითად მომენტს – ნეკროტომია, ნეკროექტომია, ორგანოს ამპუტაცია. დაკარგული ორგანოს აღდგენა მიმდინარეობს პლასტიკური ოპერაციული მეთოდით.

პლასტიკური წესით აღდგენილი ორგანო მეტად მგრძობარეა სიცივის ფაქტორისადმი და პაციენტისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, ცივი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით.

შეჯავსე ნაწილი

ოცდამეოთხე თაჰი

ყბა-სახის არეს სიმსივნური დაავადებები

სიმსივნე განიხილება, როგორც ორგანიზმის განსაკუთრებული რეაქცია, მასზე შინაგანი და გარეგანი მავნე ფაქტორების ზემოქმედება.

ახალწარმონაქმნი (ნეოპლაზმა, ბლასტომა) ორგანიზმის ქსოვილების ზრდის განსაკუთრებული რეაქტიული ფორმაა, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ზრდის ავტონომიურობა. ყველა ქსოვილი და ორგანო მისი ჩასახვიდან, ზრდა განვითარების მთელ პერიოდში ემორჩილება მკაცრ მარეგულირებელ პროცესს და ყოველთვის ექვემდებარება კონტროლს. სიმსივნური ზრდა არ ემორჩილება ორგანიზმის კონტროლს და ეს უკონტროლო ზრდა იწვევს ორგანოში ძლიერ გამოსხატულ მორფოლოგიურ და ფუნქციურ ცვლილებებს. სიმსივნური ზრდის ავტონომიურობა დამახასიათებელია ყველა სახის სიმსივნისათვის, თუმცა ავტონომიურობა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიმსივნურ ზრდასა და ორგანიზმს შორის კავშირების სრული გაწყვეტა. სიმსივნურ ზრდასა და ორგანიზმს შორის ყოველთვის რჩება რთული ურთიერთკავშირი.

2. ანაპლაზია - სიმსივნური უჯრედების მიერ ქსოვილის ნორმალური უჯრედების ლიფერენცირების უნარის სრული დაკარგვა, წარმოქმნას ორგანოსპეციფიკური ქსოვილი. ანაპლაზია მჭიდროდ არის დაკავშირებული ავთვისებიანი სიმსივნეების უჯრედების ატიპიზმთან.

3. ინფილტრაციული (ინვაზიური) ზრდა. სიმსივნეს ახასიათებს უნარი ჩაიზარდოს ირგვლივ მდებარე ქსოვილში და დამალოს ქსოვილი და ორგანო. სიმსივნური უჯრედები ხვდებიან, რა გზად ორგანოს ნორმალურ უჯრედებს არ ჩერდებიან და ჩაიზრდებიან ნორმალურ უჯრედებს შორის. ეს მოუვლენა უფრო დამახასიათებელია ავთვისებიანი სიმსივნისათვის.

4. მეტასტაზირება. ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ავთვისებიანი სიმსივნის გავრცელებისათვის. მეტასტაზირება ხდება ლიმფური ან სისხლძარღვოვანი გზით - ცალკეული უჯრედების გადატანა ორგანიზმის სხვა უბნებში.

ეტიოლოგიური თვალსაზრისით სიმსივნეთა გერმინი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი მიუთითებს ან სიმსივნის შენებაზე (კიბოს მარწუხები). - Carcin, ხორცი - Sarcos, შავი ფერი - Melanos, ან ქსოვილის სახეობაზე - Lipos - ცხიმი. სიგყვის მეორე ნაწილი ბერძნული წარმოშობისაა და აღნიშნავს სიმსივნეს - ომა; ბლასტომა, ცისტომა, კარცინომა, სარკომა, ლიპომა, ქონდრომა და სხვა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ომა ყოველთვის არ მიუთითებს სიმსივნეზე. მაგალითად ათერომა, გრანულომა, ზოგჯერ სიმსივნე ატარებს რომელიმე მკვლევარის სახელს; აბრიკოსოვის სიმსივნე და სხვა. არის სიმსივნეთა ისეთი სახეებიც, რომლებსაც არა აქვთ დაბოლოება ომა, ლესმოიდი, კარციონიდი, სარკოიდი და სხვა.

სიმსივნური ზრდა-პროგრესირება მიმდინარეობს ზოგად ბიოლოგიური კანონზომიერებით, სიმსივნური უჯრედები იძენენ განსხვავებულ თვისებებს მხოლოდ ორგანოს ან ორგანიზმის მიმართ, რომელშიდაც ეითარდებიან.

ეტიოლოგია, პათოგენეზი ახლადწარმონაქმნთა ეტიოლოგია არის მეცნიერება შინაგანი და გარეგანი ფაქტორების შესახებ, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ პათოლოგიური პროცესის წარმოქმნაში. ამ ფაქტორებს ზოგადად კანცეროგენულ და ბლასტოგენურ ფაქტორებს უწოდებენ.

ვირხოვის თეორია ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო გავრცელებული და აღიარებული მსოფლიოს კლინიციისგების მიერ. ავტორის აზრით სიმსივნის განვითარებაში წამყვანი როლი განეკუთვნება ქრონიკულ გამაღიზიანებელ (ბიოლოგიური, ფიზიკური, ქიმიური) ფაქტორებს, რომლებიც დასაწყისში იწვევენ ანთებას, ხოლო შემდგომში უჯრედთა პროლიფერაცია ხელს უწყობს სიმსივნურ ზრდას. ვირხოვის "ქრონიკული გაღიზიანების" თეორიას აქვს რიგი უარყოფითი მხარე, მაგრამ აქვს კლინიკური დადასტურება. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ქრონიკული ანთების ნიადაგზე კიბოს ჩამოყალიბება,

პაიმორის ღრუს ქრონიკული ანთების ნიადაგზე გელა ყბის კიბოს განვითარება და სხვა.

კონგეიქციის თეორიის მიხედვით სიმსივნის წარმოქმნაში წამყვანი როლი ენიჭება დისემბრიოგენურ ფაქტორებს. ავტორის აზრით სიმსივნე წარმოიქმნება ორგანიზმში ღარჩენილი (გაუხარჯავი) ემბრიონული ელემენტებისაგან, რომლებსაც აქვთ შენარჩუნებული ზრდის დიდი პოტენცია და დაკარგული აქვთ ნორმალური ფიზიოლოგიური დიფერენცირების უნარი. ამ თეორიასაც გააჩნია რიგი უარყოფითი მხარე, მაგრამ აქვს კლინიკური დადასტურებაც. მაგალითად ქვედა ყბის სხეულის პირველადი კიბო, რომელიც ვითარდება ყბის ძვალში ღარჩენილი მალასე ასტახოვის ეპითელური უჯრედების ნარჩენებისაგან.

ვირუსული თეორია. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოითქვა მოსაზრება სიმსივნეების განვითარების ვირუსული გენეზის შესახებ. მე-20 საუკუნეში ამ თეორიის სასარგებლოდ ჩატარდა რიგი ექსპერიმენტული გამოკვლევები და დღეისათვის ამ თეორიის სასარგებლოდ გამოთქმულია მრავალი მოსაზრება.

თითქმის 100 წლის მანძილზე კიბოს ეტიოლოგიისა და პათოგენეზის საკითხი იხილებოდა ერთობლივად და დიდი ყურადღება ეთმობოდა დაავადების აუტოგენეზს. გარეგან ფაქტორებს ყურადღება არ ექცეოდა. დღეისათვის კანცეროგენული ფაქტორები საკმაოდ ფართოდ განიხილება და პირობითად ეს ფაქტორები სამ ჯგუფად იყოფა: 1. ქიმიური ფაქტორები, 2. ფიზიკური, 3. ბიოლოგიური.

ქიმიური ფაქტორები. დღეისათვის ცნობილია ორიათასამდე ქიმიური ნივთიერება, რომლებსაც აქვთ გამოხატული კანცეროგენული თვისებები. ამათ რიგს განეკუთვნება:

1. პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები, რომლის წარმომადგენელია 3,4 ბენზპირენი, გვხვდება საჭმელ პროდუქტებში, თამბაქოს კვამლში. შეიძლება გამოიწვიოს ფილტვების, კუჭისა და შარდის ბუშტის კიბო.

2. არომატული ამინები — წარმომადგენელია ანილინის საღებავები, რომლებიც იწვევენ შარდის ბუშტის კიბოს.

3. პერბიციდი-ღუსტი, შეიძლება გამოიწვიოს 22 ლოკალიზაციის კიბო.

4. კანცეროგენულ ნივთიერებებს განეკუთვნება ასბესტი, ქრომი, ნიკელი, ღარიშხანი.

ფიზიკური ფაქტორები. ფიზიკურ ფაქტორებს განეკუთვნება ულტრაიისფერი სხივები — კანისა და ტუჩების კიბოს განვითარების ხელშემწყობია, ფიზიკურ ფაქტორებს განეკუთვნება აგრეთვე გამჭოლი სხივები-რენტგენის, გამა სხივები, ელექტრონული სხივები და სხვა.

ბიოლოგიური ფაქტორები. ვირუსები განიხილება როგორც ბიოლოგიური ფაქტორი. ვირუსების გადაცემა ერთი ორგანიზმიდან მეორეზე

შეიძლება ნაყოფის მუცლად ყოფნის დროს, აგრეთვე სპერმის, რძის, ნერწყვის, სისხლის და სხვა გზებით. ამ რიგის ვირუსებიდან აღსანიშნავია პოლიომი, აღენოვირუსი, პერპესის ვირუსი, ეპშტეინ-ბარას და რაუს ვირუსები. გარდა ამისა ბიოლოგიურ ფაქტორს განეკუთვნება ზოგიერთი პარაზიტი *Bacillus tumerfacialis* და ზოგიერთი სოკოს შხამი (*Aspergillus flaus*) რომელიც იწვევს ლეიშმანის კიბოს.

სიმსივნეების კლასიფიკაცია

საერთოდ აღიარებული კლასიფიკაციური სქემა არ არსებობს. კლასიფიკაციური სქემის ერთი, რომელიმე ნიშნის მიხედვით შედგენა არ ხერხდება, ხოლო კლინიკური ნიშნების მიხედვით შედგენილი კლასიფიკაცია არ ასახავს სხვა საკითხებს (ბიოლოგიური არსი, ქსოვილოვანი სახეობა და სხვა). ზოგიერთი ავტორი უპირატესობას ანიჭებს მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით შედგენილ კლასიფიკაციას.

კლინიკური ნიშნების მიხედვით სიმსივნეები შეიძლება იყოს: კეთილთვისებიანი, შუალედური და ავთვისებიანი.

მოგვყავს კეთილი და ავთვისებიანი სიმსივნეების განმასხვავებელი მორფოლოგიური და კლინიკური ნიშნები.

კეთილთვისებიანი სიმსივნე	ავთვისებიანი სიმსივნე
1. უმნიშვნელო განსხვავება დელობრივი ქსოვილისაგან.	1. მკვეთრი ატიპიური განსხვავება დელობრივი ქსოვილისაგან (მოუმწიფებელი ფორმები)
2. იზრდება შემოსაზღვრულად ქსოვილების გაწეით (ექსპანსიური ზრდა)	2. იზრდება განმტკობით (ინფილტრაციული ზრდა)
3. არ არის შეზღუდული ირგვლივ მდებარე ქსოვილებთან	3. ჩაზრდილია იგრვლივ მდებარე ქსოვილებში და შლის მათ.
4. იზრდება ნელა	4. იზრდება სწრაფად.
5. შეიძლება მიაღწიოს დიდ ზომას.	5. იშვიათად აღწევს დიდ ზომას.
6. მკვეთრად შემოსაზღვრულია ირგვლივ მდებარე ქსოვილებიდან	6. არ არის მკვეთრად შემოსაზღვრული.
7. იშვიათად წყლულდება	7. ხშირად წყლულდება
8. არ იძლევა რეციდივს	8. ხშირად იძლევა რეციდივს.
9. არ არღვევს ზოგად მდგომარეობას.	9. ძლიერ ასუსტებს ორგანიზმს, იწვევს კახექსიას
10. შესაძლოა თვითგანკურნება	10. თვითგანკურნება არ ხდება.

სიმსივნეების კლინიკური სტადიები.

ლიტერატურაში აღწერილია სიმსივნეების ოთხი ძირითადი სტადია:

1. სტადია – შემოსაზღვრული სიმსივნური პროცესი, ახლომდებარე ლიმფური კვანძების დაზიანების გარეშე, ღრმად მდებარე ქსოვილებში ჩაზრდის გარეშე.
2. სტადია – შეღარებით პატარა სიმსივნე, დიამეტრით 2 სმ-მდე, ერთეული მოძრავი მეტასტაზებით ახლომდებარე ლიმფურ კვანძებში.
3. სტადია – სიმსივნე საკმაოდ დიდი ზომის, დიამეტრი 5 სმ-მდე, ჩაზრდილი ირგვლივ მდებარე რბილ ქსოვილებში. ორგანოს მოძრაობის შეზღუდვით, მეტასტაზები ახლომდებარე ლიმფურ კვანძებში, მცირედ მოძრავი კონგლომერატის სახით.
4. სტადია – ნებისმიერი ზომის სიმსივნე, მოშორებით ორგანოებში მეტასტაზები, ღრმად ჩაზრდილი ირგვლივ მდებარე ქსოვილებში და შემოხეულ ორგანოებში, ორგანიზმის გამოფიტვით.

ასეთმა კლასიფიკაციამ დიდი როლი შეასრულა კლინიკური ონკოლოგიის განვითარებაში, მაგრამ მისი გამოყენება შინაგანი ორგანოების დაავადების დროს ძნელად გამოსაყენებელია.

უნიფიცირების მიზნით 1958 წლიდან შემოღებულია საერთაშორისო კლასიფიკაცია – T, N, M- სისტემა, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს პათოლოგიური პროცესის არსს.

T N M-ის სიმბოლოების მნიშვნელობა

T – სიმბოლო აღნიშნავს პირველად სიმსივნეს – Tumor და აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

T₀ – პირველადი სიმსივნე არ აღინიშნება, აღინიშნება მხოლოდ მეტასტაზები.

T₁ – სიმსივნე 1 სმ-მდე ზომით, აზიანებს ორგანოს მხოლოდ ერთ ანატომიურ ნაწილს.

T₂ – სიმსივნე 2 სმ-მდე ზომის, აზიანებს არა უმეტეს ორ ანატომიურ ნაწილს.

T₃ – სიმსივნე 3 სმ-ზე მეტი ზომის, აზიანებს ორ ანატომიურ ნაწილზე მეტს.

T₄ – სიმსივნით ორგანოს დიდი ნაწილია დაზიანებული და ვრცელდება სხვა ორგანოსა და სისტემებზე.

სიმბოლო N (Nodus) აღნიშნავს რეგიონული ლიმფური კვანძების დაზიანებას – გადიდებას, კიბოს მეტასტაზების გამო.

N₀ – მეტასტაზები არ ისინჯება.

N_1 – ცალმხრივად გადიდებული ლიმფური კვანძები, მოძრავი.

N_2 – ლიმფური კვანძები ისინჯება ორივე მხარეზე, მოძრავია ან ოღონად შეზღუდული.

N_3 – გადიდებული ლიმფური კვანძები ცალმხარეზე უძრავი.

N_4 – გადიდებული ლიმფური კვანძები ორივე მხარეზე, უძრავი.

სიმბოლო M (Metastasis) აღნიშნავს მეტასტაზებს სიმსიენიდან მოშორებით ორგანოებში:

M_0 – მოშორებით ორგანოებში მეტასტაზები არ ისინჯება.

M_1 – აღინიშნება მეტასტაზები მოშორებით ორგანოებში.

სახის ორგანოები და მათი ანატომიური ნაწილები

სრულყოფილი დიაგნოზის დასმის და მომავალი მკურნალობის გეგმის დასახვის მიზნით, საჭიროა დაავადებული ორგანოს ანატომიური ნაწილების მინიშნება.

1. ტუჩების ანატომიური ნაწილებია – ზედა ტუჩი, ქვედა ტუჩი, ტუჩების წითელი ყაეთანი.

2. პირის კარიბჭე – ზედა კარიბჭე, ქვედა კარიბჭე, ანატომიური ნაწილებია: წინა – ეშვების ღონეზე, გვერდითი – ეშვებიდან გარეთ, დისტალურად.

3. ლოყები: მარჯვენა ლოყა, მარცხენა ლოყა, ანატომიური ნაწილებია, წინა – კუთხეების არე, შუა ნაწილი, უკანა (რეტრომოლარული)

4. ღრძილები: ზედა და ქვედა ყბის (შიგნითა და გარეთა მხარე), ალვეოლური ნაწილი. ანატომიური ნაწილები: წინა – ეშვებამდე, გვერდითი – დისტალური.

5. შაგარი სასა: ანატომიური ნაწილი: მარჯვენა და მარცხენა ნახევარი.

6. რბილი სასა: ანატომიური ნაწილები: მარჯვენა და მარცხენა ნახევრები, ნაჭი.

7. ენა: ზურგი, მარჯვენა და მარცხენა ნახევრები, გვერდითი მხარე, ანატომიური ნაწილები: წინა, შუა, უკანა მესამედი.

8. ენის ძირი: ანატომიური ნაწილები: მარჯვენა და მარცხენა ნახევრები.

9. პირის ღრუს ფსკერი: ანატომიური ნაწილები: წინა ეშვებამდე, გვერდითი.

10. ზედა ყბა: მარჯვენა და მარცხენა; ანატომიური ნაწილები: ზედა ყბის წიაღის კედლები – ზედა, ქვედა, შიგნითა, გვერდითი, წინა, უკანა.

11. ქვედა ყბა: ანატომიური ნაწილები: წინა – ემეება მდე, პორიზონ-გალური – კუთხემდე და უკანა.

12. დიდი სანერწყვე ქირკვლები.

13. მცირე სანერწყვე ქირკვლები.

ავადმყოფის კლინიკური გამოკვლევა

სიმსივნური დაავადების დიაგნოსტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავადმყოფის ლეტალურ გამოკვლევას:

ანამნეზი: კარგად შეკრებილი ანამნეზური მონაცემები გვაძლევს მრავალფეროვან ინფორმაციას სიმსივნური პროცესის წარმოშობის, მიმდინარეობის, შრდის ტემპების და სხვა მონაცემების შესახებ. აქვს თუ არა ტკივილი, მგრძობელობის შეცვლა, მოიშალა თუ არა მეტყველება, ყბის მოძრაობა, სიმსივნე იზრდება ნელა თუ ჩქარა, ხომ არ ჩაუტარებია რაიმე მკურნალობა (მედიკამენტური, ფიზიოთერაპიული), კომპრესიები და სხვა.

ობიექტური გამოკვლევა: როგორია ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა, მისი გამომეტყველება, სახის ორგანოების სიმეტრია. ყურადღებით ვსწავლობთ შემდეგ სინდრომებს: სახის არეში "პლიუს ქსოვილი", "პათოლოგიური გამონადენი", "ფუნქციის დარღვევა". ყურადღებას ვამახვილებთ ხერეღარხების არსებობაზე, არხებიდან გამონადენის ხასიათზე, სახის რბილი და მაგარი ქსოვილების ნეკროზზე, დაწყულულებაზე, დაშლაზე. ვიკვლევთ პათოლოგიური წარმონაქმნის კონსისტენციას, შედაპირს (ხორკლიანია, სადა), პალპაციით მკვინეულია თუ არა, მოძრაია თუ ფიქსირებული. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყბა-სახის არეში არსებული ლიმფური კვანძების გამოკვლევას: ლიმფური კვანძები გადიდებულია თუ არა, მკვინეულია თუ არა, მოძრაია თუ ფიქსირებული, გადიდებულია პათოლოგიური პროცესის მხარეზე თუ ორივე მხარეზე. როგორია მოშორებით მდებარე ლიმფური (ილღის ფოსო, საზარდულის არე) კვანძების მდგომარეობა. პირის ღრუს დათვალიერების დროს ვიკვლევთ ლორწოვანი გარსის მდგომარეობას, პირის ღრუს ფსკერის, ენის გვერდითი, ენის ძირის ლორწოვან გარსს, ენის მოძრაობის ამპლიტუდას. ნუშურა ქირკვლებისა და რბილი სასის ლორწოვან გარსს. ყურადღებას ვაქცევთ კბილების მდგრადობას, კბილების მორყევის შემთხვევაში გამოვრიცხავთ ასაკობრივ პროცესს და პაროდონტის ანთებით დაავადებებს. ვიკვლევთ ალვეოლური მორჩების მდგომარეობას (ნორმა, დეფორმაცია) ცხვირის ღრუს გამოკვლევის დროს ყურადღებას ვაქცევთ ნესტოების პაერის გამგარიანობას, გასაელების დეფორმაციას, გამონადენს ცხვირის ღრუდან.

გარდა ამისა, საჭიროა დამატებითი გამოკვლევების (კლინიკურ-მორფოლოგიური) ჩატარება. ამ ჩამონათვალში შეღის: 1. ციტოლოგიური გამოკვ-

ლევა, 2. წყლულის შედაპირიდან ნაცხის (უჯრელოვანი ანაბექლი) გამოკვლევა, 3. სიმსივნური წარმონაქმნის პუნქცია, 4. ბიოფსია (არ შეიძლება მელანობლასტომის შემთხვევაში!) , 5. რენტგენოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც მოიცავს მიმოხილვით რენტგენოგრაფიას, კონტრასტული რენტგენოგრაფია, ანგიოგრაფია. გარდა ამისა, ვიყენებთ გომოგრაფიას, კომპიუტერულ გამოკვლევას. რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს ყურადღებას ვაქცევთ: ქსოვილის შემკვრივების სინდრომს, ქსოვილის ღესტრუქციას, ღეფორმაციის სინდრომს. სიმსივნეების ღიაგნოსტიკაში გამოიყენება რადიოიზოტოპური გამოკვლევები.

სისხლის მორფოლოგიური გამოკვლევით დასაწყისში ცვლილებები არ არის. მოგვიანებით იწყება რკინის შთანთქმა სიმსივნური ქსოვილით. სიმსივნური პროცესით გამომუშავებული ტოქსინები იწვევენ ერთროპოემის დათრგუნვას, რის ფონზე ვითარდება ანემია.

კიბოს საწინააღმდეგო ბრძოლის ორგანიზაცია

კიბოს საწინააღმდეგო ბრძოლის ორგანიზაცია შედგება მთელი რიგი ღონისძიებებისაგან და ხორციელდება რესპუბლიკის მასშტაბით. ბრძოლის ორგანიზაცია მიზნად ისახავს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

1. კიბოსწინარე მდგომარეობის აღრეული ღიაგნოსტიკა და კომპლექსური მკურნალობა.

2. დისპანსერული დაკვირვება.

3. კიბოს შორს წასული შემთხვევების შესწავლა.

4. მოსახლეობაში ფართო სანიტარული განათლების შეგანა მოსახლეობის სოციალური ღაცვის მიზნით. აღნიშნული ღონისძიებების ღაფინანსება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

კონკრეტულად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გაგარება: 1. მოზრდილი მოსახლეობის პროფილაქტიკური დათვალიერება, 2. ეკოლოგიური ღონისძიებების გაგარება, გარემოს გაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, 3. პროფესიული კიბოს პროფილაქტიკა, 4. ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების წარმოება, 5. მაიონიზირებელი რადიაციის პროფილაქტიკა, 6. საყოფაცხოვრებო მავნე ჩვევების აღკვეთა (ბრძოლა თამბაქოს მოწევის წინააღმდეგ). თამბაქოს თითოეულ კოლოფზე უნდა იყოს წარწერა, რომ თამბაქოს მოწევა ხელს უწყობს კიბოს განვითარებას.

კიბოსწინარე დაავადებები

ყბა-სახის არეში აღწერილია მთელი რიგი ქრონიკულად მიმდინარე პათოლოგიური პროცესები, რომლის ფონზე შესაძლებელია ან ავთვისებიანი სიმსივნის განვითარება, ან ქრონიკული პროლიფერაციული პროცესით შემოფარგვლა.

გერმინი "კიბოსწინარე" დაავადება შემოდებულია 1896 წლიდან, ლონდონის დერმატოლოგთა საერთაშორისო ყრილობაზე.

ექსპერიმენტული გამოკვლევებით და კლინიკური დაკვირვებებით დადგენილია, რომ სიმსივნის განვითარებას ხელს უწყობს წინამორბედი პათოლოგიური პროცესი. კლინიკურ-მორფოლოგიური თვალთახედვით კიბოსწინარე დაავადება განიხილება, როგორც ქრონიკული დაავადება, აგიაპური უჯრედოვანი პროლიფერაციით, რომელიც არ იძლევა ინფილტრაციულ (ინვაზიურ) ზრდას ქვეშმდებარე ქსოვილებში.

მიღებულია კლინიკური კლასიფიკაციის ასეთი სქემა: 1. ობლიგატური, 2. ფაკულტატური, 3. ფონური.

ობლიგატურს განეკუთვნება: 1. პიგმენტური ქსეროდერმა, 2. ბოუენის დაავადება, 3. შემოსაზღვრული ჰიპერკერატოზი, 4. მანგანოგის ქეილიტი.

ფაკულტატურია: 1. კანის რქა, 2. კერატოაკანტომა, 3. პაპილომა, 4. ეროზიულ-წყლულოვანი მგლურა, 5. ჰიპერკერატული მგლურა, 6. წითელი ბრტყელი ლიქენი, 7. პაპილომატოზი, 8. ეროზიულ-წყლულოვანი ლეიკოპლაკია.

ფონურ დაავადებას განეკუთვნება: 1. დერმატიტი, 2. მეტეოროლოგიური ქეილიტი, 3. ქრონიკული წყლული, 4. ბრტყელი ლეიკოპლაკია.

აღსანიშნავია, რომ ობლიგატური ფორმები უფრო ხშირად გადადის ავთვისებიან სიმსივნეებში, ხოლო ფაკულტატური უფრო იშვიათად (1-5%).

კლინიკურად მიღებულია კიბოსწინარე დაავადებების წარმოდგენა, სახის წითელი ყაეთნისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ლოკალიზაციის მიხედვით.

სახეზე შეიძლება შეგვხვდეს კიბოსწინარე დაავადებების ყველა ფორმა: პიგმენტური ქსეროდერმა, ბოუენის დაავადება, მოხუცებულობითი მეჭვჭვები, პიგმენტური წურტილები, ქრონიკული ანთებადი პროცესები, დამწვრობისა და მოყინვის შემდეგ განვითარებული ატროფიული ნაწიბურები, ქრონიკული ფისტულები, მოხუცებულობითი კერატოზები, კანის მგლურა, პაპილომები.

წითელ ყაეთანზე გვხვდება კვანძოვანი კიბოსწინარე ფორმა, ჰიპერკერატოზი, მანგანოგის ქეილიტი, გუჩების კუთხეების ქრონიკული ნაპრალეები, ქრონიკული აქერცვლა.

პირის ღრუში – ეპიგროპლაკია, ლეიკოპლაკია, პაპილომა, პიგმენტური ლაქები, ქრონიკული წყლულები, ბრტყელი ლიქენი, წითელი მგლურა, დასხვიების შემდეგი სტომატიტი, ლორწქეუა გარსის ფიბროზი.

ოცდამეხუთე თავი

კეთილთვისებიანი სიმსივნეები

კეთილთვისებიანი სიმსივნეების დამახასიათებელი ნიშნებია: ნელი ზრდა, მკვეთრი შემოსაზღვრა ირგვლივ მდებარე ქსოვილებიდან. სიმსივნის ნელი ზრდა მიმდინარეობს წლობით, ავადმყოფისათვის შეუმჩნეველად შესამჩნევი ხდება მაშინ, როდესაც გამოძვლავდება ორგანოს ღეფორმაცია და ფუნქციის მოშლა. სიმსივნური პროცესი არ არღვევს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას და არ იძლევა მეტასტაზებს. სწორი ოპერაციული ჩარევის შემდეგ რეციდივს არ იძლევა.

ავადმყოფის გამოკვლევის დროს ყურადღებას ვაქცევთ: სიმსივნის ზრდის ტემპს, სიდიდეს, ფორმას, მისი შედაპირის მდგომარეობას (გლუვი, ხორკლიანი), კონსისტენციას, მოძრაობას, მის დამოკიდებულებას ირგვლივ მდებარე ქსოვილებთან. ვიკვლევთ რეგიონულ ლიმფურ კვანძების მდგომარეობას.

კეთილთვისებიანი სიმსივნეების უფრო სრულყოფილი კლასიფიკაცია შემუშავებულია ა. კოლესოვის მიერ (1964). მოგვყავს კლასიფიკაციის სრული სქემა. ამ კლასიფიკაციის მიხედვით კეთილთვისებიანი სიმსივნეები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: I. ოსტეოგენური, II. არაოსტეოგენური და არა ოღონტოგენური, III. ოღონტოგენური.

ოსტეოგენური სიმსენეებია: 1. ოსტეომა. 2. ოსტეოიდოსტეომა, 3. ოსტეობლასტოკლასტომა.

არაოსტეოგენური და არა ოღონტოგენური: 1. პეპანგიომა, 2. ფიბრომა, 3. ნევროფიბრომა. 4. ნევრილემომა, 5. მიქსომა, 6. ქონდრომა.

ოღონტოგენური სიმსივნეებია: 1. ადამანტინომა, 2. რბილი ოღონტომა, 3. ოღონტოგენური ფიბრომა, 4. მაგარი ოღონტომა, 5. ცემენტომა, 6. ეპულისი, 7. მწვერვალოვანი კისტა, 8. ფოლიკულური კისტა.

ოსტეოგენური სიმსივნეები

ოსტეომა შედარებით იშვიათი სიმსივნეა, შედგება მომწიფებული ძელოვანი ქსოვილისაგან, ლოკალიზდება ღრუბლოვან ან კორტიკალურ

შრეში, უფრო ხშირია ქვედა ყბაზე, მაგრამ შეიძლება იყოს პაიმორის ღრუს კედელზე და ცხვირის ღრუშიც; ზოგჯერ ყბა-ყურა ჯირკვლის არეში.

კ ღ ი ნ ი კ ა . იზრდება ნელა, ჩივილები დამოკიდებულია სიმსივნის ლოკალიზაციაზე. ქვედა ყბაში იწვევს ნევრალგიური ხასიათის ტკივილს, თუ მოთავსებულია გვირგვინისებრი მორჩის არეში – იწვევს ქვედა ყბის მორაობის შეზღუდვას, ხოლო ცხვირში – სუნთქვის შეზღუდვას. დიდი ზომის ოსტეომები გვაძლევს სახის დეფორმაციას.

ღიაგნოზის დასმა ხდება ძირითადად რენტგენოლოგიურად, აღინიშნება "პლიუს ქსოვილი" ღრუბლოვანი და რბილი ოსტეომები უნდა განეასხვავოთ ოსტეოზღბლასტოკლასტომისაგან.

ო ს ტ ე ო ი ღ - ო ს ე ტ ო მ ა ანუ რბილი ოსტეომა. ზოგი ავტორის აზრით განეკუთვნება რეაქტიულ ანთებას. გვხვდება ძალზე იშვიათად. ლოკალიზდება ღრუბლოვან ან კორტიკალურ შრეში, ზოგჯერ პერიოსალურად, სიმსივნე ზომით პატარაა და არ აღემატება 5-20 მმ-ს.

კ ღ ი ნ ი კ ა . აუადმყოფი უჩივის ზომიერად გამოხატულ მწიწნავი ხასიათის ტკივილს, უფრო ღამით. აღსანიშნავია, რომ ასპირინი ხშირად ხსნის ტკივილს.

რენტგენოლოგიურად წააგავს ოღონტომას. ღიაგნოზი ისმება პათომორფოლოგიური გამოკვლევით.

ო ს ტ ე ო ბ ლ ა ს ტ ო კ ლ ა ს ტ ო მ ა . ცნობილია აგრეთვე სხვა და სხვა სახელწოდებით. გიგანტურჯარედოვანი სიმსივნე, რუხი სიმსივნე და სხვა. უფრო ხშირია ქალებში, ლოკალიზდება ქვედა ყბაზე მოლარების არეში, ზედა ყბაზე კი პრემოლარებთან.

კ ღ ი ნ ი კ ა . ზოგჯერ მცირედ გამოხატული ტკივილი, კბილების მორყევა. ანთების შედეგად შეიძლება განვითარდეს ხერეღარხი. აღინიშნება სახის ასიმეტრია.

ცენტრალური ოსტეოზღბლასტოკლასტომა ვითარდება ნელა შეუმჩნეველად, ვითარდება ძვლის შეზერილობა. რეგიონული ლიმფური კვანძები ცვლილებას არ განიცდიან. პუნქციით შეიძლება მივიღოთ სხვა და სხვა შეფერილობის სითხე. რენტგენოლოგიურად უჯრედოვანი ფორმის ღროს აღინიშნება მრავალი პატარა ღრუ, გამოყოფილი ძვლოვანი ხარისხებით. ლიმისური ფორმის ღროს პომოგენური ჩრდილია და წააგავს კისტოზურ ღრუს.

ღ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი ღ ი ა გ ნ ო ზ ი უნდა გავაგაროთ ადამანტინოზასთან, სარკომასთან. ადამანტინოზისაგან განეასხვავებთ მორფოლოგიური გამოკვლევით, ხოლო სარკომისაგან სწრაფი ზრდით (3-5 თვე)

არაოსტოგენური და არაოდონტოგენური სიმსივნეები

ქემანგიომა. კეთილთვისებიანი სისხლძარღვოვანი სიმსივნეა, დაკავშირებულია სისხლძარღვთა განვითარების სიმახინჯესთან და გვხვდება ბავშვთა ასაკიდან. განსხვავებით სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეებისაგან ქემანგიომას ახასიათებს ინფილტრაციული ზრდა და რეციდივი, მაგრამ არ იძლევა მეტასტაზებს.

ვარჩევთ სამი სახის ქემანგიომას: 1. კაპილარული, 2. ყურძნისმცვენის მაგვარი, 3. მღვიმოვანი.

1. **კაპილარული ქემანგიომა**, ბრტყელი, წერტილოვანი, მოვარდისფერო-წითელი, ან მოწითალო ციანოზური, ქსოვილია. მდიდარია ახლად წარმოქმნილი არტერიოლებით და კაპილარებით. ვითარდება კანზე ან ლორწოვან გარსზე.

სიმსივნის თანდათანობით ჩაზრდა არ იწვევს ლორწქევემა და კანქევემა ქსოვილების დაზიანებას.

2. **მცენისებური ქემანგიომა** შედგება სხვადასხვა ზომის ხეუული არტერიული და ვენოზური სისხლძარღვებისაგან. არტერიული ქემანგიომა იძლევა პულსაციას და აუსკულტაციით მოისმინება სისტოლური ხმაური, რითაც მოგვაგონებს ანევრიზმას. აღსანიშნავია, რომ თავის ქევეით დახრით ქემანგიომა დიდდება.

3. **მღვიმოვანი ქემანგიომა** შედგება მრავალი ღრუსაგან, რომლებიც საესევა სისხლით, ხელის დაჭერით ხდება სისხლის განდევნა ღრუდან, ხოლო ხელის აშეების შემდეგ ისევ ივსება სისხლით.

დიფერენციულ დიაგნოზს ვატარებთ ლიმფანგიომასთან, ხალებთან.

ლიმფანგიომას განეასხვავებთ ქემანგიომისაგან კანის შეფერილობით. პუნქციით მივიღებთ გამჭვირვალე ან ოღნავ შემღვრეულ სითხეს. ქემანგიომაზე ხელის დაჭერით ის უფრო აღვილად განიგვირთება, ვიდრე ლიმფანგიომა.

ხალებს განეასხვავებთ იმით, რომ ხალზე თითის დაჭერით მისი შეფერილობა არ იცვლება.

მკურნალობა. პატარა ზომის ქემანგიომების დროს გამოიყენება: ელექტროკოაგულაცია, კრიო ზემოქმედება, რენტგენო-რადიო მკურნალობა, რადიაქტიული ფოსფორით და სხვა. ამ ბოლო დროს გამოიყენება დაბალი ვოლტიანი რენტგენის დანადგარები (ზრდის ზონების დაზიანების გათვალისწინებით).

დიდი ზომის ქემანგიომების სამკურნალოდ გამოიყენება ქირურგიული მეთოდი-ამოკვეთა. გარდა ამისა გამოიყენება კონსერვატიული მეთოდები – მასკლეროზირებელი თერაპია.

ჯერ კიდევ 1929 წელს დოვლინგმა მოგვაწოდა ქინინისა და ურეტანის შეყვანა ქემანგიომის ღრუში. ხსნარი შედგება 0,6 ურეტანისა, 1,25 ქინინისა და

10 მლ. გამოხდილი წყლისაგან. ხსნარის შეყვანის მეთოდიკა ასეთია: პემანგიომის დაზიანებული კანიდან 1-2 მმ მოშორებით 8-10 წერტილიდან შეგვყავს 0,1 მლ. თვითოეულ წერტილში. ამ ხსნარის შეყვანის შემდეგ ადგილი აქვს ქსოვილების შემუშუებას, რომელიც გაქრება შეყვანიდან 6-10 დღის შემდეგ. მკურნალობის განმეორება შეიძლება მხოლოდ ამის შემდეგ. ხსნარის მოქმედების შედეგად ხდება ქსოვილის დანაწიბურება.

ამ მეთოდის უარყოფითი მხარეა ის, რომ საჭიროა მრავალჯერადი ჩხვლეტა და ხსნარის შეყვანა გაუტკივარების გარეშე, ამავე დროს დანეკროზებას განიცდის არა მარტო სიმსივნური, არამედ ჯანმრთელი ქსოვილიც. დოზის გადამეტების დროს კი მოსალოდნელია ინტოქსიკაცია.

ი. ბერნალსკიმ მოგვაწოდა ასპირაციულ-ინექციური მეთოდი. სპეციალური დამწოლის გამოყენებით ვახდენთ სისხლის მიმოქცევის შეწყვეტას სიმსივნურ ღრუში, ამის შემდეგ შეგვყავს 0,25% ნოვოკაინი, რამდენიმე წუთის შემდეგ ღრუდან ამოვქაჩავეთ სისხლს და ერთი საათით შეგვყავს 96° სპირტი. ერთი საათის შემდეგ სისხლს ამოვქაჩავეთ ღრუდან. ქსოვილების შემუშუების გაქრობის შემდეგ შესაძლოა პროცედურის განმეორება.

ფ ი ბ რ ო მ ა . შემაერთებელქსოვილოვანი სიმსივნეა, ლოკალიზდება ღრძილზე, ლოყაზე, ტუჩებზე, რბილ სასაზე, ენაზე. ზომით შეიძლება იყოს პატარა და დიდი. იზრდება ნელა, არ იწვევს არავეითარ ტკივილს. უფრო სწრაფად იზრდება რბილი ფიბრომები, განსაკუთრებით ფიბრო-ანგიომები. ჩვეულებრივად ფიბრომა პალპაციით მომკვრივო კონსისტენციისა, უმტკივნეულოა, აქვს მკაფიო საზღვრები, მოძრავია, აქვს მომრგვალო ფორმა. მკურნალობა — სიმსივნის ამოკვეთა.

ნ ე ვ რ ო ფ ი ბ რ ო მ ა . ვითარდება პერიფერიული ნერვის გარსისაგან. სახეზე მის წარმოქმნას განხილავენ როგორც სახისა და სამწვერა ნერვის განვითარების სიმახინჯეს. უფრო ხშირად ლოკალიზდება ლოყის სისქეში. კლინიკურად გამოხატულია ასიმეტრია, ზოგჯერ მცირედ გამოხატული ტკივილი. პალპაციით შეიგრძნება რბილი ან მომკვრივო კონსისტენციის სიმსივნე, ზომით 1-10 სმ-ის ოდენობის. ხელის შეხებით აღიქმება ტკივილი. ვითარდება ნელა, ნერვული ტოტების საპროექციო არეში. მკურნალობა ქირურგიულია.

მიქს ო მ ა წარმოდგენილია სხვადასხვა ქსოვილით: შემაერთებელი ქსოვილის ბოჭკოები, ხრტილი, ძვლოვანი ქსოვილი, ცხიმოვანი ქსოვილი. ზოგიერთი ავტორის აზრით მიქსომა ვითარდება ემბრიონული მემენქიური ქსოვილისაგან (ლოკალიზდება ძელისსაზრდელას ქვეშ), აგრეთვე სახსრების ლორწოვანი ჩანთისაგან.

კლინიკურად ახასიათებთ უმტკივნეულო ნელი ზრდა, აქვს გენდენცია ძვლოვან ქსოვილში ჩაზრდის. განვითარების მოგვიანებით ეტაპზე იწვევს ყბის დეფორმაციას. იწვევს კბილის ფესვების გაწოვას. დიაგნოზს ვაზუსტებთ პუნქციური ან ბიოსოფიური გამოკვლევით.

მკურნალობა ითვალისწინებს სიმსივნური ქსოვილის ამოკვეთას ჯანმრთელი ქსოვილის ფარგლებში.

ქონდრომა გვხვდება ყველა ასაკში, უფრო ხშირად ქალებში. უფრო ხშირად ვითარდება სასის მუა ნაკერის ზონაში, იშვიათად ქვედა ყბის ალვეოლური მორჩისა და ქვედა ყბის სახსრის არეში. სიმსივნე იზრდება ნელა თევების და წლების განმავლობაში. დელობრივ ქსოვილთან დაკავშირებულია ფართო ფეხით, პალპაციით უმტკივნეულოა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ძვლოვან ქსოვილთან, მოგჯერ ჩაზრდილია ცხვირის ღრუში, პაიპორის წიაღში და ორბიტაში.

მკურნალობა – ქირურგიულია, სიმსივნური ქსოვილის ამოკვეთა, ძვლოვანი ქსოვილის ნაწილობრივი რეზექციით.

ოღონტოგენური სიმსივნეები

აღამანტინომა ეპითელური წარმოშობის სიმსივნეა. ცნობილია აგრეთვე ამელობლასტომის, მრავალკამერიანი კისტომის, პარადენტარული კისტომის სახელწოდებით. უფრო ხშირია 21-40 წ. ასაკში. ლოკალიზდება ძირითადად ქვედა-ყბის არეში.

კლინიკა დაავადება მიმდინარეობს თითქმის უმტკივნეულოდ, მოგჯერ აღინიშნება მწიწკნავი, ყრუ ხასიათის ტკივილი, პერიოსტიტის მოვლენები, შემდეგ შეინიშნება ძვლოვანი ქსოვილის გამოზურცვა, სადა ზედაპირით. მოგვიანებით პერიოდში ყალიბდება ხერეულარხი ლორწოვან გარსზე. ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ჭრილობის არმეზორცვა კბილის ამოღების შემდეგ, კანი მოგჯერ ფერმკრთალია, ვითარდება სიმკაომი-პერგამენგის ხმაური, ფლუქტუაცია, კანი თხელდება, ვითარდება პიპერემია, შეიძლება დაირღვეს კანის მთლიანობა. კბილები ირყევა. დიდი ზომის სიმსივნის დროს ადგილი აქვს ლეკვის, ყლაპვის, მეტყველების ფუნქციის მოშლას. რენტგენოლოგიურად: მომრგვალო ფორმის მრავალი ღრუ, ან მსხვილმარყუკოვანი სტრუქტურაა.

დიფერენციულ დიაგნოზს ვაგარებთ: ოღონტოგენურ კისტებთან, სარკომასთან, კიბოსთან, ოსტეობლასტოკლასტომასთან.

ოღონტოგენური კისტების დროს ღრუ დაკავშირებულია განგრენული პულპიანი კბილის ფესვთან, ფოლიკულური კისტის დროს კი ღრუში იმყოფება კბილის გვირგვინი.

სარკომა იზრდება სწრაფად, რომელსაც თან სდევს კბილების ადრეული მორყევა, ძლიერი ტკივილი. რენტგენოლოგიურად აღინიშნება ძვლოვანი ქსოვილის დესტრუქცია, არა სწორი კიდევებით.

კიბო გვხვდება უფრო ხანდაზმულ ასაკში და უფრო ხშირად ზედა ყბაზე.

ლორწოვანი გარსის კიბოვანი დაწყლულება იწყება ადრე. ადგილი აქვს მეტასტაზებს ლიმფურ კვანძებში.

ოსტეობლასტოკლასტომის დროს რენტგენოლოგიურად აღინიშნება ძვლის წერილმარყუკოვანი სტრუქტურა, საჭიროა მორფოლოგიური გამოკვლევა.

მკურნალობა. ადამანტინომის მკურნალობა მხოლოდ ქირურგიულია. ბოგიერთი ავტორი მიუთითებს ყბის ნაწილობრივ რეზექციამზე. რეცედივის თავიდან აცილების მიზნით უმჯობესია პათოლოგიური კერის მიმდებარე ძელოვანი ქსოვილის რეზექცია. შეძლების მიხედვით უნდა ჩავატაროთ ერთ-მომენტიანი ძელოვანი პლასტიკა: აღწერილია ლიოფიზირებული ძვლის, ნეკნის გადანერგვა. ჩვენთან კლინიკაში დანერგილია დეფექტის აღდგენა კორუნდოკერამიკის ჩანართით. ი. ბერნადს კიმ მოგვაწოდა ორიგინალური მეთოდი, ამოკვეთილ პათოლოგიურ ძვალს ხარშავს ფიზიოლოგიურ ხსნარში 30 წუთი, მოდელირების შემდეგ აბრუნებს ადგილზე და აფიქსირებს მას. აღნიშნული მეთოდი მოდიფიცირებით წარმატებით გამოიყენება ჩვენს მიერ.

რბილი ოღონტომა შედგება კბილის ქსოვილების კონგლომერატისაგან. ეს დაავადება მოგვიანებით შეიძლება გადავიდეს მაგარ ოღონტომაში. დაავადება იშვიათია.

მაკროსკოპულად რბილი, პომოგენური ქსოვილია, აქვს მონაცრისფერო ფერი, ზოგჯერ მოსჩანს კბილის ჩანასახის ნაწილაკები.

კლინიკა. არა აქვს მკაფიოდ გამოხატული კლინიკური სურათი. გვხვდება უფრო ახალგაზრდა ასაკში, მუდმივი კბილების ჩამოყალიბების პერიოდში. ლოკალიზდება უმეტესად მოლარების არეში, ძელოვანი ქსოვილის გამობურცვით. ხშირად წააგავს ადამანტინომას. რენტგენოლოგიურად წააგავს პოლიკისტოზურ წარმონაქმნს, მაგრამ არ ჩანს მკვეთრი საზღვარი სიმსივნურ დაჯანმრთელ ქსოვილებს შორის. რენტგენის სურათზე ზოგჯერ ჩანს მუდმივი კბილების ჩანასახები.

ღიაგნოზს ვაშუსკებთ პათომორფოლოგიური გამოკვლევის ნიადაგზე.

მკურნალობა — ქირურგიულია, გაავთვისებიანობის შემთხვევაში საჭიროა ძელოვანი ქსოვილის რეზექცია.

ოღონტოგენური ფიბრომა განსხვავდება ჩვეულებრივი ფიბრომისაგან იმით, რომ სიმსივნის შემაერთებელქსოვილოვანი სტრომა შეიცავს კბილის წარმომქმნელ ეპითელს და თავისი შენებით ოღონტოგენური ფიბრომა წააგავს კბილის პულპის ქსოვილს.

ვითარდება კბილის ბორცვის ემბრიონური მეზენქიმისაგან, ან კბილის ფოლიკულის ქსოვილებისაგან ბავშვებში, ხოლო მოზრდილებში პერი-ოღონტალური ქსოვილებისაგან.

კლინიკა. არა აქვს დამახასიათებელი კლინიკური სურათი: იზრდება ნელა და დიდხანს არ გამომქლავნდება. რენტგენოლოგიურად ჩანს პომოგენური კერა (ოსტეოპოროზული), მოჩანს წერილი და მსხვილმარყუკოვანი

შენება. სიმსივნე შეიძლება მდებარეობდეს კბილის ფოლიკულის ახლოს. ძელოვანი ქსოვილის კალციფიკაციის პერიოდში აღინიშნება მკაფიოდ შემოსაზღვრული ჩრდილი სკლეროზული კონტურებით.

ღია გომის ვაზუსტებთ პათომორფოლოგიური გამოკვლევით.

მკურნალობა ქირურგიულია – სიმსივნური ქსოვილი უნდა ამოკვეთოთ ჯანმრთელი ქსოვილის ფარგლებში.

მაგარი ოდონტომა. კეთილთვისებიანი სიმსივნეა, შედგება კბილის მაგარი და რბილი ქსოვილოვანი ელემენტებისაგან, პერიოდონტის ქსოვილისაგან. გვხვდება ორივე სქესის წარმომადგენლებში, უფრო ხშირად ახალგაზრდებში. ლოკალიზდება ქვედა ყბის კუთხისა და ტოტის არეში.

მოგვყავს ა. ევდოკიმოვის მიერ მოწოდებული კლასიფიკაციური სქემა: 1. რთული ოდონტომა, 2. შერეული – რთული, 3. მარტივი ოდონტომა, 4. კისტოზური.

1. რთული ოდონტომა. იზრდება ნელა, უმტკივნეულოდ განვითარების გარკვეულ ეტაპზე იწყებს ძელოვანი ქსოვილის გამოზურცვას, რომელიც პალპაციით უმტკივნეულოა. რენტგენოლოგიურად აღინიშნება სხვადასხვა სიმკერვის ჩრდილი, რომელიც განპირობებულია კბილის მაგარი ქსოვილების რაოდენობით სიმსივნურ ქსოვილში. მოგვაგონებს ყურძნის მტევნის აგებულებას. კლინიკურად და მოფოლოგიურად შედგება, როგორც კბილის ჩანასახებისაგან, ისე კბილის სხვა რბილი ქსოვილებისაგან. კბილის ჩანასახები შეიძლება იყოს რამდენიმე ათეულიც კი.

2. რთული – შერეული ოდონტომა წარმოდგენს კბილის რბილი და მაგარი ქსოვილების კონგლომერატს, რომელშიდაც შეიძლება იყოს ერთი ან ორი ჩამოყალიბებული კბილი. რენტგენოლოგიურად ერთგვაროვანი ჩრდილია.

3. მარტივი ოდონტომა. შეიძლება იყოს სრული და არა სრული. სრულზე ელაპარაკობთ მაშინ, როდესაც ოდონტომის შემადგენლობაში კბილის ერთი ჩანასახია და სიმსივნურ წარმონაქმნს აქვს მომრგვალო ფორმა. არასრული ოდონტომა შეიცავს კბილის ჩანასახის ნაწილს. მოგჯერ ოდონტომა წარმოდგენილია პარადონტომის სახით.

4. კისტოზური გვხვდება ფოლიკულურ კისტაში და კლინიკურ-რენტგენოლოგიური მონაცემები შეესაბამება ფოლიკულური კისტის მონაცემებს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ოპერაციის დროს კისტოზურ ღრუში აღმოჩნდება არა კბილის გვირგვინოვანი ნაწილი, არამედ ოდონტომა.

ოდონტომების კლინიკა დამოკიდებულია ოდონტომის სტრუქტურაზე, ოდენობასა და ლოკალიზაციაზე, კლინიკური სურათი გამოვლინდება, მაშინ, როდესაც ისინი "ამოიჭრებიან", ირღვევა ლორწოვანი გარსის მთლიანობა, ყალიბდება ჯიბე, სადაც გროვდება საჭმლის ნარჩენები, მიკროორგანიზმები და იწყება ქრონიკული ანთება. რენტგენოლოგიურად რთული

ოღონტომის დროს მოსჩანს ინტენსიური ჩრდილი წილაკოვანი შენების, რომელიც ძალიან წააგავს თუთის ნაყოფს. მარტივი არა სრული ოღონტომა იძლევა ინტენსიურ ჩრდილს უფრო ფართოს გვირგვინის ფესვის არეში. მარტივი სრული ოღონტომები იძლევიან მომრგვალო ან კბილისმაგვარ ინტენსიურ ჩრდილს.

აღსანიშნავია, რომ ოღონტომასა და ყბის ძვალს შორის თითქმის ყოველთვის აღინიშნება ნათელი ზოლი, რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა მხოლოდ ქირურგიულია. საჭიროა სიმსივნური ქსოვილის ამოკვეთა თავისი შემაერთებულქსოვილოვანი გარსით. არა რადიკალური ამოკვეთა იძლევა რეციდივებს.

ე ე მ ე ნ ტ ო მ ა . ოღონტოგენური, კეთილთვისებიანი შემაერთებულქსოვილოვანი შენების სიმსივნეა. წააგავს კბილის ცემენტის ქსოვილს. გენეტიკურად დაკავშირებულია კბილის ცემენტთან, მაგრამ შეიძლება განვითარდეს დამოუკიდებლად.

კ ლ ი ნ ი კ ა . უფრო ხშირად გვხვდება ქალებში. ლოკალიზდება ქვედა ყბის სხეულსა და მის კუთხეში. 30 % შემთხვევაში წამყვანი სიმკვამია ტკივილი ჭამისა და ლაპარაკის დროს. პალპაციით აღიქმება ტკივილი. რენტგენოლოგიურად დასაწყისში კბილის ფესვის არეში აღინიშნება ოსტეოლიზური კერები. მოგვიანებით კბილის ფესვის არეში არის მომრგვალო ფორმის ჩრდილი, რომელიც ბოლო ეტაპზე იძენს გამოკვეთილ რენტგენოკონტრასტულობას.

ღ ი ა გ ნ ო ს ტ ი კ ა ძნელი არ არის. შედარებით რთულია იმ შემთხვევაში, როდესაც რენტგენოლოგიურად აღინიშნება "მინუს ქსოვილი".

დიფერენციულ დიაგნოზს ვატარებთ ოსტეომასთან, ოსტეობლასტოკლასტომასთან, მწერვალოვან კისტასთან.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა მხოლოდ ქირურგიულია. ვახდენთ ან ფესვის მწერვალის რეზექციას, ან კბილს ამოვიღებთ მთლიანად.

ე პ უ ლ ი ს ი კეთილთვისებიანი შემაერთებულქსოვილოვანი შენების სიმსივნეა. აღწერილია პერიფერიული, გიგანტურუჯრედოვანი სიმსივნის სახითაც. გვხვდება საკმაოდ ხშირად. უფრო მეტად ქალებში.

კ ლ ი ნ ი კ ა . ლოკალიზდება ალვეოლური მორჩის არეში, წააგავს სოკოს, აქვს ვიწრო ფეხი და შედარებით ფართო წანაზარდი ზედა ნაწილში. პალპაციით უმტკივნეულოა, მომკერივო ან რბილი კონსისტენციისაა, აქვს ნათელი ან ციანოზური ფერი. შეიძლება იყოს ნახევარი სანტიმეტრი და უფრო დიდიც (3-5 და მეტი). მუარავი უპითელი ძირითადად დაუზიანებელია, დაზიანება – ეროზია აღინიშნება ანტაგონისტი კბილების გრავმული ზემოქმედების

შედეგად. სიმსივნის ზონაში მოქცეული კბილები განიცდიან ღვომის ანობა-ლიას, მოგვიანებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს მათ მორყევას.

ეპულისი ძირითადად ვითარდება პერიოდონტის ქსოვილისაგან, უკბილო ყბაზე არ გვხვდება. განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია ქრონიკული ტრავმა.

ლი ა გ ნ ო შ ი ს დასმა ხშირ შემთხვევაში ძნელი არ არის, მაგრამ დიფერენციული ღიაგნოში უნდა გაეაგაროთ: ჰიპერტოფიულ გინგივიტთან, ღრძილების ფიბრომაგნოზთან, ღრძილის პოლიპთან, კიბოსთან, სარკომასთან.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა – ქირურგიულია, საჭიროა სიმსივნური ქსოვილის ამოკვეთა ჯანმრთელი ქსოვილის ფარგლებში, მოგჯერ ალევოლური ძელის ნაწილობრივი რეზექცია. ოპერაცია მიმდინარეობს გამობატული სისხლდენით, განსაკუთრებით ძელოვანი ქსოვილიდან, ამიგომ საჭიროა წინასწარი სათანადო მომზადება.

მ წ ე ე რ ვ ა ლ ო ვ ა ნ ი კ ი ს ტ ა . ოღონტოგენური კისტები ავტორთა უმრავლესობით განიხილება კეთილთვისებიან სიმსივნეთა რიგში. რიგი ავტორები მათ მიაკთენებენ სიმსივნისმაგვარ წარმონაქმნებს. ჩვენ ეიზიარებთ ავტორთა უმრავლესობის აზრს. კისტები რამდენადმე განსხვავდება სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეებისაგან. ოღონტოგენური კისტები ვითარდებიან ყბის ძვალში ქრონიკული ხანგრძლივი ანთებადი პროცესის ფონზე, დასაწყისში წარმოიქმნება გრანულომა, რომელიც შემაერთებულ ქსოვილოვანი შენებისაა, მის მიგნითა კედელზე ეპითელური უჯრედები ქმნიან თხელ გარსს, რომელიც ხელს უწყობს ღრუს წარმოქმნას, ღრუში გროვდება სითხე-გრანულატი, სითხის პროგრესული დაგროვება ახდენს გეწოლას ძელოვან ქსოვილზე და ყალიბდება ძელოვანი ქსოვილის ღრუ-ძელის დეფექტი – ძელოვანი ქსოვილის აგროფიის (და არა დამლის) ხარჯზე. ღრუმ შეიძლება მიაღწიოს დიდ ზომებს და გამოიწვიოს ძელის პათოლოგიური მოტეხილობე კი. მაშასადამე ოღონტოგენური კისტებისათვის დამახასიათებელია ღრუ, რომელიც ამოვსებულია სითხით, კისტას აქვს გარსი, მიგნითა ნაწილი წარმოდგენილია ეპითელური უჯრედებით, გარეთა შემაერთებული ქსოვილით. სითხე გამჭვირვალე-ქარვისფერია და შეიცავს ქოლესტერინის მარცვლებს.

მწვერვალოვანი კისტა ვითარდება კბილის ფესვის მწვერვალთან არსებული ქრონიკული ანთებადი პროცესის ნიადაგზე. დღემდე საკამათოა საკითხი თუ როგორი წარმოშობისაა კისტის ეპითელური გარსი. ავტორთა ერთი ჯგუფი (გრავიტიცი) ამ მოვლენას ხსნის ხერეღარხის გმით ეპითელის ჩაზრდით გრანულომის მიმართულებით. ამას უარყოფს ნ. ასტახოვის მორფოლოგიური

გამოკვლევები. სხვები (მუსტერი, ი. ლუკომსკი) მიუთითებენ, რომ ეპითელი ჩაიზრდება პირის ღრუს ლორწოვანი გარსიდან-ღრძილოვანი ჯიბიდან, ამ აგრუმენგმაც ვერ პოვა სათანადო დადასტურება. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მაღასესა და ასტასოვის იმ მოსაზრებას, რომ ეპითელი ვითარდება ყბის ძვალში დარჩენილი ემბრიოგენული, გაუსარჯავი ეპითელური უჯრედებისაგან. ამას ადასტურებს ვ. სტეკულას (1956-57 წ.) ჩატარებული გამოკვლევებიც.

კ ღ ი ნ ი კ ა . დაავადება იწყება შეუმჩნეველად, მიმდინარეობს ხანგრძლივად. სიმსივნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე გარდამავალ ნაოჭზე, პირის კარიბჭის მხრიდან, შეინიშნება ქსოვილის გამობურცვა, რომელიც თანდათან მაგულობს მოცულობაში, თხელდება მფარავი ძვლოვანი ქსოვილი და პალპაციით აღიქმება პერგამენგის ქაღალდის ხმაური (დიუპიტრენის სიმპტომი), მოგვიანებით კორტიკალური შრის დაშლის შემდეგ აღინიშნება ფლუქტუაცია (ფაშფაღი). რენტგენოლოგიური გამოკვლევით კისტოზურ ღრუში მოთავსებულია კბილის ფესვის მწვერვალი. სიმსივნის ნელი ზრდა იწვევს მემობელი კბილების ფესვების დივერგენციას (მარაოსებრ გაშლას) და კბილების გვირგვინების ურთიერთმიმართულებით დახრას (კონვერგენციას).

ღ ი ა გ ნ ო მ ი ს დ ა დ გ ე ნ ა ძნელი არ არის კლინიკურ-რენტგენოლოგიური გამოკვლევებით, ასევე პუნქციით (მივიღებთ ქარვისებრ გამჭვირვალე სითხეს). ღიაგნოზის დასმა შედარებით გაძნელებულია იმ შემთხვევაში, როდესაც კბილი ამოღებულია და კისტოზურ ღრუში ფესვი არ პროეცირდება. ამ შემთხვევაში საღიაგნოსტიკო მნიშვნელობა ენიჭება პუნქციას. დაგვიანებულ შემთხვევებში კისტა აღწევს ღიდ ზომებს, ზოგჯერ ჩაიზრდება მემობელ ქსოვილებში (პაიმორის ღრუში). ამ შემთხვევაში მიემართავთ კონტრასტულ რენტგენოგრაფიას: წინასწარ შპრიცით გამოვიღებთ სითხეს და შემდეგ შევიყვანთ რენტგენოკონტრასტულ ნივთიერებას. დიფერენციულ ღიაგნოზს ვაგარებთ: ფოლიკულურ კისტასთან, ადამანტინოზასთან, კიბო და სარკომასთან.

ფ ო ლ ი კ უ ლ უ რ ი კ ი ს ტ ა . ფოლიკულური კისტის პათოგენეზი რამდენადღე განსხვავდება მწვერვალოვანი კისტისაგან. ავტორთა ერთი ჯგუფი მიუთითებს, რომ სარძევე კბილის ფესვის არეში მიმდინარე ანთებადი პროცესი ხელშემწყობი ფაქტორია კისტის ჩამოყალიბებაში, სხვები კი აღნიშნავენ, რომ წამყვანი ფაქტორია მუღმივი. კბილის ჩანასახის მანკიერი განვითარება. ამ თეორიის მომხრენი მიუთითებენ, რომ სარძევე კბილების არეში ანთებები ძალიან ხშირია, მაგრამ ფოლიკულური კისტები ისეთი სიხშირით არ ვითარდებიანო. ე. გუბაიდულინა კი თვლის, რომ ფოლიკულური კისტა ვითარდება ამოუჭრელი კბილის ემალის ორგანოსაგან. უმეტესად მესამე მოლარისაგან.

კ ღ ი ნ ი კ ა . ახასიათებს უსიმპტომო მიმდინარეობა. იწყება ავადმყოფისათვის შეუმჩნეველად, უმტკივნეულოდ განვითარების გარკვეულ ეტაპზე გამოიბურცება ყბის ძვალი. გამობურცვა თანდათან მაგულობს. პალპაციით

უმტკივნეულოა, შეიგრძნება პერგამენტის ქალღმრთის ხმაური, გამოიკვეთება სახის ასიმეტრია. სიმსივნის ლოკალიზაციის ადგილზე კბილი ქრონიკული ანთებით არ არის. რენტგენოლოგიური გამოკვლევით ჩრდილი მკაფიო საზღვრებითაა, კისტოზურ ღრუში მოსჩანს კბილის გვირგვინი.

ღ ი ა გ ნ ო შ ი ს დადგენა ამ მონაცემებით ძნელი არ არის.

ღ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი ღ ი ა გ ნ ო შ ი უნდა გაეაგაროთ აბსცესთან, ალამანტინომასთან, კიბო და სარკომასთან.

ოღონტოგენური კისტების მკურნალობა

კისტების მკურნალობა ძირითადად ქირურგიულია. მხოლოდ მცირე ზომის კისტების (ერთი კბილის ფესვის საპროექციო არეში) მკურნალობა შეიძლება ჩატარდეს კონსერვატიულად. ლიტერატურაში მითითებულია, რომ კისტები რომელთა ღრუ არ აღემატება 3-5 მმ. შეიძლება განიკურნოს კონსერვატიულად. ამ მიზნით საჭიროა კბილის ფესვის არხის გაფართოება, ანგისექტიკური დამუშავება და არხის ფოსფატემენტით დაბეჭვა, ისე რომ ნაწილი საბეჭნი მასალისა გადატანილი იქნას კისტოზურ ღრუში. ავტორთა აზრით საბეჭნი მასალა იწვევს კისტის გარსის დაშლას და ძელოვანი ქსოვილის წარმოქმნას. ზოგიერთი ავტორი კი თვლის, რომ კისტოზურ ღრუში საჭიროა ძელის რეგენერაციის მასტიმულირებელი საშუალებების შეყვანა არხის საბეჭნი მასალის სახით.

კისტების მკურნალობის ოპერაციული ტექნიკა ძირითადად დამუშავებულია პარჩის მიერ (1896). ავტორმა მოგვაწოდა მკურნალობის ორი მეთოდი: ცისტოექტომია და ცისტოტომია.

ცისტოექტომია ნაჩვენებია მცირე და საშუალო ზომის კისტების მკურნალობის შემთხვევაში, ხოლო ცისტოტომია გამოიყენება დიდი ზომის კისტების არსებობის შემთხვევაში, როდესაც ძელოვანი ქსოვილის საგრძნობი ნაწილი განლეულია.

ცისტოექტომია გულისხმობს კისტის გარსის ამოკაკელას, ამოღებას კისტოზური ღრუდან. გასათვალისწინებელია, რომ ამ ოპერაციას წინ უნდა უძღვოდეს კისტის ღრუში მღებარე ფესვების არხების წინასწარი დაბეჭვა.

ოპერაციის მიმდინარეობს ადგილობრივი ან ზოგადი გაუტკივარების ფონზე. იმის მიხედვით თუ რა სიდიდის არის კისტა და რამდენი კბილის ფესვია ღრუში მოთავსებული. ეატარებთ ან პარჩის (ნახევარკალოვანი) ან ნეიმანის (ორი თითქმის პარალელური, ტრაპეციის მაგვარი) განაკვეთს. განაკვეთი უნდა იყოს უფრო დიდი, ვიდრე კისტოზური ღრუა, აეაშრეებთ ლორწოვან გარსს, ძელისსამრდელას, ბორის საშუალებით გაეხსნით კისტის ღრუს, გაეაფართოებთ, მოეძებნით კბილის ფესუს (ფესვებს)

და მას გადაეკვეთათ. ამის შემდეგ ბლაგვად კბილის რასპაგორით ან ქირურგიული კოვზით (ტუფერით) ვიწყებთ კისტის გარსის მოშორებას ძელოვანი ქსოვილისაგან. ფესვის რეზექციის შემდეგ კისტის გარსი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შორდება ძეალს. ღრუს გამოვრეცხავთ წყალბადის ბეჟანგით, თუ ფესვის არსი არ არის კარგად დაბეუნელი, გავაფართოებთ არხის შესაქაღს და რეგროგრადულად ვაბეუნთ ვერცხლის ამალგამით. ჭრილობას გაეკერავთ ყრუდ.

ძელოვანი ქსოვილის აღდგენა ასაკის გათვალისწინებით მიმდინარეობს ხანგრძლივად და რიგი ავტორები მიმართავენ კისტოზური ძელოვანი ღრუს ამოვსებას თაბაშირით, ალო და ქსენოძვალთ, ბრეფოძვალთ და სხვა.

ც ი ს ტ ო ტ ო მ ი ა ითვალისწინებს კისტის კედლის ნაწილობრივ ამოკვეთავს, კისტის ღრუს გახსნას და ჭრილობის ღია წესით მკურნალობას. სათანადო გაუკტივარების შემდეგ, ვატარებთ განაკვეთს კისტის ღრუს მფარავ ლორწოვან გარსზე, ავაშრევენთ ლორწოვან გარს, გადავწვეთ გვერდზე, ამოვკვეთავთ კისტის ღრუს გარსის შესაძლო ღიდ ნაწილს, გავასუფთავებთ კისტის ღრუს შიგთავისაგან. ამის შემდეგ ზოგიერთი ავტორი ლორწოვან გარსს აბრუნებს კისტოზურ ღრუში და აფიქსირებს მას იოლოფორმის დოლბანდით. შემდგომი მკურნალობა მიმდინარეობს ღია წესით. ჩვენი აზრით, უმჯობესია ღრუს გახსნის შემდეგ მაქსიმალურად მოვაშოროთ კისტოზური გარსი ძელის იმ ნაწილისაგან, რომელიც შემდგომში უნდა დაიფაროს ჩაბრუნებული ლორწოვანი გარსით. გარკვეული სიფრთხილე გემართებს ქვედა ყბაზე მუშაობის დროს, რომ არ დავაზიანოთ ქვედა ყბის ალვეოლური არტერია და ქვედა ალვეოლური ნერვი.

პაიმორის ღრუში ჩაზრდილი კისტის ოპერაციის დროს საჭიროა კისტოზური ღრუს კედლის ამოკვეთა და კისტოზური ღრუს ფართოდ შეერთება პაიმორის ღრუსთან. იმ შემთხვევაში თუ ზედა ყბის წიაღში აღმოჩნდება პათოლოგიური გრანულაციები, საჭიროა რადიკალურად ოპერაციის ჩატარება. ორივე შემთხვევაში პაიმორის ღრუსა და კისტის ღრუს ფართოდ შეერთებით ვაკავშირებთ ცხვირის ღრუსთან.

შუალედური სიმსივნეები

შუალედურს მიაკუთვნებენ ისეთ სიმსივნეებს, რომლებსაც ძირითადად ახასიათებთ ნელი ზრდა და განვითარების გარკვეულ ეტაპზე განიცდიან მალიგნიზაციას. შუალედური სიმსივნეების ცალკე ჯგუფად გამოყოფას რიგი ავტორები არ იზიარებენ და მათ განიხილავენ პოტენციურად აუთვისებიან სიმსივნეებად. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვადგინოთ ამ ჯგუფის რამდენიმე წარმომადგენელი.

ეპითელური წარმოშობის — ბავშვთა რბილი ქაპილომა, ბაზალიომა, მუკოპიდერმოიდული სიმსივნე, ცილინდრომა.

შემაერთებელქსოვილოვანი და სხვა სიმსივნეები — რბილი ქსოვილების ქონდრომა, ცხვირხახის ახალგაზრდული ფიბრომა, ექსტრამედულური პლამპოციტომა.

გაათვისებიანობის ნიშნები ვითარდება ნელა, დასხივებისაღმი იჩენენ სხედასხვა მგრძნობელობას.

ოცდამეექვსე თავი

ყბა-სახის არეს ათვისებიანი სიმსივნეები

ავთვისებიანი სიმსივნეები წარმოადგენენ დაავადებათა ღიდ ჯგუფს. როგორც ცნობილია ეპითელური ქსოვილიდან ვითარდება სხედასხვა სახის კიბო: ადენოკარცინომა, ბრტყელუჯრედოვანი გარქოვანებადი კიბო, ბრტყელუჯრედოვანი გაურქოვანებადი კიბო, სოლიდური კიბო, დაბალდიფერენცირებული კიბო.

შემარეთებელი ქსოვილიდან კი ვითარდება სარკომები, რეტიკულური ათვისებიანი სიმსივნეები, ოლონგოგენური ათვისებიანი სიმსივნეები.

რაც უფრო მაღალია ეპითელური სიმსივნეების დიფერენცირება, მით უფრო ნაკლებია მათი მგრძნობელობა დასხივებისაღმი.

შემაერთებელქსოვილოვანი სიმსივნეები ხასიათდებიან მკვეთრი ინფილტრირებული ზრდით და გამოხატული მეტასტაზირებით ლიმფური და ჰემატოგენური გზით, ეს სიმსივნეები ნაკლებად მგრძნობიარენი არიან დასხივებისაღმი.

სახისა და პირის ღრუს რბილი და მაგარი ქსოვილების ათვისებიანი სიმსივნეები

კანის ზედაპირზე ძირითადად გვხვდება კეთილთვისებიანი სიმსივნეები და კიბოსწინარე დაავადებები. ათვისებიანი სიმსივნეები უფრო იშვიათად გვხვდება. მათ შორის შუალედურ მდგომარეობას იკავებს ბაზალიომა.

ბ ა შ ა ლ ი ო მ ა . ზოგიერთი აეგორი ამ დაავადებას განიხილავს ათვისებიან სიმსივნეთა რიგში, თუმცა მას გააჩნია რიგი განმასხვავებელი თვისებები. მათ შორის აღსანიშნავია ადგილობრივი მადესტრუირებული ზრდა. გარდა ამისა ბაზალიომა თითქმის არასოდეს არ იძლევა მეტასტაზებს რეგიონულ ლიმფურ ჯირკვლებში. მ. გლაზუნოვის აზრით ბაზალიომა ვითარდება ემბრიონული ეკტოდერმისაგან, სახის კანის ბუნებრივ ნაოჭებში და ახასიათებს განსხვავებული პისტოლოგიური შენება.

კლინიკა. დასაწყისში კანზე წარმოიქმნება უმტკივნეულო შემკვრივე-ბა, მოგვიანებით მფარავი კანი წყლულდება და იფარება ქერქით, ჩირქი როგორც წესი არ არის. ქერქის მოშორება იწვევს მცირედ გამოხატულ სისხლდენას, რამდენიმე დღეში წყლული ისევ ქერქით იფარება. პათოლოგიური კერა თანდათანობით დიდდება, პროცესი მიმდინარეობს თევობით, წლობით. წყლული ლოკალიზდება ცხვირგუჩის ნაოჭის არეში, ცხვირის ფრთებზე, ქუთუთოებზე, თვალებულის შიგნითა კიდეებთან, საფეთქლის არეში. ბაზალიო-მა ძირითადად ვითარდება, როგორც ერთეული კვანძები.

მკურნალობა. დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება როგორც ქირურგიული, ისე სხივეური მეთოდი. ლიტერატურაში მითითებულია ომაინის 0,5%-იანი მალამოს სამკურნალო ეფექტზე ადგილობრივი აპლიკაციის სახით. მკურნალობის ხანგრძლიობა 15-20 სეანსი. დასხივებას ვაწარმოებთ 30-60 p. ერთჯერადათ, ჯამური დასხივება შეადგენს 4000-4500 p. ქირურგიულ მკურ-ნალობას მივმართავთ ჩვენების მიხედვით.

კანის კიბო. სახის კანის ბრტყელუჯრედოვანი კიბო უფრო იშვიათი დაავადებაა ვიდრე ბაზალიომა. უფრო ხშირად გვხვდება მამაკაცებში. ლოკალ-იზდება ცხვირის ბურგის კანზე ან ცხვირის ნესტოების არეში, ყურის ნიქარაზე, ლოყის არეში და სხვა.

კლასიფიკაცია. მიღებულია ა. შანინის (1952) კლასიფიკაციური სქემა. ავტორის აზრით სახის კანის კიბო შეიძლება იყოს: 1. მედაპირული, 2. ინფილტრაციული, 3. პაპილომური.

კლინიკა. პირველი ფორმა იშვიათად გვხვდება, იწყება ქსოვილის შემკვრივებით, მოგვიანებით ვითარდება ეროზია, რომელიც ქერქით იფარე-ბა. ქერქის მოშორების შემდეგ რჩება სისხლმდენი ეროზია, წყლულებს აქვთ მომრგვალო ფორმა, ლოკალიზდება ქუთუთოებსა და ცხვირის ფრთებზე.

მეორე ფორმა — ინფილტრაციული, იწყება მცირე მომკვრივო კვანძების ფორმირებით კანის სისქეში, კვანძები სწრაფად წყლულდება და წარმოიქმ-ნება კრატერის მაგვარი წყლული. ვითარდება მეტასტაზები რეგიონულ ლიმფურ კვანძებში.

მესამე — პაპილომური ფორმა უფრო იშვიათია, მაგრამ უფრო არაკეთილ-საიმედო.

სახის კანის ყველა ფორმის კიბოსათვის დამახასიათებელია ინფილტრაცი-ული მრდა ყველა მიმართულებით, როგორც მედაპირულად, ისე ღრმად, პარალელურად მიმდინარეობს ნეკროზული პროცესი და ყალიბდება წყლუ-ლი, რომელიც შეუფერხებლად დიდდება და თავმინებებულ შემთხვევაში აღწევს დიდ ზომას. აღსანიშნავია, რომ კანის კიბოს მეტასტაზები შედარებით იშვიათია და შეადგენს 1-2%.

დიაგნოზის დადგენაში დიდ დახმარებას გვიწევს ციტოლოგიური

გამოკვლევა-წყლულის ზედაპირიდან აღებული მასალის შედეგა. თუ ციტი-
ოლოგიური გამოკვლევა საკმარისი არ არის, საჭიროა ბიოფისური მასალის
აღება.

მ კ უ რ ნ ა ლ ბ ა . სახის კანის კიბოს პირველი სტადიის დროს ვიცი-
ნებთ ასლოფოკუსიან რენგგენოთერაპიას. დასხივების ერთჯერადი დოზა
300 p. ჯამური 5.000-7.500 p. დასხივების მონაში უნდა მოყვეს ჯანმრთელი
ქსოვილის 1,5-2 სმ. ქუთუთიების დასხივების დროს საჭიროა თვალის კაკლის
ეკრანიზაცია გყვიის I მმ-იანი ფირფიტით. წინასწარ, თვალში ვაწვეთებთ
საანესთეზიო ნიეთიერებას, ხოლო შემდეგ შეეგანთ გყვიის ფირფიტას.
ყურის ნიტირის დასხივების დროს უნდა გავითვალისწინოთ ხრტილის და-
ზიანების შესაძლებლობა.

დააკადების დასაწყისი სტადიაში გამოიყენება 0,5%-იანი ომაინის მაღაპო
0,5 პრედნიზოლონთან ერთად. I სტადიის დროს 15-20 პროცედურა, II –
სტადიის დროს 20-25. II სტადიის დროს ნაჩვენებია სხიური მკურნალობა,
ხოლო III-IV სტადიის დროს საჭიროა კომბინირებული მკურნალობა, დასხ-
ივების შემდეგ სიმსიენური ქსოვილის ამოკვეთა. ნ. ბლოხინი მიუთითებს
კანის პირველად პლასტიკაზე.

მ ე ლ ა ნ ო მ ა განეკუთვნება პიგმენტურ სიმსიენებს, ახასიათებს
გამოხატული აეთვისებთანობის ნიშნები. აეთვისებიანი მელანომა წარმოიქმ-
ნება პიგმენტური ხალებისაგან. თანდაყოლილი ხალები უფრო აეთვისებიან-
ლებიან, ვიდრე დაბადების შემდეგ წარმოშობილი ხალები. ხალის გაათვისე-
ბიანობის დიაგნოზის დასაძნელია გამოცდილი სპეციალისტისათვისაც კი.

გაათვისებთანობის დასაწყისი ნიშნები შეიძლება იყოს ხალის ზრდაში
მომატება, მისი ფერის შეცვლა, დაწყლულება, სისხლდენა და სხვა, ზოგჯერ
შეიგრძნება ქაიილი, წვა და სხვა. აეთვისებიანი მელანომა ხშირად ლოკალ-
იზლება ლოყაზე, ერთეულია; ზომით 1,5-2,5 სმ. ისინი დიდ ზომას არასოდეს არ
აღწევენ. მეტასტაზეები კრკლდება ლიმფური გზებით, პემაგოგენური გზით
ფილტვებში, ღვიძლში, თავის ტვინში და სხვა ორგანოებში. მეტასტაზეები
ლოკალიზდება აგრეთვე ყბა-ყურა ჯირკვლების ლიმფურ კვანძებში და
საერთო საძილე არტერიის გაორკაპების არეში.

ღ ი ა გ ნ ო ს ტ ი კ ა დამყარებულია გამოკვლევის კომპლექსურ მეთოდე-
ბზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექიმის პირად გამოცდილებას. ციყნებთ
რადიომეტრიას, საჭიროა მელანურიის განსაზღვრა.

მ კ უ რ ნ ა ლ ბ ა . მელანომის მკურნალობის შესახებ არსებობს ამრ-
თა სსკადასსკაობა. მოწოდებულია მკურნალობის ქირურგიული, სხიური და
კომბინირებული მეთოდები. ქირურგიული მეთოდის მომხრენი, აღიარებენ,
რა ამ მეთოდის მნიშვნელობას, ამავე დროს მიუთითებენ რიგ საპრობლემო

საკითხებზე, როგორცაა: ოპერაციის მოცულობა, ოპერაციის ტექნიკური მხარე (ელექტროექსიზია და სხვა), ლეფექტის შეესების საკითხი (პლასტიკა), როგორია რეგიონული ლიმფური კვანძების მიმართ ჩარევის საკითხი.

მიღებულია სხივური მკურნალობის ახლოფოკუსიანი მეთოდი, დასხივების დიდი ღოზებით, სიმსივნის ირგვლივ მდებარე ჯანმრთელი ქსოვილების დაცეით. დასხივების ჯამური ღოზაა 12.000-16.000 რენტგენი. ფრაქციული დასხივება გრძელდება 4-5 კვირა.

კომბინირებული მკურნალობა გარდება ორ ეტაპად: I ეტაპი – სიმსივნის ახლოფოკუსიანი დასხივება 10.000-12.000 რადი. ამავე ღროს გარდება პროფილაქტიკური დასხივება ყელის ლიმფური კვანძების (გამა სხივები 3000-4000 რადი).

II ეტაპი – კანის სხივური რეაქციის ჩაქრობის შემდეგ უნდა ჩატარდეს ოპერაციული ჩარევა, ოპერაცია კი გულსხმობს პირველადი კერის ფართო ამოკვეთას და რეგიონული ლიმფური კვანძების ამოკვეთას. ოპერაციული ჩარევა შესაძლებელია დასხივებიდან 3-3,5 კვირის შემდეგ.

მელანომის ქიმიოთერაპიამ იმელები ვერ გაამართლა სიმსივნის თავისა და სახის არეში ლოკალიზაციის ღროს.

ტ უ ჩ ი ს კ ი ბ ო . ტუჩის კიბო გვხვდება 3-8% შემთხვევაში. უფრო ხშირია მამაკაცებში და სოფლის მაცხოვრებელთა შორის. ვითარდება წითელი ყაეთნის მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელისაგან, ამიტომ იწოდება როგორც ბრტყელუჯრედოვანი კიბო. გვხვდება ორი ფორმით: 1. გარქოვანებადი, ახასიათებს შედარებით ნელი ზრდა (მცოცავი) ზედაპირულად, ხოლო შემდეგ ჩაიზრდება ღრმად, გვიან იძლევა მეტასტაზებს. 2. გაურქოვანებადი ფორმა ხასიათდება სიმსივნის სწრაფი ზრდით, დაწყულულებით, სწრაფი მეტასტაზირებით. ტუჩის კიბო ხასიათდება რამდენიმე თავისებურებით.

1. სიმსივნე უფრო ხშირად გვხვდება ქვედა ტუჩზე, რასაც ზოგი ავტორი ხსნის გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით და იმით, რომ ქვედა ტუჩზე მცირე რაოდენობითაა ქონის გამომყოფი ჯირკვლები, რომლებიც აპოხიერებენ ტუჩის ზედაპირს.

2. ტუჩის კიბოსათვის დამახასიათებელია მეტასტაზები რეგიონულ ლიმფურ კვანძებში. სიმსივნის შუა ხაზზე არსებობის ღროს მეტასტაზები ვითარდება ორივე მხარეზე, სხვა შემთხვევაში კი შესაბამის მხარეზე. მეტასტაზები მოშორებით ორგანოებში ძალზე იშვიათია.

3. ტუჩის კიბო უჩნდებათ იმ პირებს, ვინც ხანგრძლივად მუშაობს ღია გარემოში – გარეთ.

კ ლ ი ნ ი კ ა . კლინიკური სურათი დამოკიდებულია ავადობის ფორმაზე. დასაწყისში ისინჯება მომკერივო კონსისტენციის ინფილტრაცი, რომელიც

თანდათან დიდდება და მუარავი კანი იქერცლება, იფარება ქერქით, წარმოიქმნება ლილევა კისებური შემკერივება. ამ ადგილებზე ვითარდება წყლული, რომელიც ღრმადდება, აქვს არასწორი კიდეები და ფსკერი, წყლულის კიდეები ზეაწეულია, გაღმობრუნებული და ინფილტრირებული. პალპაციით უმტკივნეულოა, მომკერიეო კონსისტენციისა, ინფილტრატის საზღვრის გამიჯვნა არ ხერხდება. მეორადი ინფექციის თანდართვის დროს ადგილი აქვს ტკივილს.

ღ ი ა გ ნ ო მ ს ვადგენთ ციტოლოგიური გამოკვლევით და ბიოფსიით.

დიფერენციული დიაგნოზი უნდა გავაგაროთ ტუბერკულოზურ და სიფილისურ წყლულებთან.

ტუბერკულოზური წყლული ყოველთვის მტკივნეულია, აქვს ნაფლეთოვანი კიდეები, ლოკალიზდება უფრო გუჩის ლორწოვან გარსზე. ყბისქეშა ლიმფური კვანძები გადიდება, არის მომკერიეო კონსისტენციის (და არა მკერიეი, როგორც კიბოს დროს). ფილტვებში არის ტუბერკულოზური კერები.

სიფილისური წყლულის ფსკერი ქონიანია, აქვს მკაფიო საზღვრები და ფუძესთან მკერიეი ინფილტრატი. ცალკეული ლიმფური კვანძები გადიდება, მკერიეია. ვასერმანის რეაქცია დადებითია. დიაგნოზს ვაშუსტებთ ბიოფსიური გამოკვლევით.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა გარდება დაავადების კლინიკური ფორმისა და განვითარების სტადიის შესაბამისად. უფრო ეფექტურია მკურნალობის კომბინირებული მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს როგორც ქირურგიულ ამოკვეთას, ისე კისრის ლიმფური აპარატის ამოღებას.

I სტადიის დროს ვაწარმოებთ სიმსივნის ამოკვეთას ჯანმრთელი ქსოვილების ფარგლებში კვადრატული ან ტრაპეციის მაგვარი განაკვეთებით. კარგი კოსმეტიკური ეფექტი მიიღება ნ. ბლოხინის განაკვეთით. დასხივება წარმოებს ახლოფოკუსიანი მეთოდით 400-500 p, ჯამური 5000-6000 რადი.

II სტადიის დროს მკურნალობა ამორჩევითია, ჯერ დასხივება, ხოლო დასხივებიდან 2-3 კვირის შემდეგ სიმსივნის ამოკვეთა და რეგიონული ლიმფური კვანძების ამოღება.

III სტადიის დროს დასაწყისში დასხივება (Co^{60}), თუ სიმსივნური ქსოვილი კიდეე ისინჯება მასში შეიძლება ჩაენერგოთ რადიოაქტიური ნივთიერება. მოგვიანებით (3-6 კვირა), ამოკვეთავეთ სიმსივნეს და ლიმფურ აპარატს).

IV სტადიის დროს ვატარებთ სიმპტომურ მკურნალობას, ეასხივებთ სიმსივნურ ქსოვილს და ემკურნალობთ მეორად ინფექციას. ზოგიერთი აეტორი მიუთითებს გარეთა საძილე არტერიის გადაკვანძვამე, რაც თითქოს ხელს უწყობს სხივური მკურნალობის ეფექტურობის ამაღლებას.

ენის კიბო ყველა ავთვისებიანი სიმსივნეების 2-3% შეადგენს, ამავე

დროს ძნელად სამკერნალო დააეალებათ. უფრო ხშირად გვხვდება მამაკაცებში. ენის კიბოს წარმოშობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კიბოსწინარე დააეალებებს. დააეალება უფრო ხშირად ლოკალიზდება ენის გვერდით ზედაპირებზე, შემდეგ ენის ძირზე. პათოლოგიური პროცესი წარმოადგენილია სამი ძირითადი ფორმით: პაპილური, წყლულოვანი და ენლოფიგური. ენის წინა ნაწილში გვხვდება გარქოკანებადი (მალალდიფერენციული) კიბო. ენის ძირში ძირითადად გვხვდება დაბალდიფერენციურები ული სიმსიენე.

კ ლ ი ნ ი კ ა . დააეალება იწყება შეუქმნიელად, ენის სისქეში შეიმჩნევა უმტკიენეულო შემკერიება ან პაპილომაური წანაზარდი, ზოგჯერ ზედაპირული წყლული, რომელიც თანდათან დიდდება, ნეკროზდება. წყლულის ირგვლივ ვითარდება ინფილტრაცი. ამ ეტაპზე იწყება ტკივილი ლაპარაკის, საკეების მიღების დროს, ენის მოძრაობა შეზღუდულია. რეგიონულ ლიმფურ კენაძებში ვითარდება მეგასტაზები, ლიმფური კენაძები მკერივი კონსტიტენციისაა, უმტკიენეულოა, ნაკლებ მოძრაივი. სიმსიენური ქსოვილის ნეკროზული დამლის ფონზე პირის ღრუდან აღიქმება მყრალი სუნი, ნერწყვის დენა, პერიოდულად სისხლის დენა. აღინიშნება პირის გაღების შეზღუდება.

დ ი ა გ ნ ო ზ ი ს დ ა დ გ ე ნ ა კლინიკური მონაცემების საფუძველზე ძნელი არ არის. დიაგნოსტიკა გაძნელებულია დააეალების დასაწყის სტადიაში. საჭიროების შემთხვევაში მიემართავეთ ციგო-მორფოლოგიურ გამოკვლევას და ბიოფსიას.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა . ენის კიბოს მკურნალობა გარდება კომბინირებული მეთოდით. პირველ ეტაპზე ვეგარებთ დისტანციურ გამათერაპიას, დასხიეებიდან 2-3 კერიის შემდეგ ელექტრო დანით ამოკევეთავეთ ენის ნაწილს. ენის ქსოვილის რეზექციის მოკელობა დამოკიდებულია დააეალების განვითარების სტადიაზე. I და II სტადიის დროს ამოკევეთავეთ ენის ნახეარს, III სტადიის დროს კი ვეგარებთ გაფართოებულ რეზექციას. ამავე დროს ვეგარებთ ლიმფური კენაძების ამოღებას (ვენახის ან კრაილის ოპერაციას).

ქ ე ე დ ა ყ ბ ი ს კ ი ბ ო უფრო ხშირია, ვიდრე ქვედა ყბის სარკომა. ვარჩევეთ დააეალების ორ ფორმას: 1. პირველადი კიბო, როღესაც სიმსიენე ლოკალიზდება ქვედა ყბის ძეალში ნებისმიერ ადგილზე, 2. მეორადი კიბო, როცა სიმსიენე ყბის ძეალზე გადადის პირის ღრუს ლორწოვანი გარსიდან; ალვეოლური მორჩის, ლოყის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსიდან ან მეზობელი ორგანოებიდან.

პირველადი სიმსიენე მოიცავს ორ ფორმას: "მიდაალვეოლური" და "ენგრალური". სიმსიენის განვითარების პირველწყაროდ განიხილავენ ყბის ძეალში არსებულ ემბრიონული წარმოშობის ეპითელიური უჯრელების კუნძულაკებს (მალასეს უჯრელები).

კ ლ ი ნ ი კ ა . პირველადი, "მიდაალვეოლური" კიბოსათვის დასაწყისში დამახასიათებელია უმტკიენეულო შესქელება ღრძილების არეში, მოგვი-

ანებით აღიქმება ტკივილი, კბილები თითქოს ზეით იწვეს და ირყევა. დააქალდება ამ პერიოდში წააგავს ჰიპერტროფულ გინგივიტს, მაგრამ სიმპტომების სწრაფი განვითარება მიუთითებს აუთისებთან შრდაზე. ზოგჯერ ექიმი ამოილყებს ასეთ კბილებს, მაგრამ ჰრილობა არ ხორცდება. ყბის ქვეშა ლიმფური კვანძები გადილებულია, მაგრამ როგორც მეტასტაზები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული (მცირედ მეტაენეულია, არ არის მეკრიცი, არ არის შეხორცელები, მოძრავია). სიმსიენე წყლულდება და იშლება, თან ერთვის მეორადი ინფექცია. ზოგჯერ სიმსიენე ვითარდება, როგორც სოკო, იწყება კბილების აღრული მორყევა და ამოვარდნა, სიმსიენე სწრაფად იზრდება და იღებს ეპულისის ფორმას. ორივე შემთხვევაში საჭიროა რენტგენოლოგიური გამოკვლევა.

პირველადი "ენგრალური" კიბოს დადგენა შედარებით ძნელია, რადგან არა აქვს გამოხატული სიმპტომოკომპლექსი. სიმსიენის მრდის პროცესში ვითარდება ყბის ძელის ლეფორმაცია, ნიკაპის არეში უფრო აღრუ. სიმსიენე შეიძლება დააწვეს ქვედა ალვეოლურ ნერვს და გამოიწვიოს დასაწყისში ტკივილი, ხოლო მოგვიანებით ანესთეზია (ენსანის ნიშანი). სიმსიენე სწრაფად იშლება და წარმოიქმნება დიდი ზომის წყლულები. შეიძლება განვითარდეს კონგრაქტურა და ყბის პათოლოგიური მოგეხილობა. რენტგენოლოგიურად დასაწყისში აღინიშნება ღრუბლოვანი ნივთიერების დაშლა, შემდგომში კორგიკალური ფირფიცისა. დიაგნოზის დასადაგენად ვიყენებთ რადიონიდიკაციურ მეთოდს $P^x 0,3-0,5$ მიკროკიური 1 კგ წონაზე. ფოსფორი გროვდება სიმსიენურ ქსოვილში.

რეტრომოლარულ არეში მდებარე კიბო მიმდინარეობს უფრო მძიმედ, ვრცელდება ხახის, რბილი სასის, ქვედა ყბის გოგისა და შიგნითა მედი-ალური კუნთის მიმართულებით.

ზედა ყბის კიბო. ზედა ყბის აუთისებთან სიმსიენეები საშუალოდ 4% შეადგენენ. ლოკალიზაციის თავისებურების გამო გამოსაკვლევად ძნელია, რენტგენოლოგიური გამოკვლევა კი ყოველთვის არ იძლევა დადებით შედეგს.

დიაგნოზის დადგენა ხერხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვითარდება ლეფორმაცია, ორგანოს ცლომა და სხვა სიმპტომები.

უფრო ხშირად ზედა ყბის კიბო ვითარდება პაიმორის ღრუს ლორწოვანი გარსის ეპითელური უჯრულებისაგან.

კლინიკა. პაიმორის ღრუს ლორწოვანი გარსიდან ვითარდება კიბო, დაავადება საკმაოდ ხშირია. აყადმყოფთა დიდი უმრავლესობა მიუთითებს სხვა და სხვა ხასიათის ტკივილზე. ტკივილი აღიქმება ზედა ყბის არეში და ვრცელდება თავის მიმართულებით. ცხვირის ნესგოდან ადგილი აქვს სისხლოვან-ჩირქოვან გამონადენს, ცრემლის დენას დაავადების მხარეზე. ზოგჯერ აღინიშნება მგრძობელობის დაქვეითება ლოყის არეში და შეშუქება.

კლინიკურ-ანატომიურად ზედა ყბა იყოფა 4 სექტორად: 1. ზედა უკანა შიგნითა, 2. ზედა უკანა გარეთა, 3. ქვედა წინა შიგნითა, 4. ქვედა წინა გარეთა.

თვითოეული სექტორისათვის დამახასიათებელია შესაბამისი კლინიკური სურათი.

ზედა უკანა შიგნითა სექტორში განვითარებული სიმსივნის ღიაგნობის დადგენა საკმაოდ ძნელია და ხდება დაავადების განვითარების მოგვიანებით სტადიაში. სიმსივნური პროცესი ვრცელდება თვალბუდეში და იწვევს თვალის კაკლის ცლომას წინ და ლატერალურად, თვალის კაკლის მოძრაობა შეზღუდულია. მხედველობა შენარჩუნებულია. სიმსივნის ცხვირის ღრუში ჩაზრდის შემთხვევაში გაძნელებულია სუნთქვა, ცხვირიდან ადგილი აქვს სისხლნარევე მყრალსუნთან გამონადენს. დაცხრილულ ფირფიტაზე გაერცელების შემთხვევაში აღინიშნება ეგზოფთალმი და მხედველობის ნერვის ატროფია. დაავადების თანმხლებია თავის ტკივილი და ტკივილი სამწვერა ნერვის მეორე ტოტის საინერვაციო ზონაში.

ზედა უკანა გარეთა სექტორში, სიმსივნისათვის დამახასიათებელია აღრეული ეგზოფთალმი, თვალის კაკლის ცლომა შიგნით, დიპლოპია, ქუთუთოების შეშუპება, რაც იწვევს თვალის ნაპრალის შევიწროებას. რბილი ქსოვილების შეშუპება მაგულობს, ვითარდება სახის ასიმეტრია. აღიქმება ძლიერი ტკივილი მეორე ტოტის საინერვაციო ზონაში, პრემოლარებისა და მოლარების არეში. სიმსივნე ვრცელდება ფრთა-სასის ფოსოში, ამიანებს ევსტაქის მილს და იწყება ტკივილი ყურის არეში, იწვევს ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვას.

ქვედა წინა შიგნითა სექტორში სიმსივნე უფრო აღრეულ სტადიაში გამოქვადენდება. პათოლოგიური პროცესი ვრცელდება ალვეოლურ მორჩზე, მაგარ სასაზე და შლის მას. სიმსივნე ჰაიმორის ღრუს წინა კედლის დაშლის შემდეგ ჩაიზრდება ლორწოვან გარსში. აღინიშნება კბილების მორყევა და მოცვენა, ადგილი აქვს სისხლდენას. კბილბუდეებიდან იზრდება გრანულაციური ტიპის ქსოვილი, ალვეოლური მორჩი რბილდება. ცხვირ-ტუჩის ნაოჭი გასადავებულია, ცხვირიდან სუნთქვა გაძნელებულია.

ქვედა წინა გარეთა სექტორიდან სიმსივნე ვრცელდება ქვედა ყბის სახსრის არეში, ასწვრივ ტოტზე და გადადის ნუმურა ჯირკვლებზე. ცხვირ-ხახის გვერდით კედელზე. პირის გაღება შეზღუდულია. სიმსივნე შეიძლება ჩაიზარდოს გარეთა საძილე არტერიის სისტემაში და მოგვეყვს ძლიერი სისხლდენა.

დაავადების კლასიფიკაცია. მოგვეყავს მელნიკოვის (1957) მიერ მოწოდებული კლასიფიკაცია:

I სტადია – სიმსიენე იმყოფება მხოლოდ პაიმორის ღრუში, ძელოვანი ქსოვილის დესტრუქცია არ არის, მეტასტაზები არ არის.

II სტადია – სიმსიენე იწვევს პაიმორის ღრუს ძელოვანი ქსოვილის კეროვან დესტრუქციას, მაგრამ არ გამოდის პაიმორის ღრუდან.

III^ა სტადია – სიმსიენე ვრცელდება პაიმორის ღრუს ირგვლივ მდებარე ქსოვილებზე – პირის ღრუ, ცხვირის ღრუ, დაცხრილული ლაბირინტი და სხვა.

III^ბ სტადია – სიმსიენე შედარებით პატარა ზომისაა, მაგრამ რეგიონულ ლიმფურ კვანძებში მეტასტაზებია.

IV სტადია – სიმსიენე დიდი ზომისაა, მრავლობითი მეტასტაზებია რეგიონულ ლიმფურ კვანძებში.

დიაგნოზის დადგენა გაძნეებულია განსაკუთრებით დაავადების დასაწყის სტადიაში. საჭიროა ავადმყოფის კომპლექსური შესწავლა: ანამნეზური მასალის გულმოდგინე ანალიზი, ობიექტური გამოკვლევა, ინსტრუმენტული (რინოსკოპია) და რენტგენოლოგიური გამოკვლევა (ტომოგრაფია), ციტოლოგიური და ბიოფსიური მასალის შესწავლა, პაიმორის ღრუს კონტრასტული რენტგენოგრაფია და საჭიროების შემთხვევაში ღრუს სადიაგნოსტიკო გახსნა.

დიფერენციული დიაგნოზი უნდა გაეაგაროთ სარკომასთან, ქრონიკულ პაიმორიტთან, ქრონიკულ ოსტეომიელიტთან, ოღონტოგენურ კისტასთან.

მკურნალობა კომბინირებულია და შედგება შემდეგი ძირითადი მომენტებისაგან: 1. პირის ღრუს წინასწარი სანაცია, 2. ოპერაციის წინა ორთოპედიული მომზადება, 3. ზედა ყბის რეზექცია, 4. ლიმფური აპარატის ამოკვეთა. დასხივების წინ საჭიროა გარეთა საძილე არტერიის ორმხრივი გადაკვანძვა.

ოპერაციის წინა დასხივებიდან (გამა თერაპია) 3-5 კვირის შემდეგ მივმართავთ ოპერაციულ ჩარევას.

სარკომა. შემეერთებულქსოვილოვანი ჯგუფის ავთვისებიანი სიმსიენეებიდან ყბა-სახის არეში შეიძლება განვითარდეს სარკომები: ფიბროსარკომა, მიქსოსარკომა, ქონდროსარკომა, ოსტეოგენური სარკომა, რეტეკულოსარკომა, ანგიოსარკომა, ჰემანგიონდოთელიომა.

განსხვავებით ეპითელური წარმოშობის ავთვისებიანი სიმსიენეებისა, სარკომები გვხვდება უფრო ახალგაზრდა ასაკში. სიმსიენის მეტასტაზები ძირითადად ვრცელდება ჰემატოგენური გზით. სიმსიენის კლინიკური გამოვლინება დამოკიდებულია სიმსიენის ლოკალიზაციაზე. ძელოვანი წარმოშობის სარკომები (ცენტრალური ლოკალიზაცია) აღრეულ პერიოდში ხასიათდება ყრუ ხასიათის ტკივილით, განსაკუთრებით ღამით, მოგვიანებით ტკივილი იღებს მუდმივ ხასიათს. გამომჟღავნდება კბილების მორყევა, ძელოვანი ქსოვილის გამოზურცვა-დეფორმაცია. ზედა ყბაზე ლოკალიზაციის

დროს ადგილი აქვს ცხვირიდან სველ გამონადენს, სუნთქვის გაძნელებას, ეგზოფთალმს. ქვედა ყბის სიმსივნის დროს აღრეულ ნიშანს წარმოადგენს ტუჩისა და ნიკაპის არეში კანის მგრძნობელობის მოშლა, მოგვიანებით ასესთოზია (კენსანის ნიშანი), რენტგენოლოგიური გამოკვლევით აღინიშნება ძელოვანი ქსოვილის დესტრუქცია. პერიფერიული სარკომების დროს დაავადების აღრეული სიმპტომია ყბის ძელის შესქელება-დეფორმაცია, ალუკოლური მორჩის ლორწოვანის დაწყლულება იწყებს სისხლდენას საკეების მიღების დროს, იწყება კბილების მორყევა. მოგვიანებით აღწევს რა დიდ ზომებს, იწყებენ სუნთქვის, ლუჭვის ფუნქციების მოშლას, ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვას.

რბილ ქსოვილებში სარკომა იწყებს განვითარებას ინფილტრაციის სახით, რომელიც სწრაფად იზრდება და ხდება ნაკლებ მოძრაეი. სარკომას ახასიათებს ექსპანსიური ზრდა, იზრდება უფრო სწრაფად, ეიღრე კიბო. დაავადების ყველა შემთხვევაში საჭიროა მორფოლოგიური გამოკვლევა სიმსივნის ილენგიფიკაციისა და მკურნალობის რაციონალური მეთოდის განსაზღვრისათვის.

ფ ი ბ რ ო ს ა რ კ ო მ ა ვითარდება ძელის გენისის შემაერთებელქსოვილოვანი სტრომისაგან, ძელისსაზრდელას ელემენტებისაგან. სიმსივნის ქსოვილოვანი სტრუქტურა წარმოადგენილია ფიბრობლასტების, კოლაგენური და რეტიკულური ბოჭკოების პროლიფერაციით. სიმსივნე მდგრადია სხივური მკურნალობისაღმე, ამიტომ ძირითადი მეთოდი მკურნალობისა არის ქირურგიული.

მ ი ქ ს ო ს ა რ კ ო მ ა შედგება პოლიმორფული უჯრედების პროლიფერაციული მასისაგან, აქვთ ვარსკელავის უჯრედის ფორმა. სიმსივნე დასხივებისაღმე მდგრადია, ასევე ძნელად ემორჩილება ქიმიოთერაპიას. მკურნალობის ძირითადი მეთოდია – ქირურგიული.

ქ ო ნ დ რ ო ს ა რ კ ო მ ა წარმოადგენს ხრტილოვანი ქსოვილის სიმსივნეს. პერიფერიული ქონდროსარკომა უფრო ხშირად გვხვდება ზედა ყბის წინა ნაწილში. სიმსივნის სტრომაში შეიძლება შეგვხვდეს ჩაკირული კერები, რომლებიც რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს გეაძლევენ წერილკეროვან ჩრდილებს, დასხივებისაღმე მდგრადია, მკურნალობა ძირითადათ ქირურგიულია – სიმსივნის ამოკვეთა.

ო ს ტ ე ო გ ე ნ უ რ ი სარკომა ვითარდება ოსტეობლასტების წინამორბედი უჯრედებისაგან. განარჩევენ ოსტეოლიზურ, ოსტეობლასტურ და შერეულ ფორმებს. ქვედა ყბის დაავადების დროს შეიძლება ჩამოყალიბდეს პათოლოგიური მოგვიწილობა. ოსტეოგენური სარკომა ვითარდება სწრაფად, აღრე იძლევა მეტასტაზებს ძელოვან ქსოვილში, ფილტვებში, ნაკლებ მგრძნობიარეა დასხივებისაღმე. საჭიროა დროული რადიკალური ქირურგიული მკურნალობა.

რ ე ტ ი კ უ ლ ო ს ა რ კ ო მ ა ვითარდება ძელის გენის რეგიკულური შემაერთებული ქსოვილისაგან, მისი შემადგენელი უჯრედოვანი ელემენტები უფრო მაღალდიფერენცირებულია, ვიდრე იუნგის სარკომის დროს. ახასიათებს უფრო ნელი ზრდა. შენელებული მეტასტაზირება. სიმსიენე ძალიან მგრძნობიარეა დასხივებისადმი. ამიგომ დასხივება არის სიმსიენის მკურნალობის ძირითადი მეთოდი. ასევე მისაღებია ქიმიოთერაპია. მოჯჯერ მიმართავენ სიმსიენის ქირურგიულ ამოკვეთას.

ავთვისებიანი სიმსიენეების მკურნალობის ძირითადი პრინციპები

სიმსიენეების მკურნალობა პირობითად შეიძლება დავეყოთ ორ ძირითად მეთოდს: ქირურგიული და თერაპიული (კონსერვატიული), თვითოეულ მეთოდს გააჩნია თავისი ჩვენება. მკურნალობის მეთოდის არჩევა დამოკიდებულია სიმსიენის ბიოლოგიურ არსზე და გასათვალისწინებელია როგორც ადგილობრივი ისე, მოგადი ფაქტორები. ადგილობრივ ფაქტორებს განეკუთვნება: 1. სიმსიენის ლოკალიზაცია და დაავადებული ორგანოს ფიზიოლოგიური მდგომარეობა. 2. ორგანოს დაზიანების სიღრმე და გავრცელება, მეტასტაზების არსებობა ახლო და შორს მდებარე ლიმფურ კვანძებში, 3. სიმსიენის ანატომიური ტიპი, 4. სიმსიენის ჰისტოლოგიური შენება და ანაპლაზიის ხარისხი. მოგად ფაქტორებს განეკუთვნება: 1. აუადმყოფის ასაკი, 2. თანმხლები დაავადებები, 3. სასიცოცხლო ორგანოების ფუნქციური მდგომარეობა. აუადმყოფის პრაქტიკული განკურნება დამოკიდებულია დაავადების განვითარების დასაწყის სტადიაში ჩატარებულ მკურნალობაზე.

ონკოლოგიურ აუადმყოფთა მკურნალობა შეიძლება იყოს რადიკალური, პალიატიური და სიმპტომური. რადიკალურად ითვლება ისეთი მკურნალობა, როდესაც მკურნალობის შემდეგ სიმსიენური კერები მოსპობილია, პალიატიურია მაშინ, როდესაც მკურნალობის შემდეგ ორგანიზმში რჩება სიმსიენური კერები. სიმპტომური მკურნალობა ითვალისწინებს დაავადების მძიმე სიმპტომების (ტკივილი, პირიდან მყრალი სუნი და სხვა) მოხსნას.

მკურნალობის ქირურგიული მეთოდებიდან გამოიყენება: ელექტროქირურგია, კრიოქირურგია, ლაზერის სხივები. ელექტროქირურგია მოიცავს სიმსიენურ ქსოვილებზე ზემოქმედების ორ სახეს: ელექტროექსციზია – ელექტროდანით სიმსიენის ამოკვეთა და ელექტროკოაგულაცია – სიმსიენური ქსოვილის დაწვა. უფრო ხშირად გამოიყენება კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობა: ქირურგიული, დასხივება და მათი კომბინაცია.

ქირურგიული მკურნალობის დროს სიმსივნისადმი მიდგომა შეიძლება იყოს: პირის ღრუდან, გუჩების გაკვეთით, ლოყების გაკვეთით, ქვედა ყბის გაკვეთით და სხვა. მარტო ქირურგიული მკურნალობა არ არის საკმაოდ ეფექტური, ისე როგორც მარტო დასხივება.

დასხივებისათვის გამოიყენება მაღალი ენერჯის სხივები, უფრო ეფექტურია გარეგანი და შინაგანი დასხივება. რეგიონული მეტასტაზების ამოღებაზე არ არის ერთიანი აზრი, ზოგი აცხადებს მიუთითებს სიმსივნის და მეტასტაზების ამოღებაზე. სხვები მიუთითებენ, რომ მეტასტაზების ამოღება შეიძლება ოპერაციიდან 6-7 დღის შემდეგ, ან ორი კვირის შემდეგ. რეგიონული ლიმფური კვანძების ამოსაღებად მოწოდებულია ვანახის და კრაილის ოპერაცია.

ქიმიოთერაპია გამოიყენება იმ სიმსივნეების მიმართ, რომლებიც მკვრივობიარეა ან პრეპარატების მიმართ. მკურნალობის ეფექტი დამოკიდებულია არა მარტო მკვრივობაზე, არამედ სიმსივნური კერის მასაზე და გავრცელებაზე. ქიმიოთერაპია შეიძლება გამოიყენებული იქნას არა მარტო, როგორც დამოუკიდებელი მეთოდი, არამედ სხვა მეთოდებთან კომბინაციაში.

შემოსაზღვრული ავთვისებიანი სიმსივნის (T_1 , T_2) ლოკალიზაციის შემთხვევაში გამოიყენება გიპიური ქირურგიული ოპერაციები:

1. ქვედა გუჩის სწორკუთხოვანი რემექცია. ოპერაცია ტარდება გუჩის წითელი ყაეთნის კიბოს ინფილტრაციის სტადიაში. მეთილენის ხსნარით შემოვსაზღვრავთ ამოსაკვეთი სიმსივნის ზონას, ისე რომ განაკვეთი გაიღოს გუჩის ჯანმრთელი ქსოვილების ფარგლებში (სიმსივნური ინფილტრაციიდან 1,5-2 სმ. დაშორებით). გაუტკივარება – ზოგადი ან ადგილობრივი. დასაწყისში ვატარებთ ორ ვერტიკალურ განაკვეთს ელექტროდანით, გუჩის არტერიის მიჭყლეტის ფონზე, შემდეგ ჰორიზონტალურ განაკვეთს ისე, რომ მივიღოთ სწორი კუთხე ორივე მხარეზე. ქსოვილების მობილიზაციის მიზნით ჰორიზონტალურ განაკვეთს ვაგრძელებთ მარჯვნივ და მარცხნივ. სრული პემოსტაზის შემდეგ ჭრილობის კიდეებს მიუახლოვებთ და შრეობრივად გავეკრავთ.

2. ენის ნაწილობრივი რემექცია ნაჩვენებია სიმსივნის ენის წინა ან გვერდით მელაპირზე მდებარეობის დროს. გაუტკივარება ზოგადი, ენდოტრაქეალური ნარკოზი ცხვირის გზით. ენის წვერი უნდა ავიღოთ შუა ხაზიდან მარჯვნივ და მარცხნივ ორ მსხვილ აბრეშუმის ძაფზე, მესამე ძაფით უნდა ავიღოთ ენის ძირის დაავადებული მხარე. ენის წინა მესამედში დაღებული ორი ლიგატურით ენას გამოვწვეთ წინ და ელექტროდანით ენის შუა ხაზიდან ჩავეჭრით ენის ძირის მიმართულებით. მოვეძებნით ენის

ღრმა არტერიას დაავადებულ მხარეზე და გადაეკვანძავეთ. სიმსივნურ ქსოვილს ამოეკვეთათ ენის ძირში ჯანმრთელი ქსოვილების ფარგლებში. სრული პემოსტამის შემდეგ ჭრილობას გაეკერავეთ ყრუდ.

3. ქვედა ყბის ნაწილობრივი რეზექცია ეგზარტიკულაციით. ოპერაცია გარდება ქვედა ყბის პირველადი კიბოს ღროს. გაუტკივარება — ენდოგრაქეალური ნარკოზი. ვაკევეთავთ ქვედა ტუჩს შუა ხაზზე, განაკვეთს გაეაგრძელებთ ქვედა ყბის ქვედა კიდეს ქვევით, გაეკვეთავთ კანს, კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილს. გადაეკვანძავეთ გარეთა საძილე არტერიას. გაეკვეთავთ პირის ღრუს ლორწოვან გარსს პირის კარიბჭისა და ენის მხრიდან. გადაეკვეთათ საღეჭი კუნთის და შიგნითა ფრთისებრი კუნთის ბოჭკოებს მიმაგრების ადგილზე. ჯიჯლის ხერხით გაეხერხავეთ ქვედა ყბის ძვალს შუა ხაზის ადგილზე, სიმსივნიდან 3 სმ. დაშორებით. ოსტეოტომირებულ ქვედა ყბის ნაწილს გაათავისუფლებთ რბილი ქსოვილებისაგან და ამოვიღებთ ყბის ძვალს. სრული პემოსტამის შემდეგ ჭრილობას გაეკერავეთ ყრუდ. ქვედა ყბის დარჩენილ ნაწილს არგამნის დახმარებით ვაფიქსირებთ ცენტრალური ოკლუზიის მდგომარეობაში. ამ ოპერაციის ღროს ერთ მომენტად ვიღებთ ლიმფურ აპარატსაც.

4. ზედა ყბის რეზექცია. ეს ოპერაცია ნაჩვენებია იმ შემთხვევაში, როდესაც სიმსივნური პროცესი არ ვრცელდება მეზობელ ორგანოებზე. გაუტკივარება ენდოგრაქეალური ნარკოზი. ვატარებთ ვებერისა და კოხერის განაკვეთებს. განაკვეთი გაივლის ზედა ტუჩის ღარის შუა ნაწილში, შემოუვლის ცხვირის ფრთას, გრძელდება ცხვირის გვერდით კედელზე, გაივლის ორბიტის ქვედა კიდეზე ყვრიმალის ძვლამდე. გაიკვეთება კანი, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი, რომელიც ამრეველება ძვლის საზრდელისაგან. პირის ღრუში განაკვეთს ვატარებთ ზედა ყბის გარდამავალ ნაოჭზე, რბილი ქსოვილები ამრეველება, გადაეკვეთავთ ინფრაორბიტულ ნერვსა და არტერიას. ამოვიღებთ ცენტრალურ საჭრელ კბილს, გაეკვეთავთ მაგარი სასის ლორწოვან გარსს, გამოვიყოფთ რბილ სასას, მაგარი სასის ლორწოვანი გარსისაგან, ვატარებთ ოსტეოტომიას ამოღებული კბილზეუდან მაგარ სასის შუა ხაზზე, სასის ძვალს ვავთიშავთ ძირითადი ძვლის ფრთისებრი მორჩისაგან. ვავთიშავთ ზედა ყბის ძვალს ყვრიმალის ძვლისაგან. თუ თვალბუდის ქვედა კიდე არ არის სიმსივნის ზონაში, მას ვინარჩუნებთ. განცალკევებულ ზედა ყბის ძვალს ამოვიღებთ. ოპერაციის ღროს მოსალოდნელია სისხლდენა, ამიტომ სიმსივნის ბლოკური ამოღების შემდეგ საჭიროა ჭრილობის დაგამპონება 5-10 წუთით. შემდეგ გამპონს ამოვიღებთ და სისხლმდენ სისხლძარღვებს მიეწვავთ ან ჩავატარებთ მათ ლიგირებას. ჭრილობაში შეგვაქვს იოლოფორმის დოლბანდი, რომელსაც ვაფიქსირებთ დამკველი ფირფიტით. დოლბანდს გამოვიყვლით მე-8 — მე-10 დღეს. ჭრილობის შეხორცების შემდეგ საჭიროა რთული პროტეზირება.

აქ მოყვანილი ოპერაციები განეკუთვნება რთულ კატეგორიათა რიგს, იწვევს სხვა ორგანოების ფუნქციურ მოშლილობას, დიდ ფსიქო-ემოციურ გავლენას ახდენს მთელ ორგანიზმზე, ამიტომ რიგი ავტორები მიმართავენ რბილი და მავარი ქსოვილების პირველად პლასტიკას. ყბა-სახის ონკოლოგიური ავადმყოფები მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მოელისა და კვების საკითხებში.

ოცდამეშვიდე თავი

სანერწყვე ჯირკვლების სიმსივნური დაავადებები

სანერწყვე ჯირკვლების სიმსივნეების გავრცელების შესახებ ამრთა სხვაობაა. ნაუშოვის მიხედვით ეს დაავადება 1-2% შემთხვევაში გვხვდება. ეგუბაიდულინას ამრით კი 20% შეადგენს.

მიღებულია დაავადების ასეთი კლასიფიკაციური სქემა: სანერწყვე ჯირკვლების ეპითელური წარმოშობის სიმსივნეები და არა ეპითელური სიმსივნეები. თვითოეულ ჯგუფში შედის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები.

I. ეპითელური – კეთილთვისებიანი (მომწიფებელი): 1. აღენომა, 2. აღენოლიმფომა, 3. შერეული სიმსივნე (პოლიმორფული აღენომა), 4. მუკოეპიდერმოიდული სიმსივნე. ეპითელური – ავთვისებიანი (უმწიფარი ფორმები): 1. მუკოეპიდერმოიდული კიბო, 2. აღენოიდურ-კისტოზური კარცინომა (ცილინდრომა), 3. კიბო.

II – არაეპითელიური – კეთილთვისებიანი (მომწიფებელი). 1. ანგიომა, 2. ნევრინომა, 3. ლიპომა.

არაეპითელიური – ავთვისებიანი (უმწიფარი) – სარკომა.

აღსანიშნავია, რომ სიმსივნური დაავადებები გვხვდება, როგორც დიდ სანერწყვე, ისე მცირე სანერწყვე ჯირკვლებში. უფრო ხშირია ყბა-ყურა სანერწყვე ჯირკვლის სიმსივნური დაავადებები. სანერწყვე ჯირკვლების სიმსივნური დაავადების გამოსაკვლევად ვიყენებთ გამოკვლევის კლინიკურ და ლაბორატორიულ მეთოდებს. სიმსივნის მორფოლოგიური ვერიფიკაცია ხდება ციტო-მორფოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე (ნაცხის, პუნქტაგის, ბიოფსიური მასალის გამოკვლევა).

აღენომა (მონოფორმული აღენომა), კეთილთვისებიანი მაღალლიფერენცირებული სიმსივნეა, იზრდება ნელა, ვითარდება ჯირკვლის ნერწყვის გამომტანი სადინარების ეპითელური ქსოვილისაგან. პალპაციით უმტკივნეულოა, სიმსივნის ზედაპირი სადაა. დასხივებისაღმი მგრძობიარე არ არის. ქირურგიული მკურნალობა ითვალისწინებს სიმსივნური

ქსოვილის გამოყოფას და ამოკვეთას. რეციდივსა და მალიგნიზაციას არ იძლევა.

ა დ ე ნ ო ლ ი მ ფ ო მ ა წარმოადგენს ადენომის პისტოლოგიურ ნაირსახეობას, შედგება ეპითელური სტრუქტურებისაგან (ჯირკელის მაგვარი ქსოვილი), რომლებიც შემოსაზღვრულია ლიმფური ქსოვილისაგან. იზრდება ნელა, პალპაციით უმტკივნეულო, სადა ზედაპირით. განეკუთვნება მომწიფებულ კეთილთვისებიან სიმსივნეთა რიგს, დასხივებას არ ემორჩილება. მკურნალობა ქირურგიულია, სიმსივნური ქსოვილის ამოკვეთა შემაერთებულქსოვილოვან გარსთან ერთად. გარსის ნაწილის დარჩენის შემთხვევაში მოსალოდნელია რეციდივი.

პროგნოზი ყოველთვის კეთილსაიმედოა.

ქ ო ლ ი მ ო რ ფ უ ლ ი ა დ ე ნ ო მ ა ("შერეული" სიმსივნე). უფრო ხშირად ლოკალიზდება ყბა-ყურა სანერწყვე ჯირკვლებში. მის შემადგენლობაში ეპითელური ქსოვილის გარდა შედის ფიბროზული, ხრტილოვანი და სხვა ქსოვილოვანი სტრუქტურები. სიმსივნე კეთილთვისებიანია, იზრდება ნელა, უმტკივნეულოდ, რამდენიმე წელში აღწევს დიდ მომას, მაგრამ სახის ნერვის ფუნქციური მოშლილობა თითქმის არ აღინიშნება, მიუხედავად სახის გამოხატული დეფორმაციისა. პალპაციით უმტკივნეულოა, მომკვრივო-ელასტიური კონსისტენციისა. მუარავე კანი უცვლელი, ნაოჭად აიღება თავისუფლად. ნერწყვის გამოყოფის ფუნქცია მოშლილი არ არის. სიმსივნე მოთავსებულია შემაერთებულქსოვილოვან გარსში, მაგრამ სიმსივნის მოგიერთი ნაწილი უშუალოდ ეკერის მემოზელ ქსოვილებს, რის გამოც ხშირად მოსალოდნელია ოპერაციის შემდგომი რეციდივი.

ღ ი ა გ ნ ო შ ი დადგინდება კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა ქირურგიულია. ყბისქვემა და ვნისქვემა სანერწყვე ჯირკვლების დაავადების შემთხვევაში საჭიროა ჯირკვლების ამოღება სიმსივნესთან ერთად. ყბა-ყურა ჯირკელის სიმსივნური დაავადების დროს საჭიროა სიმსივნური ქსოვილის ძირიანად ამოკაკელა. როდესაც სიმსივნე ღრმად არის ჩაზრდილი ჯირკელის პარენქიმაში, საჭირო ხდება სუბტოტალური ან გოტალური ამოკვეთა სახის ნერვის გოტების აუცილებელი შენარჩუნებით.

მ უ კ ო ე პ ი დ ე რ მ ო ი დ უ ლ ი ს ი მ ს ი ე ნ ე უფრო ხშირად ლოკალიზდება ყბა-ყურა და მცირე სანერწყვე ჯირკვლების არეში (რეტრომოლარული არე, სასის ლორწოვანი გარსი). ახასიათებს ნელი ადგილობრივი ინფიტრაციული ზრდა, უმტკივნეულოა. პალპაციით მომკვრივო-ელასტიკური კონსისტენციისა. კლინიკური მიმდინარეობა ისეთივეა როგორც "შერეული" სიმსივნისა. მორფოლოგიურად განეასხეავებთ სამ ძირითად ფორმას: 1.

მაღალღიფერენცირებული (მომწიფებული), 2. დაბალღიფერენცირებული, 3. ზომიერად ღიფერენცირებული.

მაღალღიფერენცირებული სიმსივნეები თითქმის არ იძლევა მეტასტაზებს რეგიონულ ლიმფურ კვანძებში. დაბალღიფერენცირებული იზრდება უფრო სწრაფად და იძლევა მეტასტაზებს ლიმფურ კვანძებში.

მაღალღიფერენცირებული სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა ყოველთვის კეთილსაიმედო პროგნოზს იძლევა. დაბალღიფერენცირებული სიმსივნეები ემორჩილება სხივურ თერაპიას და გამოიყენება კომბინირებული მეთოდი, ოპერაციის წინ დასხივება და შემდგომში სიმსივნური ქსოვილის ამოკვეთა. მეტასტაზების შემთხვევაში საჭიროა ლიმფური აპარატის ამოკვეთა.

უპითელური-ავთვისებიანი სიმსივნეები ხასიათდებიან აგრესიული ზრდით და გამოსატკბელი კლინიკური მიმდინარეობით, მეტასტაზებით.

აღენოკარცინომა – ავთვისებიანი სიმსივნეა. უფრო ხშირად ლოკალიზდება ყბა-ყურა ჯირკვალში, ახასიათებს ინფილტრაციული სწრაფი ზრდა, შეხორცებულია ირგვლივ მდებარე ქსოვილებთან. ადრე ვითარდება სახის ნერვის პარეზი და პარალიზი, დაავადებას თან ერთვის ტკივილი, სიმსივნური ქსოვილის დამლა. მეტასტაზირება ლიმფურ კვანძებში.

მკურნალობა კომბინირებულია: ოპერაციის წინა დასხივება და შემდეგ ქირურგიული ჩარევა.

აღენოკისტოზური კიბო (ცილინდრომა – ავთვისებიანი სიმსივნეა, უფრო ხშირად ლოკალიზდება მცირე სანერწყვე ჯირკვლებში, იშვიათად ყბა-ყურა სანერწყვე ჯირკვალში. დასაწყისში აღინიშნება შესიება, ნელი ზრდა, უმნიშვნელო ტკივილი. სასაზე სიმსივნე შლის ძელოვან ქსოვილს და შეიძლება ჩაიზარდოს ჰაიმორის ღრუში. მფარავი ლორწოვანი მოლურჯო-ციანოზურია. პალპაციით მომკერივო ელასტიური. დაავადებას ახასიათებს ადრეული მეტასტაზირება ჰემატოგენური გზით, ხშირად ფილტვებში.

მკურნალობა – კომბინირებულია, ოპერაციის წინა დასხივება, შემდეგ ქირურგიული ჩარევა – ამოკვეთა.

არაეპითელური – კეთილვისებიანი სიმსივნეები – ანგიომა, ნევრინომა, ლიპომა, ხასიათდებიან ნელი ზრდით, დასაწყისში ვითარდება შესიება, რომელიც უმტკივნეულოა, სიმსივნური წარმონაქმნი მოძრავი, ელასტიკური კონსისტენციისაა. დიაგნოზის დამუსტება ხდება კლინიკურ ლაბორატორიული გამოკვლევებით.

მკურნალობის თვალთახედვით, ანგიომების მკურნალობა ძირითადად მიმართულია მასკლეროზირებული ნივთიერებას შეყვანით სიმსივნურ კერაში, ასეთად გამოიყენება სპირტი, ურეგანქინინის ხსნარი და სხვა. აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყბა-ყურა ჯირკვალში ასეთი ნივთიერების შეყვანამ შეიძლება გამოიწვიოს სახის ნერვის მყარი დაზიანება.

ნევრიზომა და ლიპომის მკურნალობა ქირურგიულია.

არაეპითელური ავთვისებიანი სიმსივნეებიდან გვხვდება სანერწყვე ჯირკვლების სარკომა.

ს ა რ კ ო მ ა — მოუმწიფებელი, შემაერთებელქსოვილოვანი ავთვისებიანი სიმსივნეა. მორფოლოგიური თვალთახედვით შეიძლება იყოს: ფიბროსარკომა, თითისტარისებურუჯრედოვანი, მრგვალუჯრედოვანი, ლიმფოსარკომა, ანგიოსარკომა და სხვა.

დაავადება დასაწყისში ვითარდება როგორც მცირე ზომის კვანძი, ინიფილტრატი, შემდეგ იწყება ჩაზრდა ირგვლივ მდებარე ქსოვილებში, აღიქმება ტკივილი, შეიძლება თან დაერთოს ქვედა ყბის მოძრაობის შემლუღვა, მოგჯერ სახის ნერვის პარეზი. სიმსივნე იზრდება და გადადის მემობლად მდებარე ქსოვილებზე ჩაიზრდება მათში და შლის. ადრე იძლევა მეტასტაზებს მოშორებით მდებარე ლიმფურ კვანძებში.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა სიმსივნის სახეობის მიხედვით შეიძლება იყოს სხივური, ქიმიური, კომბინირებული. ქირურგიული მკურნალობა ითვალისწინებს სიმსივნისა და ჯირკვლის მთლიან ამოკვეთას სახის ნერვის ტოტებთან ერთად.

ოცდამეოთხე თავი

ყბა-სახის არეს სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნები

ხ ა ლ ი . სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნია, კეთილთვისებიანი, იზრდება ნელა, უფრო ხშირად მოყავისფროა. ვითარდება დერმიდან ან ეპიდერმისიდან. შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი, სახეზე ლოკალიზდება ერთეული ან მრავლობითი ხალები. უფრო ხშირად გვხვდება მცირე ზომის ხალები, იშვიათად გიგანტური. ქრონიკული გაღიზიანების ფონზე შეიძლება განიცადოს უკუგანვითარება.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა ძირითადად ქირურგიულია, საჭიროა ხალის ამოკვეთა მთლიანად. შეიძლება გამოვიყენოთ ელექტროქირურგია, კრიოქირურგია.

კ ე რ ა ტ ო ა კ ა ნ ტ ო მ ა ("კანის რქა") კეთილთვისებიანი სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნია, ლოკალიზდება სახის კანზე სვეტისმაგვარი წანაზარდის სახით, ზომით 1-1,5 სმ. უმიტოვიანეულოა, ელასტიური კონსისტენციის, მკურნალობა-ქირურგიულია.

რ ი ნ ო ფ ი მ ა ცხვირის სიმსივნისმაგვარი დაავადებაა. ლოკალიზდება ცხვირის ხრტილოვანი კანის ქონის გამომყოფ ჯირკვლებში. გვხვდება მამაკაცებში. ვითარდება ნელა, იწყება ცხვირის მუარავი კანის შესქელება, კანი ღებულობს მოლურჯო-ხორკლიან ელფერს, ცხვირის დეფორმაცია იწვევს კოსმეტიკურ სიმახინჯეს, მიმდინარეობს ხანგრძლივად,

წლების მანძილზე. მორთოლოგიურად აღინიშნება ქონის ჯირკვლების ჰიპერპლაზია.

მკურნალობა – ქირურგიულია. მცირე ზომის რინოფიმის შემთხვევაში მივმართავთ პათოლოგიური კერის ფრეზით დამუშავებას და ანტიეპტიკური მალამოებით მკურნალობას. დიდი ზომის შემთხვევაში საჭიროა პათოლოგიური კერის ამოკვეთა და ერთმომენტიანი კანის პლასტიკა.

ათერომა (ეპიდერმალური კისტა). დაავადება ხშირად ლოკალიზდება სახის, კისრის კანის არეში, მრავლობითი კერები აღწერილია თავის თმის ნაწილში, სახის კანზე, უფრო ხშირად გვხვდება ერთეული, თავის თმის ნაწილში კი მრავლობითი. დაავადების განვითარებას წინ უძღვის კანის ქონის გამომყოფი ჯირკვლების სადინარების დახშობა, რის შედეგად გამრყოფილი კერაგინი გროვდება და იწვევს კანის გამოზურცვას. დაავადება მიმდინარეობს უმტკივნეულოდ, თანდათანობით დიდდება. კისტოზური წარმონაქმნი მდებარეობს კანქვეშ და მჭიდროდ არის მასთან შეზრდილი. მფარავი კანი მოგჯერ მოლურჯო ელფერისაა. პალპაციით ცომისებური კონსისტენციისაა, შიგთავსი წარმოდგენილია ფაფისმაგვარი მასით. შეიძლება დაჩირქდეს და წარმოქმნას ფისგულა.

მკურნალობა – ქირურგიულია, საჭიროა კისტოზური წარმონაქმნის თავის გარსით და სადინარით ამოკვეთა – ამოკაკვლა.

მეხვილე ნაწილი

ოცდამეცხრე თავი

ყბა-სახის არეს აღდგენითი ქირურგია

აღდგენითი ქირურგიის მიზანი და ამოცანები, ოპერაციის ჩვენება, უკუჩვენება, დაგეგმვა

ოპერაციები, რომლებიც მიმართულია ორგანოს დაკარგული ფორმის და ფუნქციის აღსადგენად, ცნობილია როგორც აღდგენითი ანუ პლასტიკური ოპერაციები. აღდგენითი ქირურგია არის ქირურგიული სტომატოლოგიის შემადგენელი ნაწილი.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა განვმარტოთ თუ რომელი გერმინია უფრო უფლებამოსილი "პლასტიკური ქირურგია" თუ "აღდგენითი ქირურგია".

იმ პერიოდში, როდესაც ქირურგები ძირითად მიზნად ისახავდნ მხოლოდ ორგანოს ფორმის აღდგენას, ასეთი ოპერაციებისათვის მისაღები იყო გერმინი "პლასტიკური". ეს პერიოდი განისაზღვრებოდა დაახლოებით მე-12 საუკუნემდე. შემდგომ პერიოდში ქირურგების წინაშე დაისახა ამოცანა ორგანოს ფორმის, ფუნქციის აღდგენისა. ოპერაციები, რომელიც

მიზნად ისახავს ორგანოს ფორმისა და ფუნქციის ადღგენას იწოდება ადღგენით ოპერაციებად. ამ აზრს იზიარებს გამოჩენილი რუსი მეცნიერი ნ. მიხეილსონი.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ორგანოს ფორმისა და ფუნქციის ადღგენად გამოიყენება არა მარტო საკუთარი ქსოვილები, არამედ სხვა მასალის გაღანერგვაც, ტერმინი "პლასტიკური" არ არის მისაღები. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ყუბა-სახის ადღგენითი ქირურგია არის ადღგენითი ქირურგიის შემადგენელი ნაწილი, ადღგენითი ქირურგია ქირურგისაგან მოითხოვს დიდ ცოდნას, გამოცდილებას და ხელოვნებას. ადღგენითი ქირურგია აგრეთვე მიზნად ისახავს მედმეტი ქსოვილების მოცილებას და ნორმიდან გადახვევის გასწორებას (ცხვირი, ლოყა, სარძევე ჯირკვავი, მუცელი, ღუნღულო და სხვა).

თანამედროვე ადღგენითი ქირურგია მოითხოვს ქირურგისაგან კლინიკურ აზროვნებას. ქსოვილების სტრუქტურის, ბიოლოგიის, იმუნოლოგიის საკითხების ღრმა ცოდნას.

ადღგენითი ოპერაციების ჩვენება. ადღგენითი ოპერაციების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ავადმყოფის ზოგად მდგომარეობას, მისი კანისა და სხვა ქსოვილების ტურგორს, ელასტიურობას, ადღგენითი ოპერაციების დაგეგმვა არ შეიძლება ორგანიზმის საერთო სისუსტის, სიცხის აწვეის, ცუდი თვითშეგრძნების დროს.

ადღგენითი ოპერაციების წინააღმდეგ ჩვენებაა აქტიური ტუბერკულოზი, ათაშანგის დაუშთაერებელი მკურნალობა, აქტინომიკოზი, კანის დაავადებები, კანქვეშა მცოცავი გრანულომა, მგლურა და სხვა დაავადებები.

სუბფებრილური სიცხეც კი წინააღმდეგჩვენებაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ოპერაციის მრავალეტაპიანობას, გადატანილი დაავადების შემდეგ ოპერაციული ჩარევის ვადები სხვადასხვაა. მაგალითად მგლურას დაავადების დროს აქტიური პროცესის ჩაქრობიდან ნთვის შემდეგ თუ ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა კარგია.

ათაშანგის შემთხვევაში – დაავადებიდან სრული განკურნების შემდეგ. ზოგიერთი ადღგენითი ოპერაცია მოითხოვს მრავალ ჩარევას (6-8 და მეტიც). ასეთი ოპერაციების წინააღმდეგჩვენებაა გულის მანკები, სისხლძარღვთა დაავადებები.

ადღგენითი ოპერაციების ჩატარებისა და გამოსავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ავადმყოფის ნერვულ-ფსიქიკურ მდგომარეობას. დადგენლია, რომ ყუბა-სახის დეფექტებით დაავადებულთა 30%-ს აქეთ ნერვულ-ფსიქიკური მოშლილობანი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ავადმყოფის სათანადო მომზადება (გასაუბრება, ნაოპერაციებ ავადმყოფებთან შეხვედრა და სხვა).

თუ ავადმყოფს უნდა გაუკეთდეს რამდენიმე ოპერაცია, მაშინ საჭიროა

პირველად გაკეთდეს ის ოპერაცია, რომელიც აუცილებლად კარგ შედეგს მოგვცემს. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფის ნდობა მოპოვებულია.

ეს განსაკუთრებით ეხება კანის კოსმეტიკურ ოპერაციებს, რომლებიც უმთავრესად გამოწვეულია ავადმყოფთა ყურადღების პათოლოგიური ფიქსაციით თავის სახისადმი.

იოზეფის მიხედვით ასეთი ავადმყოფები შეადგენენ 4 ძირთად ჯგუფს:

I ჯ გ უ ფ ი : — წარმოდგენილია დაქვეითებული ესთეტიკური გრძნობით, მიუხედავად სახის გამოსატყუი სიმახინჯისა და ქსოვილების დიდი ღუფექისა, ისინი დაწყნარებული არიან და ოპერაციის შემდეგ მიღებული მცირე ეფექტითაც კმაყოფილნი არიან.

II ჯ გ უ ფ ი : — ნორმალური ესთეტიკური გრძნობით — ამ ჯგუფის ავადმყოფები შეგნებულად უდგებიან თავიანთ სიმახინჯეს, მათი მოთხოვნები გონივრულია და დასაბუთებული. ოპერაციის შემდეგ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში სულთ არ ეცემიან. ექიმის მაღლიერი რჩებიან. ასეთია ავადმყოფთა უმრავლესობა.

III ჯ გ უ ფ ი : — წარმოდგენილია არა ნორმალური ესთეტიკური გრძნობით. ავადმყოფები ძლიერ შეწუხებული არიან თავიანთი სიმახინჯით, იმუქრებიან თვითმკვლევობით. ოპერაციის შემდეგ მკურნალობის ეფექტით კმაყოფილი არასოდეს არ არიან. ასეთ ავადმყოფებს უმჯობესია არ გაუკეთდეს ოპერაცია. სჯობს ისინი დავარწმუნოთ ოპერაციის არაეფექტურობაში.

IV ჯ გ უ ფ ს : — შეადგენს ავადმყოფები გაუკუღმართებული ესთეტიკური გრძნობით. ამ ჯგუფში შედის ისეთი ავადმყოფები, რომლებიც მოითხოვენ ორგანოს ბუნებრივი ფორმის შეცვლას, იმიტომ, რომ თვითონ არ მოსწონთ, ან ისინი არ მოსწონთ სხვებს. ასეთ ავადმყოფებს ოპერაციულ ჩარევაზე ყოველთვის უარი უნდა ეთქვათ და თუ ეს შესაძლებელია გაიგზავნონ კონსულტაციაზე ფსიქოთერაპევტთან.

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ რომელიმე ორგანოს ფორმის შეცვლა ოპერაციული წესით უნდა გადაიდოს 17-20 წლამდე, რადგან ორგანო იზრდება და მოსალოდნელია ღეფორმაციის განვითარება.

ავადმყოფის გამოკვლევა . გამოკვლევა წარმოებს საერთოდ მიღებული წესის მიხედვით. მაგრამ რაც უფრო რთულია მომავალი ოპერაცია, მით უფრო საგულდაგულოდ უნდა შეეისწავლოთ ავადმყოფი. მენსტრუაციის წინ და მენსტრუაციის პერიოდში ოპერაცია არ უნდა დაიგეგმოს. ავადმყოფთან საჭიროა გულისყურიანი დამოკიდებულება.

მოგვეყავს ზოგადი მდგომარეობის ზოგიერთი ბიოლოგიური მაჩვენებლები

ნორმის ფარგლებში:	მამაკაცები	ქალები
1. სისხლის წნევა	140/80	100/60
2. კემოგლობინი	13,5-16,3 გრ.%	11,5-14,8 გრ. %

3. ურითროციტები	4,2-5,1 მილ.	3,6-4,8 მილ.
4. ლეიკოციტები	4.000	5.000
5. სისხლდენის ხანგრძლივობა	2-4 წუთი	
6. ე.დ.ს.	3-5 მმ/ს	4-7 მმ/ს
7. კოლგის წარმოქმნის დრო	12-15 წამი	
8. თრომბოციტები	150.000-300.000	
9. ალბუმინები	4,6-6,3 გრ%	
10. გლობულინები	1,2-2,3 გრ.%	
11. ფიბრინოგენი	0,2-0,4 გრ.%	

საჭიროა შარდის გამოკვლევა შაქარზე და საჭიროების მიხედვით სხვა გამოკვლევები. აუცილებელია ფოტოსურათის გადაღება ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ, ანაბეჭდების და მულიაეების დამზადება.

აღდგენითი ქირურგიის თანამედროვე პრინციპები.

1. ქსოვილების ბიოლოგიური შეთავსებადობა ან ალოპლასტიკური მასალის ინდიფერენტულობა.
2. გადასანერგი ქსოვილის ადექვატურობა ფორმის, მოცულობის და ფუნქციის მიხედვით.
3. საკმარისი კოსმეტიკურობა
4. აღსადგენი ორგანოს სიმეტრიულობა
5. მიღებული ანატომიური, კოსმეტიკური და ფუნქციონარული შედეგების სიმღვრადე.

ყბა-სახის არეში უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე

1. ლეჭვის, ყლაპვის, სუნთქვითი ფუნქციების აღდგენა, თანკბილვის აღდგენა, თავის თავისუფალი მოძრაობის შენარჩუნება.
2. ოპერაციულმა ჩარევამ ხელი არ უნდა შეუშალოს სახის ჩონჩხის განვითარებას.
3. ოპერაციის შემდგომ პირის ღრუში არ უნდა გაიზარდოს თმა, ხოლო კანქვეშ ეპიდერმული კისტები.

აღდგენითი ოპერაციების სახეები. გადასანერგი მასალების გამოყენების თვალთახედვით მიღებულია გრანსპლანტაციის საერთაშორისო კლასიფიკაციური სქემა.

1. აუტოგრანსპლანტაცია ითვალისწინებს საკუთარი ორგანიზმიდან ქსოვილის ან ორგანოს აღებას და მის გადაგანას სხვა ადგილზე. ამ მიზნით სახეზე გამოიყენება კანის გადანერგვა. ძელოვანი ქსოვილის გადანერგვის დროს გამოიყენება თემოს ძელის ქელი, გულმკერდის ნეკნები (VI-VIII)

უმჯობესია ადებულ იქნას გულმკერდის მარჯვენა ნახევრიდან. კუნთოვანი ქსოვილის გადასანერგად ვიყენებთ უმთავრესად საფეთქლის კუნთის ბოჭკოებს, იშვიათად საღვჭი კუნთის ბოჭკოებს. ცხიმოვანი ქსოვილის ალება ხდება მუცლის არედან და გადაგვაქვს სახის არეში. (სახის პემიატროფიის შემთხვევაში). ქუთუთოს ლორწოვანი გარსის აღსადგენად ვიყენებთ ლორწოვან გარსს ადებუულს ან პირის ღრუდან, ან სასქესო ორგანოებიდან.

2. ა ლ ო ტ რ ა ნ ს ქ ლ ა ნ ტ ა ც ი ა ქსოვილების ან ორგანოს გადანერგვა ერთი და იგივე სახეობებს შორის, გენეტიკურად განსხვავებული ერთმანეთისაგან. ქსოვილის ან ორგანოს გადატანა ერთი ადამიანიდან მეორეზე. ტრანსპლაციისათვის გამოიყენება კანი, ხრტილი, ძვალი, ყბა, კბილები და სხვა. ხრტილი გამოიყენება, როგორც საყრდენი მასალა ცხვირზე ოპერაციების დროს. კბილების გადანერგვა მკვდარი ადამიანიდან – ცოცხალზე (მოროზი, 1969), კბილების გადანერგვა ცოცხალი ადამიანიდან ცოცხალზე (ფილატოვი, 1970). ლიოფიზირებული ქვედა ყბა (პლოტნიკოვი, 1963).

3. ი მ ო ტ რ ა ნ ს ქ ლ ა ნ ტ ა ც ი ა . ქსოვილების ან ორგანოს გადანერგვა გყუპის ერთი ცალიდან მეორეზე, რომლებიც გენეტიკურად იდენტურნი არიან.

4. ქ ს ე ნ ო ტ რ ა ნ ს ქ ლ ა ნ ტ ა ც ი ა , ქსოვილის ან ორგანოს გადანერგვა სხვა და სხვა სახეობებს შორის (ცხოველიდან ადამიანზე, ძალიდან ბოცვერზე და სხვა). პრაქტიკულად არ გამოიყენება ადამიანზე.

5. ე ქ ს ქ ლ ა ნ ტ ა ც ი ა – ხელოვნური მასალის გადანერგვა, როგორცაა ლითონი, პლასტმასა, პარაფინი, პლექსიგლაზი, სილოქსანი, კორუნდოკერამიკა და სხვა.

ა ღ ღ გ ე ნ ი თ ი ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი ს დ ა გ ე გ მ ვ ა . ყველა ქირურგიული ოპერაცია მოითხოვს წინასწარ დაგეგმვას და რიგი მოვლენების გათვალისწინებას. ეს განსაკუთრებით უხედა აღდგენითი ოპერაციების ჩატარებას. აღდგენითი ოპერაციების დაგეგმვის დროს უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი მომენტები:

1. ოპერაციული ეტაპების მინიმალური რაოდენობა.
2. ქსოვილებისადმი მინიმალური ტრავმის მიყენება.
3. ოპერაციულ ეტაპებს შორის მინიმალური დრო.
4. ოპერაციის შემდეგ თავის და ხელების მოხერხებული მდებარეობა.
5. საკვების მიღება ჩვეულებრივი გზით.
6. ოპერაციის შემდეგ ახლო და შორეული კარგი შედეგები.

ოპერატორმა უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე ოპერაციის ხანგრძლივობა, თუ ოპერაციას სჭირდება ერთი საათი ის არ უნდა გაგრძელდეს ორი საათი, კანის გაკვეთა უნდა მოხდეს ბუნებრივ ნაოჭებში და მოხერხებულ ადგილებში, ისე რომ იყოს არა მარტო ფიზიოლოგიური, არამედ ესთეტიკური ეფექტი. ჭრილობაში სისხლენის შეჩერება უნდა იყოს საბოლოო.

აღდგენითი ოპერაციების ძირითადი მეთოდები.

აღგილობრივი ქსოვილების გადანერგვა

ყბა-სახის არეში აღდგენითი ქირურგიული ოპერაციები შეიძლება ჩატარდეს აღგილობრივი ქსოვილების გადანერგვით, ქსოვილების თავისუფალი გადანერგვით, ფილატოვის მრგვალი ყლორტის გამოყენებით.

1. ა ღ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ქ ს ო ვ ი ლ ე ბ ი ს გ ა დ ა ნ ე რ გ ვ ა . აღგილობრივი გადანერგვაში იგულისხმება, ისეთი ქირურგიული ოპერაციები, როდესაც საოპერაციოდ გამოიყენება დეფექტის ირგვლივ მდებარე ქსოვილი — კანი, აღგილობრივი პლასტიკური ოპერაციები პირობითად შეიძლება დაეყოს შემდეგ სახეებად: 1. ქსოვილის ამოკვეთა (ნაწიბური და სხვა) და მისი კიდეების მიახლოება. 2. ქსოვილის გაკვეთა და გათიშვა-გაწევა. 3. ქსოვილთა კიდეების შემხვედრი მიახლოება.

აღგილობრივი პლასტიკის ერთერთი მარტივი წარმომადგენელია ქსოვილის კიდეების მიახლოება, მათი წინასწარი გათიშვისა და მობილიზაციის შემდეგ. ასეთი ჩარევა ხდება მაშინ, როცა საჭიროა პატარა წარმონაქმნების (ანგიომა, ხალი, ნაწიბური და სხვა) ამოკვეთა და ჰრილობის დაფარვა კანით. კანის გათიშვა წარმოებს ცხიმოვანი ქსოვილის ღონებზე, რაც მეტ ფართზეა ათიშული კანი, მით უფრო მეტი მობილიზაცია შეიძლება მისი. კანის მედმეტად დაჭიმვა არ შეიძლება რადგან ის იწვევს ქსოვილის სიცოცხლის უნარიანობის დაქვეითებას. ცოტად თუ ბევრად დიდი ნაფლეთის დროს ვიყენებთ ნაფლეთის გადანაცვლებას ფართო ფეხით. (ი. შიმანოვსკი).

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თვითოეული დეფექტი განიხილება, როგორც მარტივი გეომეტრიული ფიგურა (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ოვალი). ან როგორც უფრო რთული, რამდენიმე მარტივის შეერთებით.

აღქსანდრე ლიმბერგმა პირველმა დაამტკიცა, რომ შემხვედრი ნაფლეთების გადანაცვლებით, არა მარტო შეიძლება დეფექტის დაფარვა, არამედ მანძილისა და ფართობის გაზრდაც. მოგვყავს ავტორისეული ცხრილი.

სამკუთხედების	ფართის საერთო	დიდი	პატარა
კუთხე	მომატება	კუთხესთან	კუთხესთან
30°-60°	42%	25%	17%
30°-75°	47%	32%	15%
30°-90°	50%	41%	9%
30°-105°	52%	52%	0

კანის ნაფლეთების შემხვედრი სამკუთხედების გადანაცვლება წარმატებით გამოიყენება კანის დანაოჭების, წარბების, ლორწოვანი გარსის ნაწიბურების, კანის დიდი ნაწიბურების, პირის კუთხეების ოპერაციული მკურნალობის დროს.

უ ე ხ ი ა ნ ი ნ ა ფ ლ ე თ ი . აღსანიშნავია, რომ როდესაც დეფექტის

დაფარვა კანის უბრალო გადანაცვლებით და არც შემხველრი სამკუთხედებით არ ხერხდება; ასეთ შემხვევებში გამოიყენება ფეხიანი ნაფლეთი, რომელიც მზადდება ღუფექტის გვერდით არსებული ან უფრო მოშორებით მდებარე ქსოვილებიდან.

ღუფექტის ახლოს ფეხიანი ნაფლეთის დამზადება შედარებით მარტივ პლასტიკურ ოპერაციად ითვლება, თუმცა ახლო მანძილიდან მისი ალება ყოველთვის არ ხერხდება, ნაწიბურების ან სხვა მიზეზებს გამო. ასეთ შემთხვევებში ნაფლეთის ალება ხდება უფრო მოშორებული ადგილებიდან. მაგალითად ცხვირის პლასტიკისათვის – შუბლის კანიდან, ლოყის ღუფექტის დასაფარადად კისრის არედან და სხვა. ზოგჯერ ნაფლეთის ალება გეიხდება უფრო შორი მანძილიდან – წინა მხარი, მხარი.

ფეხიანი ნაფლეთის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის საჭიროა ზოგიერთი პირობის შექმნა:

1. უნდა განესაზღვროთ ნაფლეთის სიგრძისა და სიფართის სწორი შეფარდება, რაც უფრო ფართოა ფეხი, მით უფრო კარგია კვება, მაგრამ ფართო ფეხიანი ნაფლეთის შემობრუნება ძალზე ძნელია.

2. ნაფლეთის სისხლით კარგად მომარაგებისათვის, აუცილებელია, რომ სიგრძე 3-ჯერ უფრო დიდი იყოს, ვიდრე სიფართე (4 X 12; 6 X 18 სმ. და სხვა).

3. უმჯობესია თუ ფეხიანი ნაფლეთი გამოიკვეთება ერთ ქსოვილში. ცხიმოვანი ქსოვილი მთელ სიგრძეზე უნდა იყოს ერთნაირი სისქის.

4. ნაფლეთმა თავისუფლად უნდა დაფაროს ღუფექტი. ნაფლეთის შემობრუნებამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლის მიმოქცევის გაძნელება (ციანოზი) და სიკვდილიც კი. ციანოზის შემთხვევაში საჭიროა განაკაწრების გაკეთება ნაფლეთზე.

ვარჩევთ ფეხიანი ნაფლეთის შემდეგ სახეებს: 1. ნაფლეთი ერთ ფეხზე; 2. ნაფლეთი ორ ფეხზე (ხიღისებური); 3. გაღაბრუნებული; 4. გაორმაგებული; 5. არტერიზებული.

1. ნ ა ფ ლ ე თ ი ე რ თ ფ ე ხ ზ ე . მზადდება ერთ შრეში ახლო მდებარე ქსოვილებიდან. უმჯობესია მკვებავი სისხლძარღვის მიმართულებით. ქსოვილის ამრევების მომენტში არ უნდა დავაშიანოთ არა მარტო წერილი სისხლძარღვები, არამედ თვით საკუთარი კანი. ამ მეთოდის დადებითი მხარეა, ის, რომ ერთდროულად ხდება ნაფლეთის წარმოქმნა და ღუფექტის დახურვა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანის ფერს. გარდა ამისა ნაფლეთის შემობრუნება შეიძლება 180°-ით.

2. ნ ა ფ ლ ე თ ი ო რ ფ ე ხ ზ ე (ხ ი ღ ი ს ე ბ უ რ ი) . მზადდება ქსოვილის ერთ შრეში, უპირატესობა ის არის, რომ ნაფლეთი იკვებება ორი ფეხით. სამუშაოდ ითვლება მისი შუა ნაწილი. ეს ნაფლეთი შეიძლება გამოიყენოთ ტუჩების პლასტიკისათვის, მაგ. კისრის არედან ალებული (ა. ლაპჩინსკი). ამ ნაფლეთის სახეობას განეკუთვნება ფილაგოვის ყლორტი.

3. გაღაბრუნებული ნაფლეთი განეკუთვნება ფეხიან ერთშრიან ნაფლეთებს და გამოიყენება სახის რბილი ქსოვილების დეფექტის აღსადგენად. ძირითადად ღრუს შიგნითა ზედაპირის შესაქმნელად. მაგ. ცხვირის ღრუს გამჭოლი დეფექტი. შიგნითა ზედაპირი შეიძლება შეიქმნას ცხვირის ზურგიდან გადმოყრნებული ნაფლეთით, ხოლო გარეთა ზედაპირი ლოყიდან აღებული ნაფლეთით. ასეთი ნაფლეთების შემობრუნება შეიძლება 180° შიგნით. ამ მეთოდს ვიყენებთ აგრეთვე ლოყის გამჭოლი დეფექტის დროს. უფრო მოსახერხებელია ქალებში, რადგან მათ სახეზე თმა არ იზრდება.

4. გაორმაგებული ნაფლეთი, ასეთი ნაფლეთის შექმნისათვის საჭიროა ორი შემხედრი ნაფლეთის გამოკვეთა, რომლითაც შეექმნით შინითა ზედაპირს, გარეთა ზედაპირი იქმნება ან კისრის არედან აღებული ქსოვილით ან ფილაგოვის ყლორტით.

სახის დეფექტების დასახურავად გამოიყენება აგრეთვე წინასწარ გაორმაგებული ნაფლეთი, რომელიც შედგება ორი ერთშრიანი ნაფლეთისაგან. ასეთი ნაფლეთის სახეობას განეკუთვნება კლაპის ნაფლეთი.

კლაპი გაორმაგებული ნაფლეთისათვის გამოიყენებს წინამხრიდან აღებულ პორიზონტალურ ნაფლეთს და მის შესახვედრად ასეთივე ნაფლეთს გამოკვეთს გულმკერდის კანიდან, ისე რომ ორივე ნაფლეთი ჭრილობებით ეხება ერთმანეთს. შეხორცების შემდეგ მოიკვეთება ნაფლეთის გულმკერდის ფეხი და მხრის ზევით აწევით ნაფლეთი მიიგანება სახის დეფექტამდე.

რაუერი გაორმაგებული ნაფლეთის შექმნისათვის ერთ ნაფლეთს გამოკვეთავს ილღის ფოსოში, ხოლო მეორეს გულმკერდის გვერდით ზედაპირზე. მათი ზედაპირების შეერთებით მზადდება გაორმაგებული ნაფლეთი. გულმკერდის ფეხი მოიკვეთება და მხარის აწევით ნაფლეთი გადაიგანება სახის დეფექტამდე. ამ მეთოდის შედარებით უპირატესობა ის არის, რომ ნაფლეთის ფეხი უფრო გრძელია. ასეთი გაორმაგებული ნაფლეთები წარმატებით გამოიყენება მამაკაცების გუჩებისა და ნიკაპის აღსადგენად.

ლექსერი მეთოდი. გაორმაგებული ნაფლეთის შესაქმნელად ავტორი თავის თმიანი ნაწილიდან გამოკვეთავს ერთ ნაფლეთს, რომელიც ფეხით ეშვება კისრისაკენ, მეორე ნაფლეთი გამოიკვეთება კისრის არეში, რომლის ჭრილობიანი ზედაპირი უერთდება პირველ ნაფლეთს, ჭრილობის შეხორცების შემდეგ (12-14 დღე) კისრის ფეხი მოიკვეთება და ნაფლეთი გადაიგანება დეფექტამდე.

5. არტერიზირებული ნაფლეთი ერთშრიანი ნაფლეთია, გამოკვეთის დროს მის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა მოხედეს ერთი მკვებაევი სისხლძარღვი მაინც, მაგალითად ცხვირ-ტუჩის ნაოჭიდან ნაფლეთის აღების დროს მის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ცხვირის კუთხის არტერია, საფეთქლის არედან აღებულში კი საფეთქლის არტერია, კეფიდან

აღებულში კეფის არტერია. ასეთი ნაფლეთები კარგად იკვებებიან და წარმატებით გამოიყენებიან ორგანოს აღსადგენად, მაგ. წარბების ღეფექტის აღსადგენად.

ტურების აღდგენა (ქეილოპლასტიკა)

ტურები სახის ორგანული შემადგენელი ნაწილია და სახის პარმონიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, ისინი ადამიანის ინდივიდუალობის, მისი გუნება-განწყობილების გამოხატველია. ტურების ფუნქციური დანიშნულება მრავალსახოვანია: გამოხატავს ადამიანის ხასიათს, მიმიკას, აქტიურად მონაწილეობს მეტყველებაში, უზრუნველყოფს პირის პერმეტიზმს, მონაწილეობს ღეჭვის ფუნქციაში. ტურები რთული აგებულებისაა, ზედა ტური თავისი მოყვანილობით განსხვავდება ქვედა ტურისაგან. შედგება მრავალი ქსოვილისაგან. წითელი ყაეთანი წარმოდგენილია მრავალშრიანი ლორწოვანი გარსით, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ტურების მფარავ კანს. ლორწოვანი გარსის სისქეში მოთავსებულია მცირე სანერწყვე ჯირკვლები. ტურების ძირითადი მასა წარმოდგენილია კუნთოვანი ბოჭკოებით, განლაგებულია ტურების ირგვლივ, რომლის კიდეებში ჩაქსოვილია მიმიკური კუნთების ბოჭკოები. ტურების დეფორმაცია და დეფექტი იწვევს სახის მკვეთრად გამოხატულ სიმახინჯეს და მიმიკის მოშლას, რასაც თან სდევს გამოხატული ფსიქიკურ-ემოციური ძვრები.

ტურების დეფორმაცია შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძენილი.

თანდაყოლილი დეფორმაციებია: 1. ტურების გასქელება, 2. გადმობრუნებული ტური, 3. ორმაგი ტური, 4. ჩამოშვებული, 5. გრძელი ტურები (ფართო პირი) 6. მოკლე ტურები (მიკროსტომა). 7. მაღალი ტური (ზედა), 8. თანდაყოლილი ნაპრაღი.

1. გასქელებული ტურები უფრო ხშირად გვხვდება შავკანიან და ზოგიერთ სხვა რასის წარმომადგენლებში. ტურების გასქელება გამოწვეულია მისი ლორწვევა ქსოვილის ჭარბად განვითარების შედეგად. თვით ტური ანატომიურად ნორმალურ მდგომარეობაშია. ანთებადი კომპონენტი არ არის. ოპერაციული ჩარევა შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ კოსმეტიკური მოსაზრებით. ოპერაცია მდგომარეობს ზედმეტი ქსოვილის ამოკვეთაში.

2. გადმობრუნებული ტური. იქმნება ცრუ შთაბეჭდილება თითქოს ტური გასქელებულია. ფაქტობრივად ქვედა ტური გადმობრუნებულია. ჩანს არა მარტო წითელი ყაეთნის ლორწოვანი გარსი, არამედ ტურის პირის კარიბჭის ლორწოვანი გარსის ნაწილი. ოპერაცია ნაჩვენებია როგორც ფუნქციური ისე კოსმეტიკური თვალსაზრისით. ოპერაცია ითვალისწინებს ლორწოვანი გარ-

სის და მის ქვეშ მღებარე ქსოვილების ამოკვეთას და ტუჩის ამობრუნებას.

3. **ორმაგი ტუჩი** გვხვდება საკმაოდ ხშირად, არის განვითარების მანკი. ღმილის ან სიცილის ღროს ზედა ტუჩის ლორწოვან გარსზე ჩნდება მკვეთრად გამოხატული ნაოჭი. ფუნქციურ მოშლილობას არ წვევს. ოპერაცია კეთდება კოსმეტიკური თვალსაზრისით. საჭიროა ნახევრად ოვალური ორი განაკვეთის გატარება ტუჩის კუთხიდან მეორე კუთხემდე და ზელმეტი ქსოვილის ამოკვეთა.

4. **ჩამოშვებული ტუჩი**. ტუჩის რბილი ქსოვილების ტურგორი ნაწილობრივ დაქვეითებულია, ფუნქცია შესუსტებული. ტუჩი თითქოს მოღუნებულია, წარმოადგენს გამოხატულ კოსმეტიკურ სიმახინჯეს. გვხვდება მხოლოდ ქვედა ტუჩზე. ოპერაცია ითვალისწინებს ტუჩის ცენტრალური ნაწილიდან სამკუთხოვანი ფორმის ნაფლეთის ამოკვეთას, ისე რომ სამკუთხედის მწვერვალი მიმართულია ნიკაპისაკენ, ხოლო ფუძე წითელი ყაეთნისაკენ.

5. **გრძელი ტუჩი (ფართო პირი)**. ჩვეულებრივ პირის ნაპრალის სიგრძე თანაფარდობაშია სახის კონფიგურაციასთან და საშუალოდ 6-7 სმ-ია. ფართო პირის ნაპრალი მშვიდ მდგომარეობაში ნაკლებად გამოხატულია, უფრო ჩანს ღმილის ან ლაპარაკის ღროს. საჭიროა პირის ნაპრალის გაზომვა და მისი სიგრძის დაპატარავება სახის პარამონის გათვალისწინებით.

